

**წიგნიერების, მათემატიკური  
წიგნიერებისა და სასიცოცხლო  
უნარების გაამკვლევნი  
დანყებითი საფესურის  
მასწავლებლებისთვის**



**წიგნიერების, მათემატიკური  
წიგნიერებისა და სისინოცხლო  
უნარების გზამკვლევი  
დანშობითი სოფმსურის  
მასწავლმკვლმებისთვის**

## **ავტორები**

### **წიგნიერება**

პაატა პაპავა

თამარ ქანტურია

### **მათემატიკური წიგნიერება**

ეკატერინე კორძაძე

### **სასიცოცხლო უნარები**

მაია ბაქრაძე

ნაზაკეტ ბახტიარ მეჰდიევა

### **საკონსულტაციო საბჭო**

ია ანთაძე

სოფიო გორგოძე

თამარ მოსიაშვილი

ირინა სამსონია

პუბლიკაცია მომზადებულია საერთაშორისო პროექტის „არც ერთი ბავშვი ზოგადი განათლების გარეშე (წიგნიერების, მათემატიკური წიგნიერებისა და სასიცოცხლო უნარების საბაზისო მოდელის შემუშავება). პროექტი განახორციელა სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტმა ლია საზოგადოების ინსტიტუტის მხარდაჭერით.

**დიზაინერი**

**დალი ჯვარშიეშვილი**

© სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი, 2011

ISBN 978-9941-0-3847-1



საერო განათლება ისეთი საგანია, რომელიც რაც უნდა კარგად იყოს დაყენებული, მაინც მუდმივს ფიქრსა და ცდასა თხოულობს, რათა ერთს წერტილზედ არ შედგეს და უკან არ დაიხიოს. დღევანდელი პირველდანიყებითი საერო განათლება, რასაკვირველია, ბევრად უკეთ მოწყობილი და წინ წასულია, ვიდრე წინად, მაგრამ ისეთს მდგომარეობაში კი არ არის, რომ იმაზედ ზრუნვა საჭირო არ იყოს. თუ მართლა მხურვალედ და ჩაფიქრებულად მოვეპყრობით განათლების საქმეს, შეგვიძლიან ყოველთვის აღმოვაჩინოთ, თუ რა ეჭირვება პირველდანიყებით სკოლას, რა ცვლილებაა საჭირო იმისათვის, რათა საერო განათლებამ კიდევ უფრო იხეიროს და წინ წაიწიოს.

**ილია ჭავჭავაძე**

## სარჩევი

შესავალი .....	5
წიგნიერება .....	7
მათემატიკური წიგნიერება .....	117
სასიცოცხლო უნარები.....	163

## შესავალი

პუბლიკაცია მომზადებულია საერთაშორისო პროექტის – „არც ერთი ბავშვი ზოგადი განათლების გარეშე (ნიგნიერების, მათემატიკური ნიგნიერებისა და სასიცოცხლო უნარების საბაზისო მოდელის შემუშავება)“ – ფარგლებში.

განათლების სფეროს წარმომადგენლებმა შეიმუშავეს სახელმძღვანელო, რომელიც დაეხმარება მასწავლებლებს, ისე დაგეგმონ სასწავლო პროცესი, რომ მოსწავლეებმა უკეთ ისწავლონ, შეიძინონ ის ცოდნა და უნარ-ჩვევები, რომლებიც ეროვნული სასწავლო გეგმით არის განსაზღვრული.

სხვადასხვა მიზეზის გამო, ზოგიერთ მოსწავლეს უჭირს, მიაღწიოს სახელმწიფოს მიერ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შედეგებს. ზოჯერ მოსწავლეს სკოლის დატოვებაც უხდება. დანყებით საფეხურზე სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული შედეგების მიღწევის პროცესში ბარიერების დაძლევა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. მოსწავლის მიერ სწავლების დანყებით საფეხურზე შეძენილი ცოდნა და უნარ-ჩვევები მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მოსწავლის ინტეგრაციასა და მის მიღწევებს საბაზო და საშუალო საფეხურზე.

მომზადებული მასალები ითვალისწინებს იმ კატეგორიის მოსწავლეთა დახმარებას, რომლებსაც უჭირთ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული პროგრამების დაძლევა. საზოგადოებას ვთავაზობთ განათლების მეორე შანსის მოძღვლს, რომლის განხორციელება შესაძლებელია საზოგადოების, სკოლის წარმომადგენლებისა და მშობლების თანადგომით.

სახელმწიფო სკოლებს საშუალებას აძლევს მოსწავლეებს შესთავაზონ დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება. ჩვენ მიერ მომზადებული მასალები სკოლებს დაეხმარება, ეფექტიანად დანერგონ ნიგნიერების, მათემატიკური ნიგნიერებისა და სასიცოცხლო უნარების სასწავლო პროცესი. ამ მიზნით, სფეროს ექსპერტებმა შეიმუშავეს სასწავლო გეგმა, მიზნები,

– თუ რა ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და დამოკიდებულებების შექმნას ითვალისწინებს კურსი, საათების რაოდენობა, შეფასების მეთოდები და სწავლების მეთოდოლოგია.

თითოეული მიმართულება სწავლა-სწავლების თანამედროვე მიდგომებს ეფუძნება. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია სწავლების მეთოდოლოგია, რომელიც ექსპერტებმა შესთავაზეს ქართველ მასწავლებლებს. წიგნიერება ეფუძნება პროგრამას – „კითხვა და წერა კრიტიკული აზროვნებისთვის“, მათემატიკური წიგნიერება – პრობლემზე დაფუძნებულ სწავლებას, ხოლო სასიცოცხლო უნარები – აქტიურ სწავლებას. ექსპერტები შეეცადნენ, გაეძლიერებინათ მიმართულებებს შორის კავშირები, კერძოდ, კითხვის, კომუნიკაციის, ჯგუფში მუშაობის, პრობლემის გადაჭრისა და დისკუსიის უნარების განვითარება მოხდება წიგნიერების, მათემატიკური წიგნიერებისა და სასიცოცხლო უნარების ჯგუფებში.

ექსპერტებმა ასევე შეიმუშავეს მოსწავლის მასალები, რომელთა მხოლოდ მცირე ნაწილია შესული წინამდებარე პუბლიკაციაში. 2011 -2012 წლებში მოსწავლეთა მასალები დაიხვეწება და წიგნის განახლებულ, სრულ ვერსიას ქართულ საზოგადოებას 2012 წელს შევთავაზებთ.

# წიგნი

## ავტორი

პაატა პაპიაშვილი

თბილისი, საქართველო

1. შესავალი .....	9
2. სტანდარტი .....	12
2.1 კითხვისა და წერის სწავლების მიზნები და ამოცანები.....	12
2.2 კურსის დასრულებისას მისაღწევი შედეგები მიმართულებების მიხედვით .....	13
3. სწავლა-სწავლების მეთოდოლოგიური საფუძვლები .....	16
3.1 სწავლებისა და სწავლის საბაზისო მოდელი .....	16
3.2 კითხვისა და წერის მეთოდები.....	20
3.3 კითხვის მეთოდების ცხრილი.....	23
3.4 კითხვის სწავლების ეფექტური მეთოდები.....	24
3.5 წერის მეთოდების ცხრილი.....	61
3.6 წერის სწავლების ეფექტური მეთოდები .....	61
4. შეფასება.....	82
4.1 შეფასების ტიპები.....	83
4.2 შეფასების მეთოდები .....	85
5. კითხვის გაკვეთილის, აქტივობის ან თემატური ბლოკის/ერთეულის დაგეგმვა .....	97
6. გაკვეთილის გეგმის ნიმუშები.....	101

## შესავალი

წიგნიერება თანამედროვე მსოფლიოში ერთ-ერთი ძირითადი, საკვანძო კომპეტენციაა. კითხვისა და წერის უნარები მნიშვნელოვნად განაპირობებს ინდივიდის მოქალაქედ ჩამოყალიბებასა და მის წარმატებას საქმიანობის ნებისმიერ სფეროში. ამიტომ, წიგნიერების განვითარებას სათანადო ყურადღება ეთმობა როგორც სკოლამდელ და სასკოლო, ისე სკოლისშემდგომ ასაკში. მრავალ ქვეყანაში ხორციელდება სხვადასხვა პროგრამა იმ მოზარდებისა და ზრდასრულებისათვის, რომლებიც ამა თუ იმ მიზეზით უწიგნურად დარჩენის რისკის წინაშე დგანან.

რა არის წიგნიერება? კითხვისა და წერის პროცესების კომპლექსურობის გამო წიგნიერების ერთ შეთანხმებულ განმარტებას ლიტერატურაში ვერ ვნახავთ. თუმცა, უმრავლესობა მიიჩნევს, რომ დღეს წიგნიერება ნიშნავს მრავალფეროვანი ტექსტების გამართულად წაკითხვის, გაგება-გააზრების, ინტერპრეტაციისა და გამოყენების, ასევე სხვადასხვა დანიშნულების ტექსტების შექმნის უნარს. გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია (UNESCO) წიგნიერებას განმარტავს, როგორც განსაზღვრის, გაგების, ინტერპრეტაციის, შექმნის, კომუნიკაციის, გამოთვლის, ამა თუ იმ კონტექსტთან დაკავშირებული ნაბეჭდი და წერილობითი მასალის გამოყენების უნარ-ჩვევების ერთობლიობას. წიგნიერების ცნება გულისხმობს სწავლის პროცესის უწყვეტობასა და ინდივიდის შესაძლებლობას, მიაღწიოს მიზნებს, გაიღრმავოს ცოდნა, აიმაღლოს პოტენციალი და სრულად მოახდინოს საზოგადოებაში ინტეგრირება.

ამდენად, თანამედროვე გაგებით, წიგნიერება უშუალოდ არის დაკავშირებული ისეთ უნარებთან, როგორებიცაა ზეპირი კომუნიკაცია, წაკითხვის განხილვა და დისკუსია, კრიტიკული აზროვნება, წარმოსახვა და სხვ. ტექსტების მრავალფეროვნებაში, ძირითადად, იგულისხმება, როგორც ნარატიული (თხრობითი)/მხატვრული (მოთხრობა, იგავი, ლექსი, ბიოგრაფია და ა.შ.), ისე ინფორმაციული/აღწერითი/ინსტრუქციული (მაგალითად, საბუნებისმეტყველო ტექსტები, კვლევა, ესეი და ა.შ.) ტექსტები. გასათვალისწინებელია ისიც, რომ თანამედროვე ბეჭდვითი საშუალებების გამოყენებით საკითხავი ტექსტები გამდიდრებულია სქემებით,

დიაგრამებით, ილუსტრაციებით, ელექტრონული ბმულებით და ა.შ., ამიტომ წიგნიერება შეიცავს სქემების, დიაგრამებისა და ილუსტრაციების გაგებასა და გააზრებასაც.

ცალკე საუბრობენ ე.წ. ფუნქციური წიგნიერების შესახებ, რაც ყოველ-დღიური ყოფა-ცხოვრებისათვის საჭირო წერა-კითხვის კომპეტენციის მინიმუმს – რეკლამის, განცხადების, აფიშის, მენიუს, ინსტრუქციის და ა.შ. წაკითხვასა და გაგებას, ასევე, განცხადების, წერილის, ნუსხის და ა.შ. დაწერას – გულისხმობს.

წერა-კითხვის სწავლის პროცესი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ზეპირი კომუნიკაციის, ანუ მოსმენისა და საუბრის (ლაპარაკის) უნარების განვითარებაზე. მართლაც, ჯერ კიდევ ადრეულ, სკოლამდელ ასაკში, ბავშვი ზეპირი კომუნიკაციის პროცესში აცნობიერებს წერისა და კითხვის დაწყებისათვის აუცილებელ ფონეტიკურ პრინციპებს, ბგერების შერწყმის შესაძლებლობებს, გამოთქმული ერთეულების ნაბეჭდ/წაწერ ტექსტთან შესატყვისობას.

თუ ბავშვის გარემოში ზეპირი კომუნიკაცია და ტექსტებთან შეხება მიზეზთა გამო შეზღუდულია, სასკოლო ასაკში სერიოზულ პრობლემებს ვაწყდებით. ინფორმაციის მოცულობისა და მრავალფეროვნების ზრდასთან ერთად კი ეს პრობლემები კიდევ უფრო ღრმავდება. საბოლოოდ მივდივართ წაკითხულის გაგების შეუძლებლობამდე, კითხვის მოტივაციის სრულ დაცემამდე, საკუთარი წარუმატებლობის განცდამდე, რაც ყველა საგანში აფერხებს სწავლას.

უკანასკნელ წლებში საქართველოს განათლების სისტემაში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა წიგნიერების ცნების ხელახლა გააზრებისა და წერა-კითხვის სწავლების გაუმჯობესების მიზნით. პირველ რიგში, ხაზგასასმელია რამდენიმე ფაქტი:

- წიგნიერებას, როგორც სასწავლო პროცესის დამოუკიდებელ ერთეულსა და სტრატეგიულ მიზანს, საგანგებო ყურადღება ეთმობა ეროვნულ სასწავლო გეგმაში.
- 2006 წელს ჩატარდა მოსწავლეთა წიგნიერების დონის საერთაშორისო ფართომასშტაბიანი კვლევა PIRLS, რომლის მიზანიც იყო 9-10 წლის ბავშვთა წიგნიერების დონისა და მისი განმაპირობებელი ფაქტორების შესწავლა. საქართველო მსოფლიოს 45 ქვეყანასთან ერთად იღებდა ამ კვლევაში მონაწილეობას. კვლევის შედეგად ექსპერტთა მიერ შეფასდა ქართველი ბავშვების მიერ წერიტი მეტყველების სხვადასხვა ფორმის აღქმის, მიღებული ინფორმაციის გაგებისა და გამოყენების უნარი,



გამოვლინდა არსებული ვითარება (ქართველ ბავშვებს საშუალოზე დაბალი შედეგები აქვთ, ბოლოდან მე-9 ადგილი 45 ქვეყანას შორის) და გამოიკვეთა სამოქმედო სტრატეგიული ორიენტირები:

- კითხვის სპეციალური სამოქმედო გეგმის შექმნა;
  - დაწყებითი კლასის მომავალი მასწავლებლების მოსამზადებელი პროგრამების რეფორმირება;
  - ტრენინგებისა და დამხმარე მეთოდური სახელმძღვანელოების მომზადება;
  - თანამედროვე სასწავლო პრაქტიკაში აპრობირებული ტექსტის განხილვისა და გააზრების მეთოდების გამოყენება;
  - სკოლამდელი აღზრდის სისტემის რეფორმირება;
  - სასკოლო ბიბლიოთეკების გამართულად ფუნქციონირება; საბავშვო ჟურნალ-გაზეთების გამოცემის ხელშეწყობა;
  - ოჯახის აქტიური მონაწილეობა; სკოლისა და ოჯახის კომუნიკაციის ხარისხი;
  - სპეციალური პროექტები რეგიონების სკოლებისათვის<sup>1</sup>.
- 2010-2011 წლებში მსოფლიო ბანკის დაფინანსებით დაწყებითი კლასების მასწავლებელთათვის განხორციელდა წიგნიერების დონის ამალღებაზე ორიენტირებული საპილოტე პროექტი, რომლის მიზანია დაწყებით კლასებში მოსწავლეთა წიგნიერების უნარის განვითარება.
- განახლდა და კითხვისა და წერის სწავლების მეთოდუკასთან დაკავშირებული საკითხებით შეივსო დაწყებითი კლასების მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი.
- მომზადდა რამდენიმე სპეციალური სასწავლო მეთოდური რესურსი, რომლებიც ეხმარება საქართველოს სკოლების მასწავლებლებს კითხვისა და წერის სწავლება-სწავლის პროცესის გაუმჯობესებაში.
- მომზადდა და გამოიცა ეროვნული სასწავლო გეგმის გზამკვლევი დაწყებითი საფეხურის მასწავლებელთათვის ქართულ ენასა და ლიტერატურაში.
- დაიბეჭდა რამდენიმე სტატია წიგნიერების კონცეპტუალური საკითხებისა და მეთოდოლოგიური მიდგომების შესახებ.

<sup>1</sup> წიგნიერება - PIRLS-2006 საქართველოში, გამოცდების ეროვნული ცენტრი, თბილისი, 2008. ასევე, შეგიძლიათ იხილოთ: <http://www.naec.ge/uploads/SXVA/pirlspre-2010.pdf>

## 2. სტანდარტი

### 2.1. კითხვისა და წერის სწავლების მიზნები და ამოცანები

წიგნიერების განვითარების გზაზე მნიშვნელოვანია შემდეგი საგანმანათლებლო მიზნების დასახვა:

- ძირითადი საკომუნიკაციო უნარების (მოსმენა, საუბარი, კითხვა, წერა) განვითარება;
- მიზნობრივად და შინაარსობრივად მრავალფეროვანი ტექსტების (მაგალითად, მოთხრობა, ლექსი, არგუმენტირებული ესეი, ინსტრუქცია და ა.შ.) წაკითხვისა და გააზრების უნარის ჩამოყალიბება;
- წერიტი და ზეპირი მეტყველების კულტურის განვითარება;
- საკუთარი აზრის ლოგიკური თანამიმდევრობით გამოხატვისა და სხვადასხვა დანიშნულების წერილობითი ტექსტის შექმნის უნარის განვითარება;
- ლიტერატურული ტექსტების წაკითხვის მოტივაციის გაღვივება, მათი აღქმისა და ინტერპრეტაციის უნარის განვითარება;
- დამოუკიდებელი, შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების განვითარება.

საგანმანათლებლო მიზნებიდან გამომდინარე, კითხვისა და წერის სწავლება სკოლაში ითვალისწინებს კონკრეტული ამოცანების გადაჭრას. ამგვარ ამოცანებს წარმოადგენს:

- კალიგრაფიული კულტურის გამომუშავება;
- ლექსიკური მარაგის შევსება-გამდიდრება;
- აზრის ცხადად, ლაკონიურად, მკაფიოდ და მწყობრად გამოხატვის უნარის ჩამოყალიბება;
- მსჯელობის უნარის განვითარება;
- ტექსტებთან შემოქმედებითი (თავისუფალი) დამოკიდებულების გამომუშავება;
- დისკუსიებში მონაწილეობა, მონოლოგიური და დიალოგიური მეტყველების უნარ-ჩვევათა ჩამოყალიბება;

- საგანმანათლებლო მიზნით სხვადასხვა რესურსით (ლექსიკონები, ბიბლიოთეკა, ინტერნეტი და სხვ.) სარგებლობა;
- სამეცნიერო ეტიკეტის ნორმების დაცვა;
- ტექსტის აგების კანონზომიერების გათვალისწინებით ტექსტის შექმნა;
- მიზნობრივი ამოცანის შესატყვისი სტილით წერა და მეცნიერება;
- ორთოგრაფიული და პუნქტუაციური ნორმების სათანადოდ გამოყენება;
- სხვადასხვა სახის, სტილისა და ჟანრის ტექსტების ანალიზისა და შექმნის უნარის გამომუშავება;
- მწერლის შემოქმედების გააზრება სუბიექტური (მწერლის ცხოვრების მნიშვნელოვანი ფაქტები და მომენტები) და ობიექტური (ეპოქის ზოგადი კონტექსტი) ფაქტორების გათვალისწინებით;
- ლიტერატურულ ნაწარმოებებში ასახული პრობლემატიკისა და ფასეულობების აღქმა-გააზრება და მათ მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა.

**2.2. კურსის დასრულებისას მისაღწევი შედეგები მიმართულებების მიხედვით**

	მიმართულება	მისაღწევი შედეგი	ინდიკატორი
1	დეკოდირება და სიტყვების ამოცნობა (ფონოლოგიური ცოდნის ჩათვლით)	<p>მოსწავლეს შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ანბანური პრინციპის გაგება და გამოყენება;</li> <li>• წერილობითი კოდის გაშიფვრა;</li> <li>• სიტყვების მთლიანად წაკითხვა.</li> </ul>	<p>ცნობს 100 სიტყვის ლოგოგრაფიულ ხატს;</p> <p>ანაწევრებს სიტყვას მარცვლებად და ფონემებად;</p> <p>ზეპირად აერთიანებს ცალცალკე ამოთქმულ ბგერებს და/ან მარცვლებს; გამოთქვამს დაწერილი ასოს შესაბამის ბგერას;</p> <p>ამოიცნობს ამოთქმული ბგერის შესაბამის ასოს;</p> <p>წერს ამოთქმულ ბგერას;</p> <p>ანაწევრებს დაწერილ სიტყვას მარცვლებად და ბგერებად;</p> <p>ხსნის, თუ რა არის ანბანი და რისთვის არსებობს იგი;</p> <p>შიფრავს მისთვის უცნობ სიტყვას, თვით სიტყვის შემადგენელი ელემენტებისა და ტექსტის შინაარსობრივი კონტექსტის მიხედვით.</p>

2	ლექსიკური მარაგის გამდიდრება	<p>მოსწავლეს შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• სიტყვის მნიშვნელობის გასაგებად სხვადასხვა; მეთოდის მოშველიება</li> <li>• სიტყვის გამოყენება მრავალფეროვან კონტექსტში.</li> </ul>	<p>უცნობი სიტყვის ამოსაცნობად იყენებს კონტექსტს და მინიშნებებს; გაააქტიურებს წინარე ცოდნასა და გამოცდილებას; ცდილობს ამოიცნოს სიტყვის შემადგენელი ნაწილები და მათი მნიშვნელობა; იყენებს დამხმარე წყაროებს (ლექსიკონი, თანატოლი, სპეციალისტი, მასწავლებელი, მშობელი და სხვ.); ქმნის გონებრივ რუკას სიტყვაზე; ადგენს წინადადებას სიტყვის გამოყენებით; ასახელებს სიტყვის მონათესავე სიტყვებს და აკავშირებს მას ამ სიტყვებთან; აკეთებს სიტყვის გრამატიკულ ანალიზს.</p>
3	გამართული კითხვა	<p>მოსწავლეს შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• სხვადასხვა სირთულის ტექსტის ხმამაღლა, გამართულად წაკითხვა;</li> <li>• სხვადასხვა სირთულის ტექსტის ჩუმად, გამართულად წაკითხვა.</li> </ul>	<p>კითხულობს ტექსტს უშეცდომოდ; კითხულობს ტექსტს გაბმულად; კითხულობს სასწავლო სირთულის დონის ტექსტს ზომიერი სიჩქარით; კითხულობს ტექსტს გამომეტყველებით (ხმამაღლა); ინტონაციით გამოხატავს ტექსტში ასახულ ემოციებს და განწყობას ხმამაღლა კითხვისას.</p>
4	წაკითხულის გაგება-გააზრება	<p>მოსწავლეს შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• სხვადასხვა ტიპის ტექსტის შინაარსის გაგება;</li> <li>• ექსპლიციტური და იმპლიციტური ინფორმაციის მოძიება და გააზრება კითხვის პროცესში;</li> <li>• საკუთარი აზრისა და დამოკიდებულების გამოხატვა წაკითხული ტექსტის (მხატვრულის/ არამხატვრულის) მიმართ;</li> <li>• დამხმარე ელემენტების გამოყენება ტექსტის გასააზრებლად;</li> </ul>	<p>აღწერს ტექსტის წაკითხვის შედეგად საკუთარ წარმოსახვაში აღბეჭდილ სურათ-ხატებს (ზეპირად, ხატვით, მოძრაობით); გამოთქვამს ვარაუდებს ტექსტის წაკითხვამდე (სათაურისა და დამხმარე ელემენტების მიხედვით); განასხვავებს ერთმანეთისაგან ინფორმაციულსა და თხრობით, მხატვრულ და არამხატვრულ ტექსტებს ძირითადი მახასიათებლების მიხედვით; აყალიბებს ტექსტის წაკითხვის მიზანს კითხვის დაწყებამდე; გაააქტიურებს არსებულ თემატურ ცოდნას ტექსტის წაკითხვამდე; გამოთქვამს ვარაუდებს წაკითხვამდე და კითხვის პროცესში; უკავშირებს წაკითხული ტექსტის შინაარსს საკუთარ გამოცდილებას, მოცემული ტექსტის სხვა ნაწილებს, სხვა ტექსტებს და გარესამყაროს; შეარჩევს ტექსტს საკუთარი ინტერესების მიხედვით;</p>

		<ul style="list-style-type: none"> <li>• ტექსტში ძირითადისა და მეორეხარისხოვანის გარჩევა;</li> <li>• გაგებაზე ორიენტირებული შეკითხვების დასმა ტექსტის წაკითხვამდე, წაკითხვის პროცესში და წაკითხვის შემდეგ;</li> <li>• გაგების/გააზრების შესაფერისი მეთოდების მოშველიება მიზნისა და ტექსტის ტიპის მიხედვით.</li> </ul>	<p>სხვადასხვა ფორმით (საუბრით, წერილობით, ხატვით, მოძრაობით და სხვ.) გამოხატავს საკუთარ შთაბეჭდილებებს და დამოკიდებულებას წაკითხულის შესახებ;</p> <p>პოულობს ტექსტში პასუხებს დასმული შეკითხვების მიხედვით;</p> <p>აკეთებს ტექსტის ცალკეული აბზაცების/ ნაწილებისა და მთლიანი ტექსტის რეზიუმირებას;</p> <p>განასხვავებს და გამიჯნავს ფაქტსა და მოსაზრებას სხვადასხვა ტიპის ტექსტებში;</p> <p>გამოაქვს დასკვნები სხვადასხვა ტიპის ტექსტების კითხვის დროს და მიუთითებს შესაბამის დასაბუთებას ტექსტში;</p> <p>ამოიცნობს ლიტერატურული ნაწარმოების ჟანრს მისი ძირითადი მახასიათებლების მიხედვით;</p> <p>ახასიათებს ლიტერატურული ტექსტის ძირითად ელემენტებს (პერსონაჟები, ფაბულა, გარემოებები, თემა და ა. შ.);</p> <p>ამოიცნობს ესთეტიკურ ფორმებს/ მხატვრულ ხერხებს და აფასებს ავტორის მიერ მათ გამოყენებას;</p> <p>ახასიათებს გმირს და აფასებს მის საქციელს ტექსტის შინაარსზე დაყრდნობით.</p>
5	წერა	<p>მოსწავლეს შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• მისთვის ნაცნობ თემებზე სხვადასხვა ხასიათის ტექსტების გამართულად წერა;</li> <li>• ნაწერის გასწორების მარტივი ხერხების გამოყენება;</li> <li>• მარტივი მხატვრული ტექსტის შექმნა სტრუქტურის დაცვითა და მხატვრული ხერხების გამოყენებით;</li> <li>• რამდენიმე აბზაცის შემცველი ინფორმაციული ტექსტის დაწერა სტრუქტურის დაცვით.</li> </ul>	<p>წერს ყველა ასოს;</p> <p>გადაწერს ტექსტს;</p> <p>წერს სიტყვებსა და წინადადებებს კარნახით;</p> <p>ასახელებს პუნქტუაციის ნიშნებს და აღწერს მათ დანიშნულებას;</p> <p>შეგნებულად იყენებს გრამატიკის, ორთოგრაფიის, პუნქტუაციის პრაქტიკულად აუცილებელ მინიმუმს;</p> <p>აგებს წინადადებას;</p> <p>წერს ნარატიულ/თხრობით აბზაცს;</p> <p>წერს აღწერით აბზაცს;</p> <p>წერს არგუმენტულ აბზაცს;</p> <p>წერს არგუმენტირებულ ესეის სტრუქტურის დაცვით, თეზისის ჩამოყალიბებითა და არგუმენტების მოშველიებით.</p>

### 3. სწავლა-სწავლების მეთოდოლოგიური საფუძვლები

ნიგნიერების განვითარება მრავალმხრივი პროცესია და მასწავლებლის მაღალ კომპეტენციებს მოითხოვს. ნიგნიერი გარემოს ორგანიზება, ეფექტური გაკვეთილებისა და თემატური ერთეულების წარმართვა, შესაფერისი რესურსების მოძიება და გამოყენება სათანადო მზაობას და მუდმივ პროფესიულ ზრდას საჭიროებს. მოცემული გზამკვლევი სრულიად კონკრეტული მიზნით შეიქმნა, ის უნდა დაეხმაროს მასწავლებელს კითხვისა და წერის სწავლებაში. გზამკვლევაში მოცემულია პრაქტიკული მეთოდები, ასევე, სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მოსწავლეთა შეფასების ძირითადი ინსტრუმენტები.

#### 3.1 სწავლებისა და სწავლის საბაზისო მოდელი

წერა-კითხვის ათვისება განსაკუთრებით შედეგიანია, როცა იგი მოსწავლეზე ორიენტირებული, კონსტრუქტივისტული, აქტიური სწავლება-სწავლის მიდგომებს ეფუძნება. ასეთი სასწავლო პროცესი გაკვეთილებისა და თემატური ერთეულების იმგვარად დაგეგმვისა და წარმართვას გულისხმობს, როდესაც მოსწავლეებს მრავალფეროვან აქტივობებში ჩართვისა და საკუთარი მიღწევების შეფასების საშუალება ეძლევათ. ქვემოთ აღწერილია სასწავლო პროცესის ორგანიზების კონცეპტუალური ჩარჩო, რომელიც გაუადვილებს მასწავლებელს წერა-კითხვის აქტივობების შერჩევასა და ეფექტური გაკვეთილების ორგანიზებას.

მოცემული გზამკვლევი მასწავლებელს კითხვისა და წერის აქტივობის სამფაზიან მოდელს სთავაზობს. ეს მოდელი, თავის მხრივ, სწავლის შესახებ თანამედროვე კვლევის შედეგებს ეყრდნობა. თითოეული ფაზა კონკრეტულ შედეგზეა ორიენტირებული და ეხმარება მოსწავლეს, რათა მან:

- გაააქტიუროს წინარე ცოდნა და გამოხატოს შემეცნებითი ინტერესი;
- გაიაზროს ახალი ინფორმაცია და დაუკავშიროს იგი ადრეულ გამოცდილებას;
- განამტკიცოს მიღებული ცოდნა და განსხვავებულ კონტექსტში გამოიყენოს იგი.

სწავლება-სწავლის სამფაზიანი მოდელი გაკვეთილის მსვლელობის ერთგვარი უნივერსალური ჩარჩოა. იგი ასახავს ეფექტური სასწავლო

პროცესის ძირითად საფეხურებს და მათი განხორციელების თანმიმდევრობას. სამფაზიანი მოდელის საფეხურებია: A. მოლოდინების განსაზღვრა (გამონვევა). B. ცოდნის კონსტრუირება (შინაარსის რეალიზება). C. გამთლიანება (რეფლექსია).

აქტიურ სწავლასა და სიღრმისეულ გააზრებაზე ორიენტირებულ კონსტრუქტივისტულ სასწავლო პროცესში მასწავლებელი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს გამონვევისა და რეფლექსიის საფეხურების გავლას. განვიხილოთ თითოეული საფეხური ცალ-ცალკე.

### **მოლოდინების განსაზღვრა / გამონვევა - (საფეხური A)**

სამფაზიანი მოდელის პირველი ეტაპი, ერთი მხრივ, შესასწავლ საგანთან, საკითხსა თუ მოვლენასთან დაკავშირებული ინტერესის, მეორე მხრივ კი, ადრე მიღებული ცოდნის "გამონვევის" ფაზაა. ამ ეტაპზე რამდენიმე მნიშვნელოვანი შემეცნებითი ქმედება ხორციელდება. მოსწავლეები იხსენებენ იმას, რაც იციან მოცემული საკითხის შესახებ. ამ ფაზის აქტივობებში მონაწილეობა უბიძგებს მათ, გადახედონ საკუთარ ცოდნას და დაფიქრდნენ იმ თემაზე, რომელსაც მალე გამოწვლილვით შეისწავლიან. ამ საწყისი ქმედებით მონაწილეები ააქტიურებენ „პიროვნულ განწყობას“, რომელიც ახალი ცოდნის შექმნის საფუძველია. ეს კი გადამწყვეტია, რადგან თუ ინფორმაცია კონტექსტიდან მოწყვეტილადაა წარმოდგენილი და მოსწავლეებს მისი არსებულ ცოდნა-გამოცდილებასთან დაკავშირება გაუჭირდათ, შესაძლოა იგი ადვილად დაიკარგოს. სწავლის პროცესი ახლისა და უკვე ცნობილის ერთმანეთთან დაკავშირების პროცესია. მოსწავლეები ახალ ცნებებს გამოიმუშავენ ადრე მიღებული ცოდნისა და საკუთარი დამოკიდებულებების საფუძველზე. ასე რომ, გამონვევის ფაზის მეორე მიზანია ინტერესის გაზრდა, ცნობისმოყვარეობის გაღვივება. ზოგჯერ მოსწავლეები პასიურად სხედან გაკვეთილზე და უსმენენ მასწავლებელს, დაღლილი თვალებით ცდილობენ მისდიონ აზრთა მსვლელობას. გააზრებული, შეგნებული, კრიტიკული აღქმის უნარის განვითარებისათვის მოსწავლე აქტიურად უნდა ჩაებას ძიების პროცესში, ე. ი. ინფორმაცია უნდა აღიქვას, გაიაზროს და საკუთარი სიტყვებით, წერით, ზეპირი მეტყველებით თუ გათამაშებით გამოხატოს.

რაკი საფუძვლიანი შემეცნება ახალი ინფორმაციის უკვე არსებულ აზრობრივ კონსტრუქციასთან შერწყმის პროცესს წარმოადგენს, გადამწყვეტია გამონვევის სტადიის მესამე კომპონენტი. ის საკითხის კვლევის მიზნისა და მოლოდინების განსაზღვრას გულისხმობს. მიზნისა და მოლოდინის დასახვა არსებითია მოსწავლეთა ქმედითობის განსამტკიცებლად. მიზანდასახული



სწავლა უმიზნოზე შედეგანია. მხოლოდ უნდა გამოვკვეთოთ ორგვარი მიზანდასახულობა: 1) მასწავლებლის მიერ წარმართული (გარე); 2) პიროვნული (შიდა), რომელიც უფრო მძლავრია.

### **ცოდნის კონსტრუირება / შინაარსის რეალიზება - (საფეხური B)**

მეორე ფაზის უპირველესი ამოცანა პირველ ფაზაზე დაწყებული საქმიანობისათვის ხელის შეწყობა და გამონვევის ეტაპზე გაღვივებული ინტერესისა და იმპულსის შენარჩუნებაა. ამ ეტაპზე მასწავლებელი იყენებს მრავალფეროვან ინდივიდუალურ და ჯგუფურ აქტივობებს: დემონსტრირებას, პრაქტიკულ ვარჯიშს, ასათვისებელი შინაარსის შესახებ დისკუსიის წარმართვას, კრიტიკულ ანალიზს, თვალსაზრისთა შეპირისპირებასა და შეჯერებას.

მეორე უმთავრესი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ მხარი ავუბათ მოსწავლეთა მცდელობას, გააკონტროლონ საკუთარი აღქმის უნარი. კარგი მოსწავლეები როგორც კი ახალ ინფორმაციას წააწყდებიან, მაშინვე საკუთარი აღქმის პროცესის კონტროლს იწყებენ. მაგალითად, თუკი კითხვის დროს ასეთი მოსწავლეები შეატყობენ, რომ კარგად ვერ იგებენ ტექსტს, ისინი ხელახლა უბრუნდებიან წაკითხულს. კარგი მსმენელი მოწოდებული მასალის მომენისას შეკითხვას სვამს ან სათანადო აღნიშვნებს აკეთებს. პასიური მკითხველი ან მსმენელი უბრალოდ გვერდს უვლის შეფერხებებს აღქმაში და არ ადარდებს გაუგებარი ან გამოტოვებული მომენტები.

### **გამთლიანება / რეფლექსია - (საფეხური C)**

რეფლექსია ნიშნავს საკუთარ ქმედებებზე (ქცევაზე, აზროვნებაზე, გრძნობებზე) კონცენტრირებასა და დაფიქრებას, რაც ხშირად მათზე ზემოქმედების წინაპირობაა. კარგი მოსწავლე ხშირად სვამს რეფლექსიურ შეკითხვებს: რა ვისწავლე (რას ვსწავლობ)? როგორ ვისწავლე (როგორ ვსწავლობ)?

შეიძლება გამოიკვეთოს რეფლექსიის სტადიისათვის ნიშანდობლივი რამდენიმე არსებითი, დადებითი ასპექტი. უმთავრესი ისაა, რომ ამ ფაზაზე მოსწავლისაგან მოელოან იმ თვალსაზრისისა თუ ინფორმაციის საკუთარი სიტყვებით გამოხატვას, რომელსაც ის წინა ფაზებზე შეეხო. ეს აუცილებელია ახალი აზრობრივი სქემების (სქემატიკების) ასაგებად. საფუძვლიანი შესწავლა და სიღრმისეული გაცნობიერება პიროვნულ მოცემულობებზეა დამოკიდებული. მოსწავლეს ყველაზე უკეთ ის ამახსოვრდება, რასაც მისთვის საცნაურ კონტექსტში ითავისებს და საკუთარი სიტყვებით გააცოცხლებს.



აღქმა მაშინაა საფუძვლიანი, როდესაც ინფორმაცია კონტექსტურ სქემაში თავსდება, ცნებათა ახლებურ ყალობში ექცევა და ნაცნობ, „პიროვნულ ლექსიკონში“ ჰპოვებს ასახვას.

ამ ფაზის მეორე ამოცანაა მოსწავლეთა შორის აზრთა ჯანსაღი გაცვლა-გამოცვლა და ამის საფუძველზე მათი თვალსაზრისის გამომხატველი ლექსიკონის გამდიდრება. რეფლექსიის ფაზაზე დისკუსიაში ჩაბმის წყალობით მოსწავლეები სხვადასხვა სააზროვნო კონსტრუქციასთან მუშაობენ. ეს არის ცვლილებებისა და რეკონსტრუქტულიზაციის საფეხური სწავლის პროცესში. ამ სტადიაზე ახალი ინფორმაციის ინტეგრაციის მრავალგვარ საშუალებათა მოქნილად აპრობირება ცოდნის პრაქტიკულად და მიზანდასახულად გამოიყენებას უწყობს ხელს.

**სწავლა-სწავლების სამფაზიანი მოდელის ძირითადი ამოცანები საფეხურების მიხედვით**

გამოწვევა	შინაარსის რეალიზება	რეფლექსია
<ul style="list-style-type: none"> <li>• სასწავლო მიზნისა და შესაბამისი მოლოდინების განსაზღვრა</li> <li>• შინაარსთან დაკავშირებული წინარე ცოდნისა და გამოცდილების გააქტიურება</li> <li>• წინარე ცოდნის არაფორმალური შეფასება, არასწორი წარმოდგენების გამოკვეთა</li> <li>• პოზიტიური განწყობის შექმნა, ყურადღების კონცენტრირება, ინტერესისა და სწავლის მოტივაციის გაღვივება</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• სასწავლო მასალის გაცნობა</li> <li>• ინფორმაციის მოძიება-დამუშავება</li> <li>• ახალი ცოდნის კონსტრუირება</li> <li>• ძირითადი საკითხებისა და ქვესაკითხების გამოკვეთა</li> <li>• გაკვეთილისადმი პიროვნული კავშირების გამოკვეთა</li> <li>• შეკითხვების დასმა შინაარსთან დაკავშირებით</li> <li>• მოლოდინების გადახედვა და რეალურ პროცესთან შედარება</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ძირითადი იდეების შეჯამება</li> <li>• ჩამოყალიბებული შეხედულებების გაზიარება</li> <li>• პიროვნული გამოხმაურება</li> <li>• მიღებული ცოდნის მნიშვნელობისა და სარგებლიანობის განსაზღვრა</li> <li>• ცოდნის გაღრმავებისათვის საჭირო ახალი შეკითხვების ჩამოყალიბება</li> <li>• სასწავლო პროცესში საკუთარი მონაწილეობის შეფასება</li> </ul>

**სწავლების ეს მოდელი წერა-კითხვის აქტივობებზეც ვრცელდება. ანუ, შეიძლება ვისაუბროთ კითხვის სამ ფაზაზე:**

1. პირველი ფაზა (წაკითხვამდე): ამ ფაზაზე გამოყენებული მეთოდები ხელს უწყობს მოსწავლეს/მკითხველს, გაიხსენოს, რა იცის უკვე ამ საკითხის შესახებ (იგულისხმება როგორც საკუთარი ცოდნის, ისე დამოკიდებულებების შეფასება). ასევე აღედრას ინტერესი და ცნობისმოყვარეობა ტექსტის შინაარსის მიმართ. ამ ფაზის მნიშვნელოვანი შედეგია მკითხველის მიერ კითხვის აქტივობაში მონაწილეობის მიზნის გაცნობიერება და მოტივაციის აღმოცენება.

2. მეორე ფაზა (**კითხვა**): ამ ფაზაზე გამოყენებული მეთოდები ხელს უწყობს მოსწავლეს/მკითხველს შინაარსის გააზრებასა და ნაკითხულის მნიშვნელობის კონსტრუირებაში. მკითხველი ცდილობს, მოიძიოს პასუხები პირველ ფაზაზე და თვით კითხვის პროცესში დასმულ შეკითხვებზე. ასევე, მკითხველი თვალყურს ადევნებს ნაკითხულის გააზრების პროცესს (მონიტორინგი) და მოიშველიებს საგანგებო ხერხებს, როცა ნაკითხულის გაგება ფერხდება.

3. მესამე ფაზა (**ნაკითხვის შემდეგ**): ამ ფაზაზე გამოყენებული მეთოდები ეხმარება მოსწავლეს/მკითხველს, საბოლოოდ შეაჯამოს ნაკითხული შინაარსი. ასევე, დაფიქრდეს უკვე ნაკითხულის გააზრების ხარისხის შესახებ. ამ საფეხურზე მკითხველი გამოკვეთს იმას, რაც ყველაზე მნიშვნელოვანი და დასამახსოვრებელია. ამას ემატება ახალი შეკითხვები, რომლებიც საკითხის კიდევ უფრო ღრმად გაცნობიერებისთვის არის საჭირო.

### 3.2. კითხვისა და წერის მეთოდები

აღსანიშნავია, რომ მოცემულ სტანდარტში განხილული 5 მიმართულება სწავლის ყველაზე ძლიერი საყრდენებია არა მხოლოდ მშობლიური ენის, არამედ ნებისმიერი საგნის შესწავლისას. აქედან გამომდინარე, სახელმძღვანელოში აღწერილი მეთოდები სწორედ ამ მიმართულებების მიხედვით იქნება აღწერილი. ამასთან ერთად, წიგნში მოცემულია კითხვისა და წერის მეთოდების ცხრილები, რომლებშიც დანვრილებითაა ნაჩვენები, ესა თუ ის მეთოდი გაკვეთილის რომელ ფაზაზე, წიგნიერების რომელი მიმართულების განსავითარებლად და რა ტიპის ტექსტებზე სამუშაოდ შეიძლება იყოს გამოყენებული. ვფიქრობთ, ეს ყველაფერი მასწავლებლებს მნიშვნელოვნად გაუადვილებს ამა თუ იმ გაკვეთილის მიზნების შესაბამისი კონკრეტული მეთოდის შერჩევას.

ორიოდე სიტყვით შევჩერდეთ სტანდარტის პირველ მიმართულებაზე. სიტყვების ამოცნობა და დეკოდირება გულისხმობს, რომ მოსწავლეს შეუძლია დაადგინოს ასო-ბგერითი შესატყვისობები, ანუ აღიქვას გამოთქმულ ბგერასა და დაწერილ ასოს შორის არსებულ კავშირი, შეუძლია ანბანური პრინციპის გაგება-გამოყენება და ამა თუ ის სიტყვის სწორად ამოკითხვა. მოსწავლეებში ამ კომპეტენციების განვითარება, ჩვეულებრივ, წერა-კითხვის დაწყების პირველივე ეტაპზე ხდება. დეკოდირების უნარის განვითარების უმნიშვნელოვანესი საფეხურია სიტყვების მთლიანად ამოცნობა, რაც ეფექტური მკითხველის ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელია.

ვინაიდან, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, მოცემული სტანდარტი გულისხმობს, რომ სამიზნე ჯგუფი უკვე უნდა ფლობდეს წიგნიერების გარკვეულ კომპეტენციებს (ბავშვებს უნდა შეეძლოთ წერა და კითხვა), ქვემოთ მოცემული მეთოდები შედარებით ნაკლებადაა მიმართული დეკოდირებისა და სიტყვების ამოცნობის უნარების განვითარებისკენ, რომელთა ჩამოყალიბების პროცესიც წიგნიერების უფრო ადრეულ ეტაპზე მიმდინარეობს. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თუ სასწავლო პროცესის დასაწყისში მასწავლებელი შენიშნავს, რომ ბავშვები სრულყოფილად არ ფლობენ ფონეტიკურ (ანბანის) და წიგნის/ტექსტის კონცეპტების ცოდნას, მან, უპირველეს ყოვლისა, ამ კომპონენტებში არსებული ხარვეზები უნდა შეავსოს და მხოლოდ ამის შემდეგ გადავიდეს წიგნიერების დანარჩენი ასპექტების განვითარებაზე. ამაში მასწავლებელს მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს ორი ეფექტური მეთოდი: **დიდი წიგნების ერთობლივი კითხვა**<sup>2</sup> და **ენობრივი პრაქტიკა**<sup>3</sup>.

ქვემოთ მოცემულია დანარჩენი ოთხი ძირითადი მიმართულების მოკლე მიმოხილვა.

## 1. ლექსიკური მარაგის გამდიდრება

ცნობილია, რომ ტექსტის გაგებისათვის ძალზე მნიშვნელოვანია სიტყვების მნიშვნელობის ცოდნა და ლექსიკური მარაგის გაფართოება. სწავლის პროცესში ბავშვები აქტიურად იყენებენ თავიანთ ლექსიკურ მარაგს და დროთა განმავლობაში მნიშვნელოვნად იმდიდრებენ მას. ამის საუკეთესო საშუალებას კი მრავალფეროვან მასალაზე მუშაობა წარმოადგენს. სასურველია, მასწავლებელმა გაუგებარი სიტყვები თუ ფრაზები სხვადასხვაგვარად განუმარტოს მოსწავლეებს: გამოიყენოს კონტექსტური გასაღებები, თავად აუხსნას მათი მნიშვნელობა, ახლადშესწავლილი სიტყვებით შეადგენინოს წინადადებები, გაააზრებინოს სიტყვის შემადგენელი ცალკეული ნაწილები, გამოიყენოს ახალი სიტყვები თუ გამოთქმები სიტუაციურ საუბარში და ა.შ.

## 2. გამართული კითხვა

გამართული კითხვის ძირითადი მახასიათებლებია: უშეცდომოდ, სათანადო ტემპით, გაბმითა და სწორი ინტონაციით კითხვა. გამართულად მკითხველი ჩუმად კითხვის დროს დეკოდირების გარეშე, ავტომატურად ამოიცნობს სიტყვებს და ადვილად იგებს ტექსტის შინაარსს; არ უჭირს

2 მეთოდის შესახებ სასწავლო ფილმი „კითხვს ეფექტური მეთოდები“ იხილეთ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე: [http://tpdc.ge/index.php?option=com\\_content&view=article&id=8115&Itemid=71&lang=ka](http://tpdc.ge/index.php?option=com_content&view=article&id=8115&Itemid=71&lang=ka)

3 დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მეთოდური გზამკვლევი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, თბილისი, 2010

ხმამალა კითხვა, სასვენ ნიშნებთან სათანადო პაუზებს აკეთებს და ირჩევს შესაბამის ინტონაციას. შეიძლება ითქვას, რომ გამართული კითხვა ერთგვარი ხიდია ტექსტის დეკოდირებასა და გააზრებას შორის<sup>4</sup>.

### 3. წაკითხულის გაგება-გააზრება და ტექსტის ინტერპრეტაცია

განსხვავებით დეკოდირებისა და სიტყვების ამოცნობისაგან, წაკითხულის გააზრება ტექსტის სიღრმისეული შემეცნების პროცესია და მასში გადმოცემული აზრების გაცნობიერებასა და კონსტრუირებას გულისხმობს. ამისათვის კი მასწავლებელმა ბავშვებს რამდენიმე ძირითადი მეთოდი უნდა შესთავაზოს, რომლებსაც ისინი მთელი ცხოვრების მანძილზე გამოიყენებენ. ესენია: ტექსტის ვიზუალიზება, ვარაუდების ჩამოყალიბება, ახსნა-განმარტება, შეკითხვების დასმა, კავშირების დამყარება, შეჯამება და ა.შ.

### 4. წერა

წერა ნიგნიერების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა. იგი ადამიანს საშუალებას აძლევს საკუთარი ნაფიქრი, სათქმელი, გზავნილი წერილობით გადმოსცეს. წერის უნარის განვითარება მნიშვნელოვანად უწყობს ხელს მოსწავლეებს, გახდნენ უფრო დაკვირვებულები, ჩაუღრმავდნენ, ერთი მხრივ, საკუთარ თავს, მეორე მხრივ კი – გარესამყაროს. წერის პროცესში ჩართული მოსწავლეები გაცილებით მეტი ყურადღებით კითხულობენ სხვათა ნაწერებს (თანაკლასელებიდან დაწყებული, ცნობილი მწერლებით დამთავრებული), მეტი პასუხისმგებლობით ეკიდებიან თითოეული სიტყვისა თუ ფრაზის გამოყენებას წერისას, ცდილობენ თავიანთი ლექსიკური მარაგის შევსებას, ისმენენ და იზიარებენ ერთმანეთის რჩევებს, ერვევიან კრიტიკულ აზროვნებას.

საგანგებოდ უნდა გაესვას ხაზი **ზეპირი მეტყველების** ინტეგრირების მნიშვნელობას ნიგნიერების განვითარების პროცესში. კითხვა და წერითი მეტყველება მჭიდროდ უკავშირდება აზრის/იდეის/მეხედულების/გზავნილის ზეპირად გადმოცემის უნარს. სახელმძღვანელოში აღწერილი მეთოდების უმრავლესობა მოიცავს ისეთ აქტივობებს, როგორებიცაა, მაგალითად, დისკუსია, ზეპირი მსჯელობა, წყვილებში ან ჯგუფებში საუბარი და სხვ. ეს აქტივობები ხშირად გამოიყენება კითხვისა და წერის სამივე ფაზაზე და ხელს უწყობს მოსწავლეებს სხვადასხვა საგანში ნებისმიერი საკითხის გააზრებასა და ათვისებაში. მასწავლებელმა სათანადო დრო და ყურადღება უნდა დაუთმოს ზეპირი მეტყველების აქტივობების ინტეგრირებას წერა-კითხვის სწავლების პროცესში.

---

<sup>4</sup> კითხვის ეფექტური მეთოდები, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, თბილისი, 2010

3.3. კითხვის მეთოდების ცხრილი

მეთოდი	ნარატიული (თხრობითი) ტექსტი	ინფორმაციული ტექსტი	ინსტრუქციული ტექსტი	გამართული კითხვა	ლექსიკური მარაგი	გაგება-გააზრება	წერა	ნაკითხვამდე	კითხვა	ნაკითხვის შემდეგ
მართული (ორიენტირებული) კითხვის აქტივობა	+	+	+		+	+		+	+	+
მართული კითხვის/ მოსმენისა და გააზრების აქტივობა	+	+	+		+	+	+	+	+	+
წარმოსახვის გზამკვლევი	+	+	+		+	+		+	+	
ცნების რუკა	+	+	+		+	+	+	+		+
„მინტერესებს“	+	+	+			+	+	+		
განმეორებითი კითხვა	+	+	+	+					+	
მკითხველთა თეატრი	+			+		+			+	+
ნაკითხვა და შეკითხვების დასმა	+	+	+			+	+		+	+
სადისკუსიო ქსელი	+	+				+	+	+	+	+
ორვეტიანი დღიური	+	+				+	+		+	+
კითხვა წყვილებში	+	+	+	+		+			+	
გასეირნება ილუსტრაციებში + გონებრივი იერიში წყვილებში	+	+	+			+	+	+		
დაფიქრდი — დაწყვილდი — გაუზიარე	+	+	+		+	+	+	+		+
ლიტერატურული წრე	+			+	+	+	+		+	+
კითხვები და პასუხები (QAR)	+	+				+	+		+	+
ვიცი-მინდა ვიცოდე-ვისწავლე		+	+			+	+	+	+	+
მოთხრობის (ამბის) რუკა	+					+	+	+	+	+

მოთხრობის (ამბის) პირამიდა	+					+	+	+	+	+
ვენის დიაგრამა	+	+	+		+	+	+	+		+
სიტყვების გამომძიებელი	+	+	+		+	+	+	+	+	+
წასვლისწინა ბარათები	+	+	+			+	+			+

### 3.4. კითხვის სწავლების უწყვეტი მეთოდი

#### მართული (ორიენტირებული) კითხვის აქტივობა (მკა/ოკა)

მეთოდი შეესაბამება წიგნიერების სტანდარტის შემდეგ მიმართულებებს:  
ლექსიკური მარაგის გამდიდრება, წაკითხულის გაგება-გააზრება.

#### მეთოდის აღწერა:

„მართული კითხვის აქტივობა“ (მკა) გამოიყენება მოსწავლეთა ჩუმი კითხვის პროცესის კოორდინირებისთვის. პროცესს თან სდევს გაგებაზე ორიენტირებული შეკითხვების დასმა. მასწავლებელი სვამს შეკითხვას, ხოლო მოსწავლეები კითხულობენ ტექსტს შესაძლო პასუხების მოსაძებნად, შემდეგ კი პასუხის გარშემო ჯგუფებში დისკუსია იმართება. ეს მეთოდი ფოკუსირებულია ტექსტის გაგებაზე და არა სწორად ამოკითხვაზე. იგი გამოიყენება როგორც თხრობით, ისე საინფორმაციო ტექსტებთან სამუშაოდ.

„მართული კითხვის აქტივობა“ გვაძლევს საშუალებას, რომ:

- ტექსტის ჩუმი წაკითხვამდე ინტერესის გამღვივებელი შეკითხვების დასმით დავეხმაროთ ბავშვებს გააზრებულ კითხვაში;
- გავაძლიეროთ მოსწავლეებში მაღალი დონის (ლრმა) შეკითხვებზე პასუხის გაცემის უნარი;
- შეკითხვების დასმისა და ტექსტის ჩუმი წაკითხვის გზით გადავიტანოთ ფოკუსი გაგება-გააზრებაზე;
- ყურადღება გავამახვილოთ ვარაუდებზე, როგორც გააზრებული კითხვის მნიშვნელოვან ასპექტზე; ხელი შევუწყოთ მოსწავლეებს, რომ გამოიყენონ თავიანთი წინარე ცოდნა და კრიტიკული აზროვნების უნარი, რათა ახალი აზრები და იდეები განავითარონ;
- მივცეთ მასწავლებელს საშუალება, რათა გააცნოს მოსწავლეებს ლიტერატურული ტექსტის ელემენტები, როგორებიცაა, მაგალითად, სიუჟეტის აგება და სურათ-ხატების შექმნა;



- ვუჩვენოთ ბავშვებს მაგალითი იმისა, თუ როგორ წაიკითხონ შემდგომში დამოუკიდებლად როგორც თხრობითი, ისე საინფორმაციო ტექსტები.

### მეთოდის გამოყენების საფეხურები:

1. შეამზადეთ მოსწავლეები კონკრეტულ თემაზე დაფიქრებისათვის. ქვემოთ მოცემული ჩამონათვალიდან გამოიყენეთ მოლოდინების განსაზღვრის ერთ-ერთი აქტივობა:

- ტექსტის წინასწარი მიმოხილვა – ბავშვებს უჩვენეთ წიგნის ყდა და წაუკითხეთ სათაური. იმსჯელეთ, რათა გაიგოთ, თუ რა იციან ბავშვებმა უკვე ამ თემასთან დაკავშირებით. ასევე სთხოვეთ დასვან კითხვები წასაკითხი ტექსტის შესახებ.
- ტერმინების/სიტყვების წინასწარი განხილვა – ტექსტიდან ამოარჩიეთ რამდენიმე საკვანძო სიტყვა. სთხოვეთ მოსწავლეებს ამ სიტყვების საფუძველზე გამოთქვან ვარაუდები იმის შესახებ, თუ რას შეიძლება შეეხოს წასაკითხი ტექსტი.
- წინასწარი მინი-ლექცია – მოსწავლეებს წაუკითხეთ მოკლე ლექცია ან მიეცით მოკლე განმარტება წასაკითხ თემასთან დაკავშირებით. შემდეგ დასვით შეკითხვები, რომლებზე პასუხების გაცემასაც, სავარაუდოდ, ტექსტის წაკითხვის შედეგად შეძლებენ.

2. დაყავით ტექსტი ოთხ ან ხუთ მონაკვეთად. მოამზადეთ შეკითხვები თითოეული მონაკვეთისათვის. კითხვები უნდა ეხებოდეს ტექსტის ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილებს. ქვემოთ მოცემულია შეკითხვების ნიმუში:

- წაიკითხეთ, რათა გაარკვიოთ, ვინ არიან თხზულების მთავარი გმირები და სად ვითარდება მოქმედება.
- როგორები არიან მთავარი გმირები?
- წაიკითხეთ და გამოარკვიეთ ძირითადი პრობლემა, რომლის წინაშეც დგას მთავარი გმირი.
- წაიკითხეთ, რათა გაარკვიოთ, თუ რას აკეთებს მთავარი გმირი პრობლემის გადასაჭრელად.
- წაიკითხეთ, რათა გაარკვიოთ, თუ რა მოხდა მთავარი გმირის ქმედების შედეგად. როგორ განვითარდა მოვლენები თხზულების დასასრულს? შეადარეთ დასასრული თხზულების დასაწყისს.

3. დასვით კითხვები თითოეული მონაკვეთის წაკითხვამდე. სთხოვეთ მოსწავლეებს, ჩუმად წაიკითხონ ტექსტი კითხვებზე პასუხის მოსაძებნად.

4. თითოეული მონაკვეთის ნაკითხვის შემდეგ სთხოვეთ მოსწავლეებს, ერთმანეთს გაუზიარონ პასუხები, მიუბრუნდნენ ხოლმე ტექსტს და იპოვონ ის ადგილი, რომელიც ადასტურებს მათ პასუხს. შესაბამისი ადგილები მათ ამჯერად ხმამაღლა უნდა წაიკითხონ.

5. წარმართეთ სპეციალური აქტივობა ტექსტის დედააზრის გამოსარკვევად. მოსწავლეებმა შესაძლოა გაითამაშონ/განასახიერონ, დაასათაურონ საყვარელი მონაკვეთები ან უპასუხონ სხვადასხვა დონის შეკითხვებს (ბლუმის ტაქსონომიის მიხედვით).

### **მართული კითხვის/მოსმენისა და გააზრების აქტივობა**

მეთოდი შეესაბამება ნიგნიერების სტანდარტის შემდეგ მიმართულებებს: ლექსიკური მარაგის გამდიდრება, ნაკითხულის გაგება-გააზრება, წერა.

#### **მეთოდის აღწერა:**

„მართული კითხვა/მოსმენა და გააზრება“ „მართული კითხვის აქტივობის“ (მკა) ვარიაციაა. ეს აქტივობა გამოიყენება კითხვის ინტერესის გასაღვივებლად და ეყრდნობა ვარაუდის გამოთქმასა და მის დადასტურებას შორის არსებულ დინამიკას. მეთოდი სრულდება 6-10 კაციან ჯგუფებში, ვინაიდან ეს რაოდენობა საკმარისია, ერთი მხრივ, მრავალფეროვანი ვარაუდების გამოთქმისათვის და, მეორე მხრივ, ყველა მოსწავლის აქტიური მონაწილეობისათვის. უმჯობესია, თუ მოსწავლეები დაჯგუფებულნი იქნებიან კითხვის შესაძლებლობების მიხედვით. მეთოდი, აგრეთვე, შეიძლება გამოვიყენოთ მასწავლებლისა და მოსწავლეების ერთობლივი მუშაობისათვის. ასეთ შემთხვევაში, მასწავლებელი თავადაც ისე მოიქცევა, თითქოს არა აქვს ტექსტი ნაკითხული. შესაძლოა, ტექსტის ნაკითხვამდე საუბრის დროს შემთხვევით არასწორი ვარაუდებიც გამოთქვას, რათა ბავშვების მიერ მსჯელობის პროცესში ჩაბმა უფრო წაახალისოს.

მასწავლებელმა უნდა შეარჩიოს ოთხი ან ხუთი ადგილი პაუზისთვის და დაანაწევროს ტექსტი დაახლოებით ერთი და იმავე ზომის მონაკვეთებად. პაუზები იმ წერტილებში უნდა დაისვას, სადაც მკითხველს გარკვეული ინფორმაცია მიეწოდება და უჩნდება ინტერესი, თუ რა მოხდება შემდგომში. პირველი პაუზა, ჩვეულებრივ, სათაურის შემდეგ კეთდება. მეთოდი ხელს უწყობს მოსწავლეებში გააზრებული კითხვის უნარის ჩამოყალიბებას, ვარაუდების გამოთქმისა და არგუმენტირებული მსჯელობის უნარების განვითარებას.



### მეთოდის გამოყენების საფეხურები:

1. უთხარით მოსწავლეებს, რომ თქვენ აპირებთ ტექსტის/თხზულების ერთად წაკითხვას ვარაუდების გამოყენებით. აუცილებელია, რომ მათ ზუსტად შეასრულონ თქვენი მითითებები. აუხსენით, რომ თავდაპირველად მათ უნდა გამოთქვან ვარაუდები იმის შესახებ, თუ რის წაკითხვას აპირებთ.

2. წაკითხვით მოსწავლეებს ტექსტის პატარ-პატარა მონაკვეთები და პერიოდულად შეწყვიტეთ კითხვა. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეები შეჩერდნენ ზუსტად თქვენ მიერ მითითებულ ადგილას და არ განაგრძონ კითხვა, სანამ თქვენგან მითითებას არ მიიღებენ.

3. უთხარით მოსწავლეებს, თუ რა ჟანრისაა თხზულება – ამბავი, ზღაპარი, ხალხური თქმულება და ა. შ. ჟანრის დასახელების შემდეგ სთხოვეთ მათ გამოთქვან აზრი, თუ როგორ გმირებთან მოუწევთ შეხვედრა; აგრეთვე, მოვლენების როგორ განვითარებას ელიან.

4. წაკითხვით სათაური და აჩვენეთ მისი შესაბამისი სურათი/ილუსტრაცია (თუკი ეს შესაძლებელია). ჰკითხეთ ბავშვებს, როგორ ჰგონიათ, რა მოხდება? შეახსენეთ, რომ არ არის აუცილებელი, დანამდვილებით იცოდნენ პასუხი. სთხოვეთ, დაძაბონ წარმოსახვა და სცადონ მიხვედრა. მიეხმარეთ, რომ პასუხები რაც შეიძლება კონკრეტული იყოს. ჩამოწერეთ დაფაზე ზოგიერთი მათგანი (დატოვეთ დაფაზე საკმარისი ადგილი მომდევნო პაუზების დროს გამოთქმული კომენტარების დასაწერად). ტექსტის წაკითხვამდე სთხოვეთ მოსწავლეებს, განიხილონ გამოთქმული ვარაუდები და გონებაში აირჩიონ მათგან ერთ-ერთი, ყველაზე სარწმუნო. კითხვის პროცესში ეს ვარაუდი სულ უნდა ახსოვდეთ.

5. პაუზის ადგილას შეწყვიტეთ კითხვა. სთხოვეთ კლასს გადახედონ ვარაუდებს და გადაამოწმონ, რომელი მათგანი დადასტურდა ტექსტის მიხედვით და რომელი – არა. მითითებინეთ ტექსტიდან კონკრეტული ადგილები: რომელი ვარაუდები ასრულდა? რა სამხილები მოიპოვება ტექსტში? მეტი სიცხადისთვის შეგიძლიათ დაფაზე პლუს ნიშნით მონიშნოთ ის ვარაუდები, რომლებიც ასრულდა, მინუსით - ისინი, რომლებიც არ ასრულდა, ხოლო კითხვის ნიშნით - ვარაუდები, რომლებიც ჯერჯერობით კვლავაც გაურკვეველია.

კითხვით მოსწავლეებს, თუ როგორ ვითარდება მოვლენები თხზულებაში.

6. განხილვის შემდეგ სთხოვეთ ბავშვებს, გამოთქვან ახალი ვარაუდები, ამოარჩიონ მათგან რამდენიმე მეტ-ნაკლებად სარწმუნო და განაგრძონ კითხვის პროცესი იმგვარად, როგორც ეს ზემოთ არის აღწერილი.

7. როდესაც მონაკვეთის კითხვას დაასრულებენ, კვლავ გადახედეთ ვარაუდებს და ჰკითხეთ მოსწავლეებს, თუ რამ მიახვედრა ისინი, რომელი იყო სწორი ვარაუდი. როგორ დაეხმარა მათ მოქმედი გმირების, სიუჟეტისა თუ ჟანრის გააზრება ვარაუდების ჩამოყალიბებაში? წაახალისეთ, რომ მოძებნონ ტექსტში დამადასტურებელი თვალსაჩინო მაგალითები.

**შენიშვნები:**

„მართული კითხვის/მოსმენისა და გააზრების მეთოდით“ მუშაობისას მასწავლებელი ღია შეკითხვებს სვამს: „როგორ გგონიათ, რა მოხდება?“ „რატომ ფიქრობთ ასე?“ უფრო კონკრეტულმა შეკითხვებმა შეიძლება ბავშვებს შეუზღუდოს ვარაუდებზე დაფიქრების ინიციატივა. აქ მთავარია, ბავშვმა ისწავლოს საკუთარი შეკითხვების დასმა იმის შესახებ, რასაც კითხულობს.

არსებობს რამდენიმე გზა „მართული კითხვისა და გააზრების აქტივობის“ ჩასატარებლად, რაც მოსწავლეებს უადვილებს მუშაობას. ერთ-ერთია ტექსტის ხმამაღალი წაკითხვა მასწავლებლის და არა მოსწავლეების მიერ (მეთოდის ეს ვარიანტი ცნობილია მართული მოსმენისა და გააზრების აქტივობის სახელით).

იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეებს ვარაუდების გამოთქმა უჭირთ ან ძალიან სცილდებიან თემას, სასურველია თავად შესთავაზოთ ორი სავარაუდო ვარიანტი და შემდეგ ჰკითხოთ, თუ რომელი ასრულდება, მათი აზრით.

ქვემოთ მოცემულია მართული კითხვისა და გააზრების სქემა, რომელსაც მოსწავლეები ავსებენ ეტაპობრივად, დამოუკიდებლად ან მასწავლებლის დახმარებით.

	როგორ ფიქრობთ, რა მოხდება ?	რატომ ფიქრობთ ასე ?	რა მოხდა?
სათაურის წაკითხვის შემდეგ			
პირველი მონაკვეთის წაკითხვის შემდეგ			
მეორე მონაკვეთის წაკითხვის შემდეგ			
დასასრულის წაკითხვის შემდეგ			

## წარმოსახვის გზამკვლევი

**მეთოდი შეესაბამება წიგნიერების სტანდარტის შემდეგ მიმართულებებს: ლექსიკური მარაგის გამდიდრება, ნაკითხულის გაგება-გააზრება.**

### მეთოდის აღწერა:

„წარმოსახვის გზამკვლევი“ მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მოსწავლეებში ფანტაზიის, შემოქმედებითობის, ინტერპრეტაციის უნარების განვითარებას. მხატვრულ ტექსტზე მუშაობისას ამ მეთოდის გამოყენება ბავშვებს ათავისუფლებს ჩარჩოებისგან და აძლევს მათ გმირების, კონკრეტული საკითხის//პრობლემის სხვადასხვა ქრილში დანახვის საშუალებას.

### მეთოდის გამოყენების საფეხურები:

1. წარუდგინეთ კლასს წასაკითხი ნაწარმოები. თუ შესაძლებელია, უჩვენეთ ნაწარმოების თემაზე შესრულებული ილუსტრაციები.

2. წაუკითხეთ მოსწავლეებს ნაწარმოები, ან სთხოვეთ, რომ თავად წაიკითხონ.

3. სთხოვეთ მოსწავლეებს, რომ დახუჭონ თვალები და შეასრულონ შემდეგი მოქმედებები:

- წარმოიდგინონ საკუთარი თავი გმირის როლში;
- ეცადონ, რომ დაინახონ და შეიგრძნონ ნაწარმოებში აღწერილი გარემოებები;
- დაფიქრდნენ და წარმოიდგინონ, როგორ გამოიყურებიან ნაწარმოების პერსონაჟები, მათი გარეგნობა, გრძნობები და მოქმედებები, ასევე ის, თუ როგორ რეაგირებენ ისინი ნაწარმოებში აღწერილ მოვლენებზე.

4. სთხოვეთ მოსწავლეებს, მოიფიქრონ სიტყვები/წინადადებები, რომლებიც გამოხატავს გმირის გრძნობებსა და ფიქრებს ნაწარმოებში აღწერილი გარემოებების, პრობლემის ან სხვა პერსონაჟების მიმართ.

5. ჩამონერეთ მოსწავლეების მიერ ჩამოთვლილი სიტყვები/წინადადებები დაფაზე და იმსჯელეთ კლასში მათ შესახებ. სასურველია, რომ მთელი კლასი ჩააბათ გამართულ დისკუსიაში.

## ცნების რუკა

მეთოდი შეესაბამება წიგნიერების სტანდარტის შემდეგ მიმართულებებს:  
ლექსიკური მარაგის გამდიდრება, წაკითხულის გაგება-გააზრება, წერა.

### მეთოდის აღწერა:

„ცნების რუკა“ ეხმარება მოსწავლეს ინფორმაციისა და ცნებების ორგანიზებაში. ამ მეთოდით მუშაობის პროცესში მოსწავლეს უწევს კლასებსა და კატეგორიებზე, ნიშან-თვისებებსა და მახასიათებლებზე, ნიმუშებსა და მაგალითებზე ფიქრი. მეთოდის გამოყენება მეტად ეფექტურია ლექსიკური მარაგის გამდიდრებისა და მნიშვნელოვანი ცნებების ათვისებისათვის. „ცნების რუკაზე“ მუშაობა მოითხოვს პასუხების ძიებას ისეთ შეკითხვებზე, როგორებიცაა:

- რა არის ..... ? რას ჰგავს იგი? რა მაგალითების მოყვანა შეიძლება მასთან დაკავშირებით?
- რა არის .....-ის მიზეზი? რა არის .....-ის შედეგი?

მოსწავლემ წინასწარ უნდა წაკითხოს ტექსტი, რათა მონიშნოს საკვანძო სიტყვები და წინადადებები.


არსებობს „ცნების რუკის“ რამდენიმე ვარიანტი. ქვემოთ მოცემულია ცნების რუკის გამოყენების მაგალითი თემაზე „წითელა“.

### მეთოდის გამოყენების საფეხურები:

1. წარუდგინეთ კლასს წასაკითხი ტექსტი.
2. კითხვის დაწყებამდე ჰკითხეთ მოსწავლეებს, სმენიათ თუ არა რაიმე წითელას დაავადების შესახებ.
3. ტექსტის პირველი მონაკვეთის წაკითხვის შემდეგ დახაზეთ დაფაზე ოვალი და ჩანერეთ **წითელა**. სწორედ ამ ცნების გარშემო ააგებენ მოსწავლეები ცნების რუკას.
4. დახაზეთ მეორე ოვალი და ჩანერეთ „მიზეზები“. დააკავშირეთ ორი ოვალი (მაგალითად, ცენტრალური ოვალიდან მიმართული ისრით). შეახსენეთ მოსწავლეებს, რომ ტექსტის პირველი მონაკვეთი აღწერს წითელას გამომწვევ მიზეზებს.

5. სთხოვეთ მოსწავლეებს, თავადაც დახაზონ ასეთივე რუკა რვეულებში/ფურცლებზე და წყვილებში იმსჯელონ წითელას გამომწვევი მიზეზების შესახებ, შემდგომ კი ჩამონერონ ეს მიზეზები მეორე ოვალში (ან გვერდით მიაწერონ მეორე ოვალს).
6. შესთავაზეთ რამდენიმე მსურველს, გაუზიარონ მენწყვილესთან შეჯერებული მოსაზრებები მთელ კლასს. საუბრის პროცესში ჩამონერეთ გამოთქმული შეხედულებები დაფაზე, მეორე ოვალთან.
7. სთხოვეთ მოსწავლეებს, წაიკითხონ მომდევნო მონაკვეთი.
8. დახაზეთ მესამე ოვალი და ჩაწერეთ „სიმპტომები“. დააკავშირეთ ცენტრალური ოვალი მესამე ოვალთან. შეახსენეთ მოსწავლეებს, რომ მეორე მონაკვეთში წითელას სიმპტომებია აღწერილი.
9. სთხოვეთ მოსწავლეებს, წყვილებში გაიხსენონ ინფორმაცია ტექსტიდან და თავიანთ ფურცლებზე შეავსონ რუკის მესამე ოვალი („სიმპტომები“).
10. კვლავ შესთავაზეთ რამდენიმე მსურველს, გაუზიარონ მენწყვილესთან შეჯერებული მოსაზრებები მთელ კლასს. ჩამონერეთ გამოთქმული შეხედულებები დაფაზე, მესამე ოვალში (ან მის გვერდით).
11. დახაზეთ მეოთხე, შედარებით მცირე ზომის ოვალი და გახაზეთ ისარი ცენტრალური ოვალიდან ამ მეოთხე ოვალამდე. სთხოვეთ მოსწავლეებს ივარაუდონ, რის შესახებ იქნება მესამე მონაკვეთი. მსჯელობის დასრულების შემდეგ ჩაწერეთ ოვალში „მკურნალობა“. სთხოვეთ მოსწავლეებს, ისაუბრონ წითელას მკურნალობისა და პრევენციის შესაძლო გზებზე.
12. სთხოვეთ მოსწავლეებს, წაიკითხონ ტექსტის ბოლო მონაკვეთი და ყურადღება გაამახვილონ მსჯელობის დროს გამოთქმულ იდეებზე.
13. სთხოვეთ მოსწავლეებს, წყვილებში შეადარონ საკუთარი ნამუშევრები და თავიანთ ფურცლებზე შეავსონ რუკის მეოთხე ოვალი.
14. სთხოვეთ რამდენიმე მსურველს, გაუზიარონ მენწყვილესთან შეჯერებული აზრები მთელ კლასს.
15. ჩამონერეთ გამოთქმული აზრები დაფაზე, მეოთხე ოვალთან.

### ცნების რუკის ნიმუში



#### „მინტერესებს“

მეთოდი შეესაბამება წიგნიერების სტანდარტის შემდეგ მიმართულებებს: წაკითხულის გაგება-გააზრება, წერა.

#### მეთოდის აღწერა:

„მინტერესებს“ გამოიყენება ტექსტის წაკითხვამდე (ანუ I ფაზაზე) და ეხმარება მოსწავლეებს ტექსტთან დაკავშირებით ვარაუდების ჩამოყალიბებაში. შესაძლებელია მისი გამოყენება წაკითხვის შემდგომ ფაზაზეც, რათა მოსწავლეებმა დასვან დამატებითი შეკითხვები საკითხის უკეთ შესასწავლად. დასმული შეკითხვები ხელს უწყობს წერის პროცესისთვის მომზადებას ან სხვა აქტივობებზე გადასვლას.

**მეთოდის გამოყენების საფეხურები:**

1. უჩვენეთ მოსწავლეებს, როგორ ჩამოაყალიბონ შეკითხვები „მაინტერესებს“ ქარგის მიხედვით (მაგ., მაინტერესებს, როგორ ინარჩუნებს სიტბოს თეთრი დათვი? ან მაინტერესებს, რა მოხდებოდა, ნაცარქექიას დევი რომ არ შეხვედროდა?)
2. უთხარით მოსწავლეებს დაწერონ სამი (ან, თუ სურვილი აქვთ, მეტი) შეკითხვა წასაკითხი თემის შესახებ.
3. წერის დასრულების შემდეგ სთხოვეთ ბავშვებს, წყვილებში გაუზიარონ ერთმანეთს მოსაზრებები.
4. შესთავაზეთ რამდენიმე მსურველს, რომ მთელ კლასს გააცნონ თავიანთი შეკითხვები.

**განმეორებითი კითხვა**

**მეთოდი შეესაბამება წიგნიერების სტანდარტის შემდეგ მიმართულებას: გამართული კითხვა.**

**მეთოდის აღწერა:**

„განმეორებითი კითხვის“ ეს ვერსია მიზნად ისახავს დეკოდირების, ანუ გაშიფვრის უნარის ავტომატიზებას, მოსწავლეთა გავარჯიშებას კითხვის ტექნიკის დახვეწაში. ეს არის სავარჯიშო, რომელიც სწრაფად ავითარებს გამართულად კითხვის უნარს. კვლევამ ცხადყო, რომ ერთი და იმავე ტექსტის რამდენჯერმე წაკითხვა არა მარტო აუმჯობესებს თვით ამ ტექსტის კითხვის ტექნიკას, არამედ მნიშვნელოვნად ზრდის მოსწავლის მოტივაციას სხვა მასალის წასაკითხადაც. „განმეორებითი კითხვა“ ინდივიდუალური აქტივობაა.

**მეთოდის გამოყენების საფეხურები:**

1. შეარჩიეთ დაახლოებით 100-სიტყვიანი ტექსტი მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონის შესაბამისად (მოსწავლეს უნდა შეეძლოს ტექსტის სიტყვების 90-95%-ის მნიშვნელობის გაგება). ტექსტი უნდა იყოს საინტერესო, მაგრამ სასურველია, სიუჟეტი არ იყოს წინასწარ ადვილად მისახვედრი (თავი უნდა

აარიდოთ მკაცრი ქარგის მქონე ტექსტს, რომელიც მრავალჯერ იმეორებს რომელიმე მონაკვეთის სტრუქტურას).

2. შეადგინეთ ცხრილი ქვემოთ მოყვანილი ნიმუშის მსგავსად:

მოსწავლის სახელი და გვარი: . . . . .

136-140					
131-135					
126-130					
121-125					
116-120					
111-115					
106-110					
101-105					
96-100					
91-95					
86-90					
81-85					
76-80					
71-75					
66-70					
61-65					
56-60					
51-55					
46-50					
41-45					
36-40					
31-35					
ერთ წუთში წაკითხული სიტყვების რაოდენობა	პირველი წაკითხვა	მეორე წაკითხვა	მესამე წაკითხვა	მეოთხე წაკითხვა	მეხუთე წაკითხვა

3. მოამზადეთ ქულების ჩასანიშნი ფურცელი, რომელსაც გამოიყენებთ მოსწავლის შეფასებისათვის. სწრაფად რომ ჩანიშნოთ, ყოველი მე-5 სიტყვის წაკითხვის შემდეგ ჩამოუსვით ერთი ხაზი ფერადი ფანქრით.



4. სთხოვეთ მოსწავლეს, წაიკითხოს ტექსტი სწრაფად და გაბმულად. დანიშნეთ კითხვის დრო — ზუსტად 60 წამი. მთლიანად დათვალეთ წაკითხული სიტყვების რაოდენობა. გამოაკელით არასწორად წაკითხული სიტყვები და შედეგი ჩაინიშნეთ (დასვით წერტილი) მიღებული რიცხვის შესაბამის გრაფაში. სთხოვეთ მოსწავლეს, რომ ივარჯიშოს ამ ტექსტის კითხვაში მომდევნო წაკითხვამდე.

5. რამდენიმე დღის შემდეგ კვლავ სთხოვეთ მოსწავლეს, წაიკითხოს იგივე ტექსტი. შეიტანეთ თითოეული წაკითხვის შედეგები შესაბამის გრაფაში. დააკვირდით, უმჯობესდება თუ არა წაკითხვა. შეაერთეთ სხვადასხვა წაკითხვის დროს დასმული წერტილები ხაზებით. თუ მიღებული წირი ქვემოდან ზემოთ არის მიმართული, კითხვის გამართულობა წინსვლას განიცდის, რაც შექების ღირსია.

გახსოვდეთ, ბავშვი ბევრად უფრო მოტივირებულია, გახდეს სრულყოფილი მკითხველი, როდესაც თვალნათლივ ხედავს საკუთარ პროგრესს.

### **აკითხველთა თეატრი**

**მეთოდი შეესაბამება წიგნიერების სტანდარტის შემდეგ მიმართულებებს: გამართული კითხვა, წაკითხულის გაგება-გააზრება.**

#### **მეთოდის აღწერა:**

„მკითხველთა თეატრი“ ეფექტური და ბუნებრივი გზაა გამართული კითხვის დასახვეწად, რადგანაც ამა თუ იმ ნაწარმოების ზეპირი შესრულებით მოსწავლეები გაუცნობიერებლად ვარჯიშობენ კითხვაში. გარდა ამისა, ისინი ოსტატდებიან საუბარში და მეტი ინტერესითა და პატივისცემით იმსჯელებიან ლიტერატურისადმი. მეთოდი გამოიყენება მცირე ჯგუფებთან ან მთელ კლასთან სამუშაოდ.

#### **მეთოდის გამოყენების საფეხურები:**

ამ აქტივობის განსახორციელებლად დაგჭირდებათ მცირე ზომის პიესა ან ზღაპარი, რომელსაც წინასწარ მოამზადებთ. ტექსტი იმ ზომისა უნდა იყოს, რომ 10-15 წუთში იკითხებოდეს. ის უმეტესწილად უნდა შედგებოდეს დიალოგებისგან, რათა შესაძლებელი იყოს როლების გადანაწილება რამდენიმე მკითხველზე. გადახედეთ ტექსტს, განსაზღვრეთ, რამდენი როლი გექნებათ და მონიშნეთ ის მონაკვეთები, რომლებსაც სხვადასხვა მკითხველს

გაუნაწილებთ. დიალოგებს შორის მოზრდილი ტექსტები შესაძლოა დაყოთ და გადაანაწილოთ რამდენიმე მთხრობელზე.

„მკითხველთა თეატრის“ ჩასატარებლად შეასრულეთ ქვემოთ აღწერილი ნაბიჯები:

1. კლასში ტექსტის წასაკითხად გამოყავით მოხალისეები.
2. თითოეულ მოსწავლეს მიეცით ტექსტის ასლი და ხმამაღლა წაუკითხეთ, რომ გამართულად წაკითხული ვარიანტი მოისმინონ.
3. ამის შემდეგ წაკითხეთ ტექსტი „გუნდური კითხვის“ მეთოდით (ჯერ თქვენ წაკითხეთ და შემდეგ მოსწავლეებს წაკითხეთ იგივე).
4. ახლა გაუნაწილეთ ტექსტი მკითხველებს. თუ ტექსტის ნაწილების რაოდენობა საკმარისი არ არის, სთხოვეთ მოსწავლეებს, გაცვალონ ერთმანეთში მკითხველისა და მსმენელის როლები.
5. როდესაც ბავშვები წარადგენენ თავიანთ სამუშაოს, დააყენეთ ან დასვით სკამებზე, პირით აუდიტორიისაკენ (მაცურებლისაკენ). მოსწავლეები თავიანთი როლების შესაბამისად უნდა იყენებდნენ ყესტებს, მიმიკასა და ინტონაციას. ისინი უნდა რეაგირებდნენ თეატრის სხვა გამიერების ქმედებებზე სხეულის ენით (ყესტებითა და მოძრაობით).
6. გაამეორებინეთ სცენები რამდენჯერმე, რათა მათ თხრობას დრამატულობა შეემატოს, ხოლო კითხვას - გამართულობა.

### **წაკითხვა და შეკითხვების დასმა**

**მეთოდი შეესაბამება ნიგნიერების სტანდარტის შემდეგ მიმართულებებს: წაკითხულის გაგება-გააზრება, წერა.**

### **მეთოდის აღწერა:**

„წაკითხვა და შეკითხვების დასმა“ არის მნიშვნელოვანი მეთოდი, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეებში კითხვის დასმისა და ფორმულირების უნარის განვითარებას. დასმულ შეკითხვებზე ამომწურავი პასუხების მოსაძებნად კი მათ უწევთ მასალის რამდენჯერმე გადახედვა და გონებაში გამთლიანება. შეძენილი ცოდნა და უნარები ბავშვებს მოგვიანებით, ტესტირებისა და გამოცდისთვის მზადების დროსაც მნიშვნელოვნად გამოადგებათ. მეთოდი გამოიყენება როგორც ინდივიდუალურად, ისე მცირე ჯგუფებში ან მთელ კლასთან სამუშაოდ.

ამ აქტივობის განსახორციელებლად საჭიროა ტექსტი (მაგალითად, სახელმძღვანელოდან აღებული, უკვე განვლილი მასალის რომელიმე თავი ან მცირე ზომის მოთხრობა), რომელსაც ექნება სათაური და ქვესათაურები, რამდენიმე აბზაცი მაინც.

### **მეთოდის გამოყენების საფეხურები:**

დაურიგეთ ბავშვებს სამოქმედო ინსტრუქციის დაბეჭდილი ასლები, ან აჩვენეთ პროექტორით და საშუალება მიეცით, დაწვრილებით გაეცნონ მას.

1. წაკითხეთ ტექსტი ნაწილ-ნაწილ. წაკითხეთ ქვესათაურიდან მომდევნო ქვესათაურამდე, ან აბზაციდან აბზაცამდე. თითოეული მონაკვეთის წაკითხვის შემდეგ მიაწერეთ საკვანძო სიტყვები მინდორზე.

2. მინდორზე მიწერილი საკვანძო სიტყვები მინიშნებებად გამოიყენეთ და ჩამოაყალიბეთ ისეთი კითხვები, რომლებიც გავლილი მასალის გამეორებას ემსახურება და რომელთა მსგავსიც, თქვენი აზრით, შესაძლოა შეგხვდეთ გამოცდაზე/ტესტირებაზე. შეკითხვები ფურცელზე ჩამოწერეთ.

3. ახლა იფიქრეთ თითოეული კითხვის პასუხზე და დაწერეთ ფურცლის უკანა მხარეს.

მოსწავლეებს ამ დავალების შესასრულებლად მიეცით 20 წუთი. გარკვეული დროის შემდეგ ჩამოიარეთ კლასში, ჰკითხეთ ბავშვებს, რა სიტყვები/ტერმინები ამოწერეს, რა შეკითხვები დასვეს და რა პასუხები გასცეს, რაიმე სირთულეს ხომ არ გადააწყდნენ და ა.შ.

### **სადისკუსიო ქსელი**

**მეთოდი შეესაბამება წიგნიერების სტანდარტის შემდეგ მიმართულებებს: წაკითხულის გაგება-გააზრება, წერა.**

### **მეთოდის აღწერა:**

„სადისკუსიო ქსელის“ გამოყენება ხელს უწყობს მოსწავლეებს, გამოხატონ საკუთარი შეხედულებები თუ დამოკიდებულებები საკითხის მიმართ ამა თუ იმ ტექსტის წაკითხვამდე ან წაკითხვის შემდეგ. პროცესში მონაწილეობა სასარგებლოა ახალი ცოდნის განმტკიცებისა და გაღრმავების, წერის პროცესისთვის მომზადების, კრიტიკული აზროვნების უნარის განვითარებისათვის.

### მეთოდის გამოყენების საფეხურები:

1. დაწერეთ დაფაზე ისეთი დებულება ან შეკითხვა, რომელიც კამათს გამოიწვევს.
2. სთხოვეთ მოსწავლეებს, ჩამოაყალიბონ სამ-სამი მიზეზი, რის გამოც ამ დებულებას უნდა დავეთანხმოთ ან შევეწინააღმდეგოთ. აქვე შეახსენეთ, რომ შესაძლოა ჩამოთვლილი მიზეზები მათ პირად შეხედულებებს არ ემთხვეოდეს.
3. დაურიგეთ მოსწავლეებს სადისკუსიო ქსელის სქემის შესავსები ფურცლები და სთხოვეთ შეავსონ თავიანთი მოსაზრებებით.

### სადისკუსიო ქსელის სქემა

ვეთანხმები (pro)

ვუპირისპირდები (con)

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

დასკვნა

---

---

4. სთხოვეთ მოსწავლეებს, რომ წყვილებში გაუზიარონ ერთმანეთს შეხედულებები, განუმარტონ მენწყვილეს საკუთარი მოსაზრებები და, სურვილის შემთხვევაში, ახალი მიზეზებიც დაამატონ საკუთარ სქემას.

5. გაზიარებისა და დისკუსიის დასრულების შემდეგ სთხოვეთ რამდენიმე მსურველს, რომ ხმამაღლა გამოთქვან თავიანთი შეხედულებები. შეახსენეთ მოსწავლეებს, რომ ამ მომენტისთვის „სწორი პასუხი“ არ არსებობს და რომ ყველა მოსაზრებას თანაბარი ძალა აქვს.

6. ყურადღება მიაქცევინეთ მოსწავლეებს სქემის იმ ადგილზე, სადაც წერია „დასკვნები“. სთხოვეთ დაწერონ ინდივიდუალურად 5-წუთიანი ესეი, რომელშიც საკუთარ, პიროვნულ პოზიციასა და შეხედულებებს გამოხატავენ მოცემულ საკითხზე/პრობლემაზე. მიუთითეთ, რომ შეუძლიათ გამოიყენონ სადისკუსიო ქსელში მოცემული მიზეზები, რათა განამტკიცონ საკუთარი არგუმენტები.

### **ორსვეტიანი დღიური**

**მეთოდი შეესაბამება წიგნიერების სტანდარტის შემდეგ მიმართულებებს: ნაკითხულის გაგება-გააზრება, წერა.**

#### **მეთოდის აღწერა:**

„ორსვეტიანი დღიური“ გამოიყენება მოთხრობის ან ლექსის კითხვის პროცესში. დღიურში შეტანილი ჩანაწერებით მოსწავლე საკუთარ განწყობა-დამოკიდებულებებს გამოხატავს ამა თუ იმ საკითხის/მოვლენის/გმირის მიმართ. მეთოდის გამოყენების ერთ-ერთი მიზანია მოსწავლის მოტივაციის გაზრდა, რათა უკეთ დააკვირდეს დეტალებს და ღრმად გაიაზროს ნაწარმოების შინაარსი.

#### **მეთოდის გამოყენების საფეხურები:**

1. სთხოვეთ მოსწავლეებს, გაყონ ფურცელი ვერტიკალური ხაზით. გააკეთეთ იგივე დაფაზე.

2. უთხარით მოსწავლეებს, რომ ახლა დაიწყებენ კითხვას ამა თუ იმ კონკრეტულ თემაზე (დაუსახელებთ თემა).

3. აუხსენით, რომ ორად გაყოფილი ფურცლის მარცხენა სვეტში მათ უნდა ამონერონ ტექსტიდან წინადადება ან ფრაზა, რომელიც რაიმეს გვეუბნება საკითხის შესახებ. უჩვენეთ მოსწავლეებს კონკრეტული მაგალითი, თუ როგორ უნდა შეასრულონ ეს მოქმედება (ამონერეთ ტექსტიდან წინადადება დაფაზე).

4. სთხოვეთ მოსწავლეებს, რომ დაფიქრდნენ ამ წინადადებაში გამოთქმული აზრის მიმართ საკუთარი დამოკიდებულების შესახებ, შემდეგ კი თავიანთი ნააზრევი ჩაწერონ მარჯვენა სვეტში, ტექსტიდან ამონერილი წინადადების გასწვრივ. „ხმამალლა ფიქრის“ გამოყენებით უჩვენეთ მოსწავლეებს, როგორ შეასრულონ ეს მოქმედება (დაწერეთ გამოთქმული აზრები დაფაზე, მარჯვენა სვეტში).

5. სთხოვეთ მოსწავლეებს, გააკეთონ, სულ მცირე, 3 ჩანაწერი კითხვის პროცესში. წინასწარ უთხარით, რომ ამ დღიურებს შესწორების მიზნით კი არ შეაგროვებთ, არამედ მოსწავლეები მათ საკუთარი აზრების კლასში გაზიარებისათვის გამოიყენებენ.

6. ამის შემდეგ სთხოვეთ მოსწავლეებს, წაიკითხონ პირველი რამდენიმე აბზაცი და ამოწერონ ფრაზა ან წინადადება, რომელსაც მარჯვენა მხარეს კომენტარს მიაწერენ. შესთავაზეთ რამდენიმე მსურველს, გაუზიარონ თავიანთი ჩანაწერები კლასს.

7. სთხოვეთ, რომ დამოუკიდებლად გააგრძელონ მუშაობა ტექსტის დარჩენილ ნაწილზე.

### **კითხვა წყვილავში**

**მეთოდი შეესაბამება წიგნიერების სტანდარტის შემდეგ მიმართულებებს: გამართული კითხვა, წაკითხულის გაგება-გააზრება.**

### **მეთოდის აღწერა:**

„კითხვა წყვილებში“ საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, რომ ერთობლივად წაიკითხონ ტექსტი და გადმოსცენ მისი შინაარსი. თუ წყვილები განსხვავებული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებით დაკომპლექტდება, მეთოდი ორმაგად სასარგებლო იქნება პრობლემური მკითხვებებისთვის.

### **მეთოდის გამოყენების საფეხურები:**

1. დაანწყილეთ მოსწავლეები და სთხოვეთ წყვილის ერთ-ერთ მოსწავლეს, რომ ხმამაღლა წაუკითხოს ტექსტის პირველი რამდენიმე აბზაცი მეწყვილეს. საჭიროა წასაკითხი აბზაციების რაოდენობის ზუსტად მითითება.

2. სთხოვეთ წყვილის მეორე წევრს (მსმენელს), რომ თხრობით გადმოსცეს წაკითხულის შინაარსი.

3. სთხოვეთ მოსწავლეებს, წყვილში გაცვალონ როლები. ამჯერად მეორე წევრი უკითხავს პირველს მომდევნო რამდენიმე აბზაცს.

4. სთხოვეთ წყვილებს, გააგრძელონ ტექსტის კითხვა აღწერილი ინსტრუქციის მიხედვით.

**ბასკირნება ილუსტრაციებში (და გონებრივი იერიში წყვილებში)**

**მეთოდი შეესაბამება წიგნიერების სტანდარტის შემდეგ მიმართულებებს: ნაკითხულის გაგება-გააზრება, წერა.**

**მეთოდის აღწერა:**

„გასაქირნება ილუსტრაციებში“, რომელიც ამ შემთხვევაში შერწყმულია „წყვილებში გონებრივ იერიშთან“, გამოიყენება მაშინ, როცა ტექსტთან ერთად ხელმისაწვდომია მდიდარი და მეტყველი ილუსტრაციები. მათი დათვალიერება და ვარაუდების გამოთქმა მოსწავლეებში აღვივებს ინტერესს და ზრდის ტექსტის ნაკითხვის მოტივაციას.

**მეთოდის გამოყენების საფეხურები:**

1. ნასაკითხი მოთხრობის წარდგენა დაიწყეთ წიგნით, რომლის ყდაზეც შესაბამისი სურათია გამოსახული. შემდეგ წიგნიდან აჩვენეთ რამდენიმე ილუსტრაცია, რომლებითაც უშუალოდ მოთხრობაა დასურათებული. ჰკითხეთ მოსწავლეებს, მათი აზრით, რას შეეხება ეს მოთხრობა. ამასთან, მიეცით საშუალება, რომ თავადაც დასვან შეკითხვები.

2. გამოიყენეთ „გონებრივი იერიში წყვილებში“. მოიფიქრეთ მოთხრობაში გადმოცემული პრობლემის მსგავსი სიტუაცია. სთხოვეთ მოსწავლეებს, წყვილებში მოიფიქრონ ამ პრობლემის გადაჭრის გზა.

3. დაახლოებით ხუთი წუთის შემდეგ სთხოვეთ მოსწავლეებს შეწყვიტონ საუბარი. შესთავაზეთ რამდენიმე წყვილის წარმომადგენელს, რომ გააცნონ შეჯერებული მოსაზრებები კლასს. ჩამოწერეთ შემოთავაზებული ვარიანტები დაფაზე.

**დაფიქრდი-დანწყვილდი-გაუზიარე (და გონებრივი იერიშის ქსელი)**

**მეთოდი შეესაბამება წიგნიერების სტანდარტის შემდეგ მიმართულებებს: ლექსიკური მარაგის გამდიდრება, ნაკითხულის გაგება-გააზრება, წერა.**

**მეთოდის აღწერა:**

„დაფიქრდი-დანწყვილდი-გაუზიარე“, რომელიც ამ შემთხვევაში შერწყმულია „გონებრივი იერიშის ქსელთან“, გამოიყენება როგორც მხატვრულ, ისე აღწერით ტექსტებზე სამუშაოდ. მეთოდი შეიძლება



გამოყენებული იყოს გაკვეთილის I ფაზაზე, რათა მოსწავლეები ერთგვარად შევამზადოთ წასაკითხი მასალისათვის; აგრეთვე, შეიძლება მოვარგოთ III ფაზასაც, რათა ბავშვებს საშუალება მივცეთ, რომ ხელახლა გადაავლონ თვალი ნაწარმოებს და შეაჯამონ ტექსტიდან მიღებული ინფორმაცია.

### **მეთოდის გამოყენების საფეხურები:**

1. გააცანით მოსწავლეებს გაკვეთილის თემა და უთხარით, რომ მოუწევთ მოცემული საკითხის განხილვა თავიანთი მოსაზრებების მიხედვით.
2. მიეცით ბავშვებს ერთი წუთი, რათა ინდივიდუალურად მოიფიქრონ და ჩამოწერონ საკუთარი მოსაზრებები საკითხის შესახებ.
3. სთხოვეთ მოსწავლეებს, რომ თითოეულმა მათგანმა გაუზიაროს შეხედულებები გვერდით მჯდომ მენწყვილს.
4. მას შემდეგ, რაც წყვილები მოსაზრებებს გაცვლიან, სთხოვეთ მსურველებს მოკლედ გააცნონ კლასს, თუ რაზე იმსჯელებს პარტნიორებთან ერთად.
5. დახაზეთ გონებრივი იერიშის ქსელი დაფაზე ან დიდ ფორმატზე და შეავსეთ იგი ბავშვების მიერ განხილული თემებითა და ქვეთემებით.
6. ქსელში მოსწავლეთა აზრების ჩანერისას ხმამაღლა იმსჯელეთ და აუხსენით ბავშვებს, თუ როგორ ავსებთ ქსელს, როგორ ახდენთ გამოთქმული მოსაზრებების კონსტრუირებას მასში.

### **ლიტერატურული წრე**

მეთოდი შეესაბამება წიგნიერების სტანდარტის შემდეგ მიმართულებებს: გამართული კითხვა, ლექსიკური მარაგის გამდიდრება, წაკითხულის გაგება-გააზრება, წერა.

### **მეთოდის აღწერა:**

„ლიტერატურული წრე“ წაკითხული ტექსტის გაგებასა და გააზრებაზე მიმართული მეთოდია. ამ მეთოდის გამოყენება ხელს უწყობს მოსწავლეების მიერ სტრატეგიული კითხვისა და გააზრების უნარის დაუფლებას. ამასთან, იზრდება მოსწავლეთა კითხვის მოტივაცია და შთაბეჭდილებებისა და აზრების ჯგუფში გაზიარება-განხილვის სურვილი.



### მეთოდის გამოყენების საფეხურები:

1. დაყავით კლასი მცირე ჯგუფებად. გაუნანილეთ მოსწავლეებს შემდეგი როლები:

- მკითხველი, რომელიც ხმამაღლა წაკითხავს ტექსტს;
- შემაჯამებელი, რომელიც შეაჯამებს წაკითხულ მონაკვეთს;
- შეკითხვების დამსმელი, რომელიც დასვამს შეკითხვებს წაკითხულის შესახებ;
- ვარაუდების გამომთქმელი, რომელიც გამოთქვამს ვარაუდებს იმის შესახებ, თუ რა მოხდება შემდეგ;
- სიტყვების მოძიებელი, რომელიც ჩაინიშნავს საინტერესო/ მნიშვნელოვან/უცხო სიტყვებს წაკითხული ტექსტიდან;
- რეპორტიორი, რომელიც აღწუხავს ჯგუფში მიმდინარე პროცესს.

2. კითხვის დაწყებამდე მკაფიოდ აუხსენით მოსწავლეებს, თუ რას აკეთებს თითოეული როლის მქონე მოსწავლე და თავად აჩვენეთ ნიმუში (ანუ რამდენიმე წუთით მოირგეთ ყველა როლი).

3. სთხოვეთ მოსწავლეებს, დაიწყონ კითხვა. გააფრთხილეთ, რომ უნდა შეჩერდნენ თითოეული მონაკვეთის ბოლოს და დაიწყონ მუშაობა როლების მიხედვით. აგრეთვე, შეახსენეთ მკითხველის როლის მქონე მოსწავლეებს, რომ მათზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ის, თუ როგორ შეასრულებენ ჯგუფის დანარჩენი წევრები თავიანთ მოვალეობებს. ამიტომაც, მათ უნდა წაკითხონ ტექსტი ხმამაღლა და მკაფიოდ.

4. გააკეთეთ პაუზა სამი მონაკვეთის წაკითხვის შემდეგ. სთხოვეთ რეპორტიორებს, გააკეთონ მცირე ანგარიში ჯგუფის მუშაობის შესახებ; სთხოვეთ სიტყვის მოძიებლებს, რომ დაასახელონ ამონერილი საინტერესო სიტყვები.

5. უთხარით ჯგუფებს, რომ გააგრძელონ კითხვა ტექსტის დასრულებამდე.

6. კითხვის დასრულების შემდეგ ჰკითხეთ ვარაუდების გამომთქმელებს, თუ რამდენად გამართლდა ჯგუფებში გამოთქმული ესა თუ ის ვარაუდი; სთხოვეთ შეკითხვების დამსმელებს, რომ წაკითხონ რამდენიმე კითხვა და ჰკითხეთ, გაეცა თუ არა ჯგუფებში ყველა შეკითხვას პასუხი. სთხოვეთ შემაჯამებლებს, გამოკვეთონ ტექსტის მნიშვნელოვანი ასპექტები. გამართეთ შემაჯამებელი დისკუსია.

## **კითხვა და პასუხი (QAR)**

**მეთოდი შეესაბამება წიგნიერების სტანდარტის შემდეგ მიმართულებებს:  
წაკითხულის გაგება-გააზრება, წერა.**

### **მეთოდის აღწერა:**

**კიბა** ანუ კითხვებისა და პასუხების ურთიერთმიმართება (Question Answer Relationship) არის მეთოდი, რომლის მეშვეობითაც მოსწავლეები ეცნობიან კითხვებსა და პასუხებს შორის არსებულ კავშირს ტექსტთან მიმართებით. იგი ეფექტურად გამოიყენება სხვადასხვა ტიპის (თხრობით და აღწერით) ტექსტებთან სამუშაოდ, პრაქტიკულად, ყველა საგნობრივ ფგუფში. თავდაპირველად მოსწავლეები ეცნობიან ტექსტის გააზრებაზე ორიენტირებულ შეკითხვებს და პასუხებს ტექსტში ეძებენ. შემდეგ კი, იმისდა მიხედვით, თუ როგორ მიაკვლიეს პასუხებისთვის საჭირო ინფორმაციას, ახდენენ შეკითხვების კატეგორიზაციას. მეთოდის მიხედვით, არსებობს კითხვა-პასუხის ოთხი კატეგორია: „იქვე, ტექსტში“, „იფიქრე და მოიძიე“, „ავტორი და მე“, „მე თვითონ“.

**კიბას** გამოყენება მნიშვნელოვნად ეხმარება მოსწავლეებს ტექსტის წაკითხვის მიზნის განსაზღვრაში, წაკითხულის გაგების მონიტორინგში. გარდა ამისა, იგი შეარყევს მოსწავლეებში გავრცელებულ სტერეოტიპს, რომლის მიხედვითაც ტექსტი ყველაფერს ამბობს ანუ სრულად გადმოსცემს ინფორმაციას და უბიძგებს ბავშვებს კვლევა-ძიებისა და კრიტიკული აზროვნებისაკენ.

**კიბა** ეფექტურად გამოიყენება IV-X კლასებში, თუმცა გამარტივებული სახით შესაძლებელია მისი გამოყენება III კლასშიც, ხოლო უფრო გაღრმავებულად - XI-XII კლასებშიც.

მეთოდი შეიმუშავა რაფაელმა 1982 წელს.

### **მეთოდის გამოყენების საფეხურები:**

1. შეარჩიეთ საკითხავი ტექსტი.
2. ჩამოაყალიბეთ ტექსტთან დაკავშირებული შეკითხვები.

მნიშვნელოვანია ქვემოთ მოცემული ოთხივე კატეგორიის თითო ან ორი შეკითხვის ჩამოყალიბება:

- **„იქვე, ტექსტში“** – ინფორმაცია, რომელიც მოსწავლეს შეკითხვაზე პასუხის გასაცემად დასჭირდება, ტექსტში პირდაპირ არის მოცემული. როგორც წესი, პასუხის შემცველი წინადადება კითხვითი წინადადების სიტყვებს იმეორებს. მოსწავლეს არ სჭირდება პასუხის სიღრმისეული გააზრება და დასკვნების გამოტანა.
- **„იფიქრე და მოიძიე“** – ინფორმაცია, რომელიც მოსწავლეს შეკითხვაზე პასუხის გასაცემად დასჭირდება, ტექსტში, მაგრამ ერთ, ცალკეულ წინადადებაში არ გვხვდება. მოსწავლეს ტექსტის სხვადასხვა მონაკვეთში მოცემული ინფორმაციის მოძიება და დაკავშირება მოუწევს.
- **„ავტორი და მე“** – ინფორმაცია, რომელიც მოსწავლეს შეკითხვაზე პასუხის გასაცემად დასჭირდება, ტექსტში პირდაპირ მოცემული არ არის და უფრო ნაგულისხმევია. აზრის გამოსატანად მოსწავლეს ავტორის მიერ მოცემული ინფორმაციის წინარე ცოდნასთან შეჯერება მოუწევს.
- **„მე თვითონ“** – ინფორმაცია, რომელიც მოსწავლეს შეკითხვაზე პასუხის გასაცემად დასჭირდება, ტექსტში მოცემული არ არის. კარგი პასუხის ჩამოსაყალიბებლად ტექსტის ნაკითხვა შეიძლება არც იყოს აუცილებელი. ამ კატეგორიის შეკითხვებზე პასუხის გასაცემად მნიშვნელოვანია მოსწავლის წინარე გამოცდილება და დამოუკიდებლად ფიქრის უნარი.

3. გაეცანით შეკითხვებს მოსწავლეებთან ერთად ტექსტის ნაკითხვამდე (ანუ გაკვეთილის I ფაზაზე). შეკითხვებზე წინასწარი დაფიქრება დაეხმარება მოსწავლეებს ტექსტთან მუშაობის კონკრეტული მიზნისა და მოლოდინების განსაზღვრაში.

4. ნაკითხეთ ტექსტი მოსწავლეებს. შესაძლებელია გამოიყენოთ ტექსტის ნაკითხვის სხვადასხვა მეთოდი.

5. ტექსტის ნაკითხვის შემდეგ ჩაუტარეთ მოსწავლეებს მკაფიო ინსტრუქტაჟი კითხვა-პასუხის ოთხი კატეგორიის შესახებ. გააკარით წინასწარ მომზადებული, ფორმატზე გამოსახული **კიპას** სქემა დაფაზე და/ან დაურიგეთ სქემის ფურცლები ბავშვებს ინდივიდუალურად.

მკაფიოდ განუმარტეთ მოსწავლეებს, რომ კონკრეტულ ტექსტთან დაკავშირებულ შეკითხვებსა და პასუხებს შორის დამოკიდებულება შეიძლება ორგვარი იყოს: ზოგჯერ პასუხები ტექსტშია, ზოგჯერ - არა. შემდეგ დაყავით თითოეული ვარიანტი ორ კატეგორიად (1. „ტექსტში“ — „იქვე“; „იფიქრე და მოიძიე“; 2. „ჩემს გონებაში“ — „ავტორი და მე“; „მე თვითონ“).

ქვემოთ იხილეთ კიპას სქემის ორი ნიმუში.


6. სთხოვეთ მოსწავლეებს, რომ წერილობით უპასუხონ შეკითხვებს და მიუთითონ (მიანერონ), რომელი კატეგორიის ინფორმაცია დასჭირდათ თითოეული მათგანისათვის. ამისათვის შესაძლებელია თითოეული კატეგორიისათვის მარტივი კოდების მოფიქრება და გამოყენება.

7. ყველა შეკითხვაზე პასუხის გაცემისა და კატეგორიების მითითების შემდეგ ჩაატარეთ საკლასო დისკუსია.



გასათვალისწინებელია, რომ ზოგჯერ პასუხის ამა თუ იმ კატეგორიაზე მიკუთვნება ადვილი არ არის და ზღვრული შემთხვევებიც არსებობს. ასეთ დროს მოსწავლეები ერთმანეთს დაუპირისპირდებიან იმის თაობაზე, თუ რომელი კატეგორიის ინფორმაცია გამოადგათ ამა თუ იმ შეკითხვაზე პასუხისათვის. ეს სავსებით მისაღები მოვლენაა და პროცესს კიდევ უფრო საინტერესოს ხდის. მთავარია, რომ მოსწავლეებმა ეფექტური არგუმენტები მოიყვანონ თავიანთი მოსაზრებების დასადასტურებლად.

### კითხვები და პასუხები

#### კიპა (QAR) სქემა 1



კითხვები და პასუხები  
კიბა (QAR) სქემა 1

<p>წიგნი</p> 	<p>ჩემს გონებაში</p> 
<p><b>იქვე</b> პასუხი ტექსტშია</p>	<p><b>ავტორი და მე</b> პასუხი არ არის ტექსტში</p>
<p><b>იფიქრე და მოიძიე</b> შეკრიბე და შეაჯერე ინფორმაცია</p>	<p><b>მე თვითონ</b> ტექსტის ნაკითხვა შეიძლება არც კი დაგჭირდეს</p>

## კიბა – მაგალითი I (თხრობითი ტექსტი)

### ერთხელ

#### გურამ რჩეულიშვილი

ერთხელ ბერიკაცმა ნიჩბით გადახადა ქვევრს მინა.

- რას შერები, პაპავ? - შეეკითხა შვილიშვილი.

- გუშინდამ მაჭარი თუხთუხებდა, მეშინია ქვევრი არ იყოს გახეთქილი, შვილო.

შვილიშვილმა ქვევრთან ჩაიმუხლა, სარქველზე დარჩენილი მინა გადაბერტყა, მერე ნაპირები შემოინმინდა. პაპამ ახადა სარქველი, ორშიმო მოიმარჯვა. დიდხანს იხედებოდა შიგნით, შემდეგ თავი გასწია და შვილიშვილს ჩაახედა.

- გახეთქილა, - თქვა ჯემალმა.

- ჰო, - დაუდასტურა პაპამ.

შვილიშვილი: ასე იცის, პაპა, მაჭარმა?

პაპა: ზოგჯერ ჰო, ზოგჯერ არა.

შვილიშვილი: ზოგჯერ რატომ?

პაპა: იმიტომ, რომ ზოგჯერ ქვევრის კედელი თხელია.

შვილიშვილი: მერე?

პაპა: მერე, მაჭარი კი ზედმეტად მდულარე.

შვილიშვილი: ზოგჯერ კი?

პაპა: ზოგჯერ კი ქვევრის კედელი სქელია, მაჭარიც ნაკლებად მდულარე.

შვილიშვილი: მერე?

პაპა: მაშინ არ სკდება.

შვილიშვილი: პაპავ, ეგ ქვევრი აღარ ვარგა?

პაპა: ქვევრი არა, მაჭარი კი. რაც დარჩა, უფრო კარგი ღვინო დადგება.

მოხუცმა ნიჩაბს წამოავლო ხელი და ახალი ორმოს თხრა დაიწყო. პაპა-შვილიშვილმა სალამომდე იმუშავეს. სალამოხანს ეზოდან მთელი, უფრო პატარა ქვევრი შემოათრიეს და ორმოში ჩააგდეს. გამზადებულ ჭურჭელში გადაიღო მოხუცმა გახეთქილში დარჩენილი მაჭარი. პატარა ქვევრი უცებ გაივსო. რაც დარჩა, პაპამ კოკაში ჩაასხა, მერე შვილიშვილი პურზე გაგზავნა, თვითონ კი მუავე ამოიღო.

ცოტა დალიეს.

პაპამ ყალიონი გააბოლა.

კიდევ დალიეს.

ჯემალი ოდნავ შეთვრა.

- რამდენი წლისა ხარ, ბიჭო? - გადაანოდა მოხუცმა.

- თვრამეტისა, პაპავ.

მოხუცმა კიდევ მოქაჩა, მერე კეფა მოიქექა.

- ჯერ მაჭარი ხარ, შვილო, - უთხრა და კეფა ისევ მოიქექა.

### შეკითხვების მაგალითები:

1. რისი ემინოდა პაპას? („იქვე, ტექსტში“)
2. როგორ გადაჭრეს პაპამ და შვილიშვილმა ქვევრთან დაკავშირებული პრობლემა? („იფიქრე და მოიძიე“)
3. რა დამოკიდებულებაა პაპასა და შვილიშვილს შორის? („ავტორი და მე“)
4. საზოგადოდ, რა განსხვავებაა მოხუცსა და ახალგაზრდას შორის? („მე თვითონ“)

## კიბა – მაგალითი II (აღწერით-ინფორმაციული ტექსტი)

### მცხეთა

მცხეთა არის მცხეთა-მთიანეთის მხარის და მცხეთის რაიონის ადმინისტრაციული ცენტრი. მცხეთა გამოცხადებულია ქალაქ-მუზეუმად და იუნესკოს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაშია შეტანილი. მცხეთის მოსახლეობა 2002 წლის აღწერის მიხედვით 7,7 ათასს შეადგენს.

ტრადიციის მიხედვით, ქალაქის დაარსება ლეგენდარულ მცხეთოსს მიეწერება: “ქართლოსის სიკვდილის შემდეგ, მისმა მეუღლემ შვილებს გაუნანილა სამფლობელოები. მათ შორის უფროსი - მცხეთოსი დაესახლა



მტკვრისა და არაგვის შესაყართან, აღაშენა ქალაქი და უწოდა სახელი თვისი”. იგი დაარსებული ჩანს ძვ.წ. 1-ლი ათასწლეულის მე-2 ნახევარში. იგი ქართლის დედაქალაქად გამხდარა აზონ მეფის დროს, ძვ.წ. IV საუკუნეში. ვარაუდობენ, რომ სახელწოდება მომდინარეობს მესხთა სატომო სახელისაგან (მესხთა - მცხეთა). რამდენიმე ასწლეულის შემდეგ იგი მოიხსენიება სოფლად, ხოლო შემდეგ - ისევ ქალაქად. ოფიციალურად ქალაქად გამოცხადდა 1956 წელს.

მცხეთა მდებარეობს მდინარეების მტკვრისა და არაგვის შესაყართან, საქართველოს სამხედრო გზაზე. აქ არის რკინიგზის სადგური, კვების და მსუბუქი მრეწველობის საწარმოები, ზემო ავჭალის ჰესი. ქალაქში კულტურისა (უმალესი სასწავლებლები, თეატრი, მუზეუმი) და არქიტექტურის მრავალი ძეგლია.

ქალაქის ტერიტორიაზე არსებული არქეოლოგიური ძეგლები საშუალებას იძლევა თვალი გავადევნოთ მის ცხოვრებას ძვ.წ. II ათასწლეულიდან ადრეფეოდალურ ხანამდე. VI საუკუნიდან ქართლის დედაქალაქმა თბილისში გადაინაცვლა, მცხეთა კი საეკლესიო ცენტრად დარჩა. მცხეთის და მისი შემოგარენის ღირშესანიშნაობებიდან აღსანიშნავია:

- აკროპოლი (ძვ.წ. IV-III სს.) - მთავარი ციხე-სიმაგრე ბაგინეთის მთაზე;
- ელინისტური ეპოქის არმაზციხე;
- საპიტიახშოს რეზიდენცია არმაზისხევში;



- დიდი მცხეთის ძველი უბნები: სარკინე, წინამური, ნაქულბაქევი, კარსანი, მუხათგვერდი, კალოუბან-კოდმანი;
- ჯვარი (VI ს.);
- სვეტიცხოველი (XI ს.);
- სამთავრო სამონასტრო კომპლექსი (XI ს.).

მცხეთაში არის მცხეთა-თბილისის ეპარქიის კათედრა და რეზიდენცია.

### შეკითხვების მაგალითები:

1. სად მდებარეობს მცხეთა? („იქვე, ტექსტში“)
2. რით არის მცხეთა განსაკუთრებით საინტერესო? („იფიქრე და მოიძიე“)
3. რა სახის ტურიზმის განვითარება შეიძლება მცხეთასა და მის შემოგარენში? („ავტორი და მე“)
4. რით გამოირჩევა ისტორიული დედაქალაქები? („მე თვითონ“)

## ვიცი — მინდა ვიცოდე — ვისწავლე

**მეთოდი შეესაბამება წიგნიერების სტანდარტის შემდეგ მიმართულებებს: ნაკითხულის გაგება-გააზრება, წერა.**

### მეთოდის აღწერა:

„ვიცი — მინდა ვიცოდე — ვისწავლე“ საინფორმაციო ტექსტების გააზრებისა და აქტიური სწავლის ერთ-ერთი ცნობილი მეთოდია. გამოყენება შესაძლებელია როგორც ცალკე აღებული გაკვეთილის, ასევე თემატური ერთეულის ფარგლებში, როცა საკითხის შესწავლას რამდენიმე გაკვეთილი ეთმობა. მეთოდის განხორციელების პროცესი მოიცავს მოსწავლეთა მუშაობას ინდივიდუალურად და ჯგუფებში.

### მეთოდის გამოყენების საფეხურები:

- **ნაკითხვამდე**

თემის წარდგენა, ინდივიდუალური გონებრივი იერიში, გონებრივი იერიში წყვილებში, აზრების ჩამოწერა „ვიცი“ სვეტში, შეკითხვების ჩამოწერა „მინდა ვიცოდე“ სვეტში.

1. გააცანით მოსწავლეებს შესასწავლი თემა, გააკეთეთ მცირე შესავალი, შემდეგ კი სთხოვეთ მათ ისაუბრონ ამ თემის გარშემო. უთხარით მოსწავლეებს, რომ გაკვეთილი შეეხება სწორედ იმ თემას, რომლის გარშემოც ახლა ისაუბრეთ. მნიშვნელოვანია, რომ ბავშვები დაფიქრდნენ იმაზე, თუ რა სმენიათ უკვე ამ თემის შესახებ. ამისათვის შეგიძლიათ გამოიყენოთ „გონებრივი იერიში“ - თითოეულმა მოსწავლემ ფურცელზე ჩამოწეროს ყველაფერი, რაც კი იცის ან ჰგონია, რომ იცის ამ საკითხზე. დამოუკიდებელი მუშაობისთვის მოსწავლეებს მიეცით 2 წუთი.

2. პროცესის შემდგომი ეტაპია „გონებრივი იერიში წყვილებში“. სთხოვეთ მოსწავლეებს, გაუზიარონ თავიანთი ჩამონათვალი გვერდით მჯდომს და შეავსონ ფურცლები მენწყილის ნააზრევით. მიეცით მათ დამატებითი 2 წუთი ჩამოწერილი ინფორმაციის შედარებისა და ურთიერთგაზიარებისთვის.

3. დაფა გაყავით სამ სვეტად და თითოეული სვეტი დაასათაურეთ: „ვიცი“, „მინდა ვიცოდე“, „ვისწავლე“.

ვიცი	მინდა ვიცოდე	ვისწავლე

სთხოვეთ წყვილებს, გამოთქვან აზრები ამ თემის გარშემო. თუკი თავს იკავებენ, სთხოვეთ, წაიკითხონ საკუთარი ჩანაწერები. მას შემდეგ, რაც წყვილები გაგიზიარებენ თავიანთ აზრებს, შეგიძლიათ მათი დაჯგუფება კატეგორიების მიხედვით. შეავსეთ სვეტი **„ვიცი“**. გადახედეთ ინფორმაციას და გაამახვილეთ ყურადღება, რომ საკმაოდ ბევრი სცოდნიათ ამ თემის შესახებ.

4. შემდეგ მიუბრუნდით სვეტს სათაურით: **„მინდა ვიცოდე“**. ჰკითხეთ კლასს: „ვის აქვს შეკითხვა ამ თემასთან დაკავშირებით?“, „რა გსურთ იცოდეთ ამ საკითხის შესახებ?“. ჩამოწერეთ შეკითხვები მეორე სვეტში. კვლავ გაამახვილეთ მოსწავლეების ყურადღება სვეტზე **„ვიცი“** და ჰკითხეთ, თუ კიდევ რისი ცოდნა ესაჭიროებათ მათ. სვეტში **„მინდა ვიცოდე“** ასევე შეგიძლიათ საკუთარი კითხვების ჩამოწერაც, თუკი იცით, რომ ტექსტში შეგხვდებოდა ისეთი რამ, რაც მოსწავლეებს არ უხსენებიათ. გაითვალისწინეთ, რომ კითხვების უმეტესობა მოსწავლეებისგან უნდა მოდიოდეს.

- კითხვის დროს

ტექსტის ხმამაღლა წაკითხვა და ხმამაღლა ფიქრით დემონსტრირება მასწავლებლის მიერ: მასწავლებელი მიუთითებს მოსწავლეებს, იპოვონ პასუხები თავიანთ შეკითხვებზე / ტექსტის დამოუკიდებლად წაკითხვა მოსწავლეების მიერ: მოსწავლეები თავად ეძებენ პასუხებს შეკითხვებზე.

5. კითხვების ჩამონერის შემდეგ უთხარით მოსწავლეებს, რომ თქვენ აპირებთ წაუკითხოთ ტექსტი კონკრეტულ თემაზე (მაგ., მზის სისტემის პლანეტების შესახებ). თუ გაქვთ ამ ტექსტის ასლი ყველასთვის, დაურიგეთ მათ წასაკითხად და წინასწარ სთხოვეთ, რომ გაამახვილონ ყურადღება იმაზე, თუ რას ისმენენ ან რას კითხულობენ.

6. წაკითხვით ტექსტი მოსწავლეებს. აგრეთვე, შესაძლებელია, რომ თქვენ წაუკითხოთ და თან ხმამაღლა იფიქროთ. ხმამაღალი ფიქრი გულისხმობს, რომ თქვენ აქტიური მკითხველის მოდელს უჩვენებთ მოსწავლეებს - აკეთებთ წაკითხულზე კომენტარს, აღნიშნავთ იმ ადგილებს, რომლებიც ადასტურებს მოსწავლეების წაკითხვამდე ცოდნას ან მონიშნავთ მონაკვეთებს, რომლებშიც პასუხი ეცემა დასმულ შეკითხვებს. შეგიძლიათ სთხოვოთ მოსწავლეებს იფიქრონ თქვენთან ერთად.

- წაკითხვის შემდეგ

„ვისწავლე“ სვეტის შევსება; იმის განსაზღვრა, თუ რომელი აზრები დაემთხვა ან არ გამართლდა „ვიცი“ სვეტში; იმის განსაზღვრა, თუ რომელ შეკითხვებს გაეცა პასუხი „მინდა ვიცოდე“ სვეტში და რომელი დარჩა უპასუხოდ; ახალი შეკითხვების ჩამოყალიბება; ახალ კითხვებზე პასუხის გასაცემად შემდგომი სასწავლო ამოცანების დასახვა.

7. ტექსტის წაკითხვის შემდეგ დაუბრუნდით ვიცი/მინდა ვიცოდე/ვისწავლე ცხრილს. სთხოვეთ ბავშვებს კვლავ წაკითხონ შეკითხვები „მინდა ვიცოდე“ სვეტში. შემდეგ ჰკითხეთ, თუ რა პასუხები გაეცა მათ შეკითხვებს. ჩამონერეთ ეს პასუხები „ვისწავლე“ სვეტში, კითხვების გასწვრივ.

8. დაუბრუნდით სვეტს „ვიცი“. ჰკითხეთ ბავშვებს, მათ მიერ ჩამონერული მოსაზრებებიდან რომელი დადასტურდა ტექსტში? ხომ არ ჰქონდათ რაიმე ვარაუდი, რომელთან დაკავშირებითაც ტექსტში საპირისპირო აზრი იყო გამოთქმული? რის შესახებ შეეცვალათ შეხედულებები?

9. ჰკითხეთ მოსწავლეებს, შეკითხვებზე მიღებული პასუხების გარდა, კიდევ რა გაიგეს ახალი ტექსტიდან. ჩამონერეთ ეს ინფორმაცია „ვისწავლე“ სვეტში.

გაკვეთილის ბოლოს, სასურველია, რომ მოსწავლეებმა გადახედონ თავიანთ შეკითხვებს და ნახონ, რომელი მათგანი დარჩა უპასუხოდ. ჰკითხეთ მათ, თუ რა ახალი შეკითხვები დაებადათ ტექსტის წაკითხვის შემდეგ. შეგიძლიათ ჩაინეროთ ეს შეკითხვები და ბავშვებთან ერთად დაგეგმოთ, შემდგომში რა ფორმით გასცეთ მათ პასუხები.

### მოთხრობის (ამბის) რუკა

**მეთოდი შეესაბამება წიგნიერების სტანდარტის შემდეგ მიმართულებებს: წაკითხულის გაგება-გააზრება, წერა.**

#### მეთოდის აღწერა:

„მოთხრობის (ამბის) რუკა“ ერთ-ერთი ეფექტური მეთოდია მოსწავლეებისთვის გააზრებული კითხვის პროცესში მეგზურობის გასაწევად. ეს მეთოდი იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ შესაძლებელია გამოვიყენოთ გაკვეთილის სამივე ფაზაზე: წაკითხვამდე (ანუ I ფაზაზე), რათა მოსწავლეებმა შეძლონ წინასწარი ვარაუდების გამოთქმა ნაწარმოების პერსონაჟების, გარემოებების, სიუჟეტის შესახებ; უშუალოდ წაკითხვის დროს (გაკვეთილის II ფაზაზე) - მოსწავლეები კითხვის პროცესში აკეთებენ ამა თუ იმ ნაწარმოების მნიშვნელოვანი დეტალების სტრუქტურირებულ ჩანაწერს; წაკითხვის შემდგომ (III ფაზაზე) მისი გამოყენება კი მოსწავლეებს მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს წერის პროცესში, ხელს შეუწყობს „გონებრივი იერიშის“ შედეგად გამოთქმული მოსაზრებების კონსტრუირებაში.

#### მეთოდის გამოყენების საფეხურები:

1. დახაზეთ მოთხრობის (ამბის) რუკა დაფაზე.

#### მოთხრობის (ამბის) რუკის ნიმუში

სათაური: \_\_\_\_\_

პერსონაჟები:

\_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_

გარემოებები:

\_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_

პრობლემა: \_\_\_\_\_

\_\_\_\_\_

მოვლენა №1 \_\_\_\_\_

\_\_\_\_\_

მოვლენა №2 \_\_\_\_\_

\_\_\_\_\_

მოვლენა №3 \_\_\_\_\_

\_\_\_\_\_

შეჯამება \_\_\_\_\_

\_\_\_\_\_

2. ხმამაღლა წაიკითხეთ მოთხრობის სათაური და სთხოვეთ მოსწავლეებს ივარაუდონ, რის შესახებ შეიძლება იყოს იგი. გამოთქმული ვარაუდები პერსონაჟების, გარემოებებისა და პრობლემის შესახებ ჩანერეთ შესაბამის გრაფებში. მნიშვნელოვანია, რომ ჩაინიშნოთ ყველა განსხვავებული მოსაზრება.

3. ხმამაღლა წაიკითხეთ (ან მოსწავლეებმა ჩუმად წაიკითხონ) მოთხრობის პირველი ნაწილი.

4. სთხოვეთ მოსწავლეებს, დაუბრუნდნენ ვარაუდებით შევსებულ მოთხრობის რუკას. ჰკითხეთ, ხომ არ სურთ შეცვალონ/შეავსონ თავიანთი მოსაზრებები. სთხოვეთ მათ, ხმამაღლა წაიკითხონ ტექსტიდან ის მონაკვეთები, რომელთა საფუძველზეც გადანყვიტეს საკუთარი ვარაუდების შეცვლა. მსჯელობის შემდეგ შეიტანეთ დაფაზე დახაზულ რუკაში შესაბამისი ცვლილებები.

5. ხმამაღლა წაიკითხეთ (ან მოსწავლეებმა ჩუმად წაიკითხონ) მოთხრობის შემდეგი მონაკვეთი.

6. დაუბრუნდით მოთხრობის რუკას, კვლავ განაგრძეთ არსებული ვარაუდების გადახედვა და რუკის ახალი ინფორმაციით შევსება.

7. გაიმეორეთ ეს პროცედურა მანამდე, ვიდრე მოთხრობა არ დასრულდება.

8. როდესაც მოსწავლეები კითხვას მთლიანად დაასრულებენ, სთხოვეთ მსურველებს, ხმამაღლა შეაჯამონ ნაწარმოები რუკაში თავმოყრილ ინფორმაციაზე დაყრდნობით.

### მოთხრობის (ამბის) პირამიდა

მეთოდი შეესაბამება წიგნიერების სტანდარტის შემდეგ მიმართულებებს:  
წაკითხულის გაგება-გააზრება, წერა.

#### მეთოდის აღწერა:

„მოთხრობის (ამბის) პირამიდა“ კარგი საშუალებაა მოთხრობის დანერის მოსამზადებელ პერიოდში იდეების გენერირებისათვის. ის შეიძლება ჩატარდეს ჯგუფებში, როგორც კითხვის თანმხლები აქტივობა, ან განხორციელდეს ინდივიდუალურადაც. შედეგად კი მივიღებთ მოთხრობის გეგმას, რომელსაც წერის პროცესში მოსწავლეები ქარგად გამოიყენებენ.

#### მეთოდის გამოყენების საფეხურები:

1. დახაზეთ მოთხრობის (ამბის) პირამიდა დაფაზე (ან გააკარით ფორმატზე წინასწარ მომზადებული ნახაზი) და დანერეთ მოთხრობის საცდელი სათაური. სასურველია, რომ მოთხრობის თემა დაკავშირებული უნდა იყოს კლასში ახლახან წაკითხულ ტექსტთან, ეს საშუალებას მოგცემთ მეტად სიღრმისეულად დააბრუნოთ მოსწავლეები უკვე განხილულ საკითხებთან და მისცეთ ინტერპრეტაციის საშუალება.

2. განუმარტეთ მოსწავლეებს, რომ მოთხრობის (ამბის) პირამიდა მნიშვნელოვნად დაეხმარებათ თხზვის პროცესის დაწყებაში.

3. პირამიდის თითოეული საფეხურისთვის დაფაზე ჩამონერეთ შემდეგი მითითებები:

- მთავარი გმირის სახელი;
- ორი სიტყვა, რომლებიც ახასიათებს მთავარ პერსონაჟს;
- სამი სიტყვა, რომლებიც აღწერს გარემოებას;
- ოთხი სიტყვა, რომლებითაც აღინერება პრობლემა/მიზანი (ნაწარმოების მთავარი იდეა) (სასურველია, თუ ეს დაკავშირებული იქნება ახლახან განხილული ნაწარმოების თემატიკასთან/გმირთან);
- ხუთი სიტყვა, რომლებიც აღწერს პირველ მოვლენას;
- ექვსი სიტყვა, რომლებიც აღწერს მეორე მოვლენას;
- შვიდი სიტყვა, რომლებიც აღწერს მესამე მოვლენას;
- რვა სიტყვა, რომლებიც გამოხატავს პრობლემის შეჯამებას.

მოთხრობის (ამბის) პირამიდის ნიმუში

1. \_\_\_\_\_

2. \_\_\_\_\_

3. \_\_\_\_\_

4. \_\_\_\_\_

5. \_\_\_\_\_

6. \_\_\_\_\_

7. \_\_\_\_\_

8. \_\_\_\_\_

4. სთხოვეთ მოსწავლეებს, ჯგუფებში/ინდივიდუალურად შეავსონ გრაფები თქვენ მიერ ჩამონერვილი მითითებების შესაბამისად.

5. მოსწავლეთა მუშაობის პროცესში, მასწავლებელმა, უმჯობესია, იაროს კლასში და, საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი რჩევები მისცეს მოსწავლეებს.

6. პირამიდის შევსების დასრულების შემდეგ შესთავაზეთ რამდენიმე მსურველს, გაუზიაროს კლასს ნამუშევარი და სთხოვეთ განგიმარტოთ, რატომ მიიპყრო მათი ყურადღება ამა თუ იმ კონკრეტულმა პრობლემამ.

თუკი მოსწავლეებმა პირამიდა ჯგუფურად შეავსეს, მიშენლოვანია, რომ ყველა ჯგუფს მიეცეს ნამუშევრის წარმოდგენის საშუალება.

**შენიშვნა:**

„მოთხრობის (ამბის) რუკა“ და „მოთხრობის (ამბის) პირამიდა“ მასწავლებელმა შეიძლება გამოიყენოს არაერთი მიზნით: განუვითაროს მოსწავლეებს გმირის გამოკვეთის, პერსონაჟთა ამა თუ იმ ნიშნით დაჯგუფების უნარი, მოაძებნინოს პრობლემის გადაჭრის გზები და დაეხმაროს მათ მოვლენათა ჯაჭვის მთლიანობის აღქმაში.



## ვენის დიაგრამა

მეთოდი შეესაბამება წიგნიერების სტანდარტის შემდეგ მიმართულებებს:  
ლექსიკური მარაგის გამდიდრება, წაკითხულის გაგება-გააზრება, წერა.


### მეთოდის აღწერა:

„ვენის დიაგრამა“ ერთ-ერთი იმ მეთოდთაგანია, რომლებიც გამოიყენება ინფორმაციის შედარებისა და შეპირისპირებისათვის. გაკვეთილის I ფაზაზე, ანუ წაკითხვამდე ის შეიძლება გამოყენებული იყოს, როგორც ერთგვარი შემზადება შესასწავლი საკითხის შესახებ ვარაუდების გამოსათქმელად (მაგ., რით შეიძლება ჰგავდეს ან განსხვავდებოდეს ორი ქალაქი). გაკვეთილის II ფაზაზე (უშუალოდ კითხვის პროცესში) ვენის დიაგრამა გამოიყენება ინფორმაციის ჩასანიშნად, ერთგვარი გრაფიკის, ორგანიზებული ჩანაწერის გასაკეთებლად. III ფაზაზე (წაკითხვის შემდგომ) კი ამ მეთოდის გამოყენება მოსწავლეებს ეხმარება ახლად შესწავლილი საკითხის შესახებ მიღებული ინფორმაციისა და მოსაზრებების შეჯამებაში, კონსტრუირებაში.

„ვენის დიაგრამა“ გამოიყენება როგორც მხატვრულ, ისე ინფორმაციულ ტექსტებზე სამუშაოდ. ის განსაკუთრებით ეფექტურია მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების უნარის ხელშესაწყობად (შედარება/კონტრასტი/ანალიზი). ეს მეთოდი ასევე ნაყოფიერად შეიძლება გამოვიყენოთ ლექსიკური მარაგის გასამდიდრებლად, მთავარი გმირების, ადგილების ან საგნების აღსაწერად. ამასთან, მას დიდი დახმარების განევა შეუძლია მოსწავლეებისთვის წერის პროცესში – წაკითხული მასალის შეჯამებისა და თავებად (აბზაცებად) კონსტრუირების თვალსაზრისით.

### მეთოდის გამოყენების საფეხურები:

1. დახაზეთ დაფაზე ორი ურთიერთგადამკვეთი ოვალი, ისე, როგორც ეს ქვემოთაა ნაჩვენები:



2. თითოეულ ოვალს დაწერეთ იმ ადამიანების, ადგილების, საგნებისა თუ მოვლენების სახელები, რომელთა ერთმანეთთან შეპირისპირებასაც აპირებთ.



3. სთხოვეთ მოსწავლეებს, ჩამოწერონ თითოეული შესაძარებელი ობიექტისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ნიშნები. შემდეგ ეს ჩამონათვალი ჩანერეთ შესაბამის ოვალში.

4. ამის შემდეგ სთხოვეთ მოსწავლეებს, გააკეთონ შესაძარებელი ობიექტების საერთო მახასიათებლების სია, რომელიც უნდა ჩანეროთ იქ, სადაც ორი ოვალი კვეთს ერთმანეთს.

5. ხმამაღლა წაკითხეთ (ან სთხოვეთ მოსწავლეებს, ჩუმად წაკითხონ) ტექსტის პირველი მონაკვეთი, შემდეგ კი მიუბრუნდნენ შევსებულ ვენის დიაგრამას და გადახედონ თავიანთ მოსაზრებებს. სთხოვეთ განმარტონ, რამ უბიძგა თავიანთი პირვანდელი იდეების უცვლელად დატოვებისა თუ შეცვლა-ჩასწორებისკენ.

6. ხმამაღლა წაკითხეთ (ან სთხოვეთ მოსწავლეებს, ჩუმად წაკითხონ) ტექსტის მეორე მონაკვეთი. შეავსეთ ვენის დიაგრამა ახალი მოსაზრებებით.

განაგრძეთ ამგვარად, ვიდრე ტექსტის წაკითხვას მთლიანად არ დაასრულებთ.

### სიტყვების გამომძიებელი

**მეთოდი შეესაბამება წიგნიერების სტანდარტის შემდეგ მიმართულებებს: ლექსიკური მარაგის გამდიდრება, წაკითხულის გაგება-გააზრება, წერა.**

**მეთოდის აღწერა:**

„სიტყვების გამომძიებელი“ ეფექტური მეთოდია მოსწავლეებისთვის უცხო/მნიშვნელოვანი სიტყვების განსამარტად, მათი შინაარსის არა განყენებულად, არამედ სემანტიკურ კონტექსტში საჩვენებლად. ეს მეთოდი საშუალებას იძლევა მარტივად და ძალდაუტანებლად გავამდიდროთ მოსწავლეების ლექსიკური მარაგი. იგი შეიძლება გამოყენებული იყოს გაკვეთილის I ანუ წაკითხვამდე ფაზაზე, რათა წინასწარ დავადგინოთ, რამდენად გასაგები იქნება ბავშვებისათვის წასაკითხ ტექსტში გამოყენებული უცხო/მნიშვნელოვანი/საკვანძო სიტყვები. მეთოდის გამოყენება შესაძლებელია III - წაკითხვის შემდგომ ფაზაზეც, იმის შესაფასებლად, რამდენად შეუძლიათ მოსწავლეებს ახლად შესწავლილი სიტყვების პრაქტიკაში, კონტექსტური გამოყენება.

### **მეთოდის გამოყენების საფეხურები:**

1. ჩამონერეთ დაფაზე რამდენიმე უცხო/მნიშვნელოვანი სიტყვა იმ ტექსტიდან, რომელზეც აპირებთ მუშაობას (ან უკვე დაამუშავეთ). სთხოვეთ მოსწავლეებს, ამოარჩიონ ერთ-ერთი სიტყვა და მისი გამოყენებით შეადგინონ წინადადება საკუთარ თავზე. სასურველია, თუ წინადადება ამა თუ იმ სახით სამუშაო ტექსტთან იქნება კავშირში.
2. სთხოვეთ თითოეულ მოსწავლეს, რომ ყურში ჩაუჩურჩულოს წინადადება გვერდით მჯდომს.
3. შესთავაზეთ მსურველებს, ხმამაღლა გამოთქვან თავიანთი/გვერდით მჯდომის წინადადება.
4. ჩამონერეთ წინადადებები დაფაზე და კიდევ ერთხელ ნაიკითხეთ მოსწავლეებთან ერთად.

### **წასვლისწინა ბარათები (exit cards)**

**მეთოდი შეესაბამება ნიგნიერების სტანდარტის შემდეგ მიმართულებებს: ნაიკითხულის გაგება-გააზრება, წერა.**

#### **მეთოდის აღწერა:**

„წასვლისწინა ბარათები“ არის მოსწავლეებსა და მასწავლებელს შორის წერილობითი კომუნიკაციის ერთ-ერთი ფორმა, რომელიც, ამავე დროს, მასწავლებლისთვის ყოველდღიური უკუკავშირის მიღების მნიშვნელოვან საშუალებას წარმოადგენს, მოსწავლეებს კი დღის განმავლობაში გამოყენებულ აქტივობებზე რეფლექსიისკენ უბიძგებს. ბარათები ანონიმური უნდა იყოს. მასწავლებელმა ისინი გაკვეთილის დასრულების შემდეგ უნდა ნაიკითხოს, მომდევნო დღეს კი, გაკვეთილის დასაწყისში, კომენტარებით გამოეხმაუროს მათ. „წასვლისწინა ბარათები“ უნდა იყოს მოკლე, წერისკენ მიმართული აქტივობა და მის შესრულებას არ უნდა დაეთმოს ათ წუთზე მეტი. ქვემოთ მოცემულია წერისას მოსწავლეებისათვის ბიძგის მიმცემი რამდენიმე ეფექტური შეკითხვა. მასწავლებელი ამ შეკითხვებს ჩამონერს დაფაზე, მოსწავლეებმა კი თავიანთი პასუხები უნდა დაწერონ პატარა ფურცლებზე და დატოვონ ოთახიდან გასვლისას.

1. დაწერეთ ერთი მნიშვნელოვანი რამ, რაც დღევანდელ გაკვეთილზე ისწავლეთ.

2. დაწერეთ ერთი შეკითხვა, რომელიც გაგიჩნდათ დღეს მოსმენილის ან ნანახის შესახებ.

3. დაწერეთ ერთი კომენტარი, რომელიც დღევანდელი გაკვეთილის შესახებ შეგიძლიათ გააკეთოთ.

### 3.5. წერის მეთოდების ცხრილი

მეთოდი	ნარატული (თხრობითი) ტექსტი	ინფორმაციული ტექსტი	ინსტრუქციული ტექსტი	ლექსიკური მარაგი	გაგება-გააზრება	წერა	წერამდე	წერის დროს	წერის შემდეგ
წერის სახელოსნო	+	+	+		+	+	+	+	+
“რაფთი”	+	+	+		+	+	+	+	+
სამწუთიანი ესეი	+	+			+	+	+	+	+
„ბრილიანტი“				+	+	+		+	+
მოსწავლის დღიური					+	+		+	+

### 3.6. წერის სწავლების ეფექტური მეთოდები

როგორც ცნობილია, ადამიანები სხვადასხვა მიზნითა და განსხვავებული აუდიტორიისთვის წერენ, მათი ნაწერი მკითხველისთვისაა განკუთვნილი, რაც ნიშნავს, რომ წერა და კითხვა ერთი პროცესის ორი ურთიერთგადაჯაჭვული მხარეა. სწორედ ამიტომაა მნიშვნელოვანი, რომ საკლასო ოთახში წერა და კითხვა კომბინირებულად ისწავლებოდეს.

წერის ეფექტურ სწავლებას რამდენიმე დებულება უდევს საფუძვლად:

- მოსწავლისთვის წერის მიზანი უნდა იყოს მნიშვნელოვანი და გაცნობიერებული;
- წერის მიზანი უნდა უკავშირდებოდეს მოსწავლის პიროვნულ გამოცდილებასა და ინტერესებს;

- ნაწერი ღირებული უნდა იყოს ავტორი-მოსწავლისთვის, მასწავლებლისა და სხვა მოსწავლეებისათვის;
- წერამ უნდა წაახალისოს სწავლის პროცესი;
- წერამ მოსწავლეებს უნდა გაუღვიძოს სწავლის მოტივაცია და ხელი შეუწყოს ახალი ცოდნის კონსტრუქციას.

ამ ქვეთავში ჩვენ განვიხილავთ წერის პროცესს, მის მრავალფეროვან ფორმებსა და მეთოდებს.

წერის პროცესის ეფექტურ განხორციელებას შესაბამისი ინტელექტუალური და ფიზიკური გარემო სჭირდება, სადაც მოსწავლეები საკუთარ თავს „მწერლებად“ აღიქვამენ. მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებს შეეძლოთ უსაფრთხო გარემოში, გაბედულად გადმოიტანონ ფურცელზე თავიანთი აზრები, მიიღონ შესატყვისი კომენტარები და რჩევები როგორც მასწავლებლისგან, ისე სხვა მოსწავლეებისაგან.

საჭიროა, რომ მოსწავლეებმა ხშირად წერონ. წერითი ამოცანები მრავალფეროვანი უნდა იყოს. ისინი უნდა შეეხებოდეს განსხვავებულ თემებს/საკითხებს, მიმართავდეს სხვადასხვა აუდიტორიას და სრულდებოდეს განსხვავებულ ფორმატში.

განსაკუთრებული როლი ენიჭება მასწავლებელს, როგორც კარგი „მწერლის“ მოდელს. მოსწავლეებს აუცილებლად სჭირდებათ წერის ეფექტურ მეთოდებზე „ცოცხალ“ რეჟიმში დაკვირვება, რათა თავადაც მოსინჯონ ისინი და ნაბიჯ-ნაბიჯ შეძლონ მათი დამოუკიდებლად გამოყენება.

წერას სჭირდება ადეკვატური დრო და ადგილი. სასურველია, რომ მასწავლებელმა გარკვეული დრო გამოყოს საკლასო წერითი აქტივობებისთვის. წერის უნარის დაუფლებაზე ორიენტირებულ კლასში მრავლად უნდა იყოს როგორც მრავალფეროვანი საკითხავი ლიტერატურა, ისე წერისა და რედაქტირებისათვის გამოსადეგი დამხმარე მასალა.

წერის სწავლება/სწავლის მეთოდები და აქტივობები ორ დიდ კატეგორიად - ფორმალურ და არაფორმალურ მეთოდებად იყოფა. წერის ფორმალური მეთოდები მოიცავს ფართოდ გავრცელებული, სტანდარტული ფორმატის ნამუშევრების შექმნას (თხზულება, მოთხრობა, ესეი, წერილი, ანგარიში, ლექსი და სხვ.). არაფორმალური მეთოდები ეხმარება მოსწავლეს იდეების გენერირებასა და ორგანიზებაში, საკითხების გაგება-გააზრებასა და ახალი ცოდნის შექმნაში (გონებრივი იერიში, სემანტიკური ან გონებრივი რუკები, დღიურები, გრაფიკული სქემები და სხვ.).

## წერის პროცესი

უკანასკნელ ათწლეულებში ფართოდ გავრცელდა წერის სწავლების ერთი კონკრეტული მიდგომა, რომელმაც მნიშვნელოვნად გაამდიდრა და გააუმჯობესა წერის სწავლება-სწავლა. ამ მიდგომას „წერის პროცესს“ უწოდებენ. წერის პროცესი გულისხმობს მოსწავლის (დამწერის) მიერ თანმიმდევრულად დალაგებული საფეხურების გავლას. წერის პროცესი ეფექტურად გამოიყენება ნებისმიერი ასაკის მოსწავლეებთან, 7-8 წლის ასაკიდან მოყოლებული.

### წერის პროცესის ხუთი საფეხური:

1. იდეების გენერირება წერის დაწყებამდე;
2. პირველი ვარიანტის დაწერა;
3. გადამუშავება და დახვეწა საბოლოო ვარიანტის შექმნამდე;
4. რედაქტირება;
5. გამოქვეყნება /გაზიარება.

### 1. იდეების გენერირება წერის დაწყებამდე

ეს საფეხური მოიცავს ყველა იმ მოქმედებას, რომელსაც დამწერი უშუალოდ წერის დაწყებამდე ასრულებს. ამ დროს მოსწავლე წერის დაწყებისთვის ემზადება.

ამ საფეხურზე დამწერი მრავალფეროვან საქმიანობას ასრულებს. მაგალითად:

- იღებს გადაწყვეტილებას, თუ რის შესახებ დაწერს;
- განსაზღვრავს მკითხველთა აუდიტორიას, ანუ ვინ წაიკითხავს ნაწერს;
- იყენებს გონებრივ იერიშს თემის შესახებ ინდივიდუალურად ან სხვებთან ერთად;
- ჩამოწერს, სად შეიძლება თემასთან დაკავშირებული ინფორმაციის მოძიება;
- გამოიკვლევს საკითხს;
- ხატავს, ქმნის თემატურ სქემას;
- ჩამოთვლის ყველაფერს, რაც თხზულების შინაარსს უკავშირდება;
- ქმნის სემანტიკურ ან ასოციაციურ რუკას.

## 2. პირველი ვარიანტის დანერა

ამ საფეხურზე მოსწავლე:

- საკუთარი სიტყვებით წერილობით გადმოსცემს თხზულების შინაარსს;
- წერს წინადადებებსა და აბზაცებს;
- კითხულობს საკუთარ ნაწერს და აფასებს, რამდენად გადმოსცემს დანერილი ტექსტი მის სათქმელს;
- უჩვენებს ნაწერს სხვებს, რათა მიიღოს კონსტრუქციული კომენტარები და რჩევები მის დასახვედრად.

## 3. გადამუშავება / დახვეწა

ამ საფეხურზე მოსწავლე:

- კვლავ უბრუნდება ნაწერს და კითხულობს მას;
- დაფიქრდება უკუკავშირსა და რჩევებზე;
- გადააკეთებს სიტყვებსა და წინადადებებს;
- ამოიღებს ან ჩაამატებს მონაკვეთებს;
- ჩაანაცვლებს ან ამოიღებს ზედმეტად გამოყენებულ ან გაუგებარ სიტყვებს/ფრაზებს;
- ხმამაღლა კითხულობს ნაწერს, რათა დარწმუნდეს, რომ ტექსტი მონესრიგებულია.

## 4. რედაქტირება

ამ საფეხურზე მოსწავლე:

- გადაამოწმებს, რამდენად გამართულია ყველა წინადადება;
- შეასწორებს მართლწერასა და პუნქტუაციას;
- ასწორებს გრამატიკულ და ორთოგრაფიულ შეცდომებს;
- შეცვლის არასწორად დანერილ სიტყვებს;
- წააკითხებს ნაწერს სხვას;
- ჩაასწორებს ტექსტს სალიტერატურო ენის ნორმების გათვალისწინებით;
- აკეთებს კორექტურას;
- გადანერს ნაწერს სუფთად.

## 5. გამოქვეყნება / გაზიარება

ამ საფეხურზე მოსწავლე:

- ხმამაღლა უკითხავს ნაწერს კლასს/ჯგუფს;
- ქმნის აკინძულ წიგნს საკუთარი ნაშრომისაგან;
- უგზავნის ნაწერს მეგობრებს/თანაკლასელებს;
- ნაწერის მიხედვით ქმნის ილუსტრაციებს, მუსიკას, წარმოდგენას.

### წერის სახელოსნო

**მეთოდი შეესაბამება წიგნიერების სტანდარტის შემდეგ მიმართულებებს: წაკითხულის გაგება-გააზრება, წერა.**

#### მეთოდის აღწერა:

„წერის სახელოსნო“ არის საგანგებო დრო, როდესაც მოსწავლეებს საშუალება აქვთ, განსაზღვრონ თემა და მიზანი, რის შესახებაც უნდა შეასრულონ წერითი დავალება. ამგვარი დავალება შეიძლება კვირაში რამდენჯერმე შესრულდეს ინდივიდუალურად ან ჯგუფურად. „წერის სახელოსნოში“ მასწავლებელი და მოსწავლეები ერთობლივად, აქტიურად ერთვებიან წერის პროცესში. მასწავლებელი ფასილიტატორისა და მწვრთნელის როლს ასრულებს. მოსწავლეები წერენ და ეხმარებიან ერთმანეთს წერის პროცესში.

#### მეთოდის გამოყენების საფეხურები:

„წერის სახელოსნო“ რამდენიმე ძირითადი კომპონენტისგან შედგება. ესენია:

##### 1. სწავლება

- ერთობლივი წერა (მასწავლებელი და მოსწავლეები ერთობლივად წერენ);
- მინი-გაკვეთილი (მასწავლებელი უჩვენებს მოსწავლეებს, როგორ დაწერონ აბზაცი, წინდადება, მოსაზრება და ასე შემდეგ);
- დემონსტრირება (მასწავლებელი უჩვენებს და მოუთხრობს მოსწავლეებს საკუთარი წერის პროცესის შესახებ).



## 2. დამოუკიდებლად წერა



- მოსწავლეები ასრულებენ წერით დავალებას;
- მასწავლებელიც წერს;
- მოსწავლეები იღებენ უკუკავშირს მასწავლებლისგან;
- მოსწავლეები საუბრობენ ერთმანეთის ნამუშევრების შესახებ.

## 3. მოსწავლეთა ნამუშევრების გაზიარება



- ნაწერის გაზიარება სხვადასხვა ფორმატში ხორციელდება (მაგ., ორი მოსწავლე წარუდგენს აუდიტორიას პოსტერებს, მოსწავლე ხმამაღლა უკითხავს აუდიტორიას საკუთარ ნაწერს, მოსწავლეთა ჯგუფი ასრულებს მცირე დრამას);
- მთელი კლასი იკრიბება წერითი დავალების გაზიარების მიზნით.

### მასწავლებლისა და მოსწავლეების გაზამკვეთი 5-აბზაციანი თხზულების დასაწერად

ქვემოთ მოცემული სქემა მოსწავლეებს დაეხმარება ეფექტური თხზულების წერის სწავლაში.

	<p><b>ავნიით ხელი და გავშალთ თითები!</b>                  მოდი, დავენოთ თხზულება, რომელიც ხუთი „ხარისხიანი“, თანმიმდევრული და ეფექტური აბზაციდან შედგება.</p>
	<p><b>ავნიით ცერა თითი!</b>                  ეს ნიშნავს, რომ თქვენ დაინყებთ პირველი, შესავალი აბზაცი. ის მკითხველის ინტერესს გამოიწვევს და გაუჩენს სურვილს, რომ კითხვა გააგრძელოს. ამ აბზაცში თქვენ ეტყვიან მკითხველს, რის შესახებ არის ტექსტი, ანუ რა არის თხზულების თემა. იმისათვის, რომ ეს აბზაცი ხარისხიანი გამოვიდეს, ის უნდა იწყებოდეს თემატური წინადადებით, რომელსაც რამდენიმე დამხმარე წინადადება მოსდევს. ამ აბზაცს ხშირად თხზულების დასაწყისსაც უწოდებენ. თემატური წინადადება გამოხატავს თხზულების თემასთან დაკავშირებულ ძირითად აზრს/იდეას, ან ავტორის აზრს თხზულების ძირითადი საკითხის შესახებ. დამხმარე წინადადებები გადმოსცემს არგუმენტებს, ფაქტებს, დეტალებს, რომლებიც ასაბუთებს თემატურ წინადადებას და მნიშვნელოვან დამატებით ინფორმაციას აწვდის მკითხველს.</p>



	<p><b>აგნიოთ სამი შუა თითი (საჩვენებელი, შუა და არათითი)!</b> ეს ნიშნავს, რომ კიდევ სამ აბზაცს დავწერთ. ისინი თქვენს აზრებს გადმოსცემს პირველ აბზაცში მოცემულ თემაზე, განავრცობს და გააძლიერებს თქვენს პირველ აბზაცს. ამ ნაწილს თხზულების შუა ნაწილსაც უწოდებენ.</p>
	<p><b>აგნიოთ ნეკა თითი!</b> ეს ნიშნავს, რომ თქვენ უნდა დაასრულოთ და შეაჯამოთ ის, რაც წინა აბზაცებში თქვით. კარგი თხზულება ისეთი აბზაცებისგან უნდა შედგებოდეს, რომლებიც მჭიდროდ უკავშირდება ერთმანეთს. ბოლო აბზაცში სხვა სიტყვებით უნდა გავიმეოროთ ის, რაც წინა აბზაცებში დაინერა. ეს აბზაცი თხზულებას ასრულებს. მას თხზულების ბოლოსაც უწოდებენ.</p>

## წერის 6 ძირითადი ასპექტი

წერის სწავლებასა და სწავლაში დღეს ფართოდ გავრცელებულია წერა 6 ძირითადი ასპექტის მიხედვით. ესენია:

1. იდეები/აზრები და შინაარსი
2. ორგანიზება
3. ტონი და სტილი
4. წინადადების გამართვა
5. სიტყვების შერჩევა
6. მართლწერა

ქვემოთ მოცემულია თითოეული ასპექტის მოკლე მიმოხილვა და მათი განსავითარებელი მნიშვნელოვანი აქტივობები.

### 1. იდეები/აზრები და შინაარსი

წერა იდეების/აზრების გენერირებით იწყება. წერის მთავარი მიზანი სწორედ ამ იდეებისა და შინაარსის გადმოცემაა. ყველა ნაწერში უნდა აისახოს ავტორის გზავნილი, ადვილად მისაღვენებელი უნდა იყოს, რისი თქმა უნდა ავტორს. ქვემოთ მოცემულია რამდენიმე შეკითხვა, რომლებიც დაძწწერს იდეებისა და შინაარსის გენერირებაში დაეხმარება:

— რის თქმა მინდა? რა არის მთავარი სათქმელი? რამდენად გასაგებად და ფოკუსირებულად არის ჩამოყალიბებული ძირითადი იდეა?

— მოცემულია თუ არა მნიშვნელოვანი დეტალები მთავარი იდეის შესახებ?

— გაიგებს თუ არა რამე ახალს მკითხველი?

— არის თუ არა ნაწერი საინტერესო და ადვილად გასაგები?

აქტივობის საფეხურები:

1. ნაკითხეთ მოსწავლეებს წინასწარ მომზადებული/შერჩეული ტექსტი.

**ნიმუში:** ამ ზაფხულს დასასვენებლად ვიყავით. ძალიან ვიხალისეთ. ერთ საღამოს ტყეში წავედით. მინდორში კარავი გავშალეთ და იქ დავიძინეთ. დღისით ველოსიპედებით ვსეირნობდით. იმედი მაქვს, რომ მომავალ წელსაც წავალთ დასასვენებლად.

2. დაუსვით მოსწავლეებს შეკითხვა: რით არის ეს ამბავი საინტერესო?

3. სთხოვეთ მოსწავლეებს ჩამოწერონ შეკითხვები, რომლებიც გაუჩნდათ მოცემული ამბის ნაკითხვის შედეგად. მაგალითად:

— სად იყო დასასვენებლად წასული ამ ამბის მთხრობელი?

— კიდეც ვინ იყო იქ?

— რით იყო ეს ამბავი სახალისო?

— როგორი ამინდი იყო?

— რომელი მომენტი იყო ყველაზე დასამახსოვრებელი?

4. სთხოვეთ მოსწავლეებს დაწერონ რაიმე მათი დასვენების შესახებ. თან გაითვალისწინონ მათივე შეკითხვები.

5. შესთავაზეთ რამდენიმე მსურველს წაუკითხონ თავიანთი ნაწერი კლასს.

6. იმართება დისკუსია. ჩამოწერეთ ნაწერის ის მახასიათებლები, რომლებიც მნიშვნელოვანია ეფექტური წერისთვის. მაგალითად:

• მოსწავლემ მნიშვნელოვანი დეტალები გადმოსცა.

• ტექსტის სათქმელი გამოკვეთილია და გასაგები.

## 2. ორგანიზება

იდეების/აზრების ორგანიზება ეხმარება მკითხველს, რომ თანმიმდევრულად მიჰყვეს ტექსტს და ნაბიჯ-ნაბიჯ გაიაზროს შინაარსი. ქვემოთ მოცემულია რამდენიმე შეკითხვა, რომლებიც დაძვეს იდეების/აზრებისა და შინაარსის ორგანიზებაში დაეხმარება:

- რამდენად გამოიწვევს ასეთი დასაწყისი მკითხველის ინტერესს?
- ადვილია ნაწერისთვის აზრის მიდევნება? არის თუ არა ნაწერის ორგანიზების მოცემული ვარიანტი საუკეთესო?
- ებმის თუ არა აზრები/იდეები ძირითად გზავნილს?
- გვაქვს თუ არა დასასრული, რომელიც ეფექტურად კრავს შინაარსს?

### აქტივობის საფეხურები:

1. სთხოვეთ მოსწავლეებს, წაიკითხონ შეთავაზებული ტექსტი.

**ნიმუში:** ამასობაში კი მგლებმა ყველა ცხვარი შეუჭამეს. მალე ყველამ გაიგო მატყუარა მწყემსის ამბავი და აღარავინ უჯერებდა. მწყემსი ტიროდა, ეს რა დამემართა, როგორ დამაკარგვინა ტყუილმა მთელი ფარაო. იმ დღის შემდეგ მწყემსი გამოსწორდა და ტყუილი აღარ უთქვამს. მეცხვარეები თოფებით მოცვივდებოდნენ ხოლმე დასახმარებლად, ბიჭი კი მათ დანახვაზე გულიანად იცინოდა და ეუბნებოდა, მოგატყუეთო. ბევრი იყვირა ბიჭმა, მიშველეთ, ნამდვილად მიჭირსო, მაგრამ არც ერთმა მეცხვარემ აღარ დაუჯერა და არავინ მივიდა დასახმარებლად. ერთხელაც მართლა დაესხნენ მგლები მის ფარას თავს. ფარას რომ ყარაულობდა, უცბად აყვირდებოდა ხოლმე, მგელი მოვიდა, მიშველეთო. იყო ერთი მწყემსი ბიჭი, რომელიც მუდამ იტყუებოდა.

2. დაუსვით მოსწავლეებს შეკითხვა:

- ხომ არ გაგიჭირდათ ამბის წაკითხვა და აზრის მიდევნება? რატომ?
- იმიტომ, რომ შინაარსი კარგად არ არის ორგანიზებული. აზრები და წინადადებები თანმიმდევრულად არ არის დალაგებული.

3. სთხოვეთ მოსწავლეებს, რომ თანმიმდევრულად დააღაგონ წინადადებები და ააწყონ ტექსტი ისე, რომ შინაარსი გასაგები იყოს.

### 3. ტონი და სტილი

მწერლის ტონი არის ის, რაც ნაწერს პიროვნულ განზომილებას, თავისებურებასა და ინდივიდუალურ სტილს ანიჭებს. ქვემოთ მოცემულია რამდენიმე შეკითხვა, რომელიც დამწერს ტონის შერჩევაში დაეხმარება:

- შეიძლება თუ არა ითქვას, რომ დამწერს ნამდვილად აინტერესებს თემა?
- იგრძნობა თუ არა, რომ ტექსტი სწორედ ამ ავტორს ეკუთვნის?
- რა გრძნობის გამოწვევას ცდილობს ავტორი?
- ახერხებს თუ არა ნაწერი მკითხველის ყურადღების შენარჩუნებას? გაუჩნდება თუ არა მკითხველს სურვილი, რომ მეტი გაიგოს?

#### აქტივობის საფეხურები:

1. სთხოვეთ მოსწავლეებს, რომ წაიკითხონ ორი სხვადასხვა ნაწერი და გადანწყვიტონ, რომლის ავტორი ახერხებს უკეთ მკითხველის ყურადღების გამოწვევას და შენარჩუნებას.

**ნიმუში 1:** *მე მეგობრებთან ერთად მდინარეზე წავედი. ერთმა მეგობარმა თავისი ძაღლიც წამოიყვანა. გარეთ ძალიან ცხელოდა. ჩვენ მდინარეში ვიბანავით. ძაღლმაც ჩვენთან ერთად იბანავა და ძალიან მოეწონა. კარგად გავერთეთ და საღამოს უკან დავბრუნდით.*

**ნიმუში 2:** *ზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს მე და ჩემი მეგობრები მდინარეზე საბანაოდ წავედით. ერთმა ჩემმა მეგობარმა თან თავისი ჭკვიანი ძაღლიც წამოიყვანა, რომელიც ყველგან თან დაჰყვებოდა. მზე აცხუნებდა, ჩიტები ჭიკჭიკებდნენ და ნამდვილი საბანაო ამინდი იყო. მდინარესთან რომ მივედით, ჟრიაბულით შევცვივდით წყალში. ძაღლიც მხიარული ყეფით შემოგვეყვა და ჩვენთან ერთად ჭყუმპალაობდა. ყველამ ბევრი ვიცინეთ და ძალიან კარგად გავერთეთ. როცა ბანაობით გული ვიჯერეთ, მზეზე გავშრიით. როცა მოსაღამოვდა და ძალიან მოგვშივდა, შინისაკენ გამოვეშურეთ.*

2. ორივე ტექსტის წაკითხვის შემდეგ დაუსვით მოსწავლეებს შეკითხვა:

- რომელი მოთხრობა იკითხებოდა უფრო საინტერესოდ და სასიამოვნოდ?

მეორე ამბავში ავტორის ტონი გამოკვეთილად გამოხატული. ავტორის ენთუზიაზმი დაეხმარა მკითხველს, უკეთ წარმოედგინა მოვლენები.

#### 4. გამართული წინადადებები

გამართული წერა რიტმით გამოირჩევა. წინადადებებს განსხვავებული სიგრძე და სტრუქტურა აქვს. ასეთი ტექსტის ხმამაღლა წაკითხვა სასიამოვნოა. ქვემოთ მოცემულია რამდენიმე შეკითხვა, რომლებიც დამწერს გამართულად წერაში დაეხმარება:

5. რამდენად ადვილად იკითხება ტექსტი?
6. წინადადებები განსხვავებულად იწყება?
7. გამოყენებულია გრძელი და მოკლე წინადადებები?
8. ხმამაღლა კითხვის დროს ნაწერი გაბმულად ისმის?

#### აქტივობის საფეხურები:

1. სთხოვეთ მოსწავლეებს, რომ წაკითხონ ტექსტი.

**ნიმუში:** ჩემი ძალი შავია. მას ერთ ყურზე ყავისფერი ლაქა აქვს. ის მეგობრულია. მას უყვარს აბაზანაში ცურვა. როცა ვბანთ, ყველას გვწუნავს. მას უყვარს გასეირნება. მე მიყვარს ჩემი ძალი.

2. ყურადღება გაამახვილეთ, რომ ტექსტში წინადადებების უმრავლესობა ერთნაირად იწყება. შემდეგ სთხოვეთ მოსწავლეებს, რომ მოიფიქრონ ამ წინადადებების გადაკეთების გზები, რათა ტექსტი უფრო ადვილად იკითხებოდეს და ხმამაღლა წაკითხვისას უფრო საინტერესოდ ჟღერდეს.

3. შესთავაზეთ რამდენიმე მოსწავლეს, რომ ხმამაღლა წაკითხონ საკუთარი ნაწერი კლასს. გამართეთ დისკუსია.

4. ხაზგასმით აღნიშნეთ, რომ ამჯერად წინადადებები განსხვავებულად იწყებოდა და მეტ დეტალებს შეიცავდა. ამიტომ ტექსტი უფრო საინტერესო იყო მკითხველისთვის.

5. მსჯელობის დასრულების შემდეგ სთხოვეთ მოსწავლეებს, რომ დაწერონ ტექსტი აქტივობის დროს განხილული საკითხების გათვალისწინებით.

#### შენიშვნა:

შესაძლებელია, რომ დისკუსიის გამართვასა და საკუთარი ვერსიის დაწერამდე მოსწავლეებმა მეორე, უფრო გამართული ტექსტიც წაკითხონ.

## 5. სიტყვების შერჩევა და გამოყენება

კონკრეტული სიტყვები, რომლებსაც ავტორი იყენებს, ქმნის მკაფიო სურათ-ხატებს, იპყრობს მკითხველის ყურადღებას და ტექსტს დასამახსოვრებელს ხდის. ქვემოთ მოცემულია რამდენიმე შეკითხვა, რომლებიც დამწერს შესაფერისი სიტყვების შერჩევასა და გამოყენებაში დაეხმარება:

— გამოყენებულია თუ არა ისეთი ზმნები ან ხატოვანი ფრაზები, რომლებიც მკითხველის ყურადღებას მიიპყრობს?

— გამოყენებულია თუ არა განსხვავებული, გამორჩეული სიტყვები?

— მეტად ხშირად ხომ არ არის გამეორებული ჩვეულებრივი სიტყვები?

### აქტივობის საფეხურები:

1. სთხოვეთ მოსწავლეებს წაიკითხონ აბზაცი.

**ნიმუში:** *წყალთან დიდი ირემი იდგა. მან დიდ ტბაში საკუთარ ჩრდილს დახედა. იფიქრა, რომ ლამაზი იყო. ის წყლის დასაღვეად მივიდა ტბასთან.*

2. ყურადღება გაამახვილეთ იმაზე, რომ ავტორმა არცთუ საინტერესო სიტყვები გამოიყენა.

3. შემდეგ სთხოვეთ მოსწავლეებს, რომ „გონებრივი იერიშის“ გამოყენებით მოიფიქრონ სიტყვები ან ფრაზები, რომლებითაც გარკვეულ სიტყვებს ჩაანაცვლებენ და ამით ტექსტს უფრო ცოცხალსა და დასამახსოვრებელს გახდიან.

4. მოსწავლეები გადაამუშავებენ ტექსტს უფრო ზუსტი და ხატოვანი სიტყვების მოშველიებით.

5. შესთავაზეთ რამდენიმე მოსწავლეს, რომ ხმამაღლა წაუკითხონ საკუთარი ნაწერი კლასს.

6. სთხოვეთ მოსწავლეებს, შექმნან ახალი ტექსტი განხილული საკითხების გათვალისწინებით.

დასკვნის სახით მოსწავლეები ხაზს უსვამენ იმას, რომ ავტორის ტონი და სიტყვების გამოყენება ნაწერს უნიკალურს ხდის.

**„რაფთ“ მეთოდი**

მეთოდი შეესაბამება წიგნიერების სტანდარტის შემდეგ მიმართულებებს: წაკითხულის გაგება-გააზრება, წერა.

**მეთოდის აღწერა:**

წერითი დავალებების სიხშირე მოსწავლეებს უვითარებს წერის უნარ-ჩვევებს. „რაფთი“ არის მეთოდი, რომელიც ეხმარება მოსწავლეს, უკეთ გააცნობიეროს საკუთარი როლი წერის პროცესში. ამ გზით ის უკეთესად აყალიბებს იდეებს და უფრო გასაგებად გადასცემს მათ მკითხველს. ამას გარდა, „რაფთ“ მეთოდი ეხმარება მოსწავლეს, რომ ყურადღება გაამახვილოს მკითხველთა აუდიტორიაზე, წერის მრავალფეროვან ფორმატებზე და იმ თემაზე, რომელზეც წერს. მოცემული მეთოდის გამოყენებით მასწავლებელი წახალისებს მოსწავლეებს, რომ წერონ შემოქმედებითად, სხვადასხვა პერსპექტივიდან შეხედონ საკითხს და წერონ განსხვავებული აუდიტორიისთვის. აუდიტორიისა და მიზნის გაცნობიერება მნიშვნელოვანია წერის დროს.

**როლი:** ვინ ხარ შენ, როგორც ტექსტის ავტორი — ცნობილი მომღერალი, მინისტრი, ყვავილი?

**აუდიტორია/მკითხველი:** ვის სწერ — მდინარეს? საკუთარ თავს? კომპანიას?

**ფორმატი:** რა ფორმატში აპირებ წერას — დღიურის ჩანაწერის, საგაზეთო რეპორტაჟის, სასიყვარულო წერილის?

**თემა:** რის შესახებ წერ? რას ეხება შენი ნაწერი?

**მეთოდის გამოყენების საფეხურები:**

1. ესაუბრეთ და განუმარტეთ მოსწავლეებს, რომ წერის დროს სასურველია სხვადასხვა პერსპექტივის გათვალისწინება. უშუალოდ წერის დაწყებამდე ავტორს ხშირად უწევს იმაზე ფიქრი, თუ რა თემაზე სურს დაწერა, რა როლს ასრულებს თვითონ, ვინ არის მკითხველთა აუდიტორია და რა ფორმატია კონკრეტული ნაწერისთვის ყველაზე შესაფერისი.

ამის შემდეგ უთხარით მოსწავლეებს, რომ სწორედ ამ ოთხი ელემენტის მიხედვით შექმნიან წერით ნამუშევრებს.

სასურველია, რომ ჩამოთვლილი ოთხი ელემენტის აღწერა პლაკატის სახით გამოიკრას საკლასო ოთახში.



2. ნიმუშის სახით წაუკითხეთ მოსწავლეებს (ან დაურიგეთ და თავად წააკითხეთ) მოსწავლეებს წერილი, რასაც შემდეგ მოჰყვება ჩამოთვლილი ოთხი ელემენტის განხილვა.

3. საკუთარი მოდელის დემონსტრირებით აჩვენეთ მოსწავლეებს, თუ როგორ იმუშავებდით თქვენ „რაფთის“ გამოყენებით. დაფაზე ან ფორმატის ქაღალდზე ჩამოწერეთ შესაძლო თემების, როლების, მკითხველებისა და ფორმატების მაგალითებს. ჩამონათვალის შექმნის პროცესში სასურველია მოსწავლეების ჩართვა. დამატებით შეგიძლიათ იმ ძირითადი ზმნების ჩამოწერაც, რომლებიც ამა თუ იმ „რაფთ“ კომბინაციას შეესაბამება.

4. სთხოვეთ მოსწავლეებს, გაიხსენონ საინტერესო თემა, რომელზეც ბოლო დროს იმუშავეს. მნიშვნელოვანია, რომ თემის განსაზღვრის პროცესში მოსწავლეებმაც მიიღონ მონაწილეობა. ამის შემდეგ კლასი ერთობლივად განსაზღვრავს როლს, აუდიტორიასა და ფორმატს.

აქ ბევრი სხვადასხვა კომბინაციის მოფიქრება შეიძლება. ზოგჯერ მასწავლებელი ოთხივე ელემენტს თვითონ სთავაზობს მოსწავლეებს, ზოგჯერ კი – პირიქით, ოთხივე ელემენტს მოსწავლეები ირჩევენ. არსებობს შუალედური ვარიანტებიც, როცა მასწავლებელი ერთ ან ორ ელემენტს თავად წარუდგენს მოსწავლეებს, დანარჩენის განსაზღვრაში კი მათ ანიჭებს არჩევანის უფლებას. კომბინაციის ადეკვატურობა სასწავლო მიზნებზე დამოკიდებულია.

5. მოსწავლეები იწყებენ წერას (სასურველია ხუთსაფეხურიანი წერის პროცესის თანმიმდევრობის დაცვა). ეს შეიძლება ინდივიდუალურად, წყვილებში ან მცირე ჯგუფებში გაკეთდეს.

6. სასურველია, რომ წერის პროცესში მიხვიდეთ მოსწავლეებთან (წყვილებთან, ჯგუფებთან) და, საჭიროებისამებრ, ხმადაბლა მისცეთ შესაბამისი რჩევები.

7. მუშაობის დასრულების შემდეგ მოსწავლეები უზიარებენ საკუთარ ნამუშევარს კლასს. იმართება მსჯელობა. აუცილებელია მასწავლებლის უკუკავშირი.

მოსწავლეთა მუშაობის შეფასებისათვის შესაძლებელია სპეციალური რუბრიკის გამოყენება (იხ. ქვემოთ). რასაკვირველია, შეგიძლიათ რუბრიკის კრიტერიუმებისა და ინდიკატორების დამატება ან შეცვლა.



**„რაფთის“ რუბრიკის ნიმუში**

კრიტერიუმი	საუკეთესო	საშუალო	გასაუმჯობესებელი
შინაარსი	ჩანს თემის ცოდნა. ნაწერი შეიცავს მნიშვნელოვან მოსაზრებებს, ფაქტებსა და მტკიცებულებებს.	ჩანს თემის ცოდნა და გააზრების მცდელობა. მოცემულია არასაკმარისი ფაქტები და მტკიცებულებები.	ჩანს თემის ზედაპირული ცოდნა. ნაწერს აკლია ფაქტები და მტკიცებულებები.
წერის ტექნიკა	აბზაცები და წინადადებები გამართულია. სწორად არის გამოყენებული გრამატიკული წესები.	აბზაცები და წინადადებები გამართულია. სწორად არის გამოყენებული გრამატიკული წესები. არის მცირე რაოდენობით შეცდომები.	აბზაცები და წინადადებები გამართული არ არის. არის ბევრი გრამატიკული შეცდომა.
პრეზენტაცია	ნაწერი სუფთაა, ადვილად იკითხება. გამდიდრებულია დამატებითი ელემენტებით (გრაფიკი, დიაგრამა, ცხრილი, ილუსტრაციები).	ნაწერი სუფთაა, მაგრამ აკლია დამატებითი ელემენტები (გრაფიკი, დიაგრამა, ცხრილი, ილუსტრაციები).	ნაწერი არ არის სუფთა. არ არის გაფორმებული დამატებითი ელემენტებით.

**სამწუთიანი ესაი**

**მეთოდი შეესაბამება წიგნიერების სტანდარტის შემდეგ მიმართულებებს: წაკითხულის გაგება-გააზრება, წერა.**

**მეთოდის აღწერა:**

„სამწუთიანი ესეის“ გამოყენება განსაკუთრებით სასარგებლოა კითხვის I ფაზაზე, ანუ წაკითხვამდე, განსახილველი ტექსტის საკვანძო ცნებასთან/ მოვლენასთან დაკავშირებული წინარე ცოდნის გასააქტიურებლად. მოსწავლეები ტექსტის წაკითხვამდე (მოსმენამდე), მასწავლებლის მიერ მიცემული გარკვეული დროის მანძილზე, წერენ საკუთარ აზრებს დასახელებული ცნების გარშემო.

**მეთოდის გამოყენების საფეხურები:**

1. დაწერეთ სიტყვა (ცნება) დაფაზე. მნიშვნელოვანია, რომ ეს იყოს ისეთი სიტყვა, რომელიც მჭიდროდ უკავშირდება წასაკითხი ტექსტის საკვანძო იდეებს და, ამავდროულად, მრავალფეროვან აზრებს გამოიწვევს მოსწავლეებში.

2. ჰკითხეთ მოსწავლეებს, რას ნიშნავს სიტყვა და დარწმუნდით, რომ კარგად ესმით მისი მნიშვნელობა.
3. სთხოვეთ მოსწავლეებს, გაიხსენონ ადამიანი ან სიტუაცია, რომელიც მათთვის ამ ცნებასთანაა დაკავშირებული.
4. სთხოვეთ ბავშვებს, რომ სამ წუთში დაწერონ რაიმე ამბავი ამის შესახებ.
5. როდესაც მოსწავლეები წერას დაასრულებენ (სამი წუთის შემდეგ), სთხოვეთ გაუზიარონ თავიანთი ნამუშევარი მეწყვილეს. შესთავაზეთ მსურველებს საკუთარი ნაწერების ხმამაღლა წაკითხვა.
6. უთხარით მოსწავლეებს, რომ სწორედ ამ საკითხის [ცნების] შესახებაა ის მოთხრობაც, რომელიც უნდა წაკითხონ.
7. ხმამაღლა წაკითხეთ (ან ბავშვებმა ჩუმად წაკითხონ) მოთხრობა.
8. როდესაც მოსწავლეები კითხვას დაასრულებენ, სთხოვეთ მათ თავიანთი ნააზრებისა და წაკითხული მოთხრობის სიუჟეტის შედარება. იმსჯელეთ მათ შორის არსებულ მსგავსება-განსხვავებებზე.

### **„ბრილიანტი“**

**მეთოდი შეესაბამება წიგნიერების სტანდარტის შემდეგ მიმართულებებს: ლექსიკური მარაგის გამდიდრება, წაკითხულის გაგება-გააზრება, წერა.**

**მეთოდის აღწერა:**

„ბრილიანტი“ არის არაფორმალური წერის გრაფიკული ინსტრუმენტი, რომლის საშუალებითაც მოსწავლეები შემოქმედებითი ფორმით გამოხატავენ საკუთარ ცოდნასა და დამოკიდებულებას ამა თუ იმ საკითხის/თემის შესახებ. მეთოდი ეფექტურად გამოიყენება სხვადასხვა საგნობრივ ჯგუფში.

აქტივობა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მოსწავლეებს საკითხის/თემის გაგება-გააზრებაში, საკუთარი განწყობა-დამოკიდებულების საინტერესო ფორმით გამოხატვაში, გრამატიკული ფორმების (არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი, ზმნა) დაუფლებასა და გამოყენებაში.

**მეთოდის გამოყენების საფეხურები:**

- **გრაფიკული ინსტრუმენტის აღწერა და განმარტება მოსწავლეებისათვის.**

1. დახაზეთ დაფაზე „ბრილიანტის“ გრაფიკული სქემა. თითოეული საფეხურს მიაწერეთ შესაბამისი მითითება (I სტრიქონი — 1 არსებითი

სახელი, II - 2 ზედსართავი სახელი, III — 3 ზმნა, IV - ოთხსიტყვიანი ფრაზა, V — 3 ზმნა, VI — 2 ზედსართავი სახელი, VII — 1 არსებითი სახელი), რომელთა მიხედვითაც სქემა უნდა შეივსოს.

2. სთხოვეთ მოსწავლეებს, დახაზონ სქემა თავიანთ ფურცლებზეც.

### „ბრილიანტის“ ნიმუში

არსებითი სახელი

ზედსართავი სახელი

ზედსართავი სახელი

ზმნა

ზმნა

ზმნა

ოთხსიტყვიანი ფრაზა

ზმნა

ზმნა

ზმნა

ზედსართავი სახელი

ზედსართავი სახელი

არსებითი სახელი

• გრაფიკული ინსტრუმენტის გამოყენების პროცედურის მოდელირება მასწავლებლის მიერ.

3. ვიდრე მოსწავლეებს სთხოვთ „ბრილიანტის“ სქემის დამოუკიდებლად შევსებას, თავად უნდა აჩვენოთ ამის მაგალითი და გზადაგზა მკაფიოდ განუმარტოთ, სად, რას და რატომ წერთ.

პირველ ხაზზე დაწერეთ საკვანძო თემის/საკითხის შესაბამისი არსებითი სახელი (საკვანძო სიტყვა), ბოლო ხაზზე კი საკვანძო (პირველ ხაზზე დაწერილი) არსებითი სახელის შემცვლელი სიტყვა/სინონიმი. მეორე ხაზზე იწერება ორი ზედსართავი სახელი, რომლებიც აღწერს საკვანძო სიტყვას. მესამე ხაზზე იწერება სამი ზმნა, რომლებიც გამოხატავს საკვანძო ქვემდებარის მოქმედებებს. ანალოგიურად, ბოლოდან მეორე ხაზზე დაწერილი ზედსართავები ახასიათებს საკვანძო სიტყვის შემცვლელ ქვემდებარეს, ხოლო ბოლოდან მესამე სტრიქონზე დაწერილი სამი ზმნა გამოხატავს საკვანძო სიტყვის შემცვლელი ქვემდებარის მოქმედებებს. „ბრილიანტის“ ცენტრალურ (თავიდან მე-4) სტრიქონზე დაწერეთ ოთხსიტყვიანი ფრაზა, რომლითაც განხილული საკითხის დედააზრი/მთავარი სათქმელი/არსი იქნება გადმოცემული. აგრეთვე, შეიძლება ამ ფრაზით გადმოვცეთ ის ასოციაცია/დამოკიდებულება/შეხედულება, რომელიც გვიჩნდება ამ თემასთან დაკავშირებით.

- **„ბრილიანტის“ ეფექტური ნიმუშების ჩვენება მოსწავლეებისათვის.**

4. სანამ მოსწავლეები დამოუკიდებლად წერას დაიწყებენ, წაუკითხეთ „ბრილიანტის“ სქემით დაწერილი ლექსების რამდენიმე კარგი მაგალითი, რათა დაეხმაროთ მათ მეთოდის პრინციპის უკეთ გაანალიზებაში.

ქვემოთ მოცემულია „ბრილიანტის“ რამდენიმე ნიმუში:

- **მოსწავლეების დამოუკიდებლად მუშაობა „ბრილიანტზე“.**

5. სთხოვეთ მოსწავლეებს, დამოუკიდებლად შეავსონ „ბრილიანტის“ გრაფიკული სქემა. სასურველია, ამ დროს იაროთ კლასში და, საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი რჩევებით ხელი შეუწყოთ მოსწავლეებს თხზვის პროცესში.

### **„ბრილიანტის“ ვარიაციები**

მას შემდეგ, რაც მოსწავლეები გაინაფებიან გრაფიკული ინსტრუმენტის დამოუკიდებლად გამოყენებაში, შესაძლებელია:

- შემცვლელი სიტყვის ნაცვლად მონათესავე სიტყვების შემოტანა. ასეთი „ბრილიანტი“ იწყება საკვანძო ცნების აღწერით და თანდათანობით მეორე სიტყვის აღწერაზე გადადის.
- ასევე, შეიძლება საპირისპირო ცნებების ან ბინარული ოპოზიტების შემოტანა. ასეთი „ბრილიანტის“ მეოთხე ხაზზე პირველი ორი სიტყვა

ზედა საკვანძო ოპოზიტს უკავშირდება, ბოლო ორი სიტყვა კი — ქვედა საკვანძო ოპოზიტს.

- ნაკითხულ ნაწარმოებზე რეაგირება. ასეთი „ბრილიანტის“ სქემა ქვემოთ არის მოცემული.

**პირველი ხაზი:** ნაკითხული ნაწარმოების სათაური.

**მეორე ხაზი:** მთავარი პერსონაჟი.

**მესამე ხაზი:** მეორეხარისხოვანი პერსონაჟები.

**მეოთხე ხაზი:** სანყისი კონფლიქტი.

**მეხუთე ხაზი:** ძირითადი სიუჟეტური მოვლენები.

**მეექვსე ხაზი:** კონფლიქტის გადაჭრა.

**მეშვიდე ხაზი:** ნაწარმოების ჟანრი.

ქვემოთ მოცემულია „ბრილიანტის“ ვარიაციების რამდენიმე ნიმუში:

**ნიმუში 1.**

ქუჩის ბავშვი  
 გაყინული, დაძონძილი  
 დაძრწის, ითხოვს, ართმევს,  
 მისი ოცნებები არავის ახსოვს.  
 მალავს, ეძებს, წვალობს,  
 გარიყული პატარა  
 მანანწალა

ზამთარი  
 თეთრი და გათოშილი  
 მოწყენა, დაღლა, გაძღება  
 იქნებ გაგვათბოს რამდენიმე დღესასწაულმა  
 ლამაზ, ბრწყინვალე  
 ახალ წელს.

## ნიმუში 2.

მზე

ოქროსფერი, ცეცხლოვანი  
გვათბობს, გვახალისებს, გვინათებს  
ზღვას უყვარს მასთან თამაში  
იცინის, აალებს, იზიდავს  
თამამი, ძლიერი  
ვარსკვლავი

მზე

დიდი, კაშკაშა  
ასხივებს, ათბობს, აფერადებს  
ცხელი ვარსკვლავი, გრილი თანამგზავრი  
ირეკლავს, იცვლება, გვაფიქრებს  
იდუმალი, მბჟუტავი  
მთვარე

## მოსწავლის დღიური

მეთოდი შეესაბამება წიგნიერების სტანდარტის შემდეგ მიმართულებებს:  
წაკითხულის გაგება-გააზრება, წერა.

## შინაარსი

- რა არის დღიური?
- დღიური, როგორც წერის სწავლებისა და სწავლის ინსტრუმენტი.
- დღიურის გამოყენების ფორმები.
- დღიურის ნაწერის შეფასების სქემა.
- დღიურში წერის პროგრამა.

დღიური არის სპეციალური რვეული, რომელშიც მოსწავლეები პერიოდულად დამოუკიდებლად წერენ საკუთარი გრძნობების, ფიქრებისა და განწყობა-დამოკიდებულებების შესახებ. დღიურის ჩანაწერების ძირითადი დანიშნულებაა აზრების თავისუფლად გადმოცემა. ამიტომ, დღიურის ჩანაწერებში ნაკლებად ექცევა ყურადღება წერის ნორმების, გრამატიკული თუ სტილური წესების დაცვას.

### თემა

თემის შერჩევა დღიურის ჩანაწერის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ასპექტია. თემის შერჩევაში მოსწავლეებისათვის მინიჭებული თავისუფლების ხარისხი და მათი მონაწილეობა მნიშვნელოვნად განაპირობებს წერის მოტივაციასა და ენთუზიაზმს. დღიურის ჩანაწერები შეიძლება იყოს არაფორმალური ან ფორმალური სახის. არაფორმალური ჩანაწერები თემატურად არ უნდა იყოს შეზღუდული. ანუ, საჭიროა მოსწავლეებს მიეცეთ თემის დამოუკიდებლად შერჩევის საშუალება. შესაძლებელია, რომ მასწავლებელმა მიმართულება მისცეს მოსწავლეებს კონკრეტული თემის დასახელებით ან პირველი წინადადების/ფრაზის მიწოდებით (მაგ., თემა: „ჩემი ნამდვილი მეგობარი“, ან საწყისი ფრაზა: „ნამდვილი მეგობრისაგან მე მოველი .....“).

ფორმალური ჩანაწერები უფრო აკადემიური ხასიათისაა და, როგორც წესი, შესასწავლ/შესწავლილ საკითხს უკავშირდება.

### დღიური, როგორც წერის სწავლებისა და სწავლის ინსტრუმენტი

მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებს ყოველდღიურად თითოჯერ მაინც მიეცეთ დღიურში წერის საშუალება. ამისათვის მასწავლებელმა სასწავლო დღის განმავლობაში დაახლოებით 15-20 წუთი უნდა გამოყოს. მიუხედავად იმისა, რომ, ერთი შეხედვით, ამისათვის ყველაზე ადეკვატურ პერიოდად ქართული ენის გაკვეთილი ჩანს, სრულიად შესაძლებელია, რომ დღიურში მოსწავლეებმა მათემატიკის ან ბუნების გაკვეთილებზე წერონ. რასაკვირველია, ეს თემაზეც მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული.

დღიურის გამოყენება ეხმარება მოსწავლეებს, რომ:

- დააკვირდნენ საკუთარ გამოცდილებას, გადაჭრან პრობლემები, აღიქვან მოვლენები განსხვავებულ პერსპექტივაში;
- გააცნობიერონ სხვა ადამიანებისა და სამყაროს მიმართ საკუთარი დამოკიდებულება;
- დაფიქრდნენ პიროვნულ ღირებულებებზე, მიზნებსა და იდეებზე;

- შეაჯამონ, რეზიუმირება გაუკეთონ სასწავლო პროცესში ათვისებულ საკითხებს, იდეებსა და მოსაზრებებს;
- დააკვირდნენ საკუთარ აკადემიურ ზრდას წინა ჩანაწერების წაკითხვის გზით.

დღიურის გამოყენება ეხმარება მასწავლებელს, რათა მან გაიგოს მოსწავლეების:

- ემოციური მდგომარეობა;
- პრობლემები;
- განწყობა-დამოკიდებულებები.

ამდენად, მოსწავლის დღიური მნიშვნელოვანი წყაროა სასწავლო გეგმის მოსწავლის საჭიროებებზე დაფუძნება-მორგებისათვის.

#### **4. შეფასება**

შეფასება სასწავლო პროცესის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტია. მისი მეშვეობით მასწავლებელი ადგენს, თუ რამდენად შეესაბამება მოსწავლეთა მიღწევები საგნობრივი სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს. შეფასების მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა, რაც გულისხმობს, ერთი მხრივ, სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას, ხოლო, მეორე მხრივ – მის გაკონტროლებას. ხარისხის გაუმჯობესება უშუალოდ უკავშირდება სწავლის პროცესს, ხარისხის გაკონტროლება კი – სწავლის შედეგს.

შეფასება გამოავლენს მოსწავლეთა ძლიერ და სუსტ მხარეებს, მათ მიღწევებსა და პრობლემებს. ამასთან, მასწავლებელი შეფასების საშუალებით იღებს ინფორმაციას, თუ რამდენად კარგად ასწავლის თავად და რამდენად შედეგიანია ის კონკრეტული მეთოდიკა, რომელსაც იყენებს. ძალზე მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა იცოდეს, თუ რა, როდის, რატომ და როგორ უნდა შეაფასოს. ამასთანავე, მასწავლებელს უნდა შეეძლოს მოსწავლის შეფასების შედეგად მიღებული ინფორმაციის გამოყენება სასურველი შედეგების მისაღწევი საშუალებების დასადგენად.

შეფასებისას მასწავლებელმა რამდენიმე ძირითადი პრინციპი უნდა დაიცვას: შეფასება უნდა იყოს სანდო, რაც გულისხმობს მკაფიოდ ჩამოყალიბებულ დავალებებსა და ინსტრუქციებს, ზუსტად განსაზღვრულ შეფასების კრიტერიუმებს; მიზნის შესაბამისი - მასწავლებელი უნდა აფასებდეს მხოლოდ იმას, რისი შეფასებაც კონკრეტულ შემთხვევაში მიზნად



აქვს დასახული; ობიექტური – პირადი მოსაზრებებისა და სურვილებისგან დამოუკიდებელი; გამჭვირვალე – შეფასების კრიტერიუმები და მექანიზმები ყველა დაინტერესებული პირისათვის უნდა იყოს ცნობილი. სასურველია, რომ თავად მოსწავლეებმა მიიღონ აქტიური მონაწილეობა შეფასების კრიტერიუმების დადგენასა და შეფასების სქემის შემუშავებაში.

#### 4.1. შუასაბის ტიპი

სწავლა-სწავლების სისტემაში შეფასების ორი ძირითადი მოდელი არსებობს: **განმავითარებელი** და **განმსაზღვრელი**. მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა იცოდეს, თუ რა შემთხვევაში და რა მიზნით უნდა მიმართოს შეფასების ამა თუ იმ ფორმას.

**განმავითარებელი შეფასების** მიზანია სწავლის ხარისხის გაუმჯობესების უზრუნველყოფა; სწავლების პროცესში თითოეული მოსწავლის განვითარების, მათი უნარების დახვეწის მაქსიმალურად ხელშეწყობა. ეს ზოგადი განათლების ყველაზე მნიშვნელოვანი პედაგოგიური ამოცანაა, როგორც ამას ხაზგასმით აღნიშნავს დიმიტრი უზნაძე: „სწავლაში ძირითადია ... იმ ძალების განვითარება, რომელნიც სწავლის პროცესში მონაწილეობენ“<sup>5</sup>.

განმავითარებელი შეფასებისას მასწავლებელი მოსწავლეთა საქმიანობას ამონიშნავს არა მათი მიღწევის დონის განსასაზღვრელად და ნიშნების დასაწერად, არამედ მათ დასახმარებლად. იგი აკვირდება თითოეულ მოსწავლეს სწავლის პროცესში, შეისწავლის მათ საქმიანობებს, რათა ამ მოთხოვნილებათა გათვალისწინებით დაგეგმოს საგაკვეთილო პროცესი და თითოეულ მათგანს მაქსიმალურად შეუწყოს ხელი წინსვლაში. მასწავლებელი ქმნის თანამშრომლობით და კონსტრუქციულ სასწავლო გარემოს, სადაც მოსწავლეებს არ აფერხებთ არც მარცხის და არც წარუმატებლობის შიში. მათ ნებისმიერ შემთხვევაში მასწავლებლის რჩევისა და მხარდაჭერის იმედი აქვთ. ასეთ გარემოში თითოეული მოსწავლე ახალ ცოდნას შეიძენს, გამოცდილებას გაიმდიდრებს და უნარებს გაიმჯობესებს.

განმავითარებელი შეფასების პროცესში, მასწავლებელთან ერთად, მოსწავლეებიც არიან ჩართულნი. ისინიც ცდილობენ, მასწავლებლის დახმარებით დაადგინონ საკუთარი მოთხოვნილებები, ძლიერი და სუსტი მხარეები, შემაფერხებელი ფაქტორები. ამ პროცესებში ჩართვა მათში თვითშეფასებისა და თვითგანვითარების უნარ-ჩვევებს აყალიბებს, ზრდის მათ ქმედუნარიანობასაც და პასუხისმგებლობასაც.

<sup>5</sup> დიმიტრი უზნაძე, ბავშვის ფსიქოლოგია, სასკოლო ასაკის ფსიქოლოგია, თბილისი, 2003, გვ. 445

მნიშვნელოვანია, ხაზგასმით აღინიშნოს ის ფაქტი, რომ განმავითარებელი შეფასების შემთხვევაში, მოსწავლე ფასდება საკუთარ თავთან, საკუთარ მიღწევებთან და არა – ყველასათვის საერთო ნორმასთან მიმართებით. განმავითარებელი შეფასების მიზანია, რომ მოსწავლემ დაინახოს საკუთარი წინსვლა და ირწმუნოს, რომ სიძნელეთა ეტაპობრივად გადალახვა შეუძლია.

ვინაიდან განმავითარებელი შეფასება მოსწავლის განვითარებაზე და სწავლების პროცესზეა ორიენტირებული, მისი გამოყენებისას ქულების დანერგვა არ არის სავალდებულო. განმავითარებელი შეფასებისას უპირატესად ისეთი საშუალებები გამოიყენება, როგორებიცაა სიტყვიერი კომენტარი, რჩევა-დარიგება, დაკვირვების ფურცლები, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების სქემები, ცოდნის ათვისების ან უნარის განვითარების ეტაპების გამომხატველი დონეები (სასურველია, ოთხი დონე გამოიყოს – ფლობს სრულყოფილად / ყოველთვის, ფლობს უმეტესწილად / ხშირად, ფლობს ნაწილობრივ / იშვიათად, ვერ ფლობს / არასოდეს). ათვისებისა თუ ფლობის დონეებით შედგენილი შეფასების ან თვითშეფასების სქემები მასწავლებელსა და მოსწავლესა და საშუალებას აძლევს, კონკრეტული ცოდნის თუ უნარის ათვისების პროცესი დინამიკაში დაინახონ.

**განმსაზღვრელი შეფასება** მოსწავლის მიღწევის დონეს საერთო ნორმასთან მიმართებით ადგენს და იმის დადგენის საშუალებას იძლევა, თუ რამდენად დაეუფლა იგი საგნობრივი პროგრამებით განსაზღვრულ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს.

განმსაზღვრელი შეფასება სწავლის ხარისხს აკონტროლებს. ის თითოეული მოსწავლის ცოდნის დონეს განსაზღვრავს.

განმსაზღვრელი შეფასება შედეგზე, ანუ ნიშანზეა ორიენტირებული. შესაბამისად, მისი გამოყენებისას, მოსწავლეთა მიღწევების ქულებით შეფასება სავალდებულო მოთხოვნაა. განმსაზღვრელ შეფასებას თან არ ახლავს მასწავლებლის რეკომენდაციები თუ კომენტარები მიღებული შედეგების გაუმჯობესების შესახებ.

პროექტის მიზნებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ ამ კონკრეტულ სასწავლო კურსში გამოყენებული იყოს მხოლოდ განმავითარებელი შეფასება, რათა ხელი შევუწყოთ მოსწავლეების შედეგების გაუმჯობესებასა და უნარების დახვეწას.

## 4.2. შიშნავლის მეთოდები

მასწავლებელი მოსწავლეების ცოდნისა და უნარ-ჩვევების შესაფასებლად რამდენიმე ძირითად მეთოდს იყენებს. ეს მეთოდებია: ტესტირება, მასწავლებლის დაკვირვება, კომენტარი, მოსწავლეთა თვითშეფასება და ურთიერთშეფასება. ყველა ამ მეთოდს საერთო მიზანი აქვს - მათი საშუალებით გროვდება ინფორმაცია მოსწავლეების წარმატებებისა და მათი პრობლემების შესახებ და ამ ინფორმაციის გათვალისწინებით მასწავლებლის შემდგომი ეტაპი იგეგმება. შეფასების მეთოდებს ერთმანეთისგან კონკრეტული მიზანი, ფორმა და მნიშვნელობა განასხვავებს.

### შეფასების რუბრიკები

მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებს გაცნობიერებული ჰქონდეთ, თუ როგორ და რის მიხედვით შეფასდებიან. შეფასების საუკეთესო ინსტრუმენტი რუბრიკა (სქემა), რომელიც შეიძლება იყოს როგორც მასწავლებლის მიერ მოსწავლეთა შეფასების, ასევე თვითშეფასების ფორმა. რუბრიკა მკაცრად განსაზღვრული კრიტერიუმებისა და მათი გამოყენების წესების ერთობლიობაა, რომლის მიხედვითაც ფასდება მოსწავლის შედეგი ამა თუ იმ აქტივობაში ან საგანში.

იმის მიხედვით, თუ კონკრეტულად რის შემონმებას/გაუმჯობესებას გეგმავს მასწავლებელი, მან შეიძლება რუბრიკა რამდენიმე კრიტერიუმად დაეყოს და მათ მოსწავლეთა აკადემიური მიღწევის სხვადასხვა დონის შესაბამისი ქულები ან სიტყვიერი მნიშვნელობები მიანიჭოს. ამგვარი სქემის უპირატესობა ისაა, რომ მასწავლებელიცა და მოსწავლეც კონკრეტულ ინფორმაციას იღებენ იმასთან დაკავშირებით, თუ რომელი კრიტერიუმით აქვს მოსწავლეს პრობლემები და რაზე უნდა გამახვილდეს ყურადღება. ერთი და იმავე რუბრიკის სისტემატურად გამოყენება პროგრესის მონიტორინგის კარგ საშუალებას იძლევა.

რუბრიკა შეიძლება შეიქმნას როგორც დავალებათა ან უნარ-ჩვევათა ერთობლიობის შესაფასებლად (ზოგადი შეფასების სქემა), ასევე ერთი კონკრეტული დავალების ან უნარის შესაფასებლად (კონკრეტული შეფასების სქემა).

შეფასების რუბრიკის კრიტერიუმები პირდაპირ კავშირში უნდა იყოს შესაბამისი საგნის სტანდარტის ინდიკატორებთან. აუცილებლობის შემთხვევაში, მასწავლებელს შეუძლია ამა თუ იმ რუბრიკაში დამატებითი კომპონენტებიც შეიტანოს, თუმცა, არ უნდა დაივიწყოს, რომ ძირითადი საყრდენი სწორედ საგნობრივი სტანდარტია.

შეფასების რუბრიკის უნიფიცირებული ფორმა არ არსებობს. მისი მრავალფეროვნება დამოკიდებულია იმ ფაქტორებზე, თუ რა ფასდება, რომელი კრიტერიუმებია პრიორიტეტული, ვინ და როგორ იყენებს შეფასების შედეგებს და ა.შ. მიუხედავად ამისა, ყველა რუბრიკის მიმართ რამდენიმე ძირითადი მოთხოვნა არსებობს: სანდოობა (რუბრიკის კრიტერიუმების ერთმნიშვნელოვნად და მკაფიოდ ჩამოყალიბება), მიზანთან შესაბამისობა (რუბრიკის კრიტერიუმები ამონებს მხოლოდ იმას, რისი შეფასებაც წინასწარაა გამიზნული) და გამჭვირვალობა (მოსწავლეები წინასწარ იცნობენ შეფასების იმ სქემას, რომლითაც მათი ცოდნა ფასდება).

სასურველია, თუ შეფასების რუბრიკის შედგენაში მოსწავლეები უშუალოდ იქნებიან ჩართულნი. ეს მათ საშუალებას მისცემს, უკეთ გაერკვნენ, თუ რას ითხოვენ მათგან და როგორ აფასებენ მათ ცოდნას<sup>6</sup>.

ქვემოთ მოცემულია შეფასების რუბრიკის რამდენიმე ნიმუში, რომლითაც შეგიძლიათ იხელმძღვანელოთ, ან რომლის მიხედვითაც შეგიძლიათ რუბრიკების თქვენეული ვარიანტის შექმნა.

## 1. გამართული კითხვის შეფასების რუბრიკის ნიმუში

მოსწავლის სახელი და გვარი:

კრიტერიუმები	ყოველთვის	ხშირად	იშვიათად	არასოდეს
ტექსტს კითხულობს უშეცდომოდ				
ტექსტს კითხულობს გაბმულად				
ტექსტს კითხულობს ზომიერი სიჩქარით				
ტექსტს კითხულობს გამომეტყველებით (ხმამალა და მკაფიოდ)				
ტექსტს კითხულობს სათანადო ინტონაციით				

<sup>6</sup> სწავლება და შეფასება, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, თბილისი, 2008, გვ. 99-104

**2. გაგებაზე ორიენტირებული კითხვის შეფასების რუბრიკის ნიმუში**

მოსწავლის სახელი და გვარი:

კრიტერიუმები	ყოველთვის	ხშირად	იშვიათად	არასოდეს
განასხვავებს თხრობითსა და ინფორმაციულ, მხატვრულსა და არამხატვრულ ტექსტებს				
აღწერს ნაკითხული ტექსტით გონებაში აღძრულ სურათ-ხატებს				
გამოთქვამს ვარაუდებს ტექსტის ნაკითხვამდე და ნაკითხვის პროცესში				
ყურადღებას ამახვილებს გაუგებარ სიტყვებსა და წინადადებებზე, აზუსტებს მათ მნიშვნელობას				
გამოხატავს საკუთარ შთაბეჭდილებებსა და დამოკიდებულებას ნაკითხულთან დაკავშირებით				
სვამს შეკითხვებს ტექსტის ელემენტების შესახებ				
ტექსტში პოულობს დასმული შეკითხვების პასუხებს				

ნაკითხული ტექსტის შინაარსს უკავშირებს საკუთარ გამოცდილებას, სხვა ტექსტებსა და გარე სამყაროს				
აკეთებს ტექსტის ცალკეული აბზაცებისა და მთლიანი ტექსტის რეზიუმირებას				
გამოაქვს დასკვნები სხვადასხვა ტიპის ტექსტების კითხვის დროს და მიუთითებს შესაბამის დასაბუთებას ტექსტში				
ახასიათებს ლიტერატურული ტექსტის ძირითად ელემენტებს (პერსონაჟები, ფაბულა, გარემოებები, თემა)				

### წერის რუბრიკა

წერა კომპლექსური პროცესია და მოსწავლეებში მისი სრულყოფა სწავლა-სწავლების პროცესში თანმიმდევრულად მიიღწევა. ეფექტური წერა მოიცავს თემის გარშემო იდეების სათანადოდ ორგანიზებას, ლექსიკური ერთეულებისა და გრამატიკული ფორმების სწორად გამოყენებას, მიზანსა და მკითხველზე ორიენტირებას, მართლწერისა და პუნქტუაციის წესების დაცვას, სუფთა წერას.

მოსწავლის ნაწერის შეფასებისათვის სასურველია სპეციალური რუბრიკის გამოყენება, რომელიც მოსწავლესა და მასწავლებელს სასწავლო პროცესის უკეთ წარმართვაში დაეხმარება.

წერის შეფასების რუბრიკის ნიმუში

მოსწავლის სახელი და გვარი:

კრიტერიუმები	ყოველთვის	ხშირად	იშვიათად	არასოდეს
შეუძლია სხვადასხვა ტიპის მცირე ზომის ტექსტის დამოუკიდებლად შექმნა და აზრის გასაგებად ჩამოყალიბება				
წერის დანყებამდე განსაზღვრავს ტექსტის დანიშნულებასა და ადრესატს და არჩევს შესაბამის ტონსა და სტილს				
წერის დანყებამდე ადგენს წერიტი დავალების მოკლე გეგმას				
შეუძლია ნაშრომის გარეგნული მხარის ორგანიზება				
არჩევს შესაბამის ლექსიკას და წერს გამართული წინადადებებით				
იცავს პუნქტუაციის ძირითად წესებს				
იყენებს სწორ გრამატიკულ და ორთოგრაფიულ ფორმებს				
იცნობს და იყენებს ტექსტის ჩასწორების მარტივ ხერხებს				

უბრუნდება ნაწერს კორექტი- რებისთვის, ამჩნევს და ასწორებს მარტივ შეცდომებს				
სმამალა კითხულობს საკუთარ ნაწერს, ცვლის ტექსტის ამა თუ იმ მონაკვეთს სტილის თვალსაზრისით უკეთესი ვარიანტით				
წერს შესწავლილი ტექსტის შინაარსს				
შეუძლია კარნახით წერა				

### მოსწავლეთა თვითშეფასება და ურთიერთშეფასება

თვითშეფასება და თანატოლების შეფასება მნიშვნელოვანია, რამდენადაც ეს პროცესი მოსწავლეს საშუალებას აძლევს, თავისი სუსტი და ძლიერი მხარეები გააცნობიეროს, ობიექტურად შეაფასოს საკუთარი ცოდნა, შესაძლებლობები, თვითკრიტიკის უნარი განივითაროს და დინამიკაში ადევნოს თვალი საკუთარ პროგრესს. საბოლოოდ კი ეს ყველაფერი მოსწავლეს დამოუკიდებლად სწავლის უნარ-ჩვევას უყალიბებს. ამასთან, მოსწავლეთა თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების მეშვეობით მასწავლებელი მეტ ინფორმაციას აგროვებს მოსწავლეების შესახებ და მათ განვითარებას უფრო ეფექტიანად წარმართავს.

სასურველია, მოსწავლეთა თვითშეფასებისთვის და ურთიერთშეფასებისათვის განკუთვნილი რუბრიკები უფრო მარტივად იყოს აგებული და ძირითადად პირდაპირი პასუხებით შემოიფარგლებოდეს (დიახ/არა, ვეთანხმები/არ ვეთანხმები და სხვ.).

მასწავლებელმა თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების რუბრიკები შეიძლება სხვადასხვა დროს და სხვადასხვა შემთხვევაში გამოიყენოს - კონკრეტული თემის ათვისების ხარისხის შემოწმებისას, სწავლის შედეგებისა და მიღწევების გაზომვისას, ამა თუ იმ უნარის განვითარების დონეზე დაკვირვებისას და სხვ.



თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების კიდევე ერთი, განსხვავებული ფორმაა, როდესაც მოსწავლეები მათ მიერვე (ან თანაკლასელების მიერ) დანერილ სავარჯიშოებს თავადვე ამონებენ მასწავლებლის მიერ მითითებული სწორი პასუხების მიხედვით და ბოლოს ითვლიან, თუ რამდენი სავარჯიშო გააკეთეს სწორად. აგრეთვე, თვითშეფასების გავრცელებული ვარიანტია მოსწავლეების მიერ დღიურის ტიპის ჩანაწერების გაკეთება, სადაც აღწერენ, თუ რა წარმატებებს მიაღწიეს, რა უშლით ხელს მიღებული შედეგების გაუმჯობესებაში და ა.შ.

ქვემოთ მოცემულია მოსწავლის ზოგადი უნარების თვითშეფასების რუბრიკის ნიმუში, რომელზე დაყრდნობითაც შეგიძლიათ რუბრიკის საკუთარი ვარიანტიც შექმნათ.

### მოსწავლის თვითშეფასების რუბრიკის ნიმუში

#### მოსწავლის სახელი და გვარი:

კრიტერიუმები	ყოველთვის	ზოგჯერ	არასოდეს
გაკვეთილზე ყურადღებით ვარ			
მასწავლებლის მიერ დასმულ შეკითხვებს ვპასუხობ			
არ მერიდება საკუთარი აზრის ხმამაღლა გამოთქმა			
ყურადღებით ვისმენ სხვის აზრს			
მარტო მუშაობაზე მეტად ჯგუფებში მუშაობა მეხალისება			
როდესაც რაიმეს ვერ ვიგებ, ვეკითხები მასწავლებელს ან კლასელს			
გაკვეთილზე ხელს არ ვუშლი კლასელებს			
მუშაობის დანყების წინ ვინიშნავ დროს და ვცდილობ, მას არ გადავაცილო			

### მასწავლებლის თვითშეფასება

თვითშეფასება მასწავლებლისთვისაც ისეთივე მნიშვნელოვანი კომპონენტია, როგორც მოსწავლეთათვის, ვინაიდან სწორედ მისი მეშვეობით შეუძლია პედაგოგს საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირება და ამის გათვალისწინებით სამომავლო პრიორიტეტების გამოკვეთა.

დროის გარკვეული მონაკვეთის განმავლობაში თვითშეფასების ერთი და იმავე რუბრიკის სისტემატური გამოყენება და მიღებული შედეგების მუდმივი

მონიტორინგი მასწავლებლის განვითარების ეფექტური საშუალებაა. საჭიროების მიხედვით, მასწავლებელს შეუძლია შეცვალოს, შეავსოს, გადაასხვავდეს თვითშეფასების რუბრიკის კრიტერიუმები.

ქვემოთ მოცემულია მასწავლებლის თვითშეფასების რუბრიკის ნიმუში.

<b>მასწავლებლის თვითშეფასების რუბრიკა</b>	
<p>ვქმნი თუ არა საკლასო ოთახში წიგნიერ გარემოს?</p> <p>რა კონკრეტულ ნაბიჯებს ვდგამ მის შესაქმნელად?</p>	
<p>რა იყო ყველაზე წარმატებული ჩემ მიერ დღეს ჩატარებულ გაკვეთილში?</p>	
<p>რამდენად სწორად მივუსადაგე ერთმანთს შერჩეული ტექსტი და მეთოდი?</p> <p>რას შევცვლიდი?</p>	
<p>რამდენად შეესაბამება ჩემი მოსწავლეების მიღწევები დადგენილ სტანდარტს?</p> <p>როგორ შეიძლება გავაუმჯობესო მიღწეული შედეგები?</p>	
<p>შემიძლია თუ არა კლასის მართვა და ორგანიზება?</p> <p>კონკრეტულად რას ვაკეთებ საკლასო გარემოს ორგანიზებისათვის?</p>	

### **კითხვის უნარის შემოწმების ტესტი**

ტესტის მიზნები:

- შევამოწმოთ თითოეული მოსწავლის შეგნებული კითხვის უნარი.
- გადავამოწმოთ გამართული კითხვის ორი ასპექტი: სიტყვების სწორად ნაკითხვა და ინტონაცია.
- გავაანალიზოთ ტესტირებისათვის გამოყენებული ტექსტების

ადეკვატურობა.

- დავგეგმით პრობლემურ მოსწავლეებთან მუშაობის სტრატეგია.
- გავამდიდროთ გაგების სწავლება ეფექტური რესურსებითა და სტრატეგიებით.

საჭირო რესურსი: მოცემული კლასისათვის საშუალოზე დაბალი სირთულის ორი ტექსტი

- ა. თხრობითი,
- ბ. აღწერითი/ინფორმაციული.

### ტექსტის მსვლელობა

საფეხური	მასწავლებლის მოქმედება	მოსწავლის მოქმედება
კითხვის დაწყებამდე	<p>მოამზადებს ტექსტს, შეკითხვებსა და შესავსებ ფორმას.</p> <p>დაჯდება მოსწავლის გვერდით. უსვამს რამდენიმე ზოგად შეკითხვას კითხვასთან დაკავშირებით (მაგ.: „რას კითხულობ ახლა?“, „მოგწონს?“).</p> <p>ეუბნება, რომ ახლა მოსწავლე წაიკითხავს ტექსტს ხმამაღლა.</p>	<p>უსმენს მასწავლებელს.</p> <p>პასუხობს შეკითხვებს.</p> <p>ემზადება ტექსტის წასაკითხად.</p>
კითხვის პროცესში	ჩაინიშნავს შეცდომით წაკითხული სიტყვების რაოდენობას, ან თავად სიტყვებს მონიშნავს.	<p>კითხულობს.</p> <p>ცდილობს გაიგოს.</p>
კითხვის დასრულების შემდეგ	<p>მადლობას უხდის მოსწავლეს წაკითხვისათვის.</p> <p>უსვამს მას სამი ტიპის შეკითხვებს: 1. გახსენება, 2. ლექსიკა, 3. გაგება.</p> <p>ავსებს სპეციალურ ფორმას (იხ. დანართი).</p>	<p>მოისმენს მასწავლებლის მიერ დასმულ შეკითხვებს.</p> <p>ცდილობს უპასუხოს.</p>

## ინსტრუქცია მასწავლებლისათვის

### კითხვის დაწყებამდე

- დასვით მოსწავლე თქვენ მოპირდაპირე მხარეს ან მიუჯექით მარჯვენა მხარეს, ოდნავ მოშორებით.
- გაუღიმეთ.
- უთხარით, რომ გაინტერესებთ, რამდენად კარგად იგებს იგი (მოსწავლე) ნაკითხულს.
- დაუსვით კითხვის შესახებ რამდენიმე შეკითხვა, რომლებიც უშუალოდ ტექსტთან არ იქნება დაკავშირებული. მაგ.: „რას კითხულობ ახლა?“, „მოგწონს?“, „რა არის ამ წიგნში ყველაზე საინტერესო?“ და სხვ.
- უთხარით, რომ ახლა მან (მოსწავლემ) უნდა ნაიკითხოს ტექსტი ხმამაღლა. ამასთან, შეეცადოს, რომ კარგად გაიგოს, რა წერია ამ ტექსტში. ასევე, უთხარით, რომ ნაკითხვის დასრულების შემდეგ თქვენ დაუსვამთ რამდენიმე შეკითხვას, რათა ერთად დაადგინოთ, თუ რამდენად კარგად გაიგო მან ნაკითხული.
- უთხარით, რომ ნაიკითხოს ჩვეულებრივად, მისთვის ბუნებრივი სიჩქარით, ისე, როგორც სახლში კითხულობს.
- უთხარით მოსწავლეს, რის შესახებ არის ტექსტი. თუ ტექსტი ილუსტრირებულია, უჩვენეთ ილუსტრაცია, მაგრამ არა დიდი ხნით. სათაურსა და ილუსტრაციაზე ხანგრძლივი საუბარი საჭირო არ არის.
- სთხოვეთ მოსწავლეს, რომ დაინყოს კითხვა.

### კითხვის პროცესში

- თქვენს სამუშაო ფურცელზე ჩანიშნეთ (მაგ., ჩამოუსვით ხაზი) თითოეული არასწორად ნაკითხული სიტყვა. თუ თქვენი სამუშაო ფურცელი ტექსტის ასლსაც შეიცავს, არასწორად ნაკითხული სიტყვის ქვეშ ხაზი გაუსვით, ან თავზე დააწერეთ ის ვარიანტი, რომელიც ამ სიტყვის ნაკითხვისას მოსწავლემ წარმოთქვა. თუ მოსწავლე ერთსა და იმავე სიტყვას რამდენჯერმე კითხულობს შეცდომით, მონიშნეთ მხოლოდ ერთხელ.
- თუ მოსწავლე დასაწყისიდანვე ბევრ სიტყვას კითხულობს შეცდომით, შეწყვიტეთ კითხვა და ერთი დონით მარტივი ტექსტი მიეცით წასაკითხად.

დააკვირდით კითხვის იმ ასპექტებს, რომლებიც გაინტერესებთ. მაგ., კითხულობს თუ არა მოსწავლე გამომეტყველებით/ინტონაციით? რა ქცევებს ავლენს მოსწავლე კითხვის პროცესში (ნერვიულობს, პოზებს იცვლის, ფეხს აქნევს, პერიოდულად წყვეტს კითხვას, გისვამთ შეკითხვებს და სხვ.)?

### კითხვის დასრულების შემდეგ

- კითხვის დასრულების შემდეგ დაუსვით მოსწავლეს შეკითხვები წინასწარ დადგენილი თანმიმდევრობით (გახსენებაზე ორიენტირებული >>> ლექსიკაზე ორიენტირებული >>> გაგებაზე ორიენტირებული). მიეცით მოსწავლეს დრო დაფიქრებისათვის. პასუხები ჩაინიშნეთ.
- კიდევ ერთხელ გაუღიმეთ მოსწავლეს, გადაუხადეთ მადლობა და შეაქეთ, მიუხედავად იმისა, წარმატებით წაიკითხა თუ არა.
- შეავსეთ ტესტის ფორმა საჭირო ინფორმაციით.

**შენიშვნა:** გთხოვთ, არ შეიჭრათ მასწავლებლის როლში, იმის მიუხედავად, თუ რა სახის დახმარება დასჭირდება მოსწავლეს ამ პროცესში. ნუ დაგავინწყდებათ, რომ ამჯერად თქვენ ტესტის ადმინისტრატორი ხართ.

### ფორმა

#### კითხვის უნარის (გამართული კითხვისა და გაგება-გააზრების) შემოწმების ტესტი

კლასი:                      მასწავლებელი:                      ტესტირების თარიღები:

ტექსტის ტიპი: თხრობითი ალწერითი/საინფორმაციო

ტექსტში სიტყვების რაოდენობა:

შესავსები ცხრილი

№	მოსწავლის სახელი და გვარი	შეცდომით ნაკითხული (არასწორად დეკოდირებული) სიტყვების რაოდენობა	შეკითხვებზე პასუხის შედეგი	კითხვის გაბმულობა			ინტონაცია			შენიშვნები (მათ შორის, ქცევის ან მეტყვე- ლების შესახებ)
				1	2	3	1	2	3	
1										
2										
3										
4										
5										
6										
7										
8										
9										
10										
11										

12										
13										
14										
15										
16										

ტესტირების დასრულების თარიღი:  
 მასწავლებლის ხელმოწერა:

### 5. კითხვის გაკვეთილის, აქტივობის ან თემატური ბლოკის/ ერთეულის დაგეგმვა

**რა არის კითხვის გაკვეთილი?**

პირველ რიგში, უნდა განვსაზღვროთ, რა არის „კითხვის გაკვეთილი“. ეს არის გაკვეთილი, რომელიც შეიცავს კითხვის (და, როგორც წესი, წერის) აქტივობებს და აუცილებლად გულისხმობს მოსწავლეების მიერ უშუალოდ ტექსტთან მუშაობას. შესაბამისად, კითხვის გაკვეთილის ერთ-ერთი მიზანი აუცილებლად არის კითხვის უნარის ან უნართა ამა თუ იმ კომბინაციის განვითარება. მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში ჩატარებული კვლევები ცხადყოფს, რომ კითხვის გაკვეთილები მნიშვნელოვან როლს ასრულებს მოსწავლეებში წიგნიერების დონის ამაღლებაში.

როგორც აღვნიშნეთ, კითხვის გაკვეთილის მთავარი კომპონენტი არის ტექსტის წაკითხვა და გააზრება. კითხვის სწავლების თანამედროვე,

კონსტრუქტივისტული პარადიგმის მიხედვით, კითხვის აქტივობა სამფაზიან მოდელზე აიგება. ეს ფაზებია: პროცესი ტექსტის წაკითხვამდე, უშუალოდ კითხვის პროცესი და წაკითხვის შემდგომი პროცესი. თითოეული ფაზა გულისხმობს მკითხველის მიერ კონკრეტული ამოცანების შესრულებას, რომელთა შესახებაც ქვემოთ უფრო დანვრილებით ვისაუბრებთ.

### **გაკვეთილის თემის, მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრა**

გაკვეთილის დაგეგმვისას მასწავლებლის უპირველესი ამოცანა გაკვეთილის სასწავლო მიზნის მკაფიოდ ჩამოყალიბებაა. სასწავლო მიზანში აისახება ის, თუ რას უნდა მიაღწიონ და რა უნარ-ჩვევები უნდა შეიძინონ მოსწავლეებმა. მიზანი ასახავს არა პროცესს, არამედ გაკვეთილის მოსალოდნელ შედეგს. იგი უნდა ეფუძნებოდეს სასწავლო გეგმასა და მოსწავლეთა საჭიროებებსა და ინტერესებს, უნდა იყოს რეალისტური და მიიღწეოდეს მოცემულ საგაკვეთილო დროში.

ამის შემდგომ მასწავლებელი განსაზღვრავს გაკვეთილის მთავარ იდეას/თემას. მნიშვნელოვანია, რომ თემა იყოს აქტუალური, აქტიურებდეს მოსწავლეების წინარე ცოდნას და იძლეოდეს მომდევნო საკითხებზე დინამიურად გადასვლისა და ცოდნის ინტეგრირების საშუალებას. სასურველია, გაკვეთილის თემა შეკითხვის სახით იყოს ჩამოყალიბებული. ამოსავალი შეკითხვის დასმა ხელს უწყობს ცნობისმოყვარეობის გაღვივებას და მოსწავლეებს კვლევა-ძიებისკენ უბიძგებს. შეკითხვის მეშვეობით შემოტანილი საინტერესო პრობლემა და მისი გადაჭრის გზების ძიება გაკვეთილის დინამიკურად წარმართვის შესაძლებლობას იძლევა.

მასწავლებელმა მკაფიოდ უნდა ჩამოაყალიბოს გაკვეთილის ამოცანები და მისაღწევი შედეგები: თუ რა კონკრეტულ ცოდნას დაეუფლებიან მოსწავლეები, რომელი უნარების განვითარებასა და გამოყენებაში გაიწვებიან და რა დამოკიდებულებები ჩამოუყალიბდებათ; წერისა და კითხვის რომელ უნარებს/სტრატეგიებს გამოიმუშავენ და რამდენად შეუწყობს ხელს მოცემული გაკვეთილი მათში წიგნიერების დონის ამაღლებას.

გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ მრავალფეროვანი აქტივობების, სასწავლო სტრატეგიებისა და დავალებების შეთავაზებით მასწავლებელს შეუძლია მოსწავლეებს გამოუმუშაოს როგორც სპეციფიკური და ზოგადი უნარები, ისე – მაღალზნეობრივი ღირებულებები.



## გაკვეთილის მსვლელობა

გაკვეთილის დაწყებამდე მასწავლებელმა უნდა გაიაზროს, თუ როგორი იქნება მისი მიმდინარეობა, რა უნდა იცოდნენ მოსწავლეებმა და რა უნარ-ჩვევებს უნდა ფლობდნენ იმისათვის, რომ გაკვეთილის ამოცანები წარმატებით შეასრულონ. არაერთი კვლევითაა დადასტურებული, რომ დაახლოებით 70 პროცენტი იმისა, რასაც მოსწავლე სწავლობს, დამოკიდებულია შესაბამის წინა ცოდნასა და უნარზე<sup>7</sup>.

ძალზე მნიშვნელოვანია, თუ როგორ დაიწყებს მასწავლებელი გაკვეთილს, როგორ შექმნის სათანადო განწყობას, რა აქტივობებსა და შეკითხვებს გამოიყენებს მოსწავლეთა დასაინტერესებლად და წინარე ცოდნის გასააქტიურებლად პირველ ანუ წაკითხვამდელ ფაზაში; რამდენად ეფექტურად წარმართავს ცოდნის კონსტრუირების პროცესს მეორე ფაზაში ანუ უშუალოდ კითხვის პროცესში და როგორ მოახერხებს ნასწავლის გაერთიანებასა და განმტკიცებას მესამე – წაკითხვის შემდგომ ფაზაში.

## მოსწავლეთა ორგანიზება

მასწავლებელმა გაკვეთილზე მაქსიმალურად ეფექტურად უნდა მოახდინოს მოსწავლეების ორგანიზება; სწორად მიუხადაგოს მუშაობის ფორმები მათ შესაძლებლობებს; განსაზღვროს, რა შემთხვევაში იქნება უმჯობესი ინდივიდუალურად, წყვილებში, ჯგუფებში ან მთელ კლასთან ერთად მუშაობა.

## დროის განაწილება

გაკვეთილის დაგეგმვისას ერთ-ერთი საგულისხმო კომპონენტია დროის სწორად განაწილება. საგაკვეთილო დროის ეფექტიანად მართვისთვის ძალზე მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა წინასწარ გაწეროს, დაახლოებით რამდენ წუთს დაუთმობს გაკვეთილის სხვადასხვა ფაზაზე ამა თუ იმ აქტივობის გამოყენებას.

## რესურსები

გაკვეთილის დაგეგმვისას მასწავლებელმა წინასწარ უნდა განსაზღვროს სხვადასხვა ტიპის რესურსები (მაგ., სახელმძღვანელო, სამუშაო ფურცლები, პროექტორი, ინტერნეტი, თვალსაჩინოებები, დასარიგებელი

<sup>7</sup> სწავლება და შეფასება, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, თბილისი, 2008, გვ. 69

მასალა, საკანცელარიო ნივთები და სხვ.), რომლებიც ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვას. გაკვეთილის დაწყებამდე მასწავლებელმა უნდა გადაამოწმოს, რამდენად წესრიგშია ყველა სასწავლო რესურსი, რათა თავიდან აიცილოს საგაკვეთილო პროცესის შესაძლო შეფერხება.

### შეფასება

განმავითარებელი შეფასების რუბრიკის შექმნისას მასწავლებელმა კარგად უნდა განსაზღვროს შეფასების საგანი და პროცედურები, გამოკვეთოს დაკვირვებისა და ანალიზის ობიექტი (მაგ., ზეპირი პრეზენტაცია, მსჯელობა, წერიტი სამუშაო და სხვ.) და დაადგინოს შეფასების კრიტერიუმები. მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა წინასწარ, ანუ სასწავლო დავალებების/ინსტრუქციების მიცემამდე გააცნოს მოსწავლეებს შეფასების რუბრიკა.

### თვითშეფასება

სასურველია, მასწავლებელმა გაკვეთილის დასრულების შემდეგ გააკეთოს ანალიზი, თუ რა იყო გაკვეთილზე კარგი, რამდენად იქნა მიღწეული დასახული მიზნები და რამდენად შეესაბამება მიზნებს მოსწავლეთა შეფასების შედეგები; რისი შეცვლა ან გაუმჯობესებაა საჭირო სამომავლოდ უკეთესი შედეგების მისაღწევად.

### კითხვის სამფაზიანი გაკვეთილის სქემა

A — წაკითხვამდე მოლოდინების განსაზღვრა, გამოწვევა	B — კითხვის პროცესი ცოდნის კონსტრუირება	C — წაკითხვის შემდეგ ცოდნის გამოთიანება- განმტკიცება, რეფლექსია
<ul style="list-style-type: none"> <li>➤ მოსწავლეთა წინარე ცოდნის გააქტიურება</li> <li>➤ სწავლის მიზნის გაცნობა</li> <li>➤ ცნობისმოყვარეობისა და ინტერესის გაღვივება</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>➤ შინაარსის გაცნობა</li> <li>➤ შესასწავლი მასალის აქტიური დამუშავება</li> <li>➤ ცოდნის გაზიარება</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>➤ ნასწავლის შეჯამება</li> <li>➤ ახალი ცოდნის ეფექტიანობის განსაზღვრა</li> <li>➤ ახალი ცოდნის მნიშვნელობის გაცნობიერება</li> </ul>

გაკვეთილის გეგმის სქემა

გაკვეთილის თემა:

გაკვეთილის მიზანი:

ფაზა	მეთოდი/ სტრატეგია	მოსწავლეთა ორგანიზება	დრო	რესურსები
წაკითხვამდე				
კითხვის პროცესი				
წაკითხვის შემდგომი პროცესი				

## 6. გაკვეთილის გეგმის ნიშუაჯი

გაკვეთილის გეგმა № 1

გაკვეთილის თემა:

რა არის სიცოცხლე? რა როლი ეკისრება ცხოვრებისეულ ფასეულობებს ადამიანის არსებობაში?

გაკვეთილის მიზანი:

მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- გააზრების შესაფერისი სტრატეგიების გამოყენება ტექსტის მიზნების შესაბამისად;
- ექსპლიციტური და იმპლიციტური ინფორმაციის მოძიება და გააზრება კითხვის პროცესში;
- მარტივი თხრობითი ტექსტის დაწერა სტრუქტურის დაცვითა და მხატვრული ხერხების გამოყენებით.

ფაზა	მეთოდი/ სტრატეგია	მოსწავლეთა ორგანიზება	დრო	რესურსები
წაკითხვამდე	„გონებრივი იერიში“ - შეკითხვა: რა არის ჩემთვის სიცოცხლე?	ერთობლივი მუშაობა მთელ კლასთან	10 წუთი	1. თხრობითი ტექსტი: „სულეიმან მეფე და წერო“ (ინდური ზღაპარი);
კითხვის პროცესი	„მართული კითხვის/მოსმენისა და გააზრების აქტივობა“. I პაუზა: „ერთხელ სულეიმან მეფეს.....როგორ მოქცეულიყო.“ II პაუზა: „ყველამ ერთხმად.....უნდა დაეღია.“ III პაუზა: „მაშინ სულეიმანმა..... წერომ კი მიუგო.“	ერთობლივი მუშაობა მთელ კლასთან	20 წუთი	2. მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისი შესავსები „მართული კითხვისა და გააზრების“ და „სადისკუსიო ქსელის“ სქემები (ქსეროასლი); 3. დაფა/ფორმატი; 4. ცარცი/მარკერი;
წაკითხვის შემდგომ	„სადისკუსიო ქსელი“ - შეკითხვა: უნდა დაეღია თუ არა მეფეს წყალი? დისკუსია ან 5-წუთიანი წერა - „მე რომ სულეიმან მეფე ვყოფილიყავი...“; „საავტორო სკამი“.	წყვილური მუშაობა ჯგუფური/ მთელ კლასთან მუშაობა ინდივიდუალური მუშაობა	15 წუთი	5. ფურცლები/ რვეულები; 6. კალმები.

## სულეიმან მეფე და ბრძენი წერო

### ფოლკლორი

თარგმანი ინდურიდან – ნ. თოფჩიშვილი, თ. ჭავჭავაძე, ქ. კაკაბაძე

ერთხელ სულეიმან მეფეს, რომელიც მარტო ადამიანებზე კი არა, ცხოველებზეც მბრძანებლობდა, ერთმა ბრძენმა უკვდავების წყლით სავსე თასი მიაჩვენა და ასე უთხრა:

– იცოდე, ამ წყალს თუ არ დაღევ, სიცოცხლეს მალე დაემშვიდობები, ხოლო თუ დაღევ, უკვდავებას მოიპოვებ! ახლა შენ იცი, როგორც გინდა, ისე მოიქეციო.

ჩაფიქრდა მეფე სულეიმანი და ბოლოს გადაწყვიტა ბრძენთათვის ეკითხა რჩევა.

რაც კი დედამიწის ზურგზე ბრძენი იყო, ადამიანიცა და ცხოველიც, ყველამ მის სასახლეში მოიყარა თავი. მეფემ მათ თავისი გასაჭირი უამბო და შეეკითხა, როგორ მოქცეულიყო.

ყველამ ერთხმად შეაქო ამქვეყნიური ცხოვრება და მის სიტკბოება.

– სიცოცხლე უპირველესი სიმდიდრეა, სიცოცხლეზე ძვირფასი ამქვეყნად არაფერი არისო, – ამბობდნენ ისინი.

ერთი სიტყვით, ყველამ გადაწყვიტა, რომ სულეიმანს უკვდავების წყალი უნდა დაეღია.

მაშინ სულეიმანმა იკითხა:

– ხომ არავინ დარჩა ბრძენთა შორის, ვინც აქ არ გამოცხადებულაო?

აღმოჩნდა, რომ მოხუცი ბრძენი წერო არ იყო ამ თათბირზე.

მეფემ მაშინვე კაცი გაგზავნა მის მოსაწვევად.

და აი, წეროც გამოცხადდა მეფის სასახლეში. სულეიმანმა უამბო ყველაფერი და რჩევა სთხოვა.

მაშინ წერომ სულეიმანს ჰკითხა:

– უკვდავების წყალს მხოლოდ შენ დაღევ, თუ შენს მეგობრებსა და ახლობლებსაც დააღევიანებო?

– წყალი მარტო ჩემთვისაა მოტანილი და სხვებს ნება არა აქვთ დალიონო.

წერომ კი მიუგო:

– მაშ რად გინდა სიცოცხლე, თუკი უმეგობროდ და უთვისტომოდ დარჩები? შენ ახლა მსოფლიოს განაგებ, გარშემო მყოფებით ხარობ. მარტოდმარტო კი რა უნდა გააკეთო ამ ქვეყანაზეო?

სულეიმანი მიხვდა ნათქვამის სიბრძნეს, შეაქო წერო და უკვდავების წყალი აღარ დაღია.



## გაკვეთილის გეგმა № 2

### გაკვეთილის თემა:

ქართული მულტიპლიკაციის ისტორია.

### გაკვეთილის მიზანი:

მოსწავლემ უნდა შეძლოს:


- სხვადასხვა სირთულის ტექსტის ხმამაღლა გამართულად წაკითხვა;
- გაგების/გააზრების შესაფერისი სტრატეგიების მოშველიება მიზნისა და ტექსტის ტიპის მიხედვით.

ფაზა	მეთოდი/სტრატეგია	მოსწავლეთა ორგანიზება	დრო	რესურსები
წაკითხვამდე	1. „გასეირნება ილუსტრაციებში“ -შეკითხვა: ილუსტრაციების მიხედვით გამოიცანით, რას შეეხება წასაკითხი ტექსტი? 2. „მინტერესებს“ – 3 შეკითხვა მულტიპლიკაციის შესახებ	მუშაობა მთელ კლასთან  ინდივიდუალური მუშაობა	15 წუთი	1. ინფორმაციული ტექსტი: „ქართული მულტიპლიკაცია“; 2. დაფა/ფორმატი; 3. ცარცი/მარკერი; 4.ფურცლები/რვეულები; 5. კალმები.
კითხვის პროცესი	“კითხვა წყვილებში”	წყვილური მუშაობა	15 წუთი	
წაკითხვის შემდგომ	„მინტერესებს“ - შეკითხვა: იპოვეთ თუ არა ტექსტში პასუხები თქვენ მიერ დასმულ კითხვებზე? გაუზიარეთ თქვენი შეკითხვები და პასუხები მთელ კლასს.	ინდივიდუალური მუშაობა  მუშაობა მთელ კლასთან	15 წუთი	



### ქართული მულტიპლიკაცია

მულტიპლიკაცია კინოხელოვნების ერთ-ერთი სახეა. ის მე-20 საუკუნის დასაწყისში წარმოიშვა. სიტყვა „მულტიპლიკაცია“ ლათინური წარმოშობისაა და გამრავლებას ნიშნავს. მართლაც, ეკრანზე რომ ნახატი ამოძრავდეს, ამისათვის ერთი ნახატის უამრავ სხვადასხვა მდგომარეობაში დახატვას საჭირო, შემდეგ სპეციალურ აპარატში მათ სწრაფად გაატარებენ და ნახატიც ამოძრავდება. სწორედ ასე იქმნებოდა მოძრავი კადრები და თქვენთვის საყვარელი მულტფილმები. სულ რაღაც 8-10 წუთიანი ნახატი ფილმის სიგრძე 250-300 მეტრია. ამდენად, ასეთი ფილმების შექმნა ძალიან შრომატევადი და ხანგრძლივი სამუშაოა. მართალია, მთავარი როლი აქ მხატვარს ეკუთვნის, მაგრამ მასთან ერთად უამრავი სხვა პროფესიის ადამიანიც მუშაობს: მწერლები, რომლებიც სცენარებს ქმნიან, კომპოზიტორები, რომლებიც მუსიკალურად აფორმებენ ფილმს, მსახიობები, რომლებიც თქვენს საყვარელ გმირებს ახმოვანებენ, რეჟისორები, ოპერატორები, მემონტაჟეები და მრავალი სხვა.



ჩხიკვა ქორწილი



ქართული მულტიპლიკაცია ძალიან მრავალფეროვანი და ლამაზია. მას საფუძველი მე-20 საუკუნის 30-იან წლებში ჩაეყარა. ქართული ნახატი ფილმების ფუძემდებელია მხატვარი და რეჟისორი ვლადიმერ (ლადო) მუჯირი. 1953 წელს მან გადაიღო პირველი ქართული მხატვრული მულტიპლიკაციური ფილმი „არგონავტები“. ფილმის მთავარი მხატვარია ცნობილი ქართველი ხელოვანი ლადო გუდიაშვილი, კომპოზიტორი კი - შალვა აზმაიფარაშვილი.

ქართული მულტფილმების სიუჟეტებად იყენებდნენ ქართულ ზღაპრებს, ქართველი და უცხოელი მწერლების მოთხრობებს, საგანგებოდ ქმნიდნენ ახალ ნაწარმოებებს. ასე ცოცხლდებოდნენ ბავშვების საყვარელი ზღაპრებისა თუ მოთხრობების გმირები და უფრო მეტად საყვარელი ხდებოდნენ თავად მულტფილმები. გარდა იმისა, რომ ნახატი ფილმები ძალიან საინტერესო და შთამბეჭდავი საყურებელია, ისინი ბავშვებს მეგობრობას, სიკეთეს, სიყვარულს, თავდადებასაც ასწავლიან, უხვეწავენ გემოვნებას, აჩვენებენ კარგისა და ცუდის გარჩევას.



მე წვიმად მოვალ.


1950-60-იან წლებში შექმნილი ქართული მულტფილმებიდან განსაკუთრებით გამოირჩევა: „ჩხიკვთა ქორნილი“, „მტრობა“, „ხელმარჯვე ოსტატი“, „ნუნა და ნრუნუნა“, „ნახევარქათამა“ და ა.შ.

..მომდევნო წლებში კიდევ მრავალი ნახატი ფილმი შეიქმნა, რომელთაგან ბავშვებმა განსაკუთრებით შეიყვარეს: „მე წვიმად მოვალ“, „მგელი და კრავი“, „ტყის კვარტეტი“, „სიზმარა“, „ბატი ტასიკო“ და სხვა.

კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ ნახატი ფილმების გარდა იქმნებოდა თოჯინური ფილმებიც. პირველი ასეთი ფილმი, სახელწოდებით „ნიკო და სიკო“, 1961 წელს გადაიღეს. შემდეგ კი შეიქმნა ფილმები: „გოგონა და შადრევანი“, „ძილისგუდა“, „ბომბორა“.

ქართულ მულტიპლიკაციურ ფილმებს მრავალ ქვეყანაში უჩვენებდნენ. მაღალმხატვრული ღირსებების გამო ქართული ნახატი ფილმები არაერთხელ დაჯილდოვებულა სხვადასხვა საერთაშორისო ფესტივალზე.





სიზმარა



ტყის კვარტეტი



ბატი ტასიკო

„საუბრები ხელოვნებაზე“  
გამომცემლობა მერიდიანი  
თბილისი, 2003

[http://children.dsl.ge/main\\_xaki.htm](http://children.dsl.ge/main_xaki.htm)

ვისაუბროთ

1. ჩამოთვალე, რა პროფესიის ადამიანები მონაწილეობენ მულტფილმების შექმნაში.
2. ტექსტში ჩამოთვლილი მულტფილმებიდან რომელიმე ხომ არ გაქვს ნანახი?
3. რომელია შენი საყვარელი მულტფილმი? რატომ მოგწონს იგი?

### გაკვეთილის გეგმა № 3

#### გაკვეთილის თემა:

რა არის მენიუ? ფუნქციური ტექსტის მნიშვნელობა.

#### გაკვეთილის მიზანი:

მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- სხვადასხვა ტიპის ტექსტის შინაარსის გაგება;
- მოკლე ფუნქციური ტექსტის დაწერა მისი თავისებურებების გათვალისწინებით.

ფაზა	მეთოდი/სტრატეგია	მოსწავლეთა ორგანიზება	დრო	რესურსები
წაკითხვამდე	„ვიცი - მინდა ვიცოდე - ვისწავლე“ - შეკითხვები: რა ვიცი მენიუს შესახებ? რა მინდა ვიცოდე მენიუს შესახებ (რისთვისაა საჭირო, როგორ უნდა დაინეროს და ა.შ.)? - სქემის ნაწილობრივ შევსება	ინდივიდუალური მუშაობა  წყვილური მუშაობა	10 წუთი	1. ფუნქციური ტექსტი: „მენიუ“; 2. ფორმატები/ ფურცლები; 3. ფერადი ფანქრები/ ფლომასტერები.
კითხვის პროცესი	„ვიცი-მინდა ვიცოდე- ვისწავლე“ - ტექსტის დამუშავება	ინდივიდუალური მუშაობა/ მუშაობა მთელ კლასთან	15 წუთი	
წაკითხვის შემდგომ	„ვიცი-მინდა ვიცოდე- ვისწავლე“ - სქემის სრულად შევსება.  მენიუს შედგენა, გაფორმება, პრეზენტაცია	ინდივიდუალური მუშაობა  ჯგუფური მუშაობა	20 წუთი	



### გაკვეთილის გეგმა № 4

#### გაკვეთილის თემა:

რა არის ვაჟკაცობა? რა თვისებების გამო მიიჩნევენ ადამიანს ღირსეულად?

#### გაკვეთილის მიზანი:

მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- საკუთარი აზრისა და დამოკიდებულების გამოხატვა წაკითხული ტექსტის მიმართ;
- მისთვის ნაცნობ თემებზე სხვადასხვა ხასიათის ტექსტების გამართულად წერა.

ფაზა	მეთოდი/სტრატეგია	მოსწავლეთა ორგანიზება	დრო	რესურსები
წაკითხვამდე	„დაფიქრდი-დაწყვილდი-გაუზიარე“ - შეკითხვა: როგორი ადამიანია ვაჟკაცი?	ინდივიდუალური მუშაობა  წყვილური მუშაობა	5-7 წუთი	1. მხატვრული ტექსტი: „ის კი არ არის ბიჭობა“ (ვაჟა-ფშაველა); 2. რვეულები/ფურცლები;
კითხვის პროცესი	1. „ორსვეტიანი დღიური“ - ტექსტის (თითოეული სტროფის) დამუშავება. შეკითხვა: რა მიაჩნია ვაჟა-ფშაველას „ბიჭობად“?  2. „სადისკუსიო ქსელი“ - შეკითხვა: ეს ლექსი მხოლოდ ბიჭებზეა თუ ყველა ადამიანზე?	ინდივიდუალური/წყვილური მუშაობა  მუშაობა მთელ კლასთან	10 წუთი  10 წუთი	3. „სადისკუსიო ქსელის“ სქემები (ქსეროასლი); 4. კალმები.
წაკითხვის შემდგომ	„სამწუთიანი ესეი“ — „რა არის ჩემთვის ბიჭობა“. „საავტორო სკამი“ - ნაწერების პრეზენტაცია.	ინდივიდუალური მუშაობა	20 წუთი	

## ის კი არ არის ბიჭობა

ის კი არ არის ბიჭობა,  
რომ გამაგრებდნენ, მაგრობდენ;  
ბიჭს მაშინ დაგიძახებდი,  
თავისთავადა ვარგობდენ.  
არც ის მგონია ბიჭობა,  
ვისაც ერევი, ახრჩობდენ;  
ბიჭს მაშინ დაგიძახებდი,  
რომ სხვის დამხრჩვალსა სწამლობდენ.  
მითხარ, ვის უთქვამს ბიჭობად,  
დამჩაგვრელებსა წყალობდენ?  
აბა ბიჭობა ის არის,  
დაჩაგრულთათვის წვალობდენ.

**ვაჟა-ფშაველა**



## ვისაუბროთ

1. ჩამოთვალე, რა არ მიაჩნია ავტორს ბიჭობად, ვაჟკაცობად.
2. კიდევ რაიმეს ხომ არ დაამატებდი ლექსში ჩამოთვლილ ვაჟკაცურ თვისებებს?

## გაკვეთილის გეგმა № 5

### გაკვეთილის თემა:

რაზე ვოცნებობთ? რა სჭირდება ადამიანს ბედნიერებისათვის?

### გაკვეთილის მიზანი:

მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- სხვადასხვა სირთულის ტექსტის ჩუმად გამართულად წაკითხვა;
- გაგებაზე ორიენტირებული შეკითხვების დასმა ტექსტის წაკითხვამდე,

წაკითხვის პროცესში და წაკითხვის შემდეგ და საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა წაკითხული ტექსტის მიმართ;

- მარტივი თხზულების დაწერა სტრუქტურის დაცვითა და მხატვრული ხერხების გამოყენებით.

ფაზა	მეთოდი/სტრატეგია	მოსწავლეთა ორგანიზება	დრო	რესურსები
წაკითხვამდე	<ol style="list-style-type: none"> <li>1. მცირე დისკუსია - შეკითხვა: გინატრიათ თუ არა ოდესმე უჩინმაჩინობა?</li> <li>2. „კითხვები და პასუხები“ - შეკითხვებისა და შესავსები სქემის გაცნობა               <ol style="list-style-type: none"> <li>1. „იქვე, ტექსტში“ - რატომ ინატრა ტონინომ უჩინმაჩინობა?</li> <li>2. „იფიქრე და მოიძიე“ - რის გამო ატირდა ტონინო?</li> <li>3. „ავტორი და მე“ - რატომ ხედავდა მოხუცი კაცი ტონინოს?</li> <li>4. „მე თვითონ“ - რა არის საჭირო ბედნიერად ცხოვრებისათვის?</li> </ol> </li> </ol>	მუშაობა მთელ კლასთან	15 წუთი	<ol style="list-style-type: none"> <li>1. თხრობითი ტექსტი: „უჩინმაჩინი ტონინო“ (ჯანი როდარის მიხედვით);</li> <li>2. „კითხვების და პასუხების“ შესავსები სქემები (ქსეროასლი);</li> <li>3. კალმები;</li> <li>4. რვეულები/ფურცლები.</li> </ol>
კითხვის პროცესი	<p>„ლიტერატურული წრე“ - როლები:</p> <p>მკითხველი, შემაჯამებელი, ვარაუდების გამომთქმელი, სიტყვების მოძიებელი.</p> <p>„კითხვები და პასუხები“ - სქემის შევსება.</p> <p>პასუხების განხილვა.</p> <p>დისკუსია.</p>	<p>ჯგუფური მუშაობა</p> <p>ინდივიდუალური მუშაობა</p> <p>მუშაობა მთელ კლასთან</p>	<p>15 წუთი</p> <p>15 წუთი</p>	
წაკითხვის შემდგომ	<p>მომდევნო გაკვეთილზე:</p> <p>„რაფთ“ სტრატეგია - როლი: ტონინო;</p> <p>აუდიტორია: მისი მეგობრები/ყველა ბავშვი/მშობლები;</p> <p>ფორმატი: წერილი;</p> <p>თემა: „მე რომ უჩინმაჩინი ვიყავი“...</p> <p>„საავტორო სკამი“ - ნაწერების პრეზენტაცია.</p>	ინდივიდუალური მუშაობა	20-25 წუთი	



## უჩინმარინი ტონინო

### ჯანი როდარის მოთხრობის მიხედვით

ეს საოცარი ამბავი ერთ იტალიელ ბიჭს, ტონინოს გადახდა. ერთხელ ტონინომ გაკვეთილი არ ისწავლა და ისე წავიდა სკოლაში. მიდიოდა და გული უსკდებოდა, ვაითუ გამომიძახონო.

„ნეტავი ერთი უჩინმარინად მაქცია, სხვა არაფერი მინდა“, – ნატრობდა გულში ტონინო.

გაკვეთილი ჩვეულებრივად სიის ამოკითხვით დაიწყო. როცა მასწავლებელმა ტონინოს გვარი წაიკითხა, ის უცებ ფეხზე წამოხტა და, აქა ვარო, დაიძახა, მაგრამ იმის ხმა არავის არ გაუგონია.

– ეტყობა, ტონინო ავად გახდა, – თქვა მასწავლებელმა. – სწორედ დღეს უნდა გამომეძახა.

ტონინო მიხვდა, ნატვრა ამსრულებია, უჩინმარინი ვარ უკვეო, გაქანდა და, ოთახის კუთხეში ქალღმრთის ნახევებით სავსე კალათა რომ იდგა, შიგ ჩახტა. მერე მერხებზე დაიწყო სირბილი და ბრახაბრუხი ატეხა. ხან ერთ ბავშვს აწინკნიდა ქოჩორს, ხან მეორეს. თვალის დახამხამებაში მთელი კლასი ყირამალა დააყენა. უნდა გენახათ, რა აურზაური ატყდა! ბავშვები ერთმანეთს ეცნენ, ყველა ერთიმეორეს აბრალებდა, არა შენ იყავი, არა შენაო. უჩინმარინი ტონინო კი სიცილით იგუდებოდა.

ბევრი იცელქა თუ ცოტა იცელქა, ბოლოს მოსწყინდა ტონინოს იქ ყოფნა და წავიდა, ავტობუსში ჩაჯდა. ნახა უკან ცარიელი ადგილი და კარგად მოიკალათა. ბილეთი არც გახსენებია. კიდეც კარგი, კონდუქტორი ვერ ხედავდა, თორემ უბილეთოდ ვინ წაიყვანდა! მეორე გაჩერებაზე ტროლეიბუსში ერთი მსუქანი ქალი ავიდა. ცარიელ ადგილს მოჰკრა თუ არა თვალი, მივიდა, გატენილი ჩანთა დადო და გაოგნდა – ჩანთა სკამზე კი არ იდო, ჰაერში ეკიდა. აბა, რას იფიქრებდა ის ქალბატონი, იქ თუ უჩინმარინი ბიჭი იჯდა და ჩანთა იმას ედო მუხლებზე! სანყალი ტონინო კინალამ გაჭყლიტა მიძიმე ჩანთამ, მსუქანმა ქალმა კი ყვირილი მორთო:



– ესლა გვაკლდა! რა უბედურებაა, სკამზე ჩანთა ველარ დამიდა! შეხედეთ ერთი, შეხედეთ!

მართლა მეტისმეტია, ამ ოხერ ტრანსპორტს პატრონი აღარა ჰყავსო, აყაყანდნენ სხვებიც.

ამასობაში ტონინომ ავტობუსიდან ძირს ისკუპა, ტკბილეულის მაღაზიაში შევიდა, და უამრავი ყელის ჩასატკბარუნებელი რამე ნახა! ჯერ ქიშმიშიანი ნაზუქი ჩაბლუჯა, მერე შოკოლადიან ნამცხვარს მოუღებინა! გამყიდველი თვალს არ უჯერებდა – რა მოსდის ამ ტკბილეულსო, და შაქარყინულის საყიდლად შემოსულ ერთ ბატონს მივარდა, შენ იპარავო. კაცი გაცეცხლდა, ქურდობა როგორ დამაბრალესო და მაღაზიაში იმისთანა ჩხუბი ატყდა, მთელი ქუჩა იქ შეიყარა. უცბად საიდანღაც პოლიციაც მოვიდა. ერიჰაა, ნავიდე, გავასწროო, იფიქრა ტონინომ, კარში გაძვრა და სკოლისაკენ მოკურცხლა, ერთი ვნახო, ჩვენი ბიჭები რას აკეთებენო. მივიდა და ზარი დაირეკა კიდეც. გაიღო კარი და ბავშვები სულ ყირამალა, ჟრიაშულით გამოცვივდნენ კლასიდან. ტონინო ყველას ხედავდა, ის კი არავის დაუნახავს. ხან ერთ ბავშვს გადაუდგა წინ, ხან მეორეს, მაგრამ ვერც ერთი ვერ ამჩნევდა, ზედაც არავინ უყურებდა.

დალლილ-დაქანცული და ცხვირჩამოშვებული ტონინო შინისკენ წალასლასდა. დედა უკვე ეძებდა, აივანზე იდგა და ძირს იყურებოდა.

– აქა ვარ, დედა! – დაუძახა ტონინომ.

დედა არც განძრეულა. არც ტონინო დაუნახავს და არც იმის ხმა გაუგონია. ისევ ქუჩას გასცქეროდა შეშინებული.

– მე ვარ, მამი! – ახლა აღელვებულ მამას შეეხმინა ტონინო.

მამასაც არაფერი გაუგონია, იდგა და ფანჯარაში იხედებოდა.

– აქა ვარ, ხალხო, რა მოგივიდათ! – გამწარებული ყვიროდა ტონინო და იმის ყვირილი მაინც არავის არ ესმოდა.

ახლა კი უკვე ცრემლები წასკდა ტონინოს. მაგრამ ტირილს აბა რა ფასი აქვს, როცა შენს ცრემლებს ვერავინ ხედავს?

– არა, აღარ მინდა უჩინმაჩინობა! – საცოდავად სლუკუნებდა ტონინო. – ისევ დედასთან და მამასთან მინდა! ოღონდაც დამინახონ, და მცემონ, რა ვქნა! თუ უნდა, მასწავლებელმაც ყოველდღე გამომიძახოს. ვაიმე, დედაა!..

ამ ტირილში ტონინო კიბეებს ჩაუყვავა და ეზოში ჩავიდა.

– რა გატირებს, ბიჭო! – ჰკითხა ტონინოს იქვე მზეზე გასათბობად ჩამომჯდარმა ბერიკაცმა.



ტონინო კინალამ გადაირია.

- მართლა მხედავ? - შეჰყვირა გახარებულმა.
- გხედავ, ყოველდღე გხედავ, როცა სკოლიდან ბრუნდები.
- მე კი არასოდეს არ შემიმჩნევია.

- ვიცი, შვილო, ვიცი. კარგა ხანია უკვე აღარავინ არ მამჩნევს. აბა, ვილას რაში ვჭირდები პენსიონერი კაცი? სულ მარტო ვარ. რაღა მე და რაღა უჩინმაჩინი!

ამ დროს აივნიდან დედის ხმა მოისმა:

- ტონინო!
- მხედავ, დედა?
- ნეტავი არ გხედავდე! ამოდი, გამოადგი ფეხი! მამაშენი გიჩვენებს სეირს...

- მოვდივარ, დედა, მოვდივარ! - ტონინო სიხარულით წამოხტა სკამიდან.

- შენ გეტყობა, მშობლების საყვედურისაც არა გეშინია! - გაუღიმა ბერიკაცმა.

ტონინო კისერზე მოეხვია მოხუცს, ლოყაზე აკოცა და ჩასჩურჩულა, შენ ამიხილე თვალები, შენ გადამარჩინეო.

- მე კი არ აგიხილე, შენ თვითონვე მიხვდი! ეგრეა, ბედნიერად რომ იცხოვრო, ამისთვის უჩინმაჩინობა სულაც არ არის საჭირო! - თავზე გადაუსვა ხელი ბერიკაცმა.

### ვისაუბროთ

1. რის გამო ატირდა ტონინო?
2. ეთანხმებით თუ არა მოხუცის სიტყვებს: “ბედნიერად რომ იცხოვრო, ამისთვის უჩინმაჩინობა სულაც არ არის საჭირო”? რატომ?
3. ოდესმე გინატრიათ უჩინმაჩინობა? რატომ?

### გამოყენებული ლიტერატურა

1. დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მეთოდური გზამკვლევი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, თბილისი, 2010
2. დიმიტრი უზნაძე, ბავშვის ფსიქოლოგია, სასკოლო ასაკის ფსიქოლოგია, თბილისი, 2003
3. კითხვის ეფექტური მეთოდები, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, თბილისი, 2010
4. სწავლება და შეფასება, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, თბილისი, 2009
5. წიგნიერება – PIRLS-2006 საქართველოში, გამოცდების ეროვნული ცენტრი, თბილისი, 2008
6. Temple C., Ogle D., Crawford A., Freppon P. All Children Read. Teaching for Literacy in Today's Diverse Classrooms.. Pearson. 2008
7. Reading Rockets. Classroom Strategies. <http://www.readingrockets.org/strategies/>
8. Graves M. F., Juel C., Graves B. B. Teaching Reading in the 21st Century. Fourth Edition. Pearson. 2007
9. ბესელია ნინო, პაპავა პაატა. წიგნიერება დაწყებით კლასებში, მეთოდური სახელმძღვანელო მასწავლებლებისათვის. ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭო. 2011

---

# მათემატიკური ნიშნობა

ავტორი

ეკატერინე კორძაძე

1. შესავალი .....	119
2. სტანდარტი .....	121
2.1 მათემატიკური წიგნიერების სტანდარტის ძირითადი სტრუქტურა .....	121
2.2 კურსის დასრულებისას მისაღწევი შედეგები მიმართულებების მიხედვით .....	122
3. პრობლემაზე ორიენტირებული სწავლება .....	129
3.1 შესავალი .....	129
3.2 რა არის პრობლემური სიტუაცია/ამოცანა .....	131
3.3 კონკრეტული მაგალითები .....	132
4. შეფასება მათემატიკურ წიგნიერებაში .....	136
5. გაკვეთილის გეგმის ნიმუშები .....	139

## 1. შესავალი

თანამედროვე ეპოქაში მათემატიკა ჩვენი ცხოვრების განუყრელი ნაწილია. იგი გამოიყენება ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროში: მეცნიერებასა და ტექნოლოგიებში, მედიცინაში, ეკონომიკაში, გარემოს დაცვასა და სოციალურ გადაწყვეტილებათა მიღებაში. ძნელია მოიძებნოს ადამიანის საქმიანობის სფერო, რომელიც გაჯერებული არ არის „მათემატიკური ობიექტებით“. საბაზო მათემატიკური განათლების გარეშე ძნელია საზოგადოების სრულფასოვან წევრად იგრძნო თავი. შესაბამისად, მათემატიკური წიგნიერება შესაძლებელია განხილულ იქნას, როგორც საზოგადოების განვითარების წინაპირობა. განათლების სისტემის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა მოსწავლეთა აღჭურვა იმ ცოდნითა და უნარ-ჩვევებით, რაც გაუადვილებს მათ ცხოვრებისეული პრობლემების გადაჭრას, მიეხმარება მომავლის უკეთ დაგეგმვაში, გადაწყვეტილებების მიღებაში, გააზრებული ცხოვრებისეული არჩევანის გაკეთებაში.

მნიშვნელოვანია სწორი აქცენტების დასმა მათემატიკის ფართო გამოყენებაზე მოსწავლეთა ყოველდღიურ ცხოვრებაში. სასწავლო მასალის შინაარსიც და სწავლების მეთოდოლოგიაც ორიენტირებული უნდა იყოს მათემატიკურად წიგნიერი თაობის აღზრდაზე, იმის მიუხედავად, საქმიანობის რომელ სფეროს აირჩევენ მოსწავლეები სამომავლოდ.

მათემატიკური წიგნიერება გულისხმობს ელემენტარული მათემატიკური ცნებებისა და პროცედურების ფლობას, მათი გამოყენების უნარს რეალური, ყოველდღიური პრობლემების გადაჭრისას; კომუნიკაციის იმ საშუალებების მოხმარების უნარს, რომლებიც საჭიროა ინფორმაციის მისაღებად და გადასაცემად მათემატიკური ენის გამოყენებით; აგრეთვე, მათემატიკის ადგილისა და მნიშვნელობის ცოდნას სხვა დისციპლინებში, ბიზნესში, ხელოვნებასა და ადამიანის მოღვაწეობის სხვადასხვა სფეროებში.

ამგვარად, მათემატიკური განათლების ძირითადი მიზნები და ამოცანებია:

- მოსწავლეებისათვის აზროვნების უნარის განვითარება;
- მსჯელობის, შეხედულებათა დასაბუთების, მოვლენებისა და ფაქტების ანალიზის უნარის განვითარება;

- მათემატიკის, როგორც სამყაროს აღწერისა და მეცნიერების უნივერსალური ენის გაცნობიერება;
- სწავლის შემდგომი ეტაპისათვის ან პროფესიული საქმიანობისათვის მომზადება;
- ცხოვრებისეული ამოცანების გადასაწყვეტად საჭირო ცოდნის გადაცემა და ამ ცოდნის გამოყენების უნარის განვითარება.

მათემატიკური წიგნიერების კურსი ხელს უწყობს შემდეგი **ზოგადი უნარ-ჩვევების** ჩამოყალიბებას:

### **კომუნიკაცია**

- ინფორმაციის გადმოცემისას საკითხის არსის წარმოჩენა;
- ინფორმაციის გადმოცემისას მათემატიკური ტერმინებსა და აღნიშვნების სწორად და ეფექტიანად გამოყენება.

### **მსჯელობა-დასაბუთება**

- ვარაუდის გამოთქმა და კერძო შემთხვევებში მისი კვლევა;
- არსებითი თვისებებისა და მონაცემების განსაზღვრა;
- გამონაკლისი შემთხვევების აღნიშვნა და მათი განზოგადების არამართებულობის დასაბუთება.

### **პრობლემების გადაჭრა**

- ამოცანის შინაარსის აღქმა და პრობლემის ფორმულირება; ამოცანის მონაცემებისა და საძიებელი სიდიდეების ერთმანეთისაგან გამიჯვნა; მონაცემების ორგანიზება და წარმოდგენა.
- კომპლექსური პრობლემის საფეხურებად, მარტივ ამოცანებად დაყოფა და ეტაპობრივად გადაჭრა.
- მიღებული შედეგების განზოგადება.

## 2. სტანდარტი

### 2.1 მათემატიკური ნიშნობის სტანდარტის სტრუქტურა:

სტანდარტი შედგება ოთხი მიმართულებისაგან. ესენია:

#### 1. რიცხვები და მოქმედებები:

- რიცხვები, მათი გამოყენება და რიცხვის წარმოდგენის საშუალებები;
- მოქმედებები რიცხვებზე და რიცხვითი თანაფარდობები;
- რაოდენობათა შეფასება და მიახლოება;
- სიდიდეები, ზომის ერთეულები.

#### 2. კანონზომიერებები და ალგებრა:

- სიმრავლეები, ასახვები, ფუნქციები და მათი გამოყენება.

#### 3. გეომეტრია და სივრცის აღქმა:

- გეომეტრიული ობიექტები: მათი თვისებები, ურთიერთმიმართება და კონსტრუირება;
- ზომა და გაზომვის საშუალებები;
- ორიენტირება სივრცეში, კოორდინატები და მათი გამოყენება.

#### 4. მონაცემთა ანალიზი, ალბათობა და სტატისტიკა:

- მონაცემთა წყაროები და მონაცემთა მოპოვების საშუალებები;
- მონაცემთა მონესრიგების ხერხები და მონაცემთა წარმოდგენის საშუალებები;
- მონაცემთა შემაჯამებელი რიცხვითი მახასიათებლები.

ეს მიმართულებები მჭიდრო ურთიერთკავშირშია და წარმოაჩენს შესასწავლი მასალის მთელ სპექტრს. თითოეული მიმართულებისათვის ჩამოყალიბებულია მისაღწევი შედეგები თანდართული ინდიკატორებით. ინდიკატორებში აღწერილია, თუ რა აქტივობების გამოვლენის შემთხვევაში შედეგის მიღწევა თვალსაჩინო.

**2.2. კურსის დასრულებისას მისაღწევი შედეგები მიმართულებების  
 მიხედვით:**

რიცხვები და მოქმედებები	კანონზომიერებები და ალგებრა	გეომეტრია და სივრცის აღქმა	მონაცემთა ანალიზი, ალბათობა და სტატისტიკა
<p>1) მოსწავლე ფლობს და იყენებს რიცხვის ცნებას და რიცხვის წარმოდგენის საშუალებებს.</p> <p>2) მოსწავლეს შეუძლია რიცხვების შედარება და კლასიფიცირება.</p> <p>3) მოსწავლეს შეუძლია ძირითადი არითმეტიკული ოპერაციების შესრულება რიცხვებზე.</p> <p>4) მოსწავლეს შეუძლია რიცხვების დამრგვალება, მოქმედების შედეგის მიახლოებით შეფასება.</p> <p>5) მოსწავლეს შეუძლია ზომის სხვადასხვა ერთეულების ერთმანეთთან დაკავშირება.</p>	<p>1) მოსწავლეს შეუძლია ყოველდღიური ცხოვრებიდან ან ბუნებისმეტყველების დარგებიდან მომდინარე ამოცანების ამოხსნა.</p> <p>2) მოსწავლეს შეუძლია სიმრავლური ცნებებისა და ოპერაციების გამოყენება მარტივი ამოცანების ამოხსნისას.</p>	<p>1) მოსწავლეს შეუძლია ფიგურების იდენტიფიკაცია, კლასიფიცირება, გამოსახვა.</p> <p>2) მოსწავლეს შეუძლია საგანთა და ფიგურათა ზომებისა და ობიექტთა შორის მანძილების პოვნა.</p> <p>3) მოსწავლეს შეუძლია ორიენტირება სიბრტყეზე</p>	<p>1) მოსწავლეს აქვს ელემენტარული წარმოდგენები ინფორმაციის მოპოვების საშუალებების შესახებ.</p> <p>2) მოსწავლე ფლობს ინფორმაციის მონესრიგებისა და წარმოდგენის ხერხებს (საშუალებებს)</p> <p>3) მოსწავლეს შეუძლია თვისებრივ და რაოდენობრივ მონაცემთა ინტერპრეტაცია და ელემენტარული ანალიზი.</p>

**რიცხვები და მოქმედებები**

**1. მოსწავლე ფლობს და იყენებს რიცხვის ცნებას და რიცხვის წარმოდგენის საშუალებებს**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ:

- განასხვავებს რიცხვის გამოყენების სხვადასხვა ასპექტს (რაოდენობის აღნიშვნა, რიგითი ნომერი, „ჭდე“);
- კითხულობს და გამოსახავს რიცხვებს (წილადების შემთხვევაში, უთითებს მათ ჩანანერში წილადის მრიცხველს და მნიშვნელს, მთელ და წილად ნაწილებს);



- ახდენს ათობითი პოზიციური სისტემის დემონსტრირებას სხვადასხვა მოდელის გამოყენებით; განმარტავს რიცხვების სახელდებას მშობლიურ ენაზე;
- ასახელებს რიცხვის ჩანაწერში სხვადასხვა თანრიგის ციფრების შესაბამის მნიშვნელობებს, წარმოადგენს რიცხვს სათანრიგო შესაკრებების ან სხვა სახით;
- ეკვივალენტური ფორმით წერს შერეულ რიცხვებს, ათწილადებსა და წილადებს.

## 2. მოსწავლეს შეუძლია რიცხვების შედარება და კლასიფიცირება

შედეგი თვალსაჩინოა, თუ:

- იყენებს პოზიციურ სისტემას ნატურალური რიცხვების შედარებისას;
- ზრდით ან კლებით ალაგებს რიცხვებს;
- სწორად იყენებს ტერმინებს - მეტია, ნაკლებია, არ აღემატება, ... და შესაბამის აღნიშვნებს შედარების შედეგის გამოსახატავად;
- განასხვავებს ნატურალურ და რაციონალურ რიცხვებს (ლუნ და კენტ რიცხვებს და სხვა).

## 3. მოსწავლეს შეუძლია ძირითადი არითმეტიკული ოპერაციების შესრულება რიცხვებზე

შედეგი თვალსაჩინოა, თუ:

- ფლობს ზეპირად შეკრებისა და გამოკლების სტრატეგიებს (შესაბამისი სათანრიგო ერთეულების შეკრება/გამოკლება, თანრიგამდე შევსების ხერხი, ...);
- მოქმედებათა შესრულებისას იყენებს წერით ალგორითმს;
- ანგარიშისას და მარტივი რიცხვითი გამოსახულების მნიშვნელობის პოვნისას იყენებს მოქმედებათა თანმიმდევრობას და მოქმედებათა თვისებებს.

## 4. მოსწავლეს შეუძლია რიცხვების დამრგვალება, მოქმედების შედეგის მიახლოებით შეფასება

შედეგი თვალსაჩინოა, თუ:

- ასახელებს მოცემული რიცხვის უახლოეს ათეულს, ასეულს ან ათასეულს;

- მოცემული სიზუსტით ამრგვალებს რიცხვებს (მათ შორის, წილადებსა და ათწილადებს);
- აფასებს არითმეტიკული მოქმედებების შედეგს;
- ამოცანის კონტექსტის გათვალისწინებით ირჩევს, რა უფრო მიზანშეწონილია – მოქმედებათა შედეგის შეფასება, შედეგის მიახლოებითი თუ ზუსტი მნიშვნელობის პოვნა.

## **5. მოსწავლეს შეუძლია ზომის სხვადასხვა ერთეულების ერთმანეთთან დაკავშირება**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ:

- ირჩევს და იყენებს შესაფერის ერთეულებს სიდიდის ცვლილების, მოძრაობის სიჩქარის, მასშტაბისა და რუკაზე მანძილის პოვნასთან დაკავშირებული ამოცანების ამოხსნისას (იგულისხმება ადეკვატური ერთეულის შერჩევა);
- ერთმანეთთან აკავშირებს სიგრძის, ფართობის, მოცულობის, დროის შესაბამის ერთეულებს.

### **კანონზომიერებები და ალგებრა**

#### **1. მოსწავლეს შეუძლია ყოველდღიური ცხოვრებიდან ან ბუნების-მეტყველების დარგებიდან მომდინარე ამოცანების ამოხსნა.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ:

- მარტივ ამოცანაში ერთმანეთისაგან მიჯნავს მონაცემებსა და საძიებელ სიდიდეებს; მსჯელობს, საკმარისია თუ არა მონაცემები ამოცანის ამოსახსნელად.
- ამოიცნობს და აანალიზებს სიდიდეებს შორის პირდაპირპროპორციულ დამოკიდებულებას; იყენებს მას ყიდვა-გაყიდვაზე, მასშტაბზე, ხსნარებზე, შენადნობებზე ამოცანების ამოხსნისას.
- პოულობს რიცხვის წილად ნაწილს ან პროცენტს და პირიქით, პოულობს რიცხვს მისი წილადი ნაწილის (პროცენტის) მიხედვით.
- ადგენს და ხსნის რეალური ვითარების ან მისი სიტყვიერი აღწერის შესაბამის ტოლობას, უტოლობას ან განტოლებას.

## 2. მოსწავლეს შეუძლია სიმრავლური ცნებებისა და ოპერაციების გამოყენება მარტივი ამოცანების ამოხსნისას

შედეგი თვალსაჩინოა, თუ:

- სწორად იყენებს ტერმინებს „ყველა“, „ყოველი“, „თითოეული“, „ზოგიერთი“, „ერთ-ერთი“, „არც ერთი“, „ერთადერთი“.
- იყენებს ზოგადი-კერძო ტიპის მიმართებებებს გამონათქვამის მართებულობის დასასაბუთებლად (არგუმენტირებისას).
- შეუძლია მარშრუტის, გეგმის (სქემის) ეტაპების ან ობიექტთა შორის მიმართებების გამომსახავი მარტივი დიაგრამების წაკითხვა და აგება.

### გეომეტრია და სივრცის აღქმა

#### 1. მოსწავლეს შეუძლია ფიგურების იდენტიფიკაცია, კლასიფიცირება, გამოსახვა.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ:

- ყოფითი დანიშნულების საგნებში ან მათ ილუსტრაციებში უთითებს გეომეტრიულ ფიგურებს.
- ადარებს და აჯგუფებს ფიგურებს გეომეტრიული ატრიბუტების მიხედვით.
- გარემომცველ ობიექტებს შორის მოიძიებს სიმეტრიულ ობიექტებს; განასხვავებს სიმეტრიულ და ასიმეტრიულ ფიგურებს. სათანადო შემთხვევაში ახდენს ფიგურათა სიმეტრიულობის დემონსტრირებას.
- ქმნის ბრტყელი და სივრცული ფიგურების გრაფიკულ გამოსახულებებს და მოდელებს (მათ შორის, მათი სიტყვიერი აღწერილობის საფუძველზე).

#### 2. მოსწავლეს შეუძლია საგანთა და ფიგურათა ზომებისა და ობიექტთა შორის მანძილების პოვნა.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ:

- ახდენს ორ ობიექტს შორის მანძილის შეფასებას შესაბამის სტანდარტულ ერთეულში, ზომავს მას და ამონმებს თავის ვარაუდს;

- დასმული ამოცანის შესაბამისად სწორად ირჩევს ფიგურის ზომის სახეს (მაგ., თუ ლობის სიგრძეა გამოსათვლელი – ეს იგივე პერიმეტრია, თუ იატაკია შესაღები – მაშინ ფართობის ცოდნაა საჭირო).
- იყენებს ფიგურათა თვისებებს და ტოლი ფიგურების შესაბამისი ელემენტების შედარების მეთოდს ფიგურის ელემენტის უცნობი ზომის მოსაძებნად.
- (ითვლის მრავალკუთხედის პერიმეტრს, მართკუთხოვანი ფიგურის ფართობს, მართკუთხა პარალელეპიპედის მოცულობას)

### 3. მოსწავლეს შეუძლია ორიენტირება სიბრტყეზე.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ:

- ორიენტირებს გარემოში და აღწერს ობიექტთა ურთიერთგანლაგებას.
- აღწერს ობიექტის მდებარეობას მეორე ობიექტის მიმართ შესაბამისი ტერმინების გამოყენებით (მაგ. მარჯვნივ, მარცხნივ, ზემოთ, ქვემოთ).
- გასცემს და თავადაც ასრულებს მოძრაობის ორიენტაციის შემცველ მითითებებს.
- აღწერს რუკაზე ორი ან მეტი პუნქტის ურთიერთმდებარეობას ოთხი მიმართულების გამოყენებით (მაგ. ჩრდილოეთით, დასავლეთით).
- კოორდინატების (სიმბოლოთა ნყვილის) გამოყენებით აღწერს მდებარეობას და იყენებს ამ ხერხს რეალურ ვითარებაში (მაგ. კინოთეატრი, გემების ჩაძირობანა, ჭადრაკის დაფა, რუკაზე ობიექტის მოძებნა).
- ორიენტირებს რუკაზე ან საკოორდინატო სიბრტყეზე კოორდინატების გამოყენებით (მაგ. ასახელებს მოცემული წერტილის კოორდინატების მიახლოებით ან ზუსტ მნიშვნელობას; პოულობს წერტილს მოცემული მთელრიცხოვანი კოორდინატების მიხედვით).

### მონაცემთა ანალიზი, ალბათობა და სტატისტიკა

#### 1. მოსწავლეს აქვს ელემენტარული წარმოდგენები ინფორმაციის მოპოვების საშუალებების შესახებ.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ:

- განასხვავებს თვისებრივ და რაოდენობრივ მონაცემებს, იყენებს მონაცემთა შეგროვების შესაფერის საშუალებას (გაზომვა, დაკვირვება).
- ქმნის მარტივ კითხვარს, განსაზღვრავს რესპოდენტებს, აგროვებს მონაცემებს.
- ამოკრებს საჭირო მონაცემებს მონესრიგებული მონაცემების შესაფერისი კატეგორიებიდან (ცხრილი, მონაცემების შემცველი ტექსტი).

## **2. მოსწავლე ფლობს ინფორმაციის მონესრიგებისა და წარმოდგენის ხერხებს (საშუალებებს).**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ:

- სწორად ავსებს ცხრილს, სქემას, კითხვარს/ანკეტას (მაგალითად, შეაქვს მონაცემები მზა ცხრილის შესაბამის უჯრებში).
- ქმნის ცხრილს მონაცემის წარმოსადგენად (განსაზღვრავს ქდეებს, სათაურს, სვეტებისა და სტრიქონების რაოდენობას).
- აგებს დიაგრამას (სვეტოვანი, ხაზოვანი, წრიული. შეუძლია გრაფიკულად წარმოდგენილი ინფორმაციის წაკითხვა).
- აჯგუფებს მონაცემებს არანაკლებ ორი ნიშნით და ხსნის დაჯგუფების წესს.

## **3. მოსწავლეს შეუძლია თვისებრივ და რაოდენობრივ მონაცემთა ინტერპრეტაცია და ელემენტარული ანალიზი.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ:

- ითვისებს შემაჯამებელ რიცხვით მახასიათებლებს (მონაცემთა საშუალო, უდიდესი და უმცირესი მნიშვნელობები) დისკრეტული რაოდენობრივი მონაცემებისთვის და იყენებს მათ მონაცემთა ერთობლიობის დასახასიათებლად;
- ადარებს მონაცემთა რამდენიმე ერთობლიობას მათი წინასწარ მოცემული სტატისტიკური მახასიათებლების საშუალებით;
- პოულობს მონაცემთა ერთობლიობაში არსებულ კანონზომიერებებს და მსჯელობს მათზე.

#### **4. მათემატიკური წიგნიერების კურსის შინაარსი**

##### **რიცხვები და მოქმედებები; კანონზომიერებები და ალგებრა**

1. რიცხვის ცნება. ისტორიული ცნობები. რიცხვების გამოყენება (ჭდე, რიგი, ...)
2. ნატურალური რიცხვები. ათობითი პოზიციური სისტემა.  
სხვა რიცხვითი სისტემების გაცნობა (მაგ. ანბანი და ასოების რიცხვითი შესატყვისები; ეგვიპტური – ათის ხარისხების განსხვავებული აღნიშვნები ან რომაული სისტემა).
3. არითმეტიკული მოქმედებები ნატურალურ რიცხვებზე. რიცხვების შედარება და არითმეტიკული მოქმედებების შედეგის შეფასება. არითმეტიკული მოქმედებების თვისებები: შეკრებისა და გამრავლების კომუტაციურობა (გადანაცვლებადობა), ასოციაციურობა (ჯუფთებადობა) და შეკრების მიმართ გამრავლების დისტრიბუციულობა (განრიგებადობა).
4. წილადები, ათწილადები და ზოგიერთი კავშირი მათ შორის. წილადების, ათწილადების შედარება, დალაგება და გამოსახვა.
5. პროცენტის ცნება. კავშირები ერთი და იმავე მთელის პროცენტსა და ნაწილს შორის.
6. პროპორცია. პროპორციის უცნობი ელემენტის მოძებნა. რიცხვის პროპორციულ ნაწილებად დაყოფა (მაგ. 2 : 3 : 5).
7. ტექსტური ამოცანები, რომლებიც შეკრების, გამოკლებისა და გამრავლების შემცველი რიცხვითი ან ერთი ასოითი აღნიშვნის შემცველი ალგებრული გამოსახულებით იხსნება.
8. ფასდაკლება/ფასის გაზრდა: თანმიმდევრობითი და ერთჯერადი ფასდაკლებების/ფასების ზრდის ერთმანეთთან შედარება და მარტივი ხარჯთაღრიცხვა.
9. სიმრავლეთა თეორიის უმარტივესი ცნებები და ოპერაციები.
10. ზომის ერთეულები, ზომის ერთეულებს შორის კავშირები და ზომის ერთეულების გამოყენება: მასშტაბი; ერთი სისტემის ერთეულის სხვა სისტემის შესაბამისი ერთეულით გამოსახვა.

##### **გეომეტრია და სივრცის აღქმა**

11. გეომეტრიული ფიგურები (ბრტყელი, სივრცული). ფიგურის ელემენტები და გამოსახვა.

12. ფიგურათა კლასიფიკაცია სხვადასხვა ნიშნით (მაგ. სიმეტრიული და არასიმეტრიული, ბრტყელი და სივრცული).
13. ფიგურის ზომები: საზომი ხელსაწყოები და სიგრძის საზომი ერთეულები. მრავალკუთხედის პერიმეტრი. ფართობის ცნება. მართკუთხა პარალელებიპედის მოცულობა.
14. სივრცული ფიგურების მოდელები, შლილები.
15. კოორდინატები (არაფორმალურად, როგორც ადგილმდებარეობის მითითება სიმბოლოთა წყვილით). რეალურ ვითარებაში ობიექტთა ურთიერთგანლაგების აღმწერი სქემები.

### **მონაცემთა ანალიზი, ალბათობა და სტატისტიკა**

16. ზოგადი წარმოდგენები თვისებრივი და რაოდენობრივი მონაცემების საჭიროებაზე (დანიშნულებაზე) შეგროვების საშუალებანი: გაზომვა, დაკვირვება, გამოკითხვა; მონაცემთა ამოკრება მონაცემთა უმარტივესი წყაროებიდან (მაგ. ცნობარიდან).
17. თვისებრივი და რაოდენობრივი მონაცემების ორგანიზაცია: მონაცემთა დაჯგუფება; რაოდენობრივ მონაცემთა დალაგება ზრდა-დობა-კლებადობით; თვისებრივ მონაცემთა დალაგება (მაგ., ლექსიკოგრაფიული მეთოდით).
18. მონაცემთა წარმოდგენის საშუალებანი: ცხრილი, პიქტოგრამა; დიაგრამა.
19. მონაცემთა შემაჯამებელი რიცხვითი მახასიათებლები თვისებრივი და რაოდენობრივი მონაცემებისთვის: ცენტრალური ტენდენციის საზომი — მონაცემთა საშუალო; უდიდესი და უმცირესი მნიშვნელობები.

## **3. პრობლემაზე ორიენტირებული სწავლება**

### **3.1 შესავალი**

განათლების სპეციალისტების მთავარი საზრუნავია, რომ მოსწავლეებმა შეძლონ სკოლაში შექმნილი ცოდნისა და უნარ-ჩვევების ცხოვრებისეული პრობლემების გადასაჭრელად გამოყენება. სწორედ ამიტომაა მეტად მნიშვნელოვანი, რომ სკოლამ, საგნობრივ ცოდნასთან და უნარ-ჩვევებთან ერთად, მოსწავლეებს განუვითაროს პრობლემების გადაჭრის უნარი. ეს უნარი



მოსწავლეს არა მხოლოდ ყოველდღიური ცხოვრებისეული სირთულეების მოგვარებაში გამოადგება, არამედ სწავლის გასაგრძელებლად და მომავალ პროფესიულ კარიერაში წარმატების მისაღწევადაც.

პრობლემის გადაჭრის უნარი არსებითია მზრუნველობას მოკლებული ბავშვებისათვის. იმ მნიერი ფაქტობრივი მასალის (რომელიც შესაძლოა მათ სწავლის რაღაც ეტაპზე აითვისეს) გამოყენების უნარი სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენს იმ ხშირი შემთხვევების დროს, როცა მათ დამოუკიდებლად უნევთ ყოფით სიძნელეებთან გამკლავება, საარსებო პირობების მოპოვება.

პრობლემაზე ორიენტირებული სწავლება არის მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო საგნების სწავლების ყველაზე გავრცელებული მოდელი. იგი მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების სტრატეგიაა. ასეთი ტიპის სწავლების დროს მოსწავლეები რეალური ცხოვრებისეული პრობლემების კვლევის გზით იძენენ მნიშვნელოვან გამოცდილებას, რომელიც მათ მთელი ცხოვრების მანძილზე გამოადგებათ.

პრობლემაზე ორიენტირებული სწავლის დროს ახალი ცოდნის შექმნა მიმდინარეობს პრობლემების განხილვის კონტექსტში. სწავლის ამგვარი ფორმა განსხვავდება ამოცანების ამოხსნის უბრალო პროცესისაგან. კერძოდ, პრობლემაზე ორიენტირებული სწავლის დროს ახალი ცოდნის შექმნა აქტიუალური ხდება საჭიროების საფუძველზე, უკვე დასმული პრობლემის მოგვარების პროცესში. ამ პროცესის პარალელურად კი ვითარდება პრობლემების გადაჭრის უნარიც. მართლაც, დასმული პრობლემა უბიძგებს მოსწავლეებს, მოიძიონ და შეიძინონ ახალი ცოდნა, რომელიც საჭიროა პრობლემის გადასაჭრელად. ერთადერთი სწორი პასუხის მოძებნის სანაცვლოდ, მოსწავლე ახდენს დასმული პრობლემის ინტერპრეტირებას, აგროვებს საჭირო ინფორმაციას, აგებს მოდელს, გამოთქვამს ვარაუდს, აფასებს და ადარებს შესაძლო შედეგებს და აკეთებს დასკვნას.

პრობლემაზე ორიენტირებული სწავლა განსაკუთრებით ზრდის მოსწავლის მოტივაციას. მოსწავლე აქტიურ სწავლაშია ჩართული, რეალური პრობლემების გადაჭრაზე მუშაობს, რის შედეგადაც სწავლა მისთვის უფრო საინტერესო და სახალისო ხდება. ამგვარი სწავლება ავითარებს ჯგუფური მუშაობის, თანამშრომლობის, კრიტიკული აზროვნებისა და კომუნიკაციის უნარ-ჩვევებს.



ამგვარად, პრობლემაზე ორიენტირებული სწავლის მიდგომას ორი ძირითადი ნიშანი აქვს:

- სწავლა ეყრდნობა ღიად დასმულ პრობლემურ შეკითხვებს;
- მასწავლებელი ერთგვარად „ფასილიტატორის“ როლშია, რის შედეგადაც მოსწავლე იღებს მეტ პიროვნულ პასუხისმგებლობას საკუთარ სწავლაზე და აქტიური შემმეცნებელი ხდება.

### 3.2 რა არის პრობლემური სიტუაცია/ამოცანა?

**გამოიყოფა პრობლემური ამოცანების ორი ძირითადი ტიპი:**

1. ამოცანები, რომლებიც დაკავშირებულია გადანყვეტილების მიღებასთან. ასეთი ტიპის დავალების ნიმუშია:

მოსწავლეს სურს ბიბლიოთეკიდან გამოტანილი წიგნების ასლების დამზადება. A პუნქტში 1 გვერდის ასლის გადაღება 3 თეთრი ღირს, ხოლო წიგნის ყდის გაკეთება — 70 თეთრი. B პუნქტში 1 გვერდის ასლის გადაღება 5 თეთრი ღირს, ხოლო წიგნის ყდის გაკეთება — 40 თეთრი. მოსწავლემ უნდა განსაზღვროს, თუ რომელ პუნქტშია უმჯობესი წიგნების ასლის გაკეთება. რა რჩევას მისცემდით მოსწავლეს?

2. ამოცანები, რომლებიც მოითხოვს სისტემის ანალიზს და მოდელირებას. ასეთი ტიპის დავალების ნიმუშია:

გადაწყდა, რომ უნდა აშენდეს საავადმყოფო, რომელიც სამ სოფელს მოემსახურება. თქვენი აზრით, სად უნდა აშენდეს საავადმყოფო? (რა რჩევას მისცემთ მშენებლებს საავადმყოფოს მდებარეობის თაობაზე?)

გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებულ ამოცანებში მოცემულია

რამდენიმე ალტერნატივა და შეზღუდვა. მოსწავლეს მოეთხოვება ისეთი გადანყვეტილების მიღება, რომელიც ამ შეზღუდვებს დააკმაყოფილებს.

სისტემის ანალიზსა და მოდელირებასთან დაკავშირებული ამოცანები მოსწავლისაგან მოითხოვს კომპლექსური ვითარების ანალიზს — ამ ვითარების ლოგიკის გასააზრებლად. ამ ტიპის ამოცანებში აღწერილია კომპლექსური სისტემები, რომლებშიც მრავალი ურთიერთდაკავშირებული ფაქტორი მონაწილეობს (პარამეტრი, თვისება, მახასიათებელი). ამ კავშირების დინამიკურობის გამო, პასუხი (ამონახსნი), შესაძლოა, არ იყოს ერთადერთი.

## პრობლემის გადაჭრის ციკლი

პრობლემის გადაჭრის პროცესებს აღწერენ ციკლის საშუალებით, რომლის ერთ-ერთ ფართოდ გავრცელებულ ვარიანტს ქვემოთ მოვიყვანთ. ციკლი აღწერს თითოეულ საფეხურს და გულისხმობს, რომ შედეგის მისაღწევად შესაძლებელია ყოველ ეტაპზე რამდენჯერმე დაბრუნება. ამასთან, როგორც წესი, ეტაპების თანმიმდევრობას თავად პრობლემის ტიპი და პრობლემის გადამჭრელის პიროვნული თავისებურებები განაპირობებს.

პრობლემის გადაჭრის ციკლი შემდეგი ეტაპებისგან შედგება:

- პრობლემის მოძებნა და განსაზღვრა;
- პრობლემის მათემატიკურ ენაზე ჩამოყალიბება და წარმოდგენა;
- პრობლემის შესახებ ინფორმაციისა და რესურსების ორგანიზება და ცოდნის მობილიზება;
- პრობლემის გადაჭრის შესაძლო გზების მოძიება;
- პრობლემის გადაჭრის შესაძლო გზების შეფასება და მათგან რომელიმეს შერჩევა;
- შერჩეული გზის განხორციელება და პროგრესზე დაკვირვება;
- შედეგების შემოწმება და შეფასება რეალური ვითარების კონტექსტში.

პრობლემის გადაჭრის მეთოდოლოგია არის ლოგიკა.

- ინდექციური მსჯელობა/არგუმენტირება — კერძო მსჯელობიდან ზოგადის გამოყვანა;
- დედუქციური მსჯელობა/არგუმენტირება — ზოგადი მსჯელობიდან კერძო მსჯელობის გამოყვანა;
- ანალოგიით მსჯელობა/არგუმენტირება — ერთი კერძო მოვლენიდან ანალოგიური კერძო მოვლენის შესახებ დასკვნა.

### 3.3 კონკრეტული დავალებები.

#### მაგალითი 1.



როგორი დიზაინის ყუთია უფრო მოსახერხებელი ლიმონათის თუნუქის ქილების გადასატანად?

პრობლემის გადაჭრის ეტაპები:


1. პრობლემის მოძებნა და განსაზღვრა: ამ ეტაპზე დადგინდება, თუ რა ნიშნით განისაზღვრება „ხელსაყრელი“ ყუთი (ანუ, რა იგულისხმება „ხელსაყრელში“): მის გასაკეთებლად დახარჯული ქალაქის რაოდენობით, მისი ტრანსპორტირებისათვის მოხერხებული ფორმით და ა.შ.



2. პრობლემის ჩამოყალიბება და წარმოდგენა: ვთქვათ, ძირითად პარამეტრად ავირჩიეთ დახარჯული ქალაქის რაოდენობა. მაშინ ამოცანა, მათემატიკური თვალსაზრისით, ასე ჩამოყალიბდება: რა ზომები უნდა ჰქონდეს ყუთს (მართკუთხა პარალელებიპედას), რომ მისი ზედაპირის ფართობი (რაც მის დასამზადებლად დახარჯული ქალაქის რაოდენობას უკავშირდება) იყოს უმცირესი (მინიმალური). ამოცანაში აღწერილი სიტუაციის წარმოსადგენად, ეფექტური იქნება მაგნიტური დაფის და თანაბარი ზომის მონეტების (ან მაგნიტების) გამოყენება.



- პრობლემის შესახებ ინფორმაციისა და რესურსების მოძიება—ორგანიზება, ცოდნის მობილიზება: რომელი უკვე ნასწავლი ფორმულა ან დებულება შეიძლება გამოვიყენოთ პრობლემის გადასაჭრელად (მაგალითად, მართკუთხა პარალელებიპედის ზედაპირის ფართობის ფორმულა).
- პრობლემის გადაჭრის შესაძლო ხერხები: მართკუთხა პარალელებიპედის ფორმის ყუთის გარდა, შესაძლებელია სამკუთხა პრიზმის ფორმის ყუთის გამოყენებაც (უნდა განისაზღვროს, ქილების რა რაოდენობისთვის არის შესაძლებელი ამ ფორმის ყუთის გამოყენება).
- პრობლემის გადაჭრის სტრატეგიის შერჩევა და განხორციელება:



მაგალითად, როგორ შეიძლება დაახლოებით გამოვთვალოთ იმ სამკუთხა პრიზმის ფუძის ფართობი, რომელშიც ზუსტად 6 ქილა ეტევა.

- შედეგების შემოწმება და შეფასება: პრობლემისა და მიღებული ამონახსნის კვლევა რეალური ვითარების კონტექსტში — დადგენა, თუ საშუალოდ რა რაოდენობის ქილას ყიდულობს მყიდველი ერთ ჯერზე და ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით ყუთის ფორმის შერჩევა.

## მაგალითი 2.


შეარჩიეთ მოძრაობის ოპტიმალური მარშრუტი სკოლის ავტობუსისათვის, რომელსაც ქალაქის სხვადასხვა უბნიდან სკოლაში მოსწავლეები და მასწავლებლები მიჰყავს,

პრობლემის გადაჭრის ეტაპები:

- პრობლემის მოძებნა და განსაზღვრა: ამ ეტაპზე დადგინდება, თუ რა ნიშნით განისაზღვრება „ოპტიმალური“ მარშრუტი (ანუ,

რა იგულისხმება „ოპტიმალურში“): უმოკლესი მანძილი, ნაკლებ დატვირთული და უსაფრთხო გზა, უმცირესი დრო ამ მარშრუტის დასაფარად და ა.შ.

2. პრობლემის ჩამოყალიბება და წარმოდგენა: ვთქვათ, ძირითად პარამეტრად ამ მარშრუტის დასაფარად საჭირო მინიმალური დრო ავირჩიეთ. მაშინ ამოცანა, მათემატიკური თვალსაზრისით, ამგვარად ჩამოყალიბდება: შეირჩეს ისეთი მარშრუტი, რომ მისი სიგრძისა და მგზავრობის საშუალო სიჩქარის შეფარდება იყოს უმცირესი.
3. პრობლემის შესახებ ინფორმაციისა და რესურსების მოძიება—ორგანიზება, ცოდნის მობილიზება: მოსწავლეთა და მასწავლებელთა გამოკითხვის საშუალებით უნდა დადგინდეს, ვინ რა ტრანსპორტით სარგებლობს სკოლაში მოსვლისას. უნდა შეიქმნას მარტივი კითხვარი, შეირჩენ რესპოდენტები, ჩატარდეს გამოკითხვა და მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნას ცხრილის ან გრაფიკული სახით.
4. პრობლემის გადაჭრის შესაძლო ხერხები: ამ მონაცემების საფუძველზე მოსწავლეებმა უნდა დაადგინონ ის უბნები, სადაც მოსწავლეებისა და მასწავლებლების მნიშვნელოვანი რაოდენობა ცხოვრობს. უთუოდ შეამჩნევთ, რომ ხელახლა დგება საკითხი, რას ეწოდება „მნიშვნელოვანი რაოდენობა“. ანუ, პრობლემა თხოულობს ციკლის პირველი ეტაპისკენ მიბრუნებას და ცნებების ხელახლა დაზუსტებას.
5. პრობლემის გადაჭრის სტრატეგიის შერჩევა და განხორციელება: უნდა მოხდეს პრობლემის ვიზუალიზაცია — ამოცანის სქემატურად გამოსახვა.



რუკაზე უნდა აღინიშნოს სკოლის ავტობუსის გაჩერების სავარაუდო პუნქტები, ამ პუნქტების ერთმანეთთან დამაკავშირებელი გზები.

რუკაზე მითითებული მასშტაბის გამოყენებით უნდა დადგინდეს პუნქტებს შორის მანძილები (დაახლოებით) და ამ მანძილების დასაფარად საჭირო დრო. მოსწავლეებმა ყველა მარშრუტის სავარაუდო სიგძე უნდა დათვალონ და ეს მონაცემები ცხრილის სახით წარმოადგინონ.

მარშრუტი1	OA	AB	BC	CD	DE	EO
მარშრუტი2	OA	CO	OD	DE	EO	
მარშრუტი3						

შედეგების შემოწმება და შეფასება: პრობლემისა და მიღებული ამონახსნის კვლევა რეალური ვითარების კონტექსტში — მოსწავლეებმა უნდა შეაჯერონ მოძიებული ინფორმაცია და საუკეთესო მარშრუტი აირჩიონ. შემდეგ უნდა იმსჯელონ არჩეული გზის ოპტიმალურობის შესახებ — მათემატიკური და ეთიკური თვალსაზრისით (მიზანშეწონლია თუ არა იმ პუნქტის გავლით მგზავრობა, სადაც ერთი მასწავლებელი, ან მოსწავლეთა/მასწავლებლეთა მცირერიცხოვანი ჯგუფი ცხოვრობს?). შეიძლება, შეთავაზებულ იქნას ასეთი ტიპის ბალანსის დაცვის გზები (მაგ. მასწავლებლის ხელფასში მგზავრობის ხარჯების გათვალისწინება ☺).

#### 4. შეფასება მათემატიკურ ნიგნიერებაში

შეფასება სწავლების პროცესის განუყოფელი ნაწილია. ის თანაბრად მნიშვნელოვანია სწავლების პროცესში მონაწილე ყველა მხარისათვის. მოსწავლე ყოველთვის უნდა ფლობდეს ინფორმაციას, რამდენად წარმატებულია საგანში; რა უნდა შეცვალოს, რომ უკეთესი შედეგი მიიღოს. მასწავლებელი შეფასების შედეგების გათვალისწინებით უნდა გეგმავდეს ყოველ შემდეგ ნაბიჯს.

მათემატიკაში შეფასების კომპონენტები (ანუ, დაკვირვების ობიექტი) არის:

1. მათემატიკური ცნებებისა და დებულებების ცოდნა და გამოყენება;
2. მათემატიკური ობიექტების წარმოდგენა (მაგ., დახაზვა, კონსტრუირება);

3. მათემატიკური ენის ფლობა (მაგ., ტერმინოლოგიის და აღნიშვნების კორექტულად გამოყენება, მათემატიკური შინაარსის წინადადებების გაგება და ჩამოყალიბება);
4. მსჯელობა – დასაბუთება;
5. გამოთვლა, გაზომვა და სხვა სტანდარტული პროცედურები;
6. დამხმარე ტექნიკური საშუალებებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება.

სოციალური უნარ-ჩვევებიდან ყურადღება უნდა გამახვილდეს შემოქმედებითობაზე და თანამშრომლობაზე (მენყვილესთან, ჯგუფის წევრებთან).

შეფასების კომპონენტების, როგორც უნარ—ჩვევებისა და ცოდნის ფლობის, ხარისხის დადგენა შეიძლება შემდეგი სახის აქტივობებით:

მოსწავლეზე ყოველდღიური დაკვირვების შედეგად უნდა დადგინდეს:

- აღიქვამს თუ არა მოსწავლე ამოცანის შინაარსს, შეუძლია თუ არა ამოცანის მონაცემებისა და საძიებელი სიდიდეების გამიჯვნა, ახერხებს თუ არა მონაცემების ორგანიზებას და წარმოდგენას.
- სწორად იყენებს თუ არა მათემატიკურ ტერმინებსა და აღნიშვნებს.
- შეუძლია თუ არა კომპლექსური დავალების დაყოფა საფეხურებად — მარტივ ამოცანებად.
- შეუძლია თუ არა ძირითადი მათემატიკური პროცედურების გამოყენება (მაგ., არითმეტიკული ოპერაციების შესრულება).
- შეფასებისას შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვადასხვა სახის დავალებები, მაგალითად:
  - ამოცანები, სადაც მოსწავლეს ევალება რამდენიმე შესაძლო პასუხს შორის სწორი პასუხის შერჩევა, შესაბამისობის დამყარება, სწორი თანმიმდევრობით დალაგება.
  - ტექსტის ნაკითხვა და მონაცემთა ანალიზით (გამოთვლების ან ლოგიკური მსჯელობის საფუძველზე) მიღებული დასკვნის გადმოცემა და დასაბუთება (მათ შორის, ისეთი ტექსტის, რომელიც დიაგრამებს და ცხრილებს შეიცავს).
  - გეომეტრიული ამოცანა, რომელშიც მოსწავლეს მოეთხოვება ფიგურის თვისებების დადგენა, ზომების განსაზღვრა, ფიგურის აგება.

მნიშვნელოვან სირთულეს ქმნის ის ფაქტი, რომ მოსწავლეთა დიდ ნაწილს უჭირს ნაკითხული მასალის — ტექსტის შინაარსის გაგება—გააზრება,



მით უფრო, თუ ტექსტი არამხატვრულია. არაერთი კვლევა ადასტურებს, რომ მათემატიკაში მოსწავლეთა წარუმეტებლობას მნიშვნელოვანწილად განაპირობებს არა იმდენად ამოცანის ამოსახსნელად საჭირო პროცედურების არცოდნა, არამედ ის, რომ მოსწავლე ვერ იგებს დავალების შინაარსს, ვერ ხვდება — რას ეკითხებიან. მასწავლებლის ფუნქციაა, სწორად დასმული შეკითხვების ან დამხმარე სქემების მეშვეობით მიეხმაროს მოსწავლეს ტექსტის გააზრებაში. ამასთან, ეს არ უნდა იყოს „ერთჯერადი“ დახმარება. მოსწავლეს ტექსტის დამუშავების ხერხები უნდა ვასწავლოთ.

განვიხილოთ ასეთი დავალება:

მობილური ტელეფონით სარგებლობის პირველი 200 წუთი ნინოს ყოველთვიურად ეძლევა უფასოდ. ყოველი მომდევნო წუთისთვის იგი 5 თეთრს იხდის. იანვარში ნინოს სატელეფონო საუბრების ხანგრძლივობა იყო 230 წუთი, თებერვალში კი — 300 წუთი. სულ რა თანხის გადახდა მოუწევს ნინოს სატელეფონო კომპანიისათვის?

დავალების ტექსტი ინფორმაციულია და შესაძლოა მოსწავლეთა ნაწილს გაუჭირდეს დავალებაში აღწერილ ვითარებაში ბოლომდე გარკვევა. ასეთ დროს შესაძლოა დაგვეხმაროს მათორიენტირებელი (გეზის მიმცემი) შეკითხვები:

1. რაზეა ამოცანა?
2. რა პირობები აქვს სატელეფონო კომპანიას?
3. საუბარი რამდენი წუთის განმავლობაშია უფასო?
4. როგორ გესმით „ყოველი მომდევნო წუთი“?
5. 230 წუთიდან რამდენი იყო უფასო და რამდენი წუთისათვის მოუწევდა ნინოს საფასურის გადახდა?
6. რაზე მიგვანიშნებს სიტყვა „სულ“?

ძალიან მნიშვნელოვანია იმ ცხრილებისა და სქემების გამოყენება, რომლებიც მონაცემების სტრუქტურირებისა და თვალსაჩინოდ წარმოდგენის საშუალებას იძლევა. მაგ., განსახილველი ამოცანისათვის ცხრილს შეიძლება ასეთი სახე ჰქონდეს:

თვე	წუთების რაოდენობა	უფასო	ფასიანი
იანვარი	230 წუთი	200 წუთი	30 წუთი
თებერვალი	300 წუთი	200 წუთი	100 წუთი



შეფასების რუბრიკის ნიმუში:

ფლობის საშუალოზე დაბალი დონე	ფლობის საშუალო დონე	ფლობის მაღალი დონე
ხშირად არაადეკვატურად იყენებს ცნებებს, ტერმინებს, აღნიშვნებს / არასრულყოფილად, არაორგანიზებულად წარმოადგენს მონაცემებს.	იყენებს ამოცანის ამოსახსნელად საჭირო ცნებების, დებულებებისა და აღნიშვნების უმეტესობას / ახდენს მონაცემთა ორგანიზებას და წარმოადგენს მათ.	იყენებს ამოცანის ამოსახსნელად საჭირო ყველა ცნებას, დებულებას და აღნიშვნას / ირჩევს მონაცემთა ორგანიზებისა და წარმოდგენის ოპტიმალურ ფორმას.
ვერ პოულობს ამოხსნის რომელიმე გზას. პოულობს ამოხსნის რომელიმე გზას, ინყებს, მაგრამ ვერ ასრულებს ამოხსნას; ვერ პოულობს ლოგიკურ კავშირებს, უჭირს ზოგადიდან კერძოს გამოყოფა.	პოულობს ამოცანის ამოხსნის გზას, მიჰყვება მას, თუმცა, ხარვეზებით.	პოულობს ამოცანის ამოხსნის (ოპტიმალურ) გზას, ბოლომდე ახდენს მის რეალიზებას.
გამოთვლები არ ადასტურებს ამოცანის გაგებას, შედეგი არაადეკვატურია; ან უმეტესი ნაწილი ხარვეზებითაა შესრულებული.	გამოთვლები ძირითადად სწორია, თუმცა, ტექნიკური ხასიათის ხარვეზებს შეიცავს.	გამოთვლები სწორია, არჩეული და გამოყენებული აქვს გამოთვლების ოპტიმალური ხერხი.

## 5. გაკვეთილის გეგმის ნიშუვაგი

### 1) გაკვეთილის გეგმა — პროცენტი

გაკვეთილის მთავარი თემა	პროცენტი
გაკვეთილის მნიშვნელობა, აქტუალურობა	ყოველდღიურ რეალობაში ფართოდ გამოიყენება პროცენტის ცნება: საკვებისა თუ წამლის ყუთებზე, მაღაზიების ვიტრინებზე ყოველი ჩვენგანი ხვდება პროცენტის აღნიშვნას. საზოგადოებაში სრულფასოვნად ფუნქციონირება შეუძლებელია პროცენტთან დაკავშირებული უმარტივესი პროცედურების ფლობის გარეშე.
გაკვეთილის მიზნები და შედეგები	შედეგი: მოსწავლეს შეუძლია ყოველდღიური ცხოვრებიდან მომდინარე ამოცანების ამოხსნა  მიზანი: მოსწავლე გაერკვეს პროცენტის ცნებაში, გაიგოს მისი საჭიროება, რიცხვის გამოსახვის სხვადასხვა ფორმას შორის მოცემული ვითარებისათვის ადეკვატურის შერჩევა, სხვადასხვა ფორმით გამოსახული რიცხვების შედარება და შეფასება.
წინასწარი ცოდნა	რიცხვის წილადი ნაწილის პოვნა, წილადის ცნების ცოდნა, სიდიდეებს შორის პირდაპირპროპორციული დამოკიდებულების ამოცნობა.

<p>გაკვეთილის მსვლელობა</p>	<p>1. მოთელვა, კლასის მობილიზება:</p> <p>მოსწავლეებს მაგალითების საშუალებით გავახსენოთ რიცხვის ნაწილის არსი და მისი პოვნის ხერხი (მაგ. რისი ტოლია 25-ის <math>\frac{3}{5}</math> ნაწილი, 120-ის <math>\frac{7}{10}</math> და ა.შ). შესაძლებელია გაკეთდეს ერთი-ორი უმარტივესი ამოცანა თემაზე: ღირდა <math>m</math> ლარი, გაძვირდა ღირებულების <math>p/q</math> ნაწილით, რა ღირს ახლა? იწონიდა <math>m</math> კილოგრამს, მოაკლდა წონის <math>p/q</math> ნაწილი, რას იწონის ახლა? იგულისხმება არა ამგვარი ზოგადი სახით მიწოდებული ამოცანა, არამედ ამოცანა <math>p, q</math> და <math>m</math>-ის კონკრეტული რიცხვითი მნიშვნელობებისათვის (5 წუთი).</p> <p>2. სამოტივაციო ამოცანა, პრობლემის ფორმულირება:</p> <p>განვიხილოთ ამოცანა: სუპერმარკეტ „მეგალიანის“ (ან, „პასაჟის“) სამმა მალაზიამ საშობაოდ საქონლის გაიაფება გადაწყვიტა. წარმოვიდგინოთ, რომ ვიტრინებზე გამოტანილი ინფორმაცია გაიაფების შესახებ ამ სახისაა: „საქონელი იაფდება ღირებულების <math>\frac{1}{9}</math> ნაწილით“ (I მალაზია), „საქონელი იაფდება ღირებულების <math>\frac{2}{17}</math> ნაწილით“ (II მალაზია), „საქონელი იაფდება ღირებულების <math>\frac{9}{100}</math> ნაწილით“ (III მალაზია). რომელ მალაზიაში უფრო მომგებიანია საქონლის შექენა?</p> <p>3. ცოდნის კონსტრუირება:</p> <p>სავარაუდოდ, მოსწავლეები დაიწყებენ მსჯელობას იმის შესახებ, რომ ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭიროა ამა თუ იმ საქონლის სანყისი ფასის ცოდნა. თუმცა, საბოლოოდ შეთანხმდებიან, რომ საჭიროა წილადების შედარება (10 წუთი).</p>
-----------------------------	---

	<p>ამოცანის ამოხსნის შემდეგ დავსვათ შეკითხვა: რა სირთულეებს წააწყდება მყიდველი, თუ ასეთი ფორმით გამოაქვეყნებს გაიაფების პირობებს სუპერმარკეტის ყველა მაღაზია? ვთხოვთ მოსწავლეებს, მოიფიქრონ რაიმე ხერხი, რაც მყიდველს მსგავს სიტუაციებში გადაწყვეტილების მიღებას შეუძლებულებს.</p> <p>წილადების შედარების დროს გარკვეული სირთულეები წარმოიქმნება იმასთან დაკავშირებით, რომ ეს წილადები სხვადასხვამნიშვნელიანია. ამიტომ, მყიდველს რომ საქმე გავუადვილოთ, სასურველია გაიაფების მაჩვენებელი წილადები ერთნაირმნიშვნელიანი იყოს. მსჯელობა შეიძლება გაგრძელდეს მანამ, ვიდრე მოსწავლეები არ მივლენ ერთ დასკვნამდე: სასურველია, არჩეულ იქნას ისეთი რიცხვი, რომელიც საყოველთაო სტანდარტი იქნება ამგვარი სახის რაოდენობრივი ინფორმაციის გამოქვეყნებისას. ამის შემდეგ, ბუნებრივად შეიძლება პროცენტის ცნების შემოტანა.</p> <p>მოკლედ გავაცნოთ მოსწავლეებს პროცენტის და მისი გამომსახველი სიმბოლოს წარმოშობის ისტორია, განვუმარტოთ სიტყვა „პროცენტის“ ეტიმოლოგია.</p> <p>ვთხოვთ მოსწავლეებს, გაიხსენონ, სად შეხვედრიათ ეს სიმბოლო. ვაჩვენოთ რაიმე, რაზეც შემადგენელ ნაწილებს შორის თანაფარდობა პროცენტული სახით არის აღნიშნული (მაგ. წამლის ყუთი ან შოკოლადის ფილა) და პროცენტთან დაკავშირებული წარწერების განმარტება ვთხოვთ (20 წუთი).</p> <p><b>4</b> გამოლიანება, რეფლექსია:</p> <p>ვვარჯიშოთ მოსწავლეები ამგვარი დავალებების შესრულებაში: წილადებისა და ათწილადების გამოსახვა პროცენტის სახით (მარტივი მაგალითები), პროცენტის გამოსახვა წილადის სახით, კვადრატის გაფერადება მითითებული პროცენტით (მაგ., გააფერადეთ კვადრატის 75%), მითითებული პროცენტით გაფერადებული ფიგურების ამოცნობა (მაგ., რომელი ფიგურაა გაფერადებული 20%—ით?) (10 წუთი).</p>
<p>შეფასების საგანი და პროცედურები</p>	<p>ყურადღება უნდა მიექცეს, გაიგო თუ არა მოსწავლემ პროცენტის ცნება, ესმის თუ არა პროცენტის დანიშნულება, შეუძლია თუ არა ერთმანეთს დაუკავშიროს წილადი, ათწილადი და პროცენტი.</p> <p>შეფასების ფორმა — განმავითარებელი.</p>
<p>საჭირო რესურსები</p>	<p>სახელმძღვანელო, წამლის ან რაიმე საკვების ყუთი (რომელზედაც პროცენტულადაა გამოსახული ინგრედიენტების ხვედრითი წილი).</p>


2) გაკვეთილის გეგმა — კოორდინატები

გაკვეთილის მთავარი თემა	კოორდინატები
გაკვეთილის მნიშვნელობა, აქტუალურობა	სივრცეში და სიბრტყეზე ორიენტირება ადამიანისათვის მნიშვნელოვანი უნარია. მეტროს სადგურებში, ქალაქის ქუჩებში თავისუფლად სამოძრაოდ საჭიროა მარტივი სქემების გაშიფვრა, რაც გულისხმობს ობიექტის მდებარეობის პოვნას კოორდინატების მიხედვით, ან ობიექტის მდებარეობის აღწერას კოორდინატების მეშვეობით.
გაკვეთილის მიზნები და შედეგები	შედეგი: მოსწავლეს შეუძლია ორიენტირება სიბრტყეზე. მიზანი: მოსწავლემ უნდა შეძლოს გარემოში ორიენტირება და ობიექტთა ურთიერთგანლაგების აღწერა, ორიენტირება რუქაზე ან საკოორდინატო სიბრტყეზე კოორდინატების გამოყენებით.
წინასწარი ცოდნა	მოსწავლემ უნდა იცოდეს მიმართულების გამომხატველი სიტყვები: მარჯვნივ, მარცხნივ, ზემოთ, ქვემოთ, ....
გაკვეთილის მსვლელობა	<p>1. მოთელვა, კლასის მობილიზება:</p> <p>მასწავლებელმა მოსწავლეებს უნდა სთხოვოს, აღწერონ საკლასო ოთახი მიმართულების გამომხატველი სიტყვების გამოყენებით: მაგ., კარებიდან მარჯვნივ კედელზე დაფაა, დაფიდან ყველაზე დაშორებული ფანჯრის რაფაზე ქოთნით დგას ყვავილი და ა.შ. შეიძლება აღწერონ სკოლის ეზო და შემოგარენი (5 წუთი).</p> <p>2. სამოტივაციო ამოცანა, პრობლემის ფორმულირება:</p> <p>მასწავლებელმა უნდა წარმართოს ამგვარი შინაარსის დისკუსია: საკმარისი იქნებოდა თუ არა თითოეული ჩვენგანის იდენტიფიკაციისათვის მხოლოდ სახელი (ანუ, რა მოხდებოდა, გვარი რომ არ გვექონოდა)? ყოველთვის ერთ ადამიანს შეესაბამება თუ არა სახელისა და გვარის კონკრეტული კომბინაცია? კიდევ რითი მიანიშნებენ ხოლმე რომელიმე კონკრეტულ ადამიანზე? (მაგ. დაბადების ადგილის მითითებით — თალეს მილეტელი, მაია წყნეთელი ☺).</p> <p>შემდეგ მასწავლებელმა უნდა სთხოვოს მოსწავლეებს, ობიექტების მდებარეობის აღწერის შესახებ გამოთქვან მოსაზრება: რამდენად ხშირად არის ამის საჭიროება? თვითონ თუ დასჭირვებით რაიმე ადგილის მიგნება, ან თავად თუ მიუსწავლებიან ვინმესთვის რაიმე ადგილი?</p> <p>დისკუსია იმგვარად უნდა წარიმართოს, რომ აშკარად გამოიკვეთოს კოორდინატების აუცილებლობა (10 წუთი).</p>

	<p>3 ცოდნის კონსტრუირება:</p> <p>მასწავლებელი აუხსნის მოსწავლეებს, რომ, როგორც წესი, სიბრტყეზე წერტილის მდებარეობის განსაზღვრად ორი რიცხვია საკმარისი (ცხადია, იგულისხმება, რომ სიბრტყე ბადითაა დაფარული). ის ეუბნება, რომ, ზოგჯერ, რიცხვების ნაცვლად ლათინურ ასოებსაც იყენებენ. მოსწავლეებმა უნდა დაასახელონ კოორდინატების გამოყენების ნიმუშები: ადგილი კინოთეატრში, ჭადრაკი. მასწავლებელმა მოსწავლეებს უნდა აჩვენოს რუკა რომელიმე ატლასიდან და მოახდინოს იმის დემონსტრირება, რომ ცნობილი კოორდინატების პირობებში ნებისმიერი, თუნდაც, ძალიან პატარა დასახლებული პუნქტის ზუსტი მდებარეობის განსაზღვრა შესაძლებელი (15 წუთი).</p> <p>4. გამთლიანება, რეფლექსია:</p> <p>უნდა შესრულდეს სახელმძღვანელოს შესაბამის პარაგრაფში მოცემული ამგვარი დავალებები: მოსწავლემ უნდა დაასახელოს, რომელი ობიექტი მდებარეობს კოორდინატებით მითითებულ წერტილში, აღნიშნოს ბადეზე მითითებული კოორდინატების მქონე წერტილი, შესაძლებელია, რომ კოორდინატების მიხედვით ბადეზე გამოსახონ ცხოველები — სპილო, კურდღელი (15 წუთი).</p> <p>კლასგარეშე აქტივობისათვის შესაძლებელია “გემების ჩაძირობანას” თამაშის სწავლება (ამ თამაშის ელექტრონული ვერსიები ინტერნეტშია განთავსებული).</p>
<p>შეფასების საგანი და პროცედურები</p>	<p>ყურადღება უნდა მიექცეს, გაიგო თუ არა მოსწავლემ კოორდინატის ცნება, ესმის თუ არა კოორდინატების დანიშნულება, შეუძლია თუ არა მეგობარს ასწავლოს ობიექტის მოძებნა კოორდინატების მიხედვით, შეუძლია თუ არა ვინმეს მიანიშნოს ობიექტის მდებარეობაზე კოორდინატების მეშვეობით.</p> <p>შეფასების ფორმა — განმავითარებელი.</p>
<p>საჭირო რესურსები</p>	<p>სახელმძღვანელო, კინოთეატრის ბილეთი, ჭადრაკის დაფა, გეოგრაფიული ატლასი, რუკა, უჯრებიანი ფურცლები.</p>

3) გაკვეთილის გეგმა — სიმეტრია

გაკვეთილის მთავარი თემა	სიმეტრია
გაკვეთილის მნიშვნელობა, აქტუალურობა	ჩვენს გარემომცველ სამყაროში სიმეტრიულობა უამრავი ობიექტის თვისებაა. ობიექტის თვისებების შესწავლა შეუძლებელია სიმეტრიაზე გარკვეული წარმოდგენების გარეშე.
გაკვეთილის მიზნები და შედეგები	<p>შედეგი: მოსწავლე გარემომცველ ობიექტებს შორის სიმეტრიულ ობიექტებს მოიძიებს; განასხვავებს სიმეტრიულ და არასიმეტრიულ ფიგურებს; სათანადო შემთხვევაში ახდენს ფიგურათა სიმეტრიულობის დემონსტრირებას.</p> <p>მიზანი: მოსწავლემ შეძლოს ფიგურათა სიმეტრიულობის გამოყენება რეალურ ვითარებაში (მაგ., პარკეტის დიზაინის შექმნა).</p>
წინასწარი ცოდნა	ელემენტარული ბრტყელი ფიგურების სახელდება და უმარტივესი თვისებების ცოდნა.
გაკვეთილის მსვლელობა	<p>1. მოთელვა, კლასის მობილიზება:</p> <p>მასწავლებელმა უნდა სთხოვოს მოსწავლეებს, ბრტყელი გეომეტრიული ფიგურები დაასახელონ. დაფაზე უნდა დაინეროს დასახელებული ფიგურები და გაკეთდეს თითოეული ფიგურის ესკიზი. მასწავლებელი უნდა შეეცადოს, რომ დასახელებული ფიგურების ნუსხა, რამდენადაც შესაძლებელია, მრავალფეროვანი იყოს (მაგ., მრავალკუთხედები, წრენირი, ღია და გახსნილი ტეხილები, მრუდები, ამოზნექილი და არამოზნექილი ფიგურები). შემდეგ მოსწავლეები უნდა შეეცადონ, რომ ეს ფიგურები რაიმე ნიშნით დაახარისხონ — მრავალწახნაგები და ტეხილები ერთად, წრენირი და მრუდი წირები ცალკე და ა.შ. (5 ნუთი).</p> <p>2 სამოტივაციო ამოცანა, პრობლემის ფორმულირება:</p> <p>მასწავლებელმა უნდა შეაჯამოს წინა აქტივობა და ხაზი გაუსვას, რომ ფიგურები დაჯგუფდა ძირითადად ერთი ნიშნით — მრავალკუთხედები და “არამრავალკუთხედები”. შემდეგ უნდა დაისვას შეკითხვა, კიდევ რამე ნიშანი ხომ არ განასხვავებს ერთმანეთისაგან სხვადასხვა ფიგურას? მასწავლებელმა შეიძლება მოსწავლეებს იატაკის დაფარვის ორი ნიმუში აჩვენოს (კაფელი, მეტლახი, ხალიჩა):</p> <div data-bbox="581 1466 989 1750" data-label="Image"> </div>




მასწავლებელმა მოსწავლეებს უნდა სთხოვოს, ეს ნიმუშები ერთმანეთს შეადარონ არა ფერით, არამედ გეომეტრიული ატრიბუტებით (არ არის აუცილებელი დაკონკრეტდეს, თუ რა იგულისხმება გეომეტრიულ ატრიბუტებში). მასწავლებელმა გეზის მიმცემი შეკითხვების მეშვეობით უნდა მიიყვანოს მოსწავლეები სიმეტრიულობის ცნებამდე (10 წუთი).

**3 ცოდნის კონსტრუირება:**


საინტერესო იქნება მოსწავლეთათვის სლაიდშოუს მეშვეობით სიმეტრიულობის ნიმუშების ჩვენება ყოველდღიური რეალობიდან: პეპლები, ფოთლები, არქიტექტურული ნაგებობები, პარკეტის მოზაიკა და სხვა. შემდეგ ყურადღება უნდა გამახვილდეს სიმეტრიის ყველაზე გავრცელებულ ფორმაზე — ღერძულ სიმეტრიაზე. უნდა მოხდეს ფიგურის სიმეტრიულობის დემონსტრირება — ფიგურის ნაწილები რომ ერთმანეთს შეუთავსდება, თუკი მას ღერძის გასწვრივ გადავკეცავთ. მეტად ეფექტური იქნება კომპიუტერული თამაშების ჩვენება. საინტერესო თამაშია განთავსებული საიტზე <http://buki.ge/> (თამაშის სახელწოდებაა “ხელოვნება”). მოსწავლემ უნდა ააგოს ღერძულად სიმეტრიული კონსტრუქცია, წინააღმდეგ შემთხვევაში, კონსტრუქციის მდგრადობა ირღვევა. ეს თამაში მოსწავლეებს ღერძული სიმეტრიის არსის უკეთ გარკვევაში მიეხმარება.





არსებობს სხვა კომპიუტერული პროგრამაც, რომელიც მოსწავლეს გარდაქმნების გამოყენებით სიბრტყის დასაფარი ორნამენტების (ე.წ. პარკეტის დიზაინის) შექმნაში დაეხმარება. ეს პროგრამა განთავსებულია ელექტრონულ მისამართზე:

<http://illuminations.nctm.org/ActivityDetail.aspx?ID=205>



პროგრამით სარგებლობა მარტივია: მოსწავლემ უნდა აირჩიოს მრავალკუთხედის სახე, რომლითაც სურს პარკეტის დიზაინის შექმნა. საინტერესო იქნება შექმნილი დაფარვების ჯგუფურად განხილვა. კარგია მსჯელობა, თუ სიმეტრიის რამდენი ლერძი აქვს წრესა და სფეროს, კვადრატსა და კუბს, ფარნით გაშუქებულ კონუსს, ეგვიპტურ ოთხკუთხა პირამიდას, ფუტკარის ფიჭას, კრაზანის ბუდეს, აბრეშუმის პარკს, ფრინველის კვერცხს, პეპელას და სხვას მრავალს. სიმეტრიულია თუ არა ადამიანის სახე და სხეული, მცენარის ფოთოლი, სკოლის შენობა. და, საერთოდ, არსებობს თუ არა ბუნებაში ხელთუქმნელი იდეალური სიმეტრია. იმაზეც კარგია საუბარი, თუ რატომ „უყვარს“ ბუნებას სიმეტრია, რატომ აშენებს ფუტკარი ფიჭას ექვსკუთხა და არა სამკუთხა პრიზმებით ან წესიერი მართკუთხა პარალელეპიპედებით (25 წუთი).



	<p>4. გამთლიანება, რეფლექსია:</p> <p>მოსწავლეები უნდა ვავარჯიშოთ სიმეტრიული და არასიმეტრიული ფიგურების თუ კონსტრუქციების ამოცნობაში. ასევე საინტერესოა და განმავითარებელი ფუნქციის მატარებელი ასეთი დავალებები: მასწავლებელი წარმოადგენს (აჩვენებს) არასიმეტრიული ფიგურის, უჯრედებიან ფურცელზე შესრულებულ ნახაზს და მოსწავლეებს სთხოვს, შეავსონ ის სიმეტრიულამდე უმცირესი რაოდენობის უჯრედების გაფერადებით. მასწავლებელმა თავიდან უნდა მიუთითოს სიმეტრიის ღერძი, შემდეგ კი მოსწავლეებს არჩევანის გაკეთების თავისუფლება მისცეს (5 წუთი).</p>
შეფასების საგანი და პროცედურები	<p>ყურადღების ცენტრში უნდა იყოს, გაიგო თუ არა მოსწავლემ სიმეტრიის ცნება, შეუძლია თუ არა მას განასხვავოს სიმეტრიული და არასიმეტრიული ობიექტები, შეუძლია თუ არა სიმეტრიული კონსტრუქციის აგება.</p> <p>შეფასების ფორმა — განმავითარებელი.</p>
საჭირო რესურსები	სახელმძღვანელო, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი, პროექტორი.

#### 4) გაკვეთილის გეგმა-ცხრილი

გაკვეთილის მთავარი თემა	ცხრილი
გაკვეთილის მნიშვნელობა, აქტუალურობა	<p>ცხრილი ინფორმაციის სტრუქტურირების საუკეთესო საშუალებაა. ინფორმაციის დიდი ნაწილი - მატარებლების მოძრაობის განრიგი, რომელიმე ექიმის სამუშაო გრაფიკი თუ სხვა -სწორედ ცხრილის სახით მოგვეწოდება. შესაბამისად, ცხრილიდან საჭირო ინფორმაციის ამოკრება მნიშვნელოვანი კომპეტენციაა, რომელსაც თითოეული მოსწავლე უნდა ფლობდეს.</p>
გაკვეთილის მიზნები და შედეგები	<p>შედეგი: მოსწავლე ფლობს ინფორმაციის მონესრიგებისა და წარმოდგენის ხერხებს (საშუალებებს).</p> <p>მიზანი: მოსწავლემ შეძლოს ცხრილიდან საჭირო მონაცემების ამოკრება.</p> <p>სწორად შეავსოს ცხრილი (სწორად შეიტანოს მონაცემები მზა ცხრილის შესაბამის უჯრედში).</p> <p>შეძლოს ცხრილის შექმნა მონაცემის წარმოსადგენად ჭდეების, სათაურის, სვეტებისა და სტრიქონების რაოდენობის განსაზღვრა.</p> <p>მოსწავლეს ჰქონდეს ელემენტარული წარმოდგენები ელექტრონულ ცხრილებზე და შეეძლოს უმარტივესი ოპერაციების შესრულება მათი მეშვეობით.</p>

წინასწარი ცოდნა	<p>მოსწავლემ უნდა იცოდეს მიმართულების გამომხატველი სიტყვები: მარჯვნივ, მარცხნივ, ზემოთ, ქვემოთ... უნდა შეეძლოს შესაბამისი სტრიქონისა და სვეტის თანაკვეთაზე მდებარე უჯრის მითითება.</p>
გაკვეთილის მსვლელობა	<p><b>1. მოთელვა, კლასის მოზილიზება:</b></p> <p>მასწავლებელმა მოსწავლეები ორ ჯგუფად უნდა დაყო. ორივე ჯგუფს ერთი და იგივე დავალება ექნება - მათ ხელთ არსებული ტექსტიდან მატარებლების მოძრაობის განრიგის შესახებ ამოიკითხონ და დაადგინონ, რომელ საათზე გადის თბილისიდან მატარებელი, მაგალითად, ოზურგეთის მიმართულებით. ერთ ჯგუფს მასალა უნდა მიენდოს ცხრილის სახით, მეორეს კი - ტექსტის სახით (ნარატივის სახით). სავარაუდოდ, მეორე ჯგუფი უფრო სწრაფად გაართმევს თავს დავალებას (10 წუთი).</p> <p><b>2. ცოდნის კონსტრუირება:</b></p> <p>მასწავლებელმა ამგვარი შინაარსის დისკუსია უნდა წარმართოს: რამ განაპირობა მეორე ჯგუფის წარმატება? აქვს თუ არა რაიმე სახის უპირატესობა ინფორმაციის ცხრილის სახით წარმოდგენას? თუ უნახავთ სადმე ცხრილები და რა სახის ინფორმაცია იყო მათი მეშვეობით გადმოცემული? დისკუსიის მიზანია, რომ მოსწავლეები მიხვდნენ ინფორმაციის სტრუქტურირების აუცილებლობას. შემდეგ მასწავლებელმა მოსწავლეებს უნდა აჩვენოს თბილისის რკინიგზის სადგურის განრიგი (რეალური, ინტერნეტში განთავსებული), რომელიმე წამლის ინსტრუქცია (სადაც ცხრილის სახითაა ხშირად წარმოდგენილი, რა ასაკის ადამიანმა რა დოზით უნდა მიიღოს აღნიშნული წამალი), ცხრილების გამოყენების სხვა რეალური ნიმუშები. პირველ ეტაპზე მოსწავლეებმა ცხრილიდან საჭირო ინფორმაციის ამოკრებაზე უნდა ივარჯიშონ. ყურადღება უნდა გამახვილდეს იმაზე, რომ მოსწავლემ ზუსტად მიუთითოს საჭირო სტრიქონი, სვეტი, უჯრა (15 წუთი).</p> <p>ელექტრონული ცხრილების გამოყენება:</p> <p>მასწავლებელი გაუშვებს პროგრამას Microsoft Office Excel. აჩვენებს, რა მარტივად შეიძლება ცხრილისათვის სასურველი ფორმის მიცემა, მაგალითად, სვეტის სიგანის დარეგულირება. შემდეგ ყურადღება უნდა გამახვილდეს იმაზე, თუ რამდენად მნიშვნელოვანია სვეტის და სტრიქონის სახელდება. მოსწავლეებმა უნდა შეადგინონ საკუთარი მონაცემების ცხრილი - გვარი, სქესი, დაბადების თარიღი და ადგილი და ა.შ. მოსწავლეებს მხოლოდ ინფორმაციის სახით (ცნობად) უნდა მიენდოთ ინფორმაცია ელექტრონული ცხრილების უპირატესობის შესახებ - რომ შესაძლებელია ფილტრების დაყენება, მონაცემების დახარისხება ზრდით ან კლებით, ან ლექსიკოგრაფიული მეთოდით და ა.შ. (20 წუთი).</p>

შეფასების საგანი და პროცედურები	ყურადღება უნდა მიექცეს, გაიგო თუ არა მოსწავლემ, რა სახის ინფორმაციის წარმოსადგენად არის უკეთესი ცხრილის გამოყენება; შეუძლია თუ არა მოსწავლეს საჭირო ინფორმაციის ამოკრება ცხრილიდან; ახერხებს თუ არა ცხრილის სწორად შევსებას. შეფასების ფორმა — განმავითარებელი.
საჭირო რესურსები	სახელმძღვანელო, სხვადასხვა სახის ცხრილები, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი და პროექტორი, ელექტრონული ცხრილების პროგრამა Microsoft Office Excel.

### 5. გაკვეთილის გეგმა - მონაცემთა საშუალო

გაკვეთილის მთავარი თემა	მონაცემთა საშუალო
გაკვეთილის მნიშვნელობა, აქტუალურობა	რაიმე მოვლენის დასახასიათებლად, ზოგადი ტენდენციის დასახასიათებლად, მონაცემთა გასაანალიზებლად მნიშვნელოვანია მონაცემთა საშუალოს ცნების და მისი გამოყენების ფარგლების ცოდნა.
გაკვეთილის მიზნები და შედეგები	შედეგი: მოსწავლეს შეუძლია თვისებრივ და რაოდენობრივ მონაცემთა ინტერპრეტაცია და ელემენტარული ანალიზი მიზანი: მოსწავლემ შეძლოს შემაჯამებელი რიცხვითი მახასიათებლის - საშუალო არითმეტიკულის გამოთვლა და გამოყენება მონაცემთა ერთობლიობის დასახასიათებლად.
წინასწარი ცოდნა	მოსწავლემ უნდა იცოდეს რიცხვების შეკრება და გაყოფა.
გაკვეთილის მსვლელობა	<b>1. სამოტივაციო აქტივობა, პრობლემის ფორმულირება:</b> მასწავლებელმა უნდა წაუკითხოს მოსწავლეებს ტექსტი საგაზეთო ან ინტერნეტ გამოცემიდან: მაგალითად, ბოლო წლებში ტემპერატურამ დედამიწაზე მოიმატა საშუალოდ 3 გრადუსით, ან, საშუალო მერვე კლასელის აქტიური ლექსიკა სულ 800 სიტყვას მოიცავს და ა.შ. მასწავლებელმა სთხოვოს მოსწავლეებს, თავიანთი მოსაზრებები გამოთქვან ტექსტში გადმოცემული შინაარსის შესახებ. აქცენტი უნდა გაკეთდეს სიტყვაზე – „საშუალოდ“. მოსწავლეები მასწავლებლის დახმარებით უნდა მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ტემპერატურა დედამიწის ყველა რეგიონში თანაბრად ვერ მოიმატებდა, რომ შესაძლოა ზოგან ნამატი უფრო მეტია და ზოგან კი ნაკლები. მასწავლებელმა უნდა სთხოვოს მოსწავლეებს, თვითონ ჩამოაყალიბონ მსგავსი დებულებები - მაგალითად, თბილისში პურის ფასი საშუალოდ 70 თეთრია, ან სასკოლო სახელმძღვანელოს ფასი საშუალოდ 10 ლარია (10 ნუთი).

	<p><b>2 ცოდნის კონსტრუირება:</b> მასწავლებელი განმარტავს, რომ არსებობს სიტუაციები, როცა მნიშვნელოვანია პროცესის შესახებ ზოგადი წარმოდგენის შექმნა, სიტუაციისთვის დამახასიათებელი ტენდენციის დანახვა, და არ არსებობს ფაქტების განსაკუთრებული დეტალიზაციის აუცილებლობა. ზოგჯერ ჩვენთვის საინტერესო პროცესის შესახებ ისეთი მიახლოებითი ინფორმაციის ფლობა საკმარისი, რომელიც ზოგად წარმოდგენას შეგვიქმნის პროცესზე მასში მეთისმეტად ჩაღრმავების გარეშე. ასეთი სახის “მიახლოებითი მნიშვნელობა” საშუალო არითმეტიკული. მასწავლებელი მოსწავლეებს განუმარტავს, როგორ ითვლება რამდენიმე რიცხვის საშუალო არითმეტიკული (სასურველია, რომ რიცხვების რაოდენობა არ აღემატებოდეს 4-ს). შემდეგ, სასურველია, გაირჩეს რამდენიმე ამოცანა, მაგალითად, დადგინდეს ხაჭაპურის საშუალო ფასი ჩვენს ქალაქში, ან იქვე კლასში დადგინდეს მოსწავლეთა საშუალო სიმაღლე. შემდეგ აუცილებლად უნდა გამახვილდეს ყურადღება, საკმარისია თუ არა საშუალო არითმეტიკული უფრო ზოგადი დასკვნების გასაკეთებლად; ანუ, თუ მხოლოდ ერთ უბანში მდებარე სახაჭაპურების ფასების საშუალოს ვიპოვნით, ეს მონაცემი შესაძლოა მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს ქალაქის სხვა უბნების მონაცემებისაგან (20 წუთი).</p> <p><b>3. გამოლიანება:</b> მასწავლებელმა უნდა აუხსნას მოსწავლეებს, რომ დიდი რაოდენობის მონაცემების საშუალოს ელექტრონული მეთოდებით ითვლიან. შესაძლებელია ამ ფაქტის დემონსტრირებაც Microsoft Office Excel-ის მეშვეობით (15 წუთი).</p>
<p>შეფასების საგანი და პროცედურები</p>	<p>ყურადღება უნდა მიექცეს, გაიგო თუ არა მოსწავლემ, რა სახის ინფორმაციის წარმოსადგენად არის უკეთესი საშუალო არითმეტიკულის გამოყენება. ახერხებს თუ არა მოსწავლე 3 ან 4 რიცხვის საშუალოს გამოთვლას.</p> <p>შეფასების ფორმა — განმავითარებელი.</p>
<p>საჭირო რესურსები</p>	<p>სახელმძღვანელო, სხვადასხვა სახის რეალური მონაცემები, პროდუქტების ფასები და სხვა. ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი და პროექტორი, ელექტრონული ცხრილების პროგრამა Microsoft Office Excel.</p>


## პროცენტი



ყოველდღიურ ცხოვრებაში ხშირად გვჭირდება სხვადასხვა სიდიდის მეასედ ნაწილზე საუბარი ან მათზე მოქმედებები. თეთრი ლარის მეასედი ნაწილია, სანტიმეტრი მეტრის მეასედი ნაწილია, ფართობის ერთეული კვადრატული მეტრი სხვა, ასევე ძალიან გავრცელებული ფართობის ერთეულის – ჰექტრის მეასედი ნაწილია. ალბათ ამან განაპირობა, რომ მეასედი ნაწილის აღსანიშნად სპეციალური სიტყვა „პროცენტი“ შემოიღეს. ეს სიტყვა ლათინური წარმომავლობისაა და ნიშნავს სწორედ მეასედს. (შეიძლება ისტორიიდან თქვენთვის ცნობილია კიდევ, რომ ძველ რომში 100-100 კაციანი სამხედრო ლეგიონები ჰყავდათ, რომლებსაც „ცენტურიებს“ უწოდებდნენ, მათ

მეთაურს კი „ცენტურიონი“ ერქვა. დოლარის მეასედ ნაწილს „ცენტი“ ჰქვია. ამ სიტყვების ფუძეც იგივე ლათინური სიტყვისგანაა მიღებული). მოკლედ: **რაიმეს ერთ მეასედ ნაწილს პროცენტი ეწოდება**. პროცენტის აღსანიშნად ხმარობენ ამგვარ სიმბოლოს: %. ბევრ თქვენგანს ექნება უთუოდ ნანახი მაღაზიების ვიტრინებზე წარწერა – „ფასდაკლება 20%-ით“. ეს ნიშნავს, რომ მაღაზიაში სადღესასწაულოდ, ან სხვა რაიმე მიზეზით საქონლის დიდი ნაწილი იყიდება პირვენდელ ფასზე იაფად, ამასთან ფასდაკლება შეადგენს საწყისი ღირებულების  $\frac{20}{100}$  ნაწილს.

- რამდენი პროცენტია  $\frac{25}{100}$ ,  $\frac{60}{100}$ ,  $\frac{5}{100}$ ?
- გამოსახეთ წილადის და ათწილადის სახით: 30%, 45%, 100%.
- იპოვეთ 50-ის 10%, 20%, 25%.
- დახაზეთ კვადრატი, რომლის გვერდი 10 უჯრის ტოლია. გააფერადეთ კვადრატის 40%.
- რომელ ფიგურაზეა იასამნისფრად გაფერადებული ამ ფიგურის 75%?



➤ რომელი ფიგურაა გაფერადებული 80%-ით?



- ჩანერეთ წილადები პროცენტის სახით:  $\frac{1}{2}$   $\frac{1}{4}$   $\frac{1}{10}$   $\frac{1}{5}$ .
- რიცხვის რამდენ პროცენტს შეადგენს მისი ნახევარი? მეათედი? მეოთხედი?
- სკოლის მოსწავლეთა 55% ვაჟია. რამდენ პროცენტს შეადგენენ გოგონები?
- ბიბლიოთეკაში წიგნების 70% ქართულია. რამდენ პროცენტს შეადგენს უცხოენოვანი წიგნები?


### კოორდინატები

თქვენ შესაძლოა იცით, რომ კინოთეატრის ბილეთი ასე გამოიყურება:




კინოთეატრში საკუთარ ადგილს ზუსტად რომ მიაგნოთ, ორი რიცხვის ცოდნაა საჭირო. ეს რიცხვებია: რიგის ნომერი და რიგში ადგილის ნომერი. სურათზე გამოსახული ბილეთის მეპატრონე მე-3 რიგის მე-15 ადგილზე მჯდარა. 3 და 15 კინოთეატრში კონკრეტული ადგილის „კოორდინატებია“.

სიბრტყეზე თუ გავავლებთ ერთმანეთის გადამკვეთ პარალელურ და ვერტიკალურ წრფეებს, შევძლებთ მივუთითოთ ამ სიბრტყეზე გამოსახული ნებისმიერი ობიექტი.




მაგალითად, მწვანე ბურთულა მდებარეობს მე-4 პარალელური და მე-3 ჰორიზონტალური ხაზების გადაკვეთის წერტილში, ნითელი კი – მე-5 პარალელური და პირველი ჰორიზონტალური ხაზის გადაკვეთის წერტილში. მწვანე ბურთულის კოორდინატებია 4 და 3 – (4; 3), ნითელისა კი – (5; 1).

იგივე პრინციპით არის შემოღებული დედამიწის კოორდინატები – გავლებულია გრძედები და განედები (ეკვატორის პარალელური და პერპენდიკულარული წრეწირები), რომლის მეშვეობითაც ზუსტად შეიძლება დედამიწის თუნდაც ყველაზე მცირე დასახლების მდებარეობის მითითება.




➤ რომელი ფიგურის კოორდინატებია (5; 2)?







- აღნიშნეთ ნერტილი, კოორდინატით (3; 3)



- ჩანერეთ სპილოს თვალების, ყურების, კუდის აღმნიშვნელი ნერტილების კოორდინატები




- რომელ გეომეტრიულ ფიგურას მიიღებთ, თუ თანმიმდევრობით შეაერთებთ ნერტილებს: (1; 1), (1; 4), (5; 4), (5; 1)?
- ქალაქი West Vancouver- მდებარეობს კვადრატში. რომელ კვადრატშია ქალაქი New Westminister?






სიმეტრია




სიტყვა „სიმეტრია“ ბერძნული წარმოშობისაა და ნიშნავს გარკვეული წესრიგის, კანონზომიერების არსებობას საგნების ან მათი ნაწილების განლაგებაში. სიმეტრიას ხშირად ვხვდებით ყოველდღიურ ცხოვრებაში. ორნამენტები დეკორატიულ ქსოვილებსა და შპალერებზე, არქიტექტურული მორთულობანი შენობებზე და თვით შენობების ფასადები, ჩვეულებრივ, რაიმე ღერძის მიმართ სიმეტრიულ ფიგურებს წარმოადგენენ. ბუნებაშიც ხშირად გვხვდება სიმეტრიული ფორმები. მაგალითად, ხისა და ყვავილების ფოთლებს სიმეტრიული ფორმა აქვთ შუა ღეროს მიმართ. თავისი ტანის მიმართ სიმეტრიული ფორმა აქვს პეპელას ფრთებს და ფრთების მოხატულობას.

ბრტყელი სიმეტრიული ფიგურის მოდელის დამზადება არცთუ ისე ძნელია. უნდა გაავლოთ წრფე და ქალაღდი გადაკეცოთ ამ წრფეზე. დახატეთ თქვენთ ვის სასურველი ფიგურის ნახევარი და მაკრატლით გამოჭერით ისე, რომ გადაკეცვის ხაზი არ გაიჭრას. გაშალეთ მიღებული ფიგურა. იგი სიმეტრიულია გადაკეცვის ხაზის მიმართ, გადაკეცვის წრფე კი ამ ფიგურის სიმეტრიის ღერძია.




ზოგერთ ფიგურას ერთზე მეტი სიმეტრიის ღერძი აქვს. მაგალითად, მართკუთხედს სიმეტრიის 2 ღერძი აქვს, კვადრატს — 4, წრეწირს კი — უამრავი.




გარდა ღერძული სიმეტრიისა, არსებობს სხვა სახის სიმეტრიებიც, მაგ., ცენტრული სიმეტრია, მობრუნება და პარალელური გადატანა.

- დახაზეთ ფიგურები: მართკუთხედი, კვადრატი, წრე და გაავლეთ ამ ფიგურების სიმეტრიის ღერძები.
- გაავლეთ ნახაზზე მოცემული ფიგურების სიმეტრიის ღერძები.



➤ რომელ ნახაზზეა მოემული ღერძის მიმართ სიმეტრიული ფიგურები?



➤ შექმენით რამოდენიმე ღერძულად სიმეტრიული ორნამენტი.

### ცხრილი

ინფორმაციის წარმოდგენის ერთერთი ყველაზე გავრცელებული ფორმაა ცხრილი. ცხრილი იძლევა მონაცემების დასტრუქტურების საშუალებას. კარგად დასტრუქტურებულ მონაცემებში კი ძნელი არ არის კანონზომიერებების შემჩნევა და მათ საფუძველზე დასკვნების გაკეთება. მოდით, განვიხილოთ ცხრილის ერთი ნიმუში. წარმოდგენილ ცხრილში აღნუსხულია ერთი კლასის მოსწავლეთა შედეგები ხუთ საგანში.

მოსწავლის გვარი და სახელი	მშობლიური ენა	მათემატიკა	უცხო ენა	ბუნებისმეტყველება	მუსიკა
აბაშიძე ზურაბ	8	7	7	6	8
ბოლქვაძე ნინო	10	8	8	7	10
გოგელია თამაზ	6	6	7	7	8
დურგლიშვილი ნინო	8	7	8	8	8
ებრლიძე არჩილ	9	9	9	10	10
მაისურაძე დათო	9	10	10	10	9
ქადეიშვილი ირაკლი	8	8	7	8	9
ჯაფარიძე თამარ	10	10	9	10	10

ცხრილის საშუალებით მარტივად მივიღებთ ჩვენთვის საჭირო ინფორმაციას მოსწავლეების შესახებ. კლასის 3 მოსწავლეს — ჯაფარიძეს, მაისურაძეს და ებრალიძეს აქვს საუკეთესო შედეგები. მათი ქულები მერყეობს 9-სა და 10 ს შორის. ამასთანავე, ყველაზე მეტი შეფასება „10“ აქვს ჯაფარიძეს. მათემატიკაში ყველაზე დაბალი ქულა აქვს გოგელიას, ბუნებისმეტყველებაში — აბაშიძეს. მუსიკაში საგნებს შორის ყველაზე კარგი შედეგებია — არც ერთ მოსწავლეს არა აქვს 8-ზე დაბალი ქულა.

ცხრილში მოცემულია სუპერმარკეტის ბოსტნეულის სექციის მიერ აპრილში რეალიზებული პროდუქციის დასახელება, რაოდენობა, შესასყიდი და სარეალიზაციო ფასები.

პროდუქციის დასახელება	1 კგ-ის შესასყიდი ფასი	1 კგ-ის სარეალიზაციო ფასი	რეალიზებული პროდუქციის რაოდენობა (კილოგრამებში)
კარტოფილი	50 თეთრი	65 თეთრი	2000
კომბოსტო	30 თეთრი	40 თეთრი	600
სტაფილო	60 თეთრი	80 თეთრი	300
ჭარხალი	40 თეთრი	60 თეთრი	150
კიტრი	2 ლარი	2 ლარი 50 თეთრი	90
პომიდორი	2 ლარი 50 თეთრი	3 ლარი	120

ცხრილის მიხედვით უპასუხე კითხვებს:

- რამდენი კილოგრამი ჭარხალი გაიყიდა?
- რა მოგება აქვს სუპერმარკეტს 1 კგ სტაფილოში?
- რამდენია კარტოფილის რეალიზებით მიღებული მოგება?
- რამდენია პომიდვრის რეალიზებით მიღებული მოგება?

ცხრილში მოცემულია ინფორმაცია ოფისის ხარჯების შესახებ ორი კვარტლის (ექვსი თვის) მიხედვით.

თვე	მასალა (ლარებში)	საწვავი (ლარებში)
იანვარი	210	300
თებერვალი	170	210
მარტი	190	330
აპრილი	180	400
მაისი	150	450
ივნისი	120	500

**ცხრილის მიხედვით უპასუხე კითხვებს:**

- ა) რამდენია ოფისის ხარჯი აპრილში?
- ბ) რამდენი ლარით მეტია ოფისის ხარჯი იანვარში, ვიდრე თებერვალში?
- გ) რომელ თვეშია ოფისის ხარჯი უდიდესია?
- დ) რამდენია მასალის ხარჯი I კვარტალში?
- ე) რამდენია საწვავის ხარჯი II კვარტალში?
- ვ) რამდენია მასალაზე დანახარჯი ორი კვარტლის განმავლობაში?

ყოველთვიურად მობილური ტელეფონით სარგებლობის პირველი 200 წუთი ნინოს ეძლევა უფასოდ, ხოლო ყოველი მომდევნო წუთისთვის იგი იხდის 14 თეთრს. ცხრილში მოცემულია ნინოს სატელეფონო საუბრების ხანგრძლივობა 4 თვის განმავლობაში.

თვე	წუთების რაოდენობა
იანვარი	240
თებერვალი	198
მარტი	325
აპრილი	210

- ა) რამდენი თეთრი გადაიხადა ნინომ იანვარში?
- ბ) რამდენი თეთრი გადაიხადა ნინომ მარტში?
- გ) რამდენი თეთრი გადაიხადა ნინომ 4 თვის განმავლობაში?
- დ) რამდენით მეტი გადაიხადა ნინომ მარტში ვიდრე იანვარში?
- ე) რამდენი წუთით გადააჭარბა ნინომ ყოველთვიურ ზღვარს - 200 წუთს 4 თვის განმავლობაში?
- ზ) რომელ თვეში არ მოუწია ნინოს სატელეფონო საუბრს ფასის გადახდა?
- თ) მოიფიქრე კიდევ ორი კითხვა და უპასუხე.

## მონაცემთა საშუალო

ბევრ თქვენგანს უთუოდ ექნება მოსმენილი ამგვარი ტექსტები: „სანარმოს ყოველთვიური მოგება საშუალოდ 1 მილიონი დოლარია“, „პურის ფასმა საშუალოდ 10 თეთრით მოიმატა“, „დედამინაზე ტემპერატურამ მოიმატა საშუალოდ 2 გრადუსით“. სანარმოს მოგება ყოველ თვეში ერთი და იგივე რიცხვი არ იქნება, ასე თითქმის არასოდეს ხდება. არც პური გაძვირდებოდა ყველა მაღაზიაში ზუსტად 10 თეთრით — ალბათ იარსებებს მაღაზიები, სადაც გაძვირებამ 20 თეთრი შეადგინა, ან ისეთი მაღაზიები, სადაც პური მხოლოდ 5 თეთრით გაძვირდა. ტემპერატურა ყველა ქვეყანაში ერთნაირად არ მოიმატებდა, ზოგან შესაძლოა მატებამ 3 ან 4 გრადუსი შეადგინა, ზოგან კი საერთოდ არ მომატებულა. მაშ, საიდან მოდის ეს „გასაშუალოებული“ მონაცემები? არის სიტუაციები, როცა ინფორმაციის დეტალიზაცია საჭირო არ არის. რაღაც პროცესის აღწერისას „ტენდენციის“ ცოდნაც საკმარისია – ანუ, ჩვენთვის საინტერესო პროცესის შესახებ ისეთი მიახლოებითი ინფორმაციის ფლობაა საკმარისი, რომელიც ზოგად წარმოდგენას შეგვიქმნის პროცესზე მასში ზედმეტად ჩაღრმავების გარეშე. ასეთი სახის „მიახლოებითი მნიშვნელობა“ საშუალო არითმეტიკული. თუ ლიას გადასახადი სატელეფონო მომსახურეობისათვის დეკემბერში შეადგენდა 4 ლარს, იანვარში 8 ლარს, ხოლო თებერვალში 6 ლარს, მაშინ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ზამთრის თვეების განმავლობაში ლიას ყოველ თვიური სატელეფონო გადასახადი შეადგენდა საშუალოდ  $(4+8+6):3=18:3=6$  ლარს. საშუალო არითმეტიკული, ან მონაცემთა საშუალო გამოითვლება ამგვარად: უნდა შეიკრიბოს მონაცემები და ჯამი გაიყოს მონაცემების რაოდენობაზე.

მოდით ახლა ასეთი ამოცანა განვიხილოთ: ვთქვათ გვინტერესებს იმის დადგენა, თუ როგორია აჭარული ხაჭაპურის ტიპიური ფასი ქალაქში. ამისათვის ასე უნდა მოვიქცეთ: დავრეკოთ 8 ან 10 სახაჭაპურეში და გავიგოთ ფასები (მაგ., 7.35 ლარი, 7 ლარი, 6.75 ლარი, 6.50 ლარი, 6.10 ლარი, 6 ლარი, 6 ლარი, 5.50 ლარი). უნდა შევკრიბოთ მათ მიერ დასახელებული ფასები და ჯამი გავყოთ მონაცემების რაოდენობაზე (ამ ამოცანის შემთხვევაში 8-ზე).

$(7,35+7+6,75+6,50+6,10+6+6+5,8):8=6,40$  ესე იგი, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქალაქში აჭარული ხაჭაპურის საშუალო ფასი 6 ლარი და 40 თეთრია.


- გამოთვალეთ რიცხვების საშუალო არითმეტიკული: 5, 6, 8, 7, 8, 8.
- რას უდრის სამი რიცხვის საშუალო არითმეტიკული, თუ ამ რიცხვების ჯამი 21-ის ტოლია?
- რას უდრის 5 რიცხვის საშუალო არითმეტიკული, თუ ამ რიცხვების ჯამი 50-ის ტოლია?

- რისი ტოლია 5 რიცხვის ჯამი, თუ ამ რიცხვების საშუალო არით მეტიკული 10-ის ტოლია?
- მშენებლის ხელფასი 10 თვის განმავლობაში საშუალოდ 800 ლარს შეადგენდა. სულ რა თანხა აიღო მშენებელმა ამ 10 თვის განმავლო ბაში?
- სამი საზამთროს საშუალო მასა 10 კილოგრამია. ერთ-ერთი საზამთრო 12 კილო გრამს იწონის. რას უდრის დანარენი ორის საშუალო მასა?
- შეიძლება თუ არა, რომ რიცხვითი მონაცემების საშუალო იყოს უდიდეს მონაცემზე მეტი? პასუხი დაასაბუთეთ.
- ყოველთვიურად, მობილური ტელეფონით სარგებლობის პირველი 200 წუთი ნინოს ეძლევა უფასოდ. ყოველი მომდევნო წუთისთვის იგი იხდის 5 თეთრს. ცხრილში მოცემულია ნინოს სატელეფონო საუბრების ხანგრძლივობები 3 თვის განმავლობაში.

თვე	წუთების რაოდენობა
იანვარი	230 წუთი
თებერვალი	300 წუთი
მარტი	250 წუთი

ამ 3 თვის განმავლობაში, თვეში საშუალოდ რა თანხას იხდიდა ნინო?

- ფერმერს სურს დაადგინოს ახალი სასუქის ეფექტიანობა. ამისათვის მან შეარჩია 5 ნერგი და გაზომა მათი სიმაღლეები. ამის შემდეგ მან დაუყარა ამ მცენარეებს სასუქი და 2 კვირის შემდეგ გაზომა მათი სიმაღლეები. სვეტოვანი დიაგრამა გვიჩვენებს ნერგების სიმაღლეებს სასუქის გამოყენებამდე და სასუქის გამოყენების შემდეგ.



ამ დიაგრამის მიხედვით, რისი ტოლია მცენარეების საშუალო ზრდა?

### გამოყენებული ლიტერატურა:

Teaching and Learning Primary Numeracy: Policy, Practice and Effectiveness (A review of British research for the British Educational Research Association in conjunction with the British Society for Research in the Learning of Mathematics. Editors: Mike Askew and Margaret Brown);

Steen, LA (ed.) 2001, Mathematics and democracy: the case for quantitative literacy,

The National Council on Education and the Disciplines, US. Available at:

<http://www.maa.org/ql/mathanddemocracy.html>;

Thomson, S 2004, 'Numeracy in the early years: Project Good Start', Australian Primary Mathematics Classroom, vol. 9, no. 4, pp. 14–17;

Schoenfeld, A. H. (1992). Learning to think mathematically: Problem solving, metacognition, and sense-making in mathematics. In D. Grouws (Ed.), Handbook for

Research on Mathematics Teaching and Learning (pp. 334-370). New York: MacMillan;

Reynolds, D., & Muijs, D. (2000). School effectiveness and teacher effectiveness in mathematics: Findings from the evaluation of the mathematics Enhancement Program (Primary). School Effectiveness & School Improvement.

National Council of Teachers of Mathematics (NCTM). (2000). Principles and standards for school mathematics. Reston, VA: NCTM.

Polya, G. (1957). How to solve it? (2nd Edition). New York: Penguin Books.

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა. ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი. 2008 წელი.



# სასიცოცხლო უნარები

## ავტორები

მაია ბაქრაძე

ნაზაკეტ ბახტიარ მეჭღიევა

1. შესავალი.....	165
2. სტანდარტი .....	166
2.1 მოსწავლეთათვის სასიცოცხლო უნარ-ჩვევების განვითარების კონცეფცია.....	166
2.2 სასიცოცხლო უნარების სტანდარტის ძირითადი სტრუქტურა.....	168
2.3 მოსწავლის სტანდარტი – შედეგები და ინდიკატორები.....	170
3. სწავლების მეთოდოლოგიური საფუძვლები .....	171
3.1 სწავლა-სწავლების ინტერაქტიური მეთოდები.....	171
3.2 სასწავლო მეთოდები .....	171
3.3 მოსწავლეების შეფასება .....	181
4. გაკვეთილის დაგეგმვა .....	187
4.1 გაკვეთილის ეტაპები .....	187
5. გაკვეთილის გეგმვა.....	191

## 1. შესავალი

მოსწავლეები საზოგადოების ყველაზე მნიშვნელოვანი წევრები არიან. ხშირად მოზარდები სრულად ვერ ახდენენ საკუთარი შესაძლებლობების დამოუკიდებლად რეალიზებას, მათ მხარდჭერა და მოტივირება სჭირდებათ. ბევრ მათგანს სხვადასხვა სახის პრობლემებთან უხდება გამკლავება. არის შემთხვევები, როდესაც ისინი რაიმე ტიპის ანტისოციალურ საქმიანობებში არიან ჩართულნი. მსგავსი ქმედებები, პირველ რიგში, მოზარდის ფსიქიკას აყენებს ზიანს, რაც ართულებს საზოგადოებაში მის ინტეგრაციას. ამიტომ, აუცილებელია, საზოგადოებამ და პირველ რიგში, სკოლამ მოახდინოს მყისიერი რეაგირება და მოზარდს პრობლემების დაძლევაში დაეხმაროს. ამ პროცესში ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი ენიჭება სასიცოცხლო უნარების. სასიცოცხლო უნარ-ჩვევებს გამოიმუშავება მოზარდს ეხმარება, იყოს წარმატებული და პროდუქტიული.

სასიცოცხლო უნარები ყველა ადამიანის და, მით უფრო, მოსწავლის საბაზისო საჭიროებაა. სასიცოცხლო უნარების შექმნა-განვითარება მოსწავლეებს საშუალებას აძლევს, ცხოვრებისეულ სირთულეებს გაუმკლავდნენ. ლიდერობის, გადანყვეტილების მიღების, კომუნიკაციის, შეფასების – მოზარდს ეხმარება, იპოვნოს საკუთარი ადგილი სკოლაში და საზოგადოებაში (სხვადასხვა სოციუმში).

სასწავლო პროცესის ეფექტურად ორგანიზება ეხმარება მოზარდებს უნარ-ჩვევები განვიითარონ. შემოთავაზებული კურსი შეიცავს ლიდერობის, კომუნიკაციის, ინტერაქციის, თვითშეფასების, კონფლიქტების მართვის, გადანყვეტილების მიღების, ჯგუფში მუშაობისა და სხვა სოციალურ უნარ-ჩვევებს. „სასიცოცხლო უნარების“ შესწავლა აუმჯობესებს მოსწავლეთა ცხოვრებას, მათი მხრიდან მცირდება ძალადობრივი ქცევა, ნეგატიური და დესტრუქციული ქმედებების ალბათობა; – იზრდება პროსოციალური ქცევა.

კარგად დაგეგმილი სასწავლო პროცესი გულისხმობს, რომ მასწავლებელმა ფასილიტატორის როლი უნდა შეასრულოს. იგი უნდა დაეხმაროს მოსწავლეებს პრობლემის გააზრებაში, გადანყვეტილების გზების ძიებასა და უნარების განვითარებაში. ამ მიზნით, აუცილებელია სასწავლო პროცესის ძირითადი ნაწილი დაეთმოს ჯგუფურ მუშაობას და სხვა კოლაბორაციულ აქტივობებს, სადაც მოსწავლეებს საშუალება ექნებათ, საკუთარი

შესაძლებლობები გამოავლინონ და შესაბამისი უნარები განივითარონ. მასწავლებლის მხარდაჭერასა და პოზიტიურ გამოხმაურებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

სასიცოცხლო უნარების შესწავლისას ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა შექმნას ისეთი სასწავლო გარემო, სადაც მოსწავლეებს საშუალება ექნებათ, მოირგონ სხვადასხვა როლი და შესაბამისი პასუხისმგებლობაც აიღონ. მათ უნდა შეძლონ გადანყვეტილებების მისაღებად მრავალი გზის მოძიება და პრიორიტეტული ალტერნატივის შერჩევა. შესაბამისად, უნდა შეეძლოთ სხვისი აზრის მიღება, ჯანსაღი ურთიერთობის დამყარება. სწავლების პროცესი წარმატებულია, თუ მოსწავლეებს საშუალება აქვთ, უნარები განივითარონ სხვადასხვა როლისა და შესაბამისი პასუხისმგებლობების მორგებით.

სახელმძღვანელოში მოცემულია სასიცოცხლო უნარების სტანდარტი, მეთოდოლოგიური საფუძვლები და გაკვეთილის გეგმები.

სასწავლო პროცესის ეფექტური ორგანიზების მიზნით, კურსის მასწავლებელი უნდა გაეცნოს როგორც შემოთავაზებულ სტანდარტს, ასევე, მეთოდოლოგიურ ნაწილს, სასწავლო სტრატეგიებსა და აქტივობებს.

## 2. სტანდარტი

### 2.1 მოსწავლეთათვის სასიცოცხლო უნარ-ჩვევების განვითარების კონცეფცია

სასიცოცხლო-უნარჩვევები არის ინდივიდის შესაძლებლობა, მოიქცეს პოზიტიურად და წარმატებით შეეგუოს ყოველდღიური ცხოვრების მოთხოვნებს. სასიცოცხლო უნარ-ჩვევათა სწავლების მიზანია, აღზარდოს ახალგაზრდა, რომელსაც ეცოდინება და რომელიც შეძლებს:

- დაამყაროს კავშირი და ითანამშრომლოს სხვა ადამიანებთან;
- თავიდან აიცილოს, ან მოლაპარაკების გზით გადაჭრას კონფლიქტები;
- ხელი შეუწყოს ადამიანის უფლებების დაცვას;
- მართოს საკუთარი ემოციები და ქცევა;
- გადადგას პრაქტიკული ნაბიჯები გარემოს დასაცავად; ჰქონდეს საკუთარი თავის და სხვების პატივისცემა;

- ენოდეს ჯანსაღი ცხოვრების წესს;
- ჰქონდეს მტკიცე სამოქალაქო და მორალური პოზიცია;
- განახორციელოს ინფორმაციის მენეჯმენტი (მართვა);
- უთანაგრძნოს სხვებს (გამოავლინოს ემპათია) და ა.შ.

სასიცოცხლო უნარ-ჩვევების სწავლება ხელს შეუწყობს მოსწავლეთა სულიერი, სოციალური და ფიზიკური კეთილდღეობის განვითარებას. ამიტომ ის დაწყებითი კლასებიდანვე უნდა ისწავლებოდეს - ურთიერთობებში ნეგატიური ქცევითი ფაქტორების წარმოქმნამდე.

**სასიცოცხლო უნარების შესწავლის მიზანია**, მოსწავლეს განუვითაროს კომუნიკაციის, თანამშრომლობის, საკუთარი აზრის თავისუფლად გამოხატვის, საკუთარი და სხვების ქმედებების შეფასების, დასკვნების გამოტანის, ემოციების მართვის, მოვლენების ანალიზისა და შეფასების უნარ-ჩვევები. ხელი უნდა შეეწყოს ისეთი ღირებულებების ჩამოყალიბებას, როგორებიცაა: სამართლიანობა და ტოლერანტობა, საკუთარი პიროვნებისა და სხვების პატივისცემა.

სასიცოცხლო უნარების დაუფლების შედეგად, მოსწავლე შეძლებს:

- საკუთარი თავის რეალიზებას სკოლაში;
- მონაწილეობას სასკოლო-საგანმანათლებლო საქმიანობებში;
- განსხვავებულ ადამიანებთან ჯანსაღი ურთიერთობების დამყარებასა და შენარჩუნებას;
- მის წინაშე წარმოქმნილი პრობლემების გადაჭრას.

სახელმძღვანელო განკუთვნილია იმ სკოლებისთვის, რომლებიც საჭიროდ მიიჩნევენ, სკოლაში ეფექტური ჩართულობის ხარისხის გაზრდის მიზნით, მოსწავლეებს აღნიშნული კურსი შესთავაზონ.

სახელმძღვანელო შეიცავს: მოსწავლეთა სტანდარტს, სადაც განსაზღვრულია სასწავლო შედეგები და ინდიკატორები; სწავლების მეთოდოლოგიას და რეკომენდაციებს მასწავლებლებისთვის სწავლა-სწავლების პროცესის შესახებ; გაკვეთილის გეგმის ნიმუშებსა და მოსწავლეთა შეფასების ტიპებს.

სახელმძღვანელო მასწავლებლებს დაეხმარება, ისე დაგეგმონ სასწავლო პროცესი, რომ მოსწავლემ შეიძინოს ცოდნა და განივითაროს ის უნარ-ჩვევები, რომლებიც ხელს შეუწყობს სკოლაში მის ინტეგრაციასა და დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადებას.

## 2.2 სასიცოცხლო უნარების სტანდარტის ძირითადი სტრუქტურა

სასიცოცხლო უნარ-ჩვევების სტანდარტი მომზადებულია გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ შემუშავებული დოკუმენტის მიხედვით<sup>1</sup>. ის სამი მიმართულებისგან შედგება:

1. ინტერპერსონალური ურთიერთობები/კომუნიკაცია;
2. გადაწყვეტილების მიღება და კრიტიკული აზროვნება;
3. თვითმართვა.

### ინტერპერსონალური ურთიერთობები/კომუნიკაცია

სტანდარტის მიმართულების „ინტერპერსონალური ურთიერთობები/კომუნიკაცია“ მიზანია, მოსწავლეებმა კომუნიკაციის უნარ-ჩვევები შეიძინონ.

კომუნიკაცია – ინფორმაციის გადაცემის, გაცვლის პროცესია. სტანდარტის ეს მიმართულება ითვალისწინებს ინფორმაციის გადაცემის ვერბალურ და არავერბალურ ხერხებს, აქტიურ სწავლებას, ემოციების გამოსატვისა და გამოხმაურების/უკუგების უნარებს. ამ მიმართულებაში შედის ასევე მოლაპარაკების, მოლაპარაკების გამართვის, უარის თქმის (ასერტიულობა) და კონფლიქტების მართვის უნარის განვითარება. მოსწავლეებს ასევე განუვითარდებათ აქტიური მოსმენისა და სხვების გაგების უნარები. ისწავლიან ჯგუფში მუშაობას.

### გადაწყვეტილების მიღება და კრიტიკული აზროვნება

გადაწყვეტილების მიღება კოგნიტური პროცესია, რომლის შედეგადაა რამდენიმე ალტერნატივიდან ერთის შერჩევა. გადაწყვეტილების მიღების პროცესის შედეგი საბოლოო არჩევანის გაკეთებაა.

კრიტიკული აზროვნება მაღალი დონის აზროვნებაა. კრიტიკულად მოაზროვნე ადამიანი კითხვაზე პასუხის გაცემისას რამდენიმე ვარაუდს უშვებს. იგი ცდილობს, გაარკვიოს, რა არის ჭეშმარიტი და რა – მცდარი, ან – ნაწილობრივ ჭეშმარიტი და ნაწილობრივ მცდარი.

სტანდარტის ეს მიმართულება მოსწავლეებს საშუალებას მისცემს, განივითარონ პრობლემის განსაზღვრის, მისი გადაჭრის რამდენიმე ალტერნატიული გზის მოძიებისა და ამ გზების შეფასების უნარი.

---

1 [http://www.unodc.org/pdf/youthnet/action/message/escap\\_peers\\_07.pdf](http://www.unodc.org/pdf/youthnet/action/message/escap_peers_07.pdf)

მოსწავლეები აქტიურად ჩაერთვებიან გადანყვეტილების მიღების პროცესში, გააცნობიერებენ ამ პროცესში თანამშრომლობის მნიშვნელობას, განივითარებენ ჯგუფური მუშაობის უნარ-ჩვევებს.

ხანდახან, როდესაც ადამიანები გაუმართლებელ, წინასწარვე მცდარ მტკიცებულებებს ეყრდნობიან და უპირატესობას ამა თუ იმ მსჯელობას ანიჭებენ, ამით საკუთარ არატოლერანტულ ქმედებას ავლენენ. ამგვარ სიტუაციაზე ზემოქმედება შესაძლებელია მხოლოდ სიტუაციის კრიტიკულად შეფასების შემთხვევაში.

კრიტიკული აზროვნება ემყარება მოვლენებისა და პროცესების მრავალმხრივი ანალიზის უნარს, პრობლემის გადასაჭრელად არგუმენტებისა და მტკიცებულებების შეგროვებას. ამ დროს მიღებული გადანყვეტილება არ ემყარება ემოციებს, კაპრიზებსა და სიტუაციიდან გამომდინარე სხვადასხვა ფაქტორს.

კრიტიკული აზროვნება „გვაიძულებს“, მუდმივად ეჭვი შევიტანოთ ჩვენი პოზიციებისა და ჰიპოთეზების ობიექტურობაში. გარშემომყოფებისადმი ტოლერანტული დამოკიდებულება მჭიდროდაა დაკავშირებული კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევასთან. „კრიტიკული აზროვნება“ ქმნის პირობას დამოუკიდებელი აზროვნებისათვის და ჩვენ წინაშე წამოჭრილი პრობლემების გადაჭრის პროცესებში ჩართულობასაც განსაზღვრავს.

### **თვითმართვა**

სტანდარტის ეს მიმართულება მოსწავლეებს ხელს შეუწყობს, შინაგანი კონტროლის, თვითშეფასებისა და თვითკრიტიკის, გრძნობების და სტრესის მართვის უნარ-ჩვევები განივითარონ.

მოსწავლეები გააცნობიერებენ საკუთარ ღირებულებებსა და დამოკიდებულებებს. ამასთანავე, მიიღებენ ინფორმაციას საკუთარი პიროვნების ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ. თვით მართვაში შედის ასევე მიზნის დასახვისა და მისი მიღწევის უნარების განვითარება, ბრაზის მართვა, სტრესული სიტუაციებიდან ღირსეულად გამოსვლა, დასვენების დროის სწორად ორგანიზება და მიმდინარე მოვლენებისა და პროცესების დადებით ჭრილში დანახვის უნარი.

**2.3 მოსწავლის სტანდარტი – შედეგები და ინდიკატორები**

ინტერპერსონალური ურთიერთობები/კომუნიკაცია	გადანწყვეტილების მიღება და კრიტიკული აზროვნება	თვითმართვა
<p><b>1. პიროვნებათშორისი ურთიერთობების უნარ-ჩვევა</b> -ურთიერთობების ვერბალური და არავერბალური მეთოდების გამოყენება. -აქტიური მოსმენის უნარის დემონსტრირება. -მოსაზრების გამოხატვა, უკუკავშირი.</p> <p><b>2. მოლაპარაკებების გამართვის/ უარის თქმის (ასერტიულობა) უნარ-ჩვევა</b> -მოლაპარაკებების წარმართვა და კონფლიქტური სიტუაციების მართვა. -საკუთარი მოსაზრების დამაჯერებლად ჩამოყალიბება; -საკუთარი პოზიციის უარყოფა და სხვა პოზიციის გაზიარება, თუ ის დამაჯერებელ არგუმენტებს შეიცავს.</p> <p><b>3. ემპათიის გამოვლენის უნარი</b> -სხვისი ტკივილისა და გაჭირვების თანაგანცდა, გაჭირვებული ადამიანების თანადგომა.</p> <p><b>4. თანამშრომლობა და გუნდური მუშაობა</b> -სხვა ადამიანის მოსაზრებების პატივისცემა, ჯგუფის მუშაობაში საკუთარი წვლილის შეტანა. -ჯგუფში მუშაობა და შეტანილი წვლილის სწორად შეფასება.</p> <p><b>5. საკუთარი პოზიციის დაცვა</b> -საკუთარი პოზიციის დაცვა, თანამოსაუბრის დარწმუნება და გადანწყვეტილების პროცესზე გავლენის მოხდენა.</p>	<p><b>6. გადანწყვეტილების მიღება</b> -შესაბამისი ინფორმაციის მოპოვება. -მოცემული მოვლენის შედეგების შეფასება. -პრობლემის გადაჭრის შესაძლო გზების განსაზღვრა.</p> <p><b>7.-კრიტიკული აზროვნება</b> -საინფორმაციო საშუალებებიდან და გარესამყაროდან მიღებული ინფორმაციის ანალიზი და შეფასება. -ინფორმაციისა და, შესაბამისად, მისი წარმოშობის წყაროს განსაზღვრა და მისი სანდოობის შეფასება.</p>	<p><b>8. შინაგანი კონტროლი</b> -თვითშეფასებისა და ნდობის უნარ-ჩვევა. -უფლებებისა და ღირებულებების ურთიერთდამოკიდებულების, მათი ძლიერი და სუსტი მხარეების გაცნობიერება. -მიზნის განსაზღვრა. -თვითშეფასება და თვითმონიტორინგი.</p> <p><b>9. გრძნობების კონტროლის უნარ-ჩვევა</b> -ზიზღისა და ბრაზის კონტროლი. -დარდისა და შფოთვის გაზიარება. -დანაკარგის, დარდის და ტრავმის შედეგად მიღებულ ტკივილთან გამკლავება.</p> <p><b>10. სტრესის კონტროლის უნარ-ჩვევა</b> -დროის სწორად განაწილება. -მიმდინარე პროცესებისა და მოვლენებისადმი კეთილგანწყობილი დამოკიდებულების გამოვლენა. -დასვენებისათვის დროის ორგანიზება.</p>



### 3. სწავლების მეთოდოლოგიური საფუძვლები

#### 3.1 სწავლა/სწავლების ინტერაქტიური მეთოდი

**ინტერაქციონიზმი** – თანამედროვე სოციალური ფსიქოლოგიის მიმართულებაა, რომელიც დამყარებულია ამერიკელი სოციოლოგისა და ფსიქოლოგის ჯ. მიდის კონცეფციაზე. ინტერაქციონიზმში (უშუალო ურთიერთქმედებაში) იგულისხმება პიროვნებათშორისი კომუნიკაცია, რომლის მთავარ თავისებურებად მიჩნეულია ადამიანის უნარი „მიიღოს სხვისი როლი“, წარმოიდგინოს, თუ როგორ აღიქვამს მას პარტნიორი ან ჯგუფი, ამის შესაბამისად მოახდინოს სიტუაციის ინტერპრეტაცია და საკუთარი მოქმედებების აგება.

„სასიცოცხლო უნარ-ჩვევების“ სწავლება განსაკუთრებით ეფექტიანია, თუ მას ინტერაქციონიზმზე დაფუძნებული მეთოდიკა უდევს საფუძვლად.

ინტერაქტიური მეთოდებით სწავლება ძირეულად განსხვავდება სწავლების ტრადიციული მეთოდებისაგან. ასეთი სწავლება ხელს უწყობს მოზარდის ინდივიდუალიზაციას და სოციალიზაციას, რაც განაპირობებს მის ადაპტაციას კონკურენტულ გარემოშიც. ტრადიციული სწავლებისას გაკვეთილზე ცენტრალური ფიგურა მასწავლებელია. იგი შესასწავლ მასალას მზა სახით აწვდის (გადასცემს) მოსწავლეს, რომელიც ცოდნის პასიური მიმღების როლში იმყოფება. ინტერაქტიური მეთოდიკით სწავლების დროს თვით ბავშვი (მოსწავლე) იმყოფება შესასწავლი მოვლენების ცენტრში. იგი თავის ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით, სხვა ბავშვებთან ერთად აანალიზებს, აფასებს, აყალიბებს მოსაზრებებს, ეუფლება უნარ-ჩვევებს, უყალიბდება განწყობა-დამოკიდებულებები ფაქტებისა და მოვლენებისადმი.

#### 3.2 სასწავლო მეთოდი:

##### I. სიუჟეტური (როლური) თამაში

თამაში ადამიანისა და განსაკუთრებით, ბავშვის ქცევის ერთ-ერთი წამყვანი ფორმაა. თამაში სწავლების მიზნით – ესაა შესაძლო რეალობის ჯგუფური გამოკვლევის და, ამ გზით, სოციალური გამოცდილების მიღების საშუალება.

გერმანელი ფსიქოლოგი ბიულერი მიიჩნევდა, რომ თამაში არის საქმიანობა, რომლის განხორციელებას საფუძვლად ფუნქციური სიამოვნების მიღება უდევს. ყოველივე ზემოთქმულიდან შეიძლება განვმარტოთ,

რომ თამაში – ესაა შესაძლო სინამდვილის ჯგუფური და დიალოგური გამოკვლევის მეთოდი.

სათამაშო აქტივობას მართლაც სხვადასხვა სახის სიამოვნება უდევს საფუძვლად, კერძოდ:

1. პარტნიორებთან უშუალო კონტაქტის სიამოვნება;
2. სათამაშო სიტუაციების შედეგების სწრაფად გარკვევის სიამოვნება;
3. შეჯიბრისგან მიღებული სიამოვნება;
4. საკუთარი თავისა და შესაძლებლობების დემონსტრირებით მიღებული სიამოვნება;
5. როლში „შესვლის“ სიამოვნება და ა.შ.

სიუჟეტური თამაში – ეს არის გაკვეთილზე გათამაშებული მცირე დადგმა, სპექტაკლი, რომლის მიზანია ბავშვისათვის უცნობი და უჩვეულო მოვლენების გაცოცხლება მათი გათამაშების გზით.

მასწავლებელი არჩევს გაკვეთილზე განსახილველ (შესასწავლ) თემას და ადგენს სიუჟეტს. შემდეგ ბავშვებთან ერთად ანაწილებს როლებს და მსჯელობს იმაზე, თუ როგორ უნდა განხორციელდეს საბავშვო წარმოდგენა.

მასწავლებელმა შეიძლება დაუსვას ბავშვებს კითხვები. წარმოდგენის დამთავრების შემდეგ. მას მთელი კლასი არჩევს.

ეს მეთოდი საშუალებას აძლევს ბავშვს:

- უკეთ გაიგოს მისთვის უცნობი მოვლენები;
- თამამად გამოხატოს თავისი გრძნობები და აზრები;
- იგრძნოს თავი ჯგუფის წევრად;
- ითანამშრომლოს სხვა ბავშვებთან, ანუ მიიღოს მონაწილეობა;
- თამაშით მიიღწევა ბავშვის სოციალიზაცია (საზოგადოებაში არსებული სოციალური გამოცდილების ათვისება და მიღება) და ა. შ.

### საკლასო დისკუსია

დისკუსია აქტიური სწავლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მეთოდებია, რომელიც სტიმულს აძლევს მოსწავლეთა ინიციატივას და მათ რეფლექსურ აზროვნებას უვითარებს.

**დისკუსიის დროს ხდება:**

- მონაწილეთა შორის ინფორმაციის გაცვლა;
- ერთი და იმავე საკითხისადმი სხვადასხვაგვარი მიდგომების ძიება;
- სხვადასხვა თვალსაზრისის (ხშირად, ერთმანეთის გამომრიცხავის) თანაარსებობა;
- საერთო აზრის ან გადაწყვეტილების მისაღებად ჯგუფური შეთანხმების ძიება.

დისკუსიის მეთოდით სწავლება, ტრადიციული მეთოდით სწავლებისგან განსხვავებით, შესაძლებლობას იძლევა, დავინახოთ, რომ ყოველი მტკიცებულება მრავალ ასპექტს შეიცავს და დასკვნის გაკეთება უამრავი გზით არის შესაძლებელი.

იმისათვის, რომ კლასში ღია დისკუსია ჩატარდეს, საჭიროა, ურთიერთ-პატივისცემისა და ნდობის გარეშე იყოს შექმნილი. „უსაფრთხო“ გარემოს შექმნა კი მასწავლებლის მიერ წინასწარი სამუშაოს ჩატარებას გულისხმობს, რომლის მიზანია კლასში სადისკუსიო ქცევის წესებისა და ურთიერთობის ნორმების ჩამოყალიბება. ეს განსაკუთრებით ეფექტურია დაწყებით კლასებში, როდესაც ქცევის ნორმები ყალიბდება.

დისკუსიის წესების სწავლა და ამ მეთოდის ხშირი გამოყენება ხელს უწყობს მთელი რიგი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას, როგორებიცაა:

- სხვისი აქტიური მოსმენა;
- საკუთარი აზრის ჩამოყალიბება და მისი არგუმენტაცია;
- მსჯელობა, კრიტიკული ანალიზი და სხვისი ნაზრევის შეფასება.

საბოლოოდ კი ყალიბდება სხვისი – განსხვავებული აზრისადმი – პატივისცემისა და შემწყნარებლობის დამოკიდებულება, რაც აუცილებელია დემოკრატიული საზოგადოების მოქალაქისათვის.

იმისათვის, რომ დისკუსია ჩავატაროთ, საჭიროა:

- პრობლემის წარმოდგენა ან კონკრეტული შემთხვევის აღწერა;
- დისკუსიის მოტივაცია;
- დისკუსიის წესების დაცვა;
- მოსწავლეთა ნახალისება, მხარდაჭერა.

### **განიხილავენ დისკუსიის შემდეგ ფორმებს:**

„მრგვალი მაგიდა“ – მოსწავლეთა მცირე ჯგუფი (4 -5 კაცი) ახდენს (აზრების) ურთიერთგაცვლას ერთმანეთთან და კლასთან.

„პანელური დისკუსია“ – რომელსაც უძღვება ჯგუფის მიერ წინასწარ დანიშნული ლიდერი.

„ფორუმი“ – მთელი ჯგუფი ახდენს აზრთა და იდეათა ურთიერთგაცვლას თანაბარ საწყისებზე.

„დებატები“ – აგებული მონაწილეთა წინასწარ დაგეგმილ გამოსვლებზე. წარმომადგენლები არჩეულნი უნდა იყვნენ ჯგუფიდან. კამათის დროს ჯგუფის თითო წარმომადგენელი რიგრიგობით მონაწილეობს.

დისკუსიის შემდეგ მასწავლებელი კიდევ ერთხელ შეაჯერებს და მოსწავლეთან ერთად გაიმეორებს მიღებულ დასკვნებს. საუკეთესო შემთხვევაში, დასკვნები თავად მონაწილეებმა უნდა ჩამოაყალიბონ.

სასურველია, განსჯიას დაისვას ასეთი ტიპის შეკითხვები: „რა მოხდა?“, „რატომ მოხდა ასე?“, „შესაძლებელი იყო თუ არა, მოვლენები სხვაგვარად განვითარებულიყო?“, „როგორ?“, „თქვენ რას მოიმოქმედებდით მსგავს სიტუაციაში?“, „თქვენი აზრით, რა იგრძნო პერსონაჟმა?“, „თქვენ რა იგრძენით მოცემულ სიტუაციაში?“, „სწორი იყო თუ არა ეს?“, „რატომ?“.

### **„აკვარიუმი“**

ამ მეთოდის მიზანია დისკუსიის უნარ-ჩვევის განვითარება. მისი გამოყენება შესაძლებელია განსხვავებულ ვარიანტებში.

### **„აკვარიუმის“ ჩატარების პირველი ვარიანტი:**

დისკუსიის წარმართვის წესები (მაგალითად, რეგლამენტის დაცვა, მომხსენებლის მოსმენა და სხვა) განისაზღვრება თავად მოსწავლეების მიერ. მოსწავლეები იყოფიან 2 ჯგუფად. ერთი ჯგუფი ჯდება სკამებზე წრის შიგნით და იწყებს მასწავლებლის მიერ მოწოდებული თემის განხილვას. მეორე ჯგუფი ჯდება სკამებზე წრის გარეთ და თვალს ადევნებს დისკუსიას, რომელიც წინასწარ განსაზღვრული წესებით მიმდინარეობს.

პირველი ჯგუფი აწარმოებს დისკუსიას განსაზღვრულ თემაზე და 15-20 წუთის შემდეგ დებატები ჩერდება. წრის გარეთ მსხდომნი აფასებენ მიმდინარე განხილვას. ამის შემდეგ, ჯგუფები ცვლიან ადგილებს და იწყებენ ახალი თემის განხილვას.

### „აკვარიუმის“ ჩატარების მეორე ვარიანტი:

ჯგუფი, რომელიც ზის „წრის შიგნით“, იწყებს მასწავლებლის მიერ შეთავაზებული თემის განხილვას. პირველი ვარიანტისაგან განსხვავებით, მონაწილეები დაასახელებენ არგუმენტებს პრობლემის სასარგებლოდ.

სხვა ჯგუფის წევრები სხდებიან სკამებზე წრის გარშემო. ისინი ისმენენ და ინერენ გამოსვლის მოტივებს, ანალიზებენ, საკუთარ კონტრარგუმენტებს ამზადებენ. 15-20 წუთის შემდეგ დისკუსია ჩერდება. ჯგუფები ადგილებს ცვლიან. ისინი იწყებენ გამოსვლებს იმ მიზნით, რომ საკუთარი სიმართლე დაამტკიცონ და ერთმანეთის მოსაზრებები გააბათილონ.

ამ შემთხვევაში, არ არის მნიშვნელოვანი, რომ ჯგუფები საერთო აზრამდე მივიდნენ.

### პროექტები

პროექტი – ეს არის მოსწავლეთა მიერ წინასწარ დაგეგმილი და დამოუკიდებლად წარმოებული პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული სამუშაო. რომელიც მათ შეუძლიათ წარმოადგინონ გამოკვლევის, მოხსენების ან ლექსის, ნახატის, შექმნილი პროდუქტის (საგნის) სახით და ა. შ.

პროექტის თემას მასწავლებელი ირჩევს და მოსწავლეებს განსახორციელებლად სთავაზობს. მოსწავლეები გეგმავენ თავიანთ მოქმედებებს და პროექტის შესრულების ხანგრძლივობას, რაც არჩეული თემიდან გამომდინარე, შეიძლება იყოს ერთი გაკვეთილი, რამდენიმე კვირა ან თვე.

პროექტების მეთოდით მუშაობა მოსწავლეს ეხმარება:

- დაამყაროს უშუალო კავშირი გარე სამყაროს ფაქტებთან და მოვლენებთან;
- დაგეგმოს საკუთარი მოქმედებები და დრო;
- აკონტროლოს საკუთარი სწავლა;
- დაამყაროს კონტაქტი (პროექტის ფარგლებში) სხვადასხვა ადამიანთან;
- მიიღოს საკუთარი კვლევის შედეგების სხვისთვის გაცნობის პრაქტიკა, გამოცდილება.

პროექტზე მუშაობას შეუძლია, სწრაფად განავითაროს არაერთი უნარი, როგორებიცაა: ინტერვიუ და ვიზიტები, სტატისტიკური მონაცემების შეგროვება, სხვადასხვა ტექნიკასთან მუშაობა (ფოტო და ვიდეო აპარატურა).

საუკეთესო პროექტი აკადემიურ, სოციალურ და შემოქმედებით უნარ-ჩვევებს აერთიანებს. პროექტზე მუშაობა – ესაა ეფექტური გზა თეორიული ცოდნიდან პრაქტიკამდე.

როგორც აღვნიშნეთ, პროექტის შედეგი შეიძლება იყოს ფილმი, გამოფენა, ანგარიში ან მოხსენება და ა. შ. კარგი იქნება, თუ აღინიშნება პროექტის შესრულების სხვადასხვა ეტაპი და აღინერება მოსწავლეთა განცდები პროექტის შესრულების დროს.

### „გადაწყვეტილების ხე“

მეთოდი მოსწავლეებს უვითარებს გადაწყვეტილების მიღების უნარს. მასწავლებელი დაწვრილებით განმარტავს განსახილველ პრობლემას და მოსწავლეებთან ერთად განსაზღვრავს მისი გადაწყვეტის რამდენიმე შესაძლო გზას. 4-6 ადამიანისაგან შემდგარ ჯგუფში, მოსწავლეები პრობლემის გადაჭრის თითოეული გზის უპირატესობებსა და ნაკლოვანებებს აანალიზებენ. ავსებენ ცხრილს. მას შემდეგ, რაც ყველა ჯგუფი წარმოადგენს საკუთარ ნამუშევარს, გრძელდება მსჯელობა შედეგების განზოგადებისათვის.

პრობლემა			
პრობლემის გადაჭრის მიმართულების დადებითი და უარყოფითი ფაქტორები	პრობლემის გადაჭრის მიმართულებები		
	გადაწყვეტილების 1-მიმართულება	გადაწყვეტილების 2- მიმართულება	გადაწყვეტილები ს 3- მიმართულება
+			
გადაწყვეტილება:			

### პრობლემური სიტუაციის განხილვა

მეთოდი ავითარებს კრიტიკულ აზროვნებას, მიღებული ინფორმაციის ანალიზისა და შეფასების უნარ-ჩვევას. მასწავლებელი ამზადებს რამდენიმე სიტუაციას. ტექსტში არსებული პრობლემა წინასწარ განსაზღვრულია. ტექსტთან ერთად მასწავლებელი ამზადებს შეკითხვებს, რომელთა მიხედვითაც წარმართება მსჯელობა ჯგუფებში. იქმნება მოსწავლეთა 4-5 კაციანი ჯგუფები. ყოველი ჯგუფი მსჯელობს ერთ-ერთ შემოთავაზებულ სიტუაციაზე და ცდილობს მოცემული პრობლემის გადაჭრის მიმართულების პოვნას. სამუშაოს დასრულების შემდეგ განხილვა ჯგუფებში მიმდინარეობს.



## ლექცია

ლექცია არის მოსწავლეებისათვის ინფორმაციის გადაცემის ყველაზე გავრცელებული მეთოდი. ლექცია გამოიყენება თემის შინაარსის გამდიდრებისა და შევსებისათვის. ლექციების ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 10-15 წუთს.

ლექციის ეფექტურობისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს თვალსაჩინოებებს (პლაკატები, სურათები, ფოტოები, სლაიდ-შოუ და ასე შემდეგ). ლექციის დროს სასურველია მასწავლებელმა მოსწავლეებს დაუსვას კითხვები და დააკვირდეს მათ ჟესტებს, რადგან რთული გასარკვევია, ლექციის მსვლელობის დროს მოსწავლე ჩართულია თუ არა სასწავლო პროცესში.

## ჯგუფური მუშაობა

მოსწავლეზე ორიენტირებულმა განათლებამ ძლიერი ბიძგი მისცა თანამშრომლობითი პედაგოგიკის განვითარებს და ის დღეს ფართოდ არის გავრცელებული მთელ მსოფლიოში. სასწავლო პროცესის ორგანიზაციის ფორმებს შორის აღსანიშნავია წყვილებში და ჯგუფებში მუშაობა. ტრადიციული გაკვეთილის დროს, როცა ფრონტალური გამოკითხვა ჭარბობს, ძირითადად, ძლიერი მოსწავლეები აქტიურობენ. ისინი ახალ მასალას ადვილად იგებენ, სწრაფად ითვისებენ და მასწავლებელიც მათ ეყრდნობა. სუსტი მოსწავლე კი ჩრდილშია და ჩამორჩენა გარანტირებული აქვს – ვინაიდან დრო არ ჰყოფნის, რომ ყველაფერი ნათლად წარმოიდგინოს და ვერც იმას ბედავს, რომ კითხვებით მიმართოს მასწავლებელს; თუ შეეკითხებიან, სწრაფად ვერ პასუხობს ან არასწორად პასუხობს და... მოკლედ, გაკვეთილის მსვლელობას აფერხებს.

ახლა განვიხილოთ მეორე ვარიანტი, როცა მოსწავლეს ინდივიდუალურ დავალებებს ვაძლევთ და ის თავისთვის მეცადინეობს. ხშირად ის თავისი წარმატებებითა და წარუმატებლობებით საკუთარ ნაჭუჭში რჩება. მას ნაკლებად ანაღვლებს, თუ როგორ აქვს საქმე მის ამხანაგს და ძირითადად საკუთარი პრობლემებით არის დაკავებული.

თანამშრომლობითი პედაგოგიკა გვთავაზობს სხვანაირად სწავლას, როცა მოსწავლის გვერდით ამხანაგები არიან, რომელთაც უნდა დაეხმაროს, ან დაეკითხოს, გაარკვიოს ის, რაც გაუგებარია; მოსწავლეებს შეუძლიათ, ერთობლივად იმსჯელონ და დასკვნები გამოიტანონ. როცა შენზეა დამოკიდებული ჯგუფის წარმატება, შეუძლებელია არ გააცნობიერო პასუხისმგებლობა საკუთარი თავისა და ჯგუფის წინაშე, არ ისწავლო, არ იმუშაო, იზარმაცო და ა.შ...

პრაქტიკამ აჩვენა, რომ ერთობლივად სწავლა არამარტო უფრო იოლი და საინტერესოა, მნიშვნელოვნად ეფექტიანიცაა. აღსანიშნავია, რომ ეს ეფექტიანობა ეხება როგორც აკადემიურ წარმატებებსა და ინტელექტუალურ განვითარებას, ისე – ზნეობრივ ზრდას.

ზემოჩამოთვლილ საბაზისო უნარ-ჩვევათა ნუსხაში, როგორც ვნახეთ, ცალკე პუნქტად არის გამოყოფილი ჯგუფური მუშაობის უნარი. თანამშრომლობითი სწავლება თავისი მიზნის მისაღწევად ხშირად იყენებს კლასში ჯგუფური მუშაობის (მეცადინეობის) მეთოდს. ახალი პედაგოგიური ტექნოლოგიების განხორციელებაც, ხშირ შემთხვევაში, ჯგუფური მუშაობის მეთოდთან არის დაკავშირებული.

ჯგუფურ მეცადინეობას სკოლაში ჩვენ განვიხილავთ, როგორც კოლექტიურ ინტელექტუალურ მუშაობას, რაც ბავშვის გონების განვითარების საუკეთესო პირობებს ქმნის.

ურთიერთობათა თვალსაზრისით, ჯგუფური მეცადინეობის დანიშნულება ის კი არაა, რომ ჯგუფი ემორჩილებოდეს მასწავლებელს; არამედ ის, რომ ჯგუფის თითოეული მოსწავლე თავს კომფორტულად გრძნობდეს, მაქსიმალურ შედეგებს აღწევდეს და ამხანაგებთან და მასწავლებლებთან თანამშრომლობდეს. ასეთ პირობებში, ჯგუფური მუშაობა შემდეგ ზემოქმედებას ახდენს პიროვნების განვითარებაზე:

- ჯგუფი ქმნის ინტელექტუალური დაძაბულობის ველს;
- ჯგუფი ქმნის ემოციური დამუხტვის ველს;
- ჯგუფი აძლევს ადამიანს ქცევის გამოცდილებას;
- ჯგუფში მოსწავლე ეჩვევა ამხანაგებთან თანამშრომლობას;
- ჯგუფი ხელს უწყობს მოსწავლეს დამოუკიდებლად მუშაობის უნარის განვითარებას;
- ჯგუფი უვითარებს მოსწავლეს პასუხისმგებლობის გრძნობას და ა.შ.

პედაგოგის მიერ ორგანიზებულ ჯგუფურ მეცადინეობას აზრი მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს, როცა ასეთი მეცადინეობა ხელს უწყობს მოსწავლეთა პიროვნულ განვითარებას. ჯგუფი საუკეთესო საშუალებას იძლევა ისეთი შემოქმედებითი გარემოს შესაქმნელად, რომელიც ჯგუფის წევრების განვითარებას უზრუნველყოფს.

**გაკვეთილზე ჯგუფური მუშაობის ორგანიზების ძირითადი თავისებურებებია:**

1) კონკრეტული სასწავლო ამოცანების გადასაწყვეტად კლასი იყოფა 3-6 ბავშვიან ჯგუფებად;



2) თითოეულ ჯგუფს ეძლევა კონკრეტული დავალება (დავალება ყველა ჯგუფისათვის შეიძლება იყოს ერთი ან სხვადასხვა), რომელსაც ასრულებს ჯგუფი ერთობლივად, ლიდერის ან მასწავლებლის ხელმძღვანელობით;

3) ჯგუფში დავალება მოსწავლეებზე იმგვარად ნაწილდება და სრულდება, რომ შესაძლებელია ჯგუფის თითოეული წევრის ინდივიდუალური წვლილის გამოყოფა და შეფასება;

4) თავიდან ჯგუფების შემადგენლობა ცვალებადია, ჯგუფები იმის გათვალისწინებით კომპლექტდება, რომ მაქსიმალურად შეეწყოს ხელი თითოეული მოსწავლის შესაძლებლობების რეალიზაციას და პიროვნული ხასიათების უმტკივნეულოდ შეთავსებას;

5) ჯგუფი ყალიბდება იმ პრინციპით, რომ გაერთიანდნენ სხვადასხვა სიძლიერისა და ცოდნის დონის, განსხვავებული ხასიათების მოსწავლეები, რაც მათ ურთიერთშეგებისა და გამდიდრების საშუალებას აძლევს;

6) ჯგუფი უნდა მუშაობდეს შეთანხმებულად, უკონფლიქტოდ, არც ერთი ბავშვი არ უნდა ითრგუნებოდეს;

7) სამუშაო უნდა შესრულეს მასწავლებლის მიერ წინასწარ განსაზღვრულ დროში;

8) ჯგუფი მუშაობს ერთ მაგიდასთან;

9) გუნდებად ჩამოყალიბებული ჯგუფები შეიძლება უცვლელად დავტოვოთ გარკვეული დროის განმავლობაში (ერთი ან ორი თვე, სასწავლო სემესტრი).

ჯგუფური მუშაობისას უნდა წავაქეზოთ სამუშაოს მსვლელობისა და შედეგების ერთობლივი განხილვა, რჩევისთვის ერთმანეთისადმი მიმართვა და ურთიერთ დახმარება. ამ დროს მნიშვნელოვნად იზრდება ყველა საჭირო შემთხვევაში მოსწავლეების მხრიდან ამხანაგების დახმარება. აღსანიშნავია, რომ ამ დროს დამხმარე მოსწავლე სუსტთან შედარებით არანაკლებ სარგებლობას იღებს, ვინაიდან მისი ცოდნა კონკრეტდება, აქტიურდება, მტკიცდება თანაკლასელისათვის ახსნის პროცესში.

ჯგუფური მუშაობის დროს მასწავლებელი სხადასხვა ფუნქციას ასრულებს: ამონმებს სამუშაოს მსვლელობას, რეაგირებს კითხვებზე, არეგულირებს კამათისა და მუშაობის თანმიმდევრობას, აუცილებლობის შემთხვევაში, ცალკეულ მოსწავლეს ან მთლიანად ჯგუფს ეხმარება; ამასთანავე, მაქსიმალურად უწყობს ხელს შედეგების განხილვასა და ურთიერთ კონსულტაციებს.

მასწავლებელი უნდა აკონტროლებდეს მთელი კლასის მუშაობას, მაგრამ არ უნდა იქმნებოდეს შთაბეჭდილება, რომ ის რომელიმე ჯგუფს თავზე ადგას. მასწავლებელი არ უნდა ჩაერიოს ჯგუფის მუშაობაში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მოსწავლეები ითხოვენ რაიმეს განმარტებას.

სამუშაოს დამთავრების შემდეგ ჯგუფები წარმოადგენენ თავიანთ ნამუშევრებს (ჯგუფის რომელიმე წევრი წერით შესრულებულ დავალებას კითხულობს ან კომენტარისათვის იყენებს). მასწავლებელს შეუძლია, თვითონ შეარჩიოს პრეზენტატორი ან ჯგუფს მისცეს ამის უფლება. პრეზენტაციის დროს კამათი დაუშვებელია: არ შეიძლება, აზრი გავანწყვეტინოთ მოპასუხეს. შეკითხვების დასმა დასაშვებია მხოლოდ პრეზენტაციის შემდეგ (პრეზენტაციის შესახებ უფრო დანვრილებით ქვემოთ ვისაუბრებთ).

ჯგუფური მეცადინეობის წარმატებით ჩასატარებლად პედაგოგი კლასს კარგად უნდა იცნობდეს (იგულისხმება არამარტო მოსწავლეთა ცოდნის დონე, არამედ, მათი ხასიათისა და ურთიერთობების თავისებურებანი). ჯგუფურ მეცადინეობას წინასწარ მომზადება და დაგეგმვა სჭირდება. მართალია, ამგვარი მუშაობა მასწავლებლისაგან დამატებითი დროის ხარჯვას მოითხოვს, მაგრამ, სამაგიეროდ, პედაგოგიური ეფექტი საკმაოდ მაღალია.

ჯგუფური მუშაობის ტექნოლოგიური პროცესი შემდეგი ელემენტები-საგან შედგება (სანიმუშოდ გთავაზობთ გ.სელევკოს მიერ შემოთავაზებულ ვარიანტს):

### **I. დავალების მომზადება და გადაცემა: (4-5 წთ.)**

- სასწავლო ამოცანის დასმა (ან პრობლემური სიტუაციის შექმნა);
- სამუშაოს თანმიმდევრობის განმარტება (ინსტრუქტაჟი);
- დიდაქტიკური მასალის დაგროვება ჯგუფებში.

### **II. ჯგუფური სამუშაო: (24-30 წთ.)**

- მასალის გაცნობა, ჯგუფური სამუშაოს დაგეგმვა;
- დავალებების განაწილება ჯგუფის წევრებზე;
- დავალების ინდივიდუალურად შესრულება;
- ინდივიდუალური სამუშაოს შედეგების განხილვა;
- შესრულებული მთლიანი დავალების ჯგუფური განხილვა (შენიშვნებით, დაზუსტებებით...).

### III. დასკვნითი ნაწილი: (8-10 წთ)

- ჯგუფების მიერ სამუშაოს შედეგების პრეზენტაცია;
- სასწავლო ამოცანის ანალიზი, რეფლექსია;
- საერთო დასკვნების გამოტანა;
- მასწავლებლის დამატებითი ინფორმაცია (შენიშვნები, სურვილები, შეფასება, საშინაო დავალება და სხვა).

ჯგუფური მუშაობის წარმატებით გამოყენება შეიძლება როგორც ახალი მასალის გადაცემის დროს, ისე შესწავლილი მასალის შემოწმებისას და შეფასებისას. მთავარია, მასწავლებელს არ აერიოს, რომ ჯგუფური მუშაობა მიზანი კი არ არის, არამედ – ქმედითი საშუალებაა გაკვეთილის მიზნის მისაღწევად და დასახული ამოცანის გადასაჭრელად.

ჯგუფური მუშაობის ხერხს წამატებით ვიყენებთ ადამიანთა უფლებების სწავლებისთვის. ქვემოთ სანიმუშოდ მოტანილია ისეთი გაკვეთილის მსვლელობა (კომენტარებით), რომლის დროსაც ყველა მონაწილე (მოსწავლე) მაქსიმალურად არის ჩართული სწავლის პროცესში და სრული პასუხისმგებლობით ეკიდება დავალების შესრულებას.

#### 3.3 მოსწავლეების შეფასება.

სწავლების დროს მასწავლებელი განმსაზღვრელი შეფასების პარალელურად იყენებს განმავითარებელ შეფასებას. მასწავლებელმა უნდა შეაფასოს არა მხოლოდ მოსწავლის მიღწევები, არამედ ისიც, თუ რა გზით აღწევს შედეგს (როგორ სწავლობს, ფიქრობს, იქცევა).

მოსწავლეთა ობიექტური შეფასების მიზნით, მასწავლებელმა შემდეგ კითხვებს უნდა უპასუხოს:

1. რა არის გაკვეთილის მიზანი? რა შედეგის მიღწევა სურს მასწავლებელს?
2. რა აქტივობებით/სტრატეგიებით არის შესაძლებელი მიზნის მიღწევა?
3. როგორ გაიგებს მასწავლებელი, რა ისწავლეს მოსწავლეებმა?

იმისათვის, რომ ვიპოვოთ პასუხები ყველა ამ შეკითხვაზე და პრაქტიკაში მოვახდინოთ შეფასების რეალიზაცია, გამოიყენება შემდეგი სახის შეფასებები და თითოეული მათგანი მიზნად ისახავს დააზუსტოს შესაბამისი შეკითხვები:

1. საწყისი დონის შეფასება (დიაგნოსტიკური შეფასება)

- აქვთ თუ არა მოსწავლეებს საბაზო ცოდნა და უნარ-ჩვევები?
- ფლობენ თუ არა მოსწავლეები, რაიმე ინფორმაციას შინაარსის შესახებ?

2. განმავითარებელი შეფასება

უნდა აღინიშნოს, რომ სახელმძღვანელოში ძირითადად განხილული იქნება დიაგნოსტიკური და განმავითარებელი შეფასება. დიაგნოსტიკური შეფასება განსაზღვრავს მოსწავლეების საწყის ცოდნას და მასწავლებელს ეხმარება, სწორად დაგეგმოს და განახორციელოს სწავლება.

დიაგნოსტიკური შეფასება განმავითარებელი შეფასების პირველ ეტაპად ითვლება. ეს შესაძლებელია აისახოს თითოეული მოსწავლისათვის შედეგნილ შეფასების ინდივიდუალურ ცხრილში. დიაგნოსტიკური შეფასება საშუალებას იძლევა, განისაზღვროს მოსწავლის მსოფლმხედველობა, ცოდნის დონე, შესაძლებლობები, ქცევის ტიპი და ფსიქოლოგიური მდგომარეობა. შეფასება შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა კრიტერიუმით, იმის მიხედვით, თუ რისი შეფასება გვსურს.

დიაგნოსტიკური შეფასება შემდეგი მეთოდებითა და საშუალებებით ტარდება:

- **ინტერვიუ.** ტარდება ზეპირი სახით, ინდივიდუალურად თითოეულ მოსწავლესთან.
- **თვითშეფასება.** მოსწავლე აფასებს საკუთარ თავს.
- **საუბარი.** შესაძლებელია ჩატარდეს მთელ კლასთან, ან ინდივიდუალურად. ამ შემთხვევაში განისაზღვრება მოსწავლის ცოდნა და ფსიქოლოგიური მდგომარეობა.
- **დაკვირვება.** შესაძლებელია გამოვიყენოთ მეცადინეობის დროს. ამ დროს ვაკვირდებით, როგორ ითვისებს ახალ მასალას, რამდენად ყურადღებიანია; თვალყურს ვადევნებთ მოსმენის უნარს, თანამშრომლობას, აქტიურობას.
- **ამოცანები.** პროგრამული მასალის ათვისების შემოწმება შესაძლებელია წარმართოს დიფერენცირებული ტიპის დავალებებით. უფრო მიზანშეწონილია ღია დაბოლოებიანი ტესტების გამოყენება.
- **თანამშრომლობა მშობლებთან და სხვა საგნების პედაგოგებთან.** შესაძლებელია ჩატარდეს უბრალო ანკეტირებით ან კონკრეტული შეკითხვებით.

დიაგნოსტიკური შეფასების შედეგები აღინიშნება კომენტარებით, ქულებით, პროცენტებით მასწავლებლის ინდივიდუალურ რვეულში და მოსწავლის სამუშაო ფურცელზე.

**განმავითარებელი შეფასება** ხორციელდება ყოველდღიური სწავლების პროცესში – სხვადასხვა თემის, საგნის და განხრის ათვისების შესახებ - ინფორმაციის შეკრების მიზნით. მასწავლებელი აკვირდება მოსწავლეს და ადგენს მის სუსტ და ძლიერ მხარეებს. მასწავლებელმა უნდა განსაზღვროს მოსწავლის შედეგების მიღწევის გაუმჯობესების გზები.

ამ მიზნით გამოიყენება:

1. დაკვირვება;
2. ინტერვიუ;
3. ვერბალური (სიტყვიერი) შეფასება;
4. თვითშეფასება;
5. ქმედების შეფასება;
6. ზეპირი მეტყველება და წერა;
7. წერილობითი ნამუშევრების ანალიზი;
8. ტესტი;
9. გამოკითხვის ბარათები და სხვ.

**შეფასების ეს ხერხები შეიძლება დახასიათდეს შემდეგი სახით:**

### **დაკვირვება**

მოსწავლეებზე დაკვირვება გულისხმობს მათ ქმედებებზე დაკვირვებას ან შესაძლებლობას, მოვისმინოთ მათი საუბარები და სხვადასხვა თემა განვიხილოთ.

შემთხვევით დაკვირვებად ითვლება ისეთი დაკვირვება, რომელიც შემთხვევით გარემოებებში მიმდინარეობს და რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პროგრესისათვის. **სისტემური დაკვირვება** კი ნიშნავს, რომ მოსწავლეზე დაკვირვება ხდება გარკვეულ დროს და კონკრეტული მიზნით.

### **ინტერვიუ**

მოსწავლეების აზრების გამოსავლენად აუცილებელი და სასარგებლოა კითხვების დასმა. მოსწავლეების ქმედებების დადგენის მიზნით, არაფორმალურ სიტუაციაში მასწავლებელს შეუძლია დასვას შემდეგი ტიპის შეკითხვები:

- როგორ მიაღწიეთ ასეთ შედეგებს?
- რა პრობლემები წარმოიშვა და რატომ? და სხვა

## თვითშეფასება

ძალიან მნიშვნელოვანია მოსწავლის ჩართვა შეფასების პროცესში. ამ შემთხვევაში ისინი პასუხისმგებელი არიან საკუთარ ქმედებებზე. იმისათვის, რომ მოსწავლეებმა იმსჯელონ საკუთარ ნამუშევრებზე, მასწავლებელი ბავშვებთან ერთად განსაზღვრავს საჭირო კრიტერიუმებს. შემდეგ მასწავლებელი ურიგებს მოსწავლეებს ფურცლებს, რომლებზეც შეფასების კრიტერიუმებია აღნიშნულია მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, საკუთარი ნაშრომი ამ კრიტერიუმებით შეაფასონ. შეფასების პროცესის ობიექტურობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია შემდეგი პირობების დაცვა:

- მოსწავლეების მიერ მასწავლებლის მიერ გამოყენებული შეფასების კრიტერიუმების გაცნობა;
- მოსწავლეთა თვითშეფასება ან მათ ქცევაზე მასწავლებლის შენიშვნა;
- შეფასების კრიტერიუმების ღიაობა.

თვითშეფასება ნიშნავს, რომ მოსწავლეებმა იცინ შეფასების კრიტერიუმები და საკუთარი შედეგების გაანალიზების შემდეგ, შეუძლიათ თავისი ცოდნის დონის შეფასება.

## სიტყვიერი შეფასება – კომენტარი

მოსწავლეების სტიმულირებისა და შეფასების საუკეთესო საშუალებად ითვლება სიტყვიერ შეფასება – კომენტარები. კომენტარით შეიძლება შეფასდეს არა მხოლოდ ცოდნა, შესაძლებლობა და უნარ-ჩვევები, არამედ მოსწავლეების პიროვნული თვისებები. ეს მეთოდი საშუალებას გვაძლევს, შევაფასოთ როგორც რაოდენობა, ასევე ხარისხიც.

## მოსწავლეთა ჩართვა შეფასების პროცესში

შეფასების პროცესში მოსწავლეთა ჩართვის უზრუნველსაყოფად შესაძლო სამი სტრატეგია განიხილება:

1. სწავლების გარკვეულ ეტაპზე შევაფასოთ მიღწეული შედეგები და საშუალება მივცეთ მოსწავლეებს, კითხვებზე პასუხების გაცემის მეშვეობით გამოთქვან საკუთარი მოსაზრებები.

➤ რა არის ჩემი ყველაზე მნიშვნელოვანი მიღწევა დღევანდელ გაკვეთილზე/სემესტრში/სასწავლო წლის განმავლობაში?

➤ რისი გაკეთება შემიძლია უკეთ?

2. შესაძლებელია, შევთავაზოთ მოსწავლეებს, რომ მათ გამოხატონ საკუთარი მოსაზრებები მასწავლებლის შეფასებასთან დაკავშირებით.

➤ ჩემი ნამუშევრის შესახებ, მასწავლებლის რომელი მოსაზრებაა ჩემთვის სრულიად მისაღები?

➤ მასწავლებლის შეფასების რომელი ნაწილია ჩემთვის გაუგებარი?

➤ შემომთავაზა თუ არა მასწავლებელმა ის საკითხი, რომლის უკეთ შესწავლა გააუმჯობესებს ჩემს შედეგებს?

➤ რისი გაუმჯობესება უნდა შევძლო მომავალში?

➤ არის თუ არა რაიმე საკითხი, რომელიც მასწავლებელთან ერთად უნდა განვიხილო?

### მოსწავლეთა შეფასების რუბრიკა

ცხრილების სვეტში (ჰორიზონტალურად) აღინიშნება შეფასების კრიტერიუმები, ხოლო მის ვერტიკალურ სვეტში ჯგუფების ნომრები (ან მოსწავლეების სახელები). შეფასებისას, კრიტერიუმების შესაბამისად, მასწავლებელი ყოველი ჯგუფის (ან მოსწავლის) წინ სვამს პლიუს ან მინუს ნიშანს. მაგალითად, „მოლაპარაკებების“ თემის განხილვისას მასწავლებელი იმედოვნებს, რომ მიღწეული იქნება სტანდარტის შედეგები:

### სტანდარტი

1.2.1 მოლაპარაკებების უნარის დემონსტრირება.

1.2.2. საკუთარი მეტყველების დამაჯერებლობის დემონსტრირება.

### შედეგი მიღწეულია, თუ მოსწავლეს შეუძლია:

1. მოლაპარაკების გზების განსაზღვრა;

2. მხარეებს შორის თანხმობის მიღწევის გზების განსაზღვრა.



შეფასებისთვის, ამ მეცადინეობაში შეიძლება გამოვიყენოთ კრიტერიუმების შემდეგი ცხრილი:

კრიტერიუმები სახელი, გვარი	განმარტავს მოლაპარაკების მნიშვნელობას	განსაზღვრავს მოლაპარაკების გზებს	კომენტარი
1			
2			
3			
4			

კრიტერიუმების ცხრილზე მუშაობისას, მასწავლებელი მოსწავლეების მუშაობის შესაბამისად, დასაწყისიდან დასრულებამდე, ყოველი კრიტერიუმის წინ წერს პლუს ან მინუს ნიშანს. ბოლო სტრიქონში ხდება ყოველი პლუს და მინუს ნიშნის განზოგადება.

ჯგუფური შეფასება მოსწავლეთა მიერ

ჯგუფის ყოველ წევრს ურიგდება ფურცელი, რომელზეც დაწერილია ბავშვების სახელები და შეფასების კრიტერიუმები. მოსწავლეები აფასებენ საკუთარ თავს და მეგობრებს პლუს და მინუს ნიშნებით.

№	სახელი, გვარი	კრიტერიუმები			კომენტარი
		მონაწილეობა განხილვაში	ერთმანეთის მოსმენა	გაუმჯობესების გზები	
1	მოსწავლის სახელი				
2	მეგობრის სახელი				
3	მეგობრის სახელი				
4	მეგობრის სახელი				
5	მეგობრის სახელი				



თვითშეფასება ჯგუფური განხილვების დროს

მეცადინეობის მსვლელობისას, მასწავლებელი მოსწავლეებს უთმობს დროს საკუთარი ნამუშევრების შესაფასებლად ჯგუფებში.

კრიტერიუმები	ყოველთვის	ჩვეულებრივ	ხანდახან	ზოგჯერ
დისკუსიის დაწყებამდე დავაზუსტეთ დავალება				
ვმონაწილეობდით დავალების შესრულებაში				
საკითხის განხილვაში ყველა მონაწილეობს				
პასუხის გაცემამდე ვუსმენთ თანამოსაუბრეს				
რაიმე შედეგის მიღწევამდე გამოვთქვამთ მოსაზრებებს				
დისკუსიის დასრულებისას ვლებულობთ საერთო გადანყვეტილებას				
ერთ-ერთი ჩვენგანი იწერს ყველა გამოთქმულ მოსაზრებას				

ჯგუფში საკუთარი ნაშრომების თვითშეფასების შემდეგ, მოსწავლეებს შეუძლიათ, მასწავლებელთან ერთად განიხილონ ჯგუფში მუშაობის გაუმჯობესების გზები.

## 4. გაკვეთილის დაგეგმვა

### 4.1 გაკვეთილის ეტაპები

გაკვეთილის ეფექტიანი ჩატარებისთვის დაგეგმვის პროცესს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. გაკვეთილის გეგმის შედგენის დროს ყურადღება გაამახვილეთ შემდეგ საკითხებზე:

- გაკვეთილის თემა;
- გაკვეთილის მიზანი, რომელიც მომზადებულ სტანდარტს უნდა შეესაბამებოდეს;
- საგანმანათლებლო რესურსები (წიგნები, პლაკატები, ინტერნეტ-რესურსები და სხვა);

- რომელი აქტივობებით აპირებთ მიზნის მიღწევას; აქტივობების შერჩევისას მოიფიქრეთ კითხვები, რომლებიც მოსწავლეს საშუალებას მისცემს, შეადაროს ფაქტები, განიხილოს, გამოიტანოს დასკვნა და ა.შ.;
- მოსწავლეთა ორგანიზების ფორმები (ინდივიდუალური და კოოპერაციული მუშაობა);
- როგორ შეაფასებთ მოსწავლეს? როგორ მიხვდებით, რომ გაკვეთილზე დასახულ მიზანს მიაღწიეთ? შეფასების რომელ ფორმებს გამოიყენებთ?

წარმატებული გაკვეთილის დაგეგმვისა და ჩატარებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, ზუსტად განისაზღვროს გაკვეთილის ტიპი, კერძოდ, როგორ განიხილება თემა – კერძოდან ზოგადისაკენ (ინდუქციური), თუ პირიქით - ზოგადიდან კერძოსაკენ (დედუქციური). დაგეგმეთ გაკვეთილის თითოეული ეტაპი, შეარჩიეთ აქტივობები და შექმენით გაკვეთილის შინაარსისა და შერჩეული აქტივობების ერთიანი ლოგიკური ჯაჭვი.

გაკვეთილის დაგეგმვისას დასვით კითხვები:

- რა პროლემაა ყველაზე მთავარი ტექსტში?
- რა საკითხებია განხილული?
- ხომ არ არის საჭირო დამატებითი ინფორმაციის მოპოვება?
- რა საგანმანათლებლო რესურსებია საჭირო?
- როგორ უნდა მოამზადოთ სამუშაო ფურცლები?
- რა კითხვებს დაუსვამთ მოსწავლეებს?
- იფიქრეთ შესაძლო პასუხებზე.

### **I ეტაპი: მოტივაცია, პრობლემის დასმა**

მოსწავლის მოტივირებას დიდი მნიშვნელობა აქვს. სასურველია, თუ ყოველ გაკვეთილს სამოტივაციო აქტივობით დაიწყებთ. სამოტივაციო აქტივობას კი ადვილად განსაზღვრავთ, თუ კარგად გაიაზრებთ გაკვეთილის თემაში არსებულ ყველაზე მთავარ პრობლემას. პრობლემა ყოველთვის წარმოშობს მრავალრიცხოვან ვარაუდს. თუ ვარაუდების გამოთქმის პროცესში მოსწავლეებს ჩავრთავთ, მათი მოტივაცია გაიზრდება და საკითხს უკეთ შეისწავლიან.

გაკვეთილის ამ ეტაპზე მოსწავლეები იწყებენ მსჯელობას და საკითხის განხილვას, გამოთქვამენ საკუთარ მოსაზრებებს. ისინი აქტიურად იყენებენ გამონათქვამებს: „ვვარაუდობ“, „მე ასე მგონია“, „მიმაჩნია, რომ“.

გთავაზობთ მოსწავლეთა მოტივირების ეფექტურ რეკომენდაციებს:

1. მოტივაციისათვის არჩეული მასალა უჩვეულო და საინტერესო უნდა იყოს;
2. მოსწავლეებს საშუალება უნდა ჰქონდეთ, თამამად გამოთქვან ვარაუდები და შეამონმონ მათი სისწორე;
3. სასწავლო გარემო ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლეთა შემოქმედებითობას;
4. მასწავლებელმა უნდა შეასრულოს გეზის მიმცემის როლი, დასვას კითხვები, რომლებიც მოსწავლეს ფიქრისა და აზროვნებისთვის განაწყობს.

## II ეტაპი: თემის შესწავლა

გაკვეთილის მიზნის მისაღწევად, მასწავლებელი ირჩევს სასწავლო აქტივობებს, რომლებიც მოსწავლეებს დაეხმარება, იპოვონ პასუხი დასმულ კითხვებზე. თემის შესწავლა შეიძლება განხორციელდეს ინდივიდუალურად, წყვილებსა და ჯგუფებში. თუ მოსწავლეები მუშაობას ჯგუფებში გააგრძელებენ, შეიძლება შეასრულონ სხვადასხვა დავალება. მას შემდეგ რაც მოსწავლეები პრობლემას გადაჭრიან, დასმულ კითხვებზე პასუხს გასცემენ, ისინი პრეზენტაციისთვის ემზადებიან.

მოსწავლეებმა შეიძლება წარმოადგინონ:

- თხზულება, ესსე;
- სქემები, ცხრილები, გრაფიკები;
- ილუსტრაციები;
- მაკეტები, მოდელები;
- პროექტები;
- ინსცენირებები;
- სიმღერები, მუსიკა;
- კროსვორდები და სხვა.

## III ეტაპი: პრეზენტაცია

კვლევისათვის განკუთვნილი დროის გავლის შემდეგ, მასწავლებელი ამცნობს ბავშვებს, რომ დრო ამოიწურა. ამის შემდეგ, მოსწავლეები წარმოადგენენ და თანაკლასელებს უზიარებენ თავის ნამუშევარს. თუ

მოსწავლეებმა პრეზენტაციის დროს შექმნეს პოსტერი, სქემატური ან გრაფიკული ნამუშევარი, ისინი ნამუშევრებს საკლასო ოთახში გამოაკრავენ, რათა ყველას შეეძლოს მათი გაცნობა.

#### **IV ეტაპი: პრეზენტაციების/მოსწავლეთა ნამუშევრების განხილვა**

ამ ეტაპის მიზანია ჯგუფების პრეზენტაციებსა და/ან მოსწავლეთა მასალებს შორის კავშირის გამოვლენა. მასწავლებელი განხილვის პროცესს ატარებს დამხმარე კითხვების გამოყენებით; წარმოდგენილი მოსაზრებები მიზანმიმართულად განიხილება. განხილვისას შესაძლებელია მასწავლებელმა დებატებიც მოაწიოს.

#### **V ეტაპი: შეჯამება**

პრეზენტაციის დასრულების შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად აჯამებს დავალებას, მოსწავლეები არკვევენ მათ მიერ გამოთქმული ვარაუდები გამართლდა თუ არა.

#### **VI ეტაპი: შეფასება**

შეფასება უნდა მიმდინარეობდეს კონკრეტული კრიტერიუმების მიხედვით. ეს კრიტერიუმები მოსწავლეებს წინასწარ უნდა გავაცნოთ.

სასწავლო აქტივობები მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში. მრავალი სასწავლო აქტივობა არსებობს და მასწავლებელი გაკვეთილის მიზნებიდან გამომდინარე ირჩევს შესაბამის მათგანს. წარმოგიდგინოთ ზოგიერთ აქტივობას, რომელიც შესაძლებელია გამოყენებულ იქნას გაკვეთილის სხვადასხვა ეტაპზე. სასიცოცხლო უნარების სწავლების საფეხურებია:

1. სპეციფიკური უნარის შერჩევა სტანდარტიდან;
2. შერჩეული უნარის დაუფლება და განვითარება;
3. უნარის ტრანსფერი და გენერალიზება.

#### **1. სპეციფიკური უნარის შერჩევა სტანდარტიდან**

მასწავლებელმა უნდა მოიძიოს ინფორმაცია შერჩეული უნარის შესახებ; მოიძიოს ინფორმაცია, რომელიც ასახავს ამ უნარის დადებით და უარყოფით ზემოქმედებას; წახალისოს მოსწავლეები, დაგეგმონ უნარის დემონსტრირება; მოახდინოს მცდარი ინტერპრეტაციების კორექცია.

## 2. შერჩეული უნარის დაუფლება და განვითარება

მოსწავლეები ახდენენ უნარის დემონსტრირებას, ხვეწენ უნარს, აფასებენ მას. სასურველია მასწავლებლის პოზიტიური გამოხმაურება.

## 3. უნარის ტრანსფერი და გენერალიზება

სასიცოცხლო უნარების შესწავლისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოსწავლეთა მონაწილეობით სწავლებასა და მათ ჩართვას გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

მონაწილეობითი სწავლება	
მონაწილეობითი სწავლება არის	მონაწილეობითი სწავლება გამოიყენება, როცა საგაკვეთილო პროცესში ხდება
<ul style="list-style-type: none"> <li>• მოსწავლეზე ორიენტირებული;</li> <li>• სოციალური;</li> <li>• ინკლუზიური;</li> <li>• აქტიური;</li> <li>• სახალისო;</li> <li>• მიმზიდველი;</li> <li>• იწვევს მოსწავლეთა მოტივაციას</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• მოდელირება;</li> <li>• დაკვირვება;</li> <li>• ვარჯიში;</li> <li>• გააზრება;</li> <li>• დისკუსია;</li> <li>• თანამშრომლობა.</li> </ul>

## 5. გაკვეთილების გეგმა

**თემა 1: როგორ დავამყაროთ ეფექტური კომუნიკაცია? (2 საათი)**

**გაკვეთილის თემა — კომუნიკაცია**

**სტანდარტი: 1.1.1 ეფექტური კომუნიკაცია**

**მიზანი:**

- ეფექტური კომუნიკაციის გზების განსაზღვრა;
- კომუნიკაციის დამაბრკოლებელი ფაქტორების განსაზღვრა;
- კომუნიკაცია, საკუთარი თავის წარდგენის უნარ-ჩვევა.

**მეთოდები:**

- სიტუაციური ამოცანა
- განხილვა
- როლური თამაში

### რესურსები:

სამუშაო ფურცლები, „ფლიფჩარტის“ ქალაქი, მარკერები, ტექსტი როლური თამაშისათვის

### გაკვეთილის მსვლელობა:

1. მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს გაკვეთილის მიზნებს
2. სიტუაციური ამოცანა

### მასწავლებლის ინსტრუქცია:

1. მასწავლებელი ხუთ მოსწავლეს ირჩევს.
2. ოთხი მოსწავლე ცოტა ხნით უნდა გავიდეს საკლასო ოთახიდან.
3. ერთ მოსწავლეს მასწავლებელი უჩვენებს მცირე სიტუაციას შესტებით.
4. გარეთ გასული მოსწავლეები სათითაოდ შემოდიან საკლასო ოთახში.
5. მოსწავლემ უნდა უჩვენოს შემოსულ მოსწავლეს სიტუაცია შესტების დახმარებით, ის თავის მხრივ უჩვენებს შემდეგს და ასე შემდეგ.

სხვა მოსწავლეები თამაშს აკვირდებიან.

როდესაც მასწავლებელი მოსწავლეებთან დაასრულებს დავალების შინაარსის გაცნობას, საკლასო ოთახიდან ოთხი მოსწავლე გადის;

იმის შემდეგ, რაც მასწავლებელი მოსწავლეების საშუალებით უჩვენებს სიტუაციას, მოსწავლეებს სთხოვს, საკლასო ოთახში დაბრუნდნენ.

სიტუაცია, რომელსაც მასწავლებელი უჩვენებს მოსწავლეებს: „დილით – ძალიან ადრე გავიღვიძე, ხელ-პირი დავიბანე და ვისაუზმე“.

მასწავლებელი უსვამს მოსწავლეებს შეკითხვებს.

- ერთნაირი სიტუაცია ნახა პირველმა და ბოლო მოსწავლემ?
- რამდენად განსხვავდება პირველი და უკანასკნელი სიტუაცია?
- შეხვედრიხართ ცხოვრებაში მსგავს სიტუაციებს?
- შესაძლებელია თუ არა, ადამიანებთან კომუნიკაციის გარეშე ვიცხოვროთ?
- რატომ არის რთული ზოგიერთი ადამიანისათვის კომუნიკაციის დამყარება?

- რატომ შეუძლია ზოგიერთ ადამიანს კომუნიკაციის სწრაფად დამყარება?

მასწავლებელი კითხვებზე პასუხებს განაზოგადებს და დაფაზე „ფლიფჩარტის“ ქალაქს აკრავს, რომელზეც წერია კომუნიკაციის განმარტება:

**„კომუნიკაცია – ეს არის ადამიანებს შორის ინფორმაციის გაცვლის, ერთმანეთის აღქმის, გააზრებისა და გაგების პროცესი.“**

**3. ჯგუფური მუშაობა** – რა უნარებს უნდა ფლობდეს ადამიანი ეფექტური კომუნიკაციის დამყარებისთვის.

მასწავლებელი აღნიშნავს, რომ წარმატებულ კომუნიკაციას მთელი რიგი ფაქტორები ეხმარება. იქმნება მოსწავლეთა სამი ჯგუფი. ყოველ ჯგუფს მასწავლებელი ურიგებს სამუშაო ფურცლებს, ფლიფჩარტის ქალაქს და მარკერებს.

#### **დავალება 1.**

მასწავლებელი დაფაზე აკრავს ცხრილს. ცხრილიდან ამოიწერეთ და ქალაქში დაწერეთ ყველაზე საჭირო უნარ-ჩვევა, რომელიც ხელს უწყობს ეფექტური კომუნიკაციის დამყარებას. მასწავლებელი მოსწავლეებს განუსაზღვრავს ამ სამუშაოს შესრულებისთვის საჭირო დროს. მისაღმება, დაინტერესება, კეთილგანწყობილება, სამართლიანობა, მოხერხებულობა და გონებაშეხილობა, მიმიკებით, ყესტებით, მინიშნებით «საუბარი», ზრდილობიანობა და ტაქტიანობა, პატივისცემის გამოხატვა საკუთარი თავისა და გარშემომყოფების მიმართ, ტოლერანტულობა, ნაკლებად მოძრაობა, მხიარულება, უნარ-ჩვევები, საუბარი, მეტყველება.

ჯგუფები წარმოადგენენ საკუთარ ნაშრომს.

**მასწავლებელი პრეზენტაციის დასრულების შემდეგ მოსწავლეებს ეკითხება:**

1. ძნელი იყო ეფექტური კომუნიკაციის დამყარებისთვის საჭირო უნარ-ჩვევების შერჩევა და შეთანხმება?
2. რატომ შეარჩიეთ ეს უნარ-ჩვევები?

#### **დავალება 2. როლური თამაში**

მასწავლებელი 4 მოსწავლეს როლური თამაშის ტექსტს აძლევს და სთხოვს მათ, პატარა სცენა გაითამაშონ მოცემული სცენარის მიხედვით. შესაძლებელია, დაწერილი სცენარი ბავშვებს მეცადინეობის დაწყებამდე



გადაეცეთ. ეს მასწავლებლებს საშუალებას მისცემს, წინასწარ უფრო გულდასმით და პროფესიულად მოამზადონ სცენარი ტექსტისათვის.

ტექსტი როლური თამაშისათვის

### როლური თამაშის ტექსტი:

კლასში ახალი მოსწავლე მოვიდა. სამი თვე გავიდა და მას კლასელებთან ურთიერთობა კვლავ უჭირს, სულ მარტოა. სკოლის შემდეგ სახლში რომ ბრუნდება, მეგობრებთან ერთად ფეხბურთის თამაშზეც კი უარს ამბობს. სულ კომპიუტერთან ზის. პროგრამების შექმნაც კი ისწავლა.

სწორედ ეს ბიჭი სკოლის დერეფანში დგას ჩაფიქრებული. ბავშვები მას ყურადღებას არ აქცევენ, ისინი დერეფანში წყვილ-წყვილად სეირნობენ. ბავშვები ხანდახან ჩაფიქრებულ ბიჭს გაკენწავენ:

- სალამი, „პროფესორო“!
- მომშორდით!
- როგორ მიდის საქმეები „სწავლულო“!
- რა შენი საქმეა?

ამ დროს, ერთი მოსწავლე თანაკლასელს უახლოვდება.

- გამარჯობა!
- სალამი!
- საქმეები როგორ მიდის?
- ისე რა, ცუდ ხასიათზე ვარ. ბავშვები მაღიზიანებენ.
- იქნებ, ერთად გვეცადა სიტუაციის გამოსწორება? შენ იმდენი რამ შეგიძლია. ნეტა, შენსავით ვიცოდე კომპიუტერი...
- როგორ ფიქრობ, სხვებთან საერთო ენის გამონახვას მოვახერხებ?
- რა თქმა უნდა. იცი, რამდენს უნდა, ისწავლოს კომპიუტერზე ვინდოუსის გადაყენება? მაგრამ ვერ გეუბნებიან. მგონი, შეიძლება პრობლემების მოგვარება.
- არც კი მჯერა.
- წარმატების საფუძველი საკუთარი თავის რწმენაა.
- არ ვარ წინააღმდეგი. იქნებ, გვეცადა?
- წავედით, ახლა ფიზკულტურის გაკვეთილი გაქვს. ჩვენ გუნდებად გავიყოფით და ფეხბურთს ვითამაშებთ. შენ ჩვენს გუნდში იქნები.
- მე ხომ არ ვიცი ფეხბურთის თამაში?
- არ იცი და გასწავლით! წავედით!



### როლური თამაშის განხილვა

თამაშის დასრულების შემდეგ, მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს, განიხილონ გათამაშებული სცენა. განხილვა შემდეგი საკითხების გარშემო მიმდინარეობს:

- რა ფაქტორები იყო როლური თამაშისას ნაჩვენები, რომლებიც კომუნიკაციას ხელს უშლიდნენ?
- რის გამო დარჩა მარტო სკოლაში ახლად გადმოსული ბიჭი?
- თქვენი აზრით, რა არის ეფექტური კომუნიკაციის ყველაზე საუკეთესო ხერხი?
- რატომ შედგა კომუნიკაცია თანაკლასელებს შორის?
- ცხოვრებაში მსგავსი სიტუაცია შეგხვედრიათ?
- როგორ გადაგიჭრიათ ეს პრობლემა?
- როგორ ფიქრობთ, შედგება კლასელებს შორის მეგობრული ურთიერთობა?

### დავალბა 3. ჯგუფური მუშაობა

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, ჯგუფებში შეავსონ ცხრილი

კომუნიკაციის ხელშემწყობი ფაქტორები	კომუნიკაციის ხელის შემშლელი ფაქტორები

ჯგუფები ახდენენ ნამუშევრების პრეზენტაციას.

მასწავლებელი დაფაზე წერს ყველაზე ხშირად ნახსენებ მოსაზრებებს.

### მასწავლებლის შეჯამება:

მასწავლებელი აღნიშნავს განხილვის დასრულებისას, რომ საზოგადოებაში ურთიერთობების გარეშე არსებობა შეუძლებელია. კომუნიკაცია ადამიანს დასახული მიზნების მიღწევაში ეხმარება. სიტყვა - ადამიანებს შორის ურთიერთობის დამყარების ყველაზე ეფექტური ხერხია. ამიტომაც მნიშვნელოვანი საუბრის დროს სიტყვის სწორი, დროული და შესაბამისი გამოყენება. ნათქვამი არ უნდა შეიცავდეს სიძულვილის ენის ელემენტებს.

#### **დავლება 4. სიტუაციაზე მუშაობა**

მასწავლებელი მოსწავლეებს 4 ჯგუფად ყოფს. პირველ და მესამე ჯგუფს სიტუაცია I ურიგდებათ, მეორე და მეოთხე ჯგუფებს – სიტუაცია II. ჯგუფებმა შექმნილი სიტუაციიდან გამოსავალი უნდა მოძებნონ.

##### **სიტუაცია I**

თქვენი დაბადების დღე ახლოვდება. კლასში ჩამოყალიბდა ასეთი ტრადიცია, თანაკლასელები მთელ კლასს ინვევენ სტუმრად ოჯახში. მაგრამ:

მშობლებს არ უნდათ თანაკლასელების დაპატიჟება, რადგან მათ მიაჩნიათ, რომ დაბადების დღეზე მხოლოდ ნათესავები უნდა მიიწვიონ. მხოლოდ უფროსი ძმა გიჭერთ მხარს.

ამ სიტუაციაში რისი გაკეთდეს შეიძლება? თქვენ როგორ მოიქცევოდით?

##### **სიტუაცია II**

შენი მეგობრი გაკვეთილებს სისტემატურად აცდენს, გაკვეთილზე ცუდად იქცევა. სასწავლო წელი კი 2 თვეში მთავრდება. მისი მშობლები ძალიან ნერვიულობენ. ის მშობლებს არ უჯერებს. გინდა, მეგობარს დაეხმარო, რაღაც გინდა მოიმოქმედო.

როგორ მოიქცეოდით?

#### **3. ჯგუფები ახდენენ ნამუშევრების პრეზენტაციას**

ჯგუფების პასუხების განხილვა.

##### **მასწავლებლის გამომხაურება**

განხილვის შემდეგ მასწავლებელი ამბობს, რომ ჩვენ საკუთარ შეცდომებს ხშირად სხვა ადამიანებს და გარემოებებს ვაბრალებთ. სინამდვილეში კი არ ვაცნობიერებთ, რომ ჩვენი პრობლემების ძირითადი და ნამდვილი მიზეზი არის ის, რომ არ შეგვიძლია ეფექტური კომუნიკაციის დამყარება.

ურთიერთობებში ხშირად ისეთ შეცდომებს ვუშვებთ, რომლებიც კომუნიკაციაში ხელს გვიშლის. ვიყენებთ ისეთ სიტყვებს, აზრებს და გამოთქმებს, რომლებითაც სხვებს წყენას ვაყენებთ. ასევე, შეურაცხმყოფელ ზედმეტ სახელებს ვხმარობთ და თანამოსაუბრეს ვაკრიტიკებთ.

გარკვეული ღირებულებების და უნარ-ჩვევების განვითარებით, ამ ნაკლოვანებების გადალახვა შესაძლებელია. აუცილებელია ისეთი თვისებები

განვივითაროთ, როგორებიცაა: მოსმენა, თანამოსაუბრის გაგება, საკუთარი გრძნობებისა და იდეების მკაფიოდ გამოხატვა, მორალური ნორმების შესაბამისი ქცევა, ურთიერთობის პროცესში საკუთარი ემოციების გაკონტროლება.

## შეფასება

მოსწავლეების ქმედებაზე დასაკვირვებლად, მასწავლებელი მათთან ერთად ადგენს შეფასების რუბრიკასა და კრიტერიუმებს. გაკვეთილის ბოლოს აფასებს მოსწავლეებს.

სახელი, გვარი კრიტერიუმები	ეფექტური კომუნიკაციის გზების დასახვა	შეუძლია კომუნიკაციის დამაბრკოლებელი ფაქტორების აღმოჩენა	კომუნიკაციის დამყარების უნარის დემონსტრირება
1			
2			
3			
4			

გაკვეთილის მიმდინარეობის პროცესში, მასწავლებელი მოსწავლეების ქმედებას აკვირდება და ცხრილში აკეთებს ნიშანს X

**თემა 2: აქტიური მოსმენა – 2 საათი**

**გაკვეთილის თემა – აქტიური მოსმენა**

**დრო – 2 აკადემიური საათი**

**სტანდარტი: 1.1.2 აქტიური მოსმენის უნარის დემონსტრირება**

**გაკვეთილის მიზანი:**

მოსწავლე გაეცნობა აქტიური მოსმენის არსს და შეძლებს პრობლემის გადაჭრის დროს აქტიური მოსმენის როლის განსაზღვრასა და გამოყენებას.

**მეთოდები:** გონებრივი იერიში, სიტუაციური ამოცანა

**რესურსები:** სამუშაო ფურცლები ტექსტი: „მოსმენის პრაქტიკა“ A-4 ფორმატის ქალაქი.

**პლაკატი** – როდის ვართ აქტიური მსმენელები.

**გაკვეთილის მსვლელობა:**

**1. მოტივაცია**

მასწავლებელი მოსწავლეებს უკითხავს სულხან-საბას იგავს „ოთხი ყრუ“.

**ოთხი ყრუ**

**სულხან-საბა ორბელიანი**

ერთი ყრუ კაცი იყო და ხარი დაკარგა. საძებნელად წავიდა ერთი კაცი შემოეყარა. კითხვა დაუწყო. თურე ის კაცი უფრო ყრუ იყო და ვირი თურე ეპოვნა. მან ხარისა ვერა შეიტყო. ასე უთხრა. ვირი თუ შენია, საპოვნელა მაინც მომეცო! ერთმანერთსა ვერა შეატყობინეს რა.

ერთი ცხენოსანი კაცი მოვიდოდა და ქალი ვინმე გავას უჯდა. მივიდენ მასთან. ამან ამისი ხარისა უთხრა, მან მისი ვირისა. თურე ის უფრო ყრუ იყო; ეგონა: დიაცს მართმევენო. ფიცი თქვა: ცოლი მომიკვდა და ეს მისი მოახლე არისო, სხვისას ნუ ჰგონებთო! ვერც ერთმა ვერა გაიგეს რა.

ყადთან წავიდნენ, ყველამ თავისი საჩივარი თქვეს. ყადი თურე სიბერით დაყრუებულიყო. რამაზანი იყო. ეს მოჩივარნი მთვარის გამოჩენის მოამბენი ეგონა. თქვა: რადგან მთვარე უნახავნ, ნალარას კართო! ვერც ერთმან ვერა გაიგეს რა.

– ანე, ჩვენ, დიდნი და პატარანი, ყველანი დავყრუებულვართ, თვარემ რატომ არ გვესმის, ლამის იგი ყრმა მოკლასო.

**დამხმარე შეკითხვები:**

- რას ფიქრობთ, რა მოხდა?
- რატომ მოხდა?
- რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ გაუგებრობა თავიდან ავიცილოთ?

**გონებრივი იერიში**

რა არის აქტიური მოსმენას? ეფექტური კომუნიკაცია?

მასწავლებელი დაფაზე ხაზავს ცხრილს და შესაბამის გრაფაში წერს მოსწავლეების მიერ გამოთქმულ ვარაუდებს.

აქტიური მოსმენა	ეფექტური კომუნიკაცია

## 2. როლური თამაში - მსმენელები და ორატორები

### დავალება 1

მასწავლებელი მოსწავლეებს წყვილებად ყოფს მოსწავლეები შესაბამის როლს ირჩევენ: ერთი მსმენელია, მეორე ორატორი.

**ორატორი 2** წუთის განმავლობაში **მსმენელ** მენწყვილეს უყვება გუშინ რას აკეთებდა. **მსმენელი** ყურადღებით უსმენს და ერთი წუთის განმავლობაში მან ტექსტის შინაარსი უნდა გაიმეოროს. შემდეგ წყვილები როლებს ცვლიან და დავალებას იმეორებენ.

დავალებისათვის განკუთვნილი დროის გავლის შემდეგ, მასწავლებელი მოსწავლეთა წყვილებს უსვამს კითხვებს:

- რას განიცდიდით მოცემული დავალების შესრულებისას?
- რამდენად ზუსტად იმეორებდნენ თქვენს სიტყვებს? ამ მომენტში რას გრძნობდით?
- როგორც მსმენელი, საკუთარი აზრების გამოთქმისას, ორატორს რით ეხმარებოდით?
- როგორი გავლენა მოახდინა თქვენს კომუნიკაციაზე აქტიურმა მოსმენამ?

### დავალება 2

#### სიტუაციური ამოცანა

ორშაბათს, 18 თებერვალს, დავითი ქალაქგარეთ წავიდა და სალომეს თავისი ძალღი დაუტოვა სამი დღით. სალომეს დედას არ უყვარს ძაღლები. სალომეს არ უნდა, რომ დავითს აწყენინოს და არც დედის განაწყენება სურს. მან მეზობელს დაუტოვა დავითის ძაღლი და უთხრა, სამი დღის შემდეგ მოვალ და წავიყვანო. რამდენიმე დღის შემდეგ მეზობელი სალომეს დედასთან მივიდა და უთხრა, სახლის კარი ღია დამრჩა და სალომეს მოყვანილი ძაღლი გაიპარაო. სალომეს დედამ პოლიციაში დარეკა, მიშველეთ ჩემი კატა დაიკარგაო. ამ დროს სალომე მოვიდა სახლში დავითის ძაღლთან ერთად.

5 ვინვეთ მოხალისე მოსწავლეს. ოთხი მოსწავლე კლასიდან გადის. მასწავლებელი კლასში დარჩენილ მოხალისეს და დანარჩენ მოსწავლეებს ტექსტს ურიგებს. შემდეგ, 5 წუთი ეთმობა ტექსტის წაკითხვას. დროის გასვლის შემდეგ, ის ტექსტს აბრუნებს.

ოთახში ერთ-ერთი მოხალისე ბრუნდება. მეხუთე ბავშვი მას მოკლედ უყვება ნაკითხულ ისტორიას. შემდეგი მონაფე შემოდის, რომელსაც მოსმენილ ტექსტს უყვება მეორე. ამგვარად, ბოლო მოხალისე ტექსტს უყვება მთელ კლასს.

მასწავლებელი ნარუძღვება დისკუსიას შემდეგ საკითხზე  
რატომ ვერ მოხერხდა ამბის ზუსტად გადაცემა?

### 3. მასწავლებლის მინილექცია

ტექსტში ბევრი ზედმეტი ინფორმაციაა, რომელიც ტვირთავს მას და ძნელდება ძირითადი და მეორე ხარისხოვანი ინფორმაციის განსაზღვრა. სიცხადისათვის აუცილებელია ტექსტის მნიშვნელოვანი მომენტების გამოყოფა.

მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს თვალსაჩინოებას, სადაც აქტიური მოსმენის პირობებია მოცემული.

აქტიური მოსმენის პირობები							
უნდა იყო მზად სხვა ადამიანების მოსაზრების მისაღებად	ყურადღების მიქცევა	მიზანმიმართული მოსმენა	თანამოსაზრების დადებითად მიღება	საუბრის გამოცოცხლება ვიზუალური კონტაქტით	ინტერესის დემონსტრირება	ემოციების გაკონტროლება (დადებითის, უარყოფითის)	არ შევანყვებიანო თანამოსაზრეს

#### განსახილველი შეკითხვები

1. აქტიური მოსმენა როდისაა მნიშვნელოვანი?
2. აქტიური მოსმენა რაში დაგეხმარებათ?
3. თუ გაკვეთილის მსვლელობისას რაიმე ვერ გაიგეთ, როგორ მოიქცევით?
4. მასწავლებლის გამოხმაურება

აქტიური მოსმენა არის არა მხოლოდ ინფორმირება, არამედ მოსმენა და გაგება ერთად. აქტიური მოსმენის პროცესში, მსმენელი სრულად უნდა იყოს ჩართული. აქტიური მოსმენით ჩვენ გამოვხატავთ საკუთარ აზრებსა და გრძნობებს. აქტიური მოსმენა სხვებისადმი პატივისცემასაც გულისხმობს.

## შეფასება

მოსწავლეები აფასებენ საკუთარ ჩართულობას საგაკვეთილო პროცესში, მასწავლებელი მოსწავლეებს აფასებს განმავითარებელი შეფასებით — კომენტარით.

თემა 3 გარემოზე ზრუნვა და გარემოს დაცვა

**(მასწავლებელმა ჯგუფური მუშაობის დასაგეგმად შეიძლება გამოიყენოს**  
**ჰ. გარდნერის მრავალმხრივი ინტელექტის თეორია და მოსწავლეები მათი**  
**ინტერესების და უნარების მიხედვით დააჯგუფოს)**

**გაკვეთილის თემა:** რატომ ვიცავთ გარემოს

**დრო:** 2 აკადემიური საათი

**სტანდარტი** საკუთარი მოსაზრებების დამაჯერებლად ჩამოყალიბება;  
 ჯგუფში მუშაობა და წვლილის შეტანა;  
 მოცემული მოვლენის, სიტუაციის, შედეგის შეფასება;  
 სწორი გადაწყვეტილების მიღება

### მიზანი:

- გარემოს შესახებ სწორი შეხედულების ჩამოყალიბება;
- გარემოსა და ჯანმრთელობის ურთიერთდაკავშირება;
- გარემოს მიმართ მზრუნველი დამოკიდებულების ჩამოყალიბება;
- გარემოზე ზრუნვა და მისი დაცვის საწყისი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება

**მეთოდები:** გონებრივი იერიში, დისკუსია, ჯგუფური მუშაობა.

### რესურსები:

სამუშაო ფურცლები, წიგნი, მარკერები, დიდი ზომის ფურცლები. წიგნი და დამხმარე ლიტერატურა, სადაც საუბარია გარემოს და ადამიანის ჯანსაღი ცხოვრების წესზე (მაგ. მოსწავლის წიგნი ტოლერანტობის პროგრამიდან „ჩვენი ეზოს ამბები“)

**პირველი გაკვეთილის მსვლელობა:**

**აქტივობა 1.**

მასწავლებელი მოსწავლეებს გაკვეთილის მიზნებს აცნობს და ეკითხება:

ვინ იცის, რა არის გარემო? პასუხები დაფაზე ინერება და მასწავლებელი დაფაზე ორსვეტიან ცხრილს ხაზავს. **პირველში** დააჯამებს და საგანგებოდ გამოყოფს ისეთ პასუხებს, რომლებიც უკავშირდება მოსწავლის უშუალო გარემოს (სამუშაო სივრცე, სახლის გარემო, სკოლის, კლასის სათამაშო სივრცე); ხოლო **მეორე** სვეტში მოაქცევს ისეთ პასუხებს, სადაც გარემოში შეიძლება ვიგულისხმოთ მინა, ჰაერი და წყალი)

**აქტივობა 2.**

როდის არის გარემოს დაცვის დღე? (პასუხი ინერება დაფაზე, – რომ ეს არის 5 ივნისს).

როგორ ფიქრობთ, რატომ ესაჭიროება გარემოს (დედამინას) დაცვა?

**აქტივობა 3.**

მასწავლებელი მოსწავლეებს უკითხავს ტექსტს, სადაც ნაამბობია, თუ როგორ დააბიძურეს მოსწავლეებმა გარემო ექსკურსიის შემდეგ. იწყება სიტუაციის განხილვა: როგორ ფიქრობთ, რა ზიანი შეიძლება მოუტანოს ამან გარემოს? რა ზიანი მიადგება თითოეულ ადამიანს?

**აქტივობა 4.**

მასწავლებელი სთავაზობს სამუშაოს წყვილებში: როგორ უნდა (შეიძლებოდა) მოქცეულიყვნენ ბავშვები?

იწყება წყვილებში შესრულებული სამუშაოს პრეზენტაცია.

გაკვეთილის შეჯამება, შეფასება. მასწავლებელმა უნდა გამოიყენოს ჯგუფური მუშაობის შეფასების რუბრიკა.

**მეორე გაკვეთილის მსვლელობა;**

**აქტივობა 1.** მასწავლებელი ახსენებს წინა გაკვეთილის თემას და სთხოვს ბავშვებს, 4 ჯგუფად გადანაწილდნენ.

**ჯგუფი 1.** – „**ურნალისტები**“ (ვერბალური ინტელექტი და ინტერპერსონალები) – ერთად ამზადებს საგაზეთო სტატიას გარემოს სისუფთავის თემაზე.

**ჯგუფი 2.** – „**მხატვრები**“ (ვიზუალურ-სივრცითი ინტელექტი და ნატურალისტები) ხატავენ პლაკატს, სადაც ერთზე დაზიანებული, დაბინძურებული გარემოა გამოსახული, ხოლო მეორეზე – სუფთა და მოვლილი.

**ჯგუფი 3.** – „**აქციის ორგანიზატორები**“ (მათემატიკური ინტელექტი და ინტერპერსონალები) გეგმავენ აქციას, რომელიც ეძღვნება დედამიწის დღეს და ამზადებენ ცხრილს – რა დასჭირდებათ: რესურსი, დრო, ორგანიზება.

**აქტივობა 2.** შესრულებული ნამუშევრების ჯგუფისათვის წარდგენა.

**აქტივობა 3.** მონაწილეები შესრულებულ ნამუშევრებს კლასში აკრავენ და ათვალიერებენ.

მასწავლებელი აჯამებს გაკვეთილს, ესაუბრება ბავშვებს.



## თემა 4-პროექტი

### პროექტის განაცხადის ფორმა

#### პროექტის თემა/ სახელწოდება: ღამურების გადარჩენა

#### ა) პრობლემის დასაბუთება/ აღწერა ( არა უმეტეს ერთი გვერდისა)

პრობლემის განსაზღვრა (არსებული სიტუაციის ანალიზი): გულისხმობს იმ კონკრეტული პრობლემის აღწერას, რომლის საპასუხოდაც არის მიმართული პროექტი. ეცადეთ, კარგად წარმოაჩინოთ, რა პრობლემის გადაჭრაზეა ორიენტირებული იგი და დაასაბუთოთ, რამდენად ეფექტიანი იქნება თქვენ მიერ განხორციელებული საქმიანობა.

ჩვენ ვაკეთებთ პროექტს ღამურებზე. მათ გადაშენების საფრთხე ემუქრებათ და 2011 წელი ღამურების წლად არის გამოცხადებული. მსოფლიოს ბევრი ორგანიზაცია ყველანაირად ცდილობს ღამურების გადარჩენას, არა მარტო ფულით, არამედ პლაკატებით და ბილბორდებითაც. რა თქმა უნდა, ღამურები არ გამოირჩევიან განსაკუთრებული სილამაზით ან სარგებლობით, ზოგი მათ ბუნების შეცდომასაც კი უწოდებს, თუმცა, რაც უნდა უშნო და უსარგებლო იყოს, ღამურა ჩვენი ბუნების ნაწილია და ხელს უწყობს მის მრავალფეროვნებას. თან ღამურებს მცირე სარგებელიც მოაქვთ: იკვებებიან პატარა მწერებით, პარაზიტებით და, ცხადია, ანადგურებენ მათ.

ჩვენ, ადამიანები, ყველაზე გონიერი არსებები ვართ და ბევრი რამ შეგვიძლია გავაკეთოთ. რადგან ძლიერები ვართ, ამით კი არ უნდა ვისარგებლოთ და ხელი კი არ უნდა შევუწყოთ რომელიმე გადაშენების პირას მყოფი ცხოველების განადგურებას, არამედ, პირიქით, რითაც შეგვიძლია უნდა დავეხმაროთ მათ და ვეცადოთ, რომ ბუნებას სილამაზე და მრავალფეროვნება არ დავაკარგინოთ.

#### ბ) პროექტის მიზნები

გულისხმობს ფართო, ზოგად დებულებას იმის შესახებ, თუ რისი მიღწევა გსურთ. პროექტის მიზანს უნდა წარმოადგენდეს ისეთი სასურველი გარემოს ან პირობების შექმნა, რომელიც ლოგიკურ კავშირში იქნება (მიმართული იქნება) ზემოთ აღწერილ პრობლემასთან.

ჩვენ გვსურს, ჩვენი აქტივობების საფუძველზე, საზოგადოების რაღაც ნაწილი მაინც – რომელზეც ხმა მიგვინვდება – დავარწმუნოთ, რომ არ გაანადგურონ გადაშენების პირას მისული ღამურები და თვითონაც გადასცენ ამის შესახებ ინფორმაცია სხვას.

### გ) ამოცანები:

გულისხმობს კონკრეტულ ნაბიჯებს მიზნის მისაღწევად. აქ უნდა მიუთითოთ, რა ამოცანების გადაჭრას ისახავთ თქვენს პროექტში მითითებული მიზნის მისაღწევად. მიზნის მისაღწევად შეიძლება დაისახოთ ერთი, ორი ან რამდენიმე ამოცანა, იმის გათვალისწინებით, თუ როგორია თქვენი პროექტის სპეციფიკა.

მიზნის მისაღწევად ვაპირებთ შემდეგი აქტივობების განხორციელებას:

- მოვიფიქროთ შესაბამისი დევიზი („სლოგანი“);
- მოვიფიქროთ ლოგო;
- დავამზადოთ კედლის გაზეთი;
- დავამზადოთ და გავავრცელოთ ბუკლეტები;
- დავამზადებინოთ და შევიძინოთ მაისურები შესაბამისი წარწერებით და სურათებით;
- facebook-ზე შევქმნათ გვერდი ღამურების გადარჩენის მიზნით (fan book)

### დ) პროექტის ვადები:

რა დროში განხორციელდება პროექტი? როგორ განაწილდება აქტივობები დროში?

პროექტი განხორციელდება შემდეგ ვადებში:

- |                     |                 |
|---------------------|-----------------|
| ➤ „სლოგანი“         | — 2.05 — 7.05;  |
| ➤ ლოგო              | — 2.05 — 7.05   |
| ➤ კედლის გაზეთი     | — 2.05 — 24.05  |
| ➤ ბუკლეტები         | — 15.05 — 24.05 |
| ➤ მაისურები         | — 25.05 — 31.05 |
| ➤ ვებგვერდის შექმნა | — 17.05 — 20.05 |

### ე) განხორციელების გზები:

გულისხმობს კიდევ უფრო კონკრეტულ ნაბიჯებს თქვენ მიერ დასმული ამოცანების შესასრულებლად. განხორციელების გზები არის პროცესი, რომელმაც უნდა უპასუხოს კითხვებს:

#### 1) „როგორ?“ – როგორ განხორციელებთ თქვენი პროექტის ამოცანებს?

- გავაცნოთ თანაკლასელებს პროექტის მიზანი და ამოცანები;
- დაისახოს მიზნის მისაღწევი აქტივობები;
- გადანაწილდეს დავალებები მოსწავლეებს შორის მათი შესაძლებლობების და სურვილების მიხედვით;
- განვიხილოთ და შევაფასოთ მიღებული ინფორმაცია და შესრულებული სამუშაოს მიმდინარეობა;
- განვათავსოთ კედლის გაზეთი სკოლის დერეფნის კედლებზე;
- დავარიგოთ ბუკლეტები სკოლაში;
- შევქმნათ ვებგვერდი ღამურების გადარჩენის მიზნით;
- ვეცადოთ, მოვიპოვოთ დაფინანსება, რომელიც დაგვჭირდება აქტივობების განსახორციელებლად;
- დავამზადოთ მაისურები დაფინანსების შემდეგ;
- ვიზრუნოთ თვითდაფინანსებაზე დაფინანსების არმიღების შემთხვევაში.

#### 2) „ვინ“ – ვინ მონაწილეობს თქვენი პროექტის განხორციელებაში? რა არის მათი ფუნქციები პროექტში?

- პროექტის იდეა —
- ლოგო —
- სურათების დამზადება —
- სლოგანი —
- კედლის გაზეთის დამზადება —
- ტექსტი კედლის გაზეთისათვის —
- ბუკლეტის დამზადება და დარიგება —
- ვებგვერდის დამზადება —

**ვ) პროექტის სამიზნე ჯგუფი / ვინ მიიღებს სარგებელს?**

(დამატებითი ცნობები თქვენი ბენეფიციარების შესახებ სასარგებლო იქნება განაცხადის განხილვისას)

- რამდენი ადამიანი მიიღებს დახმარებას ან რაიმე სარგებელს?  
დაახლოებით 200 – 250
- სად იმყოფებიან ეს ადამიანები?  
ჩვენს სკოლაში

**ზ) რესურსები / ბიუჯეტი:**

ამ ნაწილში უნდა აისახოს რა მატერიალური, ადამიანური, ტექნიკური და სხვა რესურსები გესაჭიროებათ პროექტის განხორციელებისათვის. უნდა შედგეს ბიუჯეტის ცხრილი (გაითვალისწინეთ, თუ ვერ მიიღებთ დაფინანსებას, განაცხადში უნდა მიუთითოთ, როგორ მოიპოვებთ თანხას).

პროექტის განხორციელებისათვის საჭიროა: ქალაქი ბუკლეტისათვის – 1 შეკვრა – 5 ლ. მაისურების შესაძენი თანხა – 156 ლ. (ერთი მაისური – 15 ლ.) ფორმატის ფურცლები 5ცალი – 8 ლ დაფინანსების არმიღების შემთხვევაში, იგეგმება თვითდაფინანსება.

**თ) შედეგები / მონიტორინგი:**

რას მივიღებთ პროექტის განხორციელების შედეგად? როგორ მოვახერხებთ პროექტის შედეგების დაკვირვებას? ვინ განახორციელებს მონიტორინგს?

პროექტი განხორციელდა იმისათვის, რომ ადამიანები მოუფრთხილდნენ ბუნების ყველა წარმომადგენელს, მიუხედავად მათი სარგებლიანობისა. შეინარჩუნონ გადაშენების გზაზე მყოფი ყველა სახეობა. მომავალ თაობებს დაუტოვონ ფლორის წარმომადგენლები. პროექტის შედეგს დააკვირდება: (უნდა ჩაინეროს, ვინ დააკვირდება).

პროექტის შესრულების განრიგი: ეს თავი უნდა შეიცავდეს პროექტის დროში განაწილებულ მსვლელობას. (ცხრილი მაგალითისთვის)

დაგეგმილი აქტივობების ცხრილი: I თვე II თვე III თვე

ვადები 1 თვე	ვინ განახორციელებს	აქტივობა	რესურსები	მოსალოდნელი შედეგი
2.05—7.05		აქტივობა 1. იდეა, „სლოგანი“, ლოგო		დამზადდება „სლოგანი“ და ლოგო
2.05—24.05		აქტივობა 2. კედლის გაზეთი	ფორმატის ფურცლები	კედლის გაზეთი გაიკვრება სკოლის კედლებზე
17.05—20.05		აქტივობა 3. ვებგვერდის შექმნა	კომპიუტერი	შექმნება ვებგვერდი სკოლის მოსწავლეებს
15.5—24.05		აქტივობა 4. ბუკლეტები	ქალაქის ფურცლები	დაურიგდებათ ბუკლეტები
25.05—31.05		აქტივობა 5. მაისურები წარწერებით და სურათებით	მაისურები	შექმნილ იქნება მაისურები წარწერებითა და სურათებით

### გამოყენებული ლიტერატურა:

1 National Curriculum for secondary schools of Azerbaijan Republic” 30 October 2006, № 233

Which skills are life skills? [http://www.unicef.org/lifeskills/index\\_whichskills.html](http://www.unicef.org/lifeskills/index_whichskills.html)

2 Hacıyeva H, Musayeva Z. Education on based life skills. Manual for elementary school teachers. Baku.2006 Z.Veyisova. Interaktiv learning: Educational resource. Baku 2007

3 Life skills curikulum for elementary schools <http://az.wikisource.org/wiki>

4 John S.Kendall and Robert J.Marzano “Content knowledge. A compendium of standards and benchmarks for K-12 Education” 1996

5 Virginia/USA Government Program of studies. Fairfax County Public Schools 1998

6 Stephanie Wasta: “Teaching social studies” 2006

7 Montana office of public Instruction.(2000) Montana standards for social studies

8 History –social science framework for California Public schools .Edition with Criteria for Instructional Materials. Sacramento. 2005

9 Borich,G.D. Effective teaching methods. Upper Saddle River.1996

10 John U.Michaelis, Jesus Garcia . Social studies for children.A guied to basic instruction 1996

11 Peter Morterella,Candy M.Beal,Chearyl Mason Bolick.” Teaching social studies in middle and secondry schools” Ohio. 2005

12 Devine, Thomas G. Teaching studies skills.Boston.1987

13 Reading/Language arts framework for California Public schools .Kindergarten Through Grade Twelve. Published by the California Department of Education. 1999

14 Marzano, Robert.J Reading Diagnosis and Instruction.1987

15 Muijs, D. Reynolds,D. (2005) Effective Teaching: Evidence and Pactice. Second Edition. Sage Punlication.

16 Gardner, H. The Multiple Intelligence and Learning Stile, 2002. NY

17 ეფექტური სწავლება თეორია და პრაქტიკა. გამოცდების ეროვნული ცენტრი, კვლევის დეპარტამენტი. 2010წ.

18 როგორ შევცალოთ გარემო: ძალადობის აღმოფხვრა სკოლებში. ევროპის საბჭო, UNICEF — Unite for Children. 2010

19 Bandura,A (1986)Social foundations of Thought and Action: A social cognitive theory: Englewood Cliffs, NJ: Prentice –Hall

20 Action Control: FromCognition to Behavior. Heidelberg. 1985

21 Health Behavior and Health education, Theory, Researchand Practice. 1990

22 Brookfield,S. (1991) Developing Critical Thinkers: Challenging Adultsto Explore Alternative Ways of Thinking. Jossey-Bass Educational Series

23 Moore, D.K. (2009) Effective Instructional Strategies. Sage Publication Inc



წიგნი გამოსაცემად მოამზადა  
გამომცემლობა „უსტარმა“

თბილისი, მ. წინამძღვრიშვილის 119  
ტელ: 296 40 81, 790 96 40 82  
ელ. ფოსტა: [ustari2010@gmail.com](mailto:ustari2010@gmail.com)







**თამარ ჭანტურია - წიგნიერების ექსპერტი**

ფილოლოგი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებების დოქტორანტი. მუშაობდა წმ. გიორგის სახელობის საერო სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად; თანამშრომლობს გამოცდების ეროვნულ ცენტრთან - ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდაზე არის ნაშრომების გამსწორებელთა კომისიის წევრი. არის დაწყებით კლასებში სწავლების თემატიკაზე რამდენიმე პუბლიკაციის თანაავტორი. თანამშრომლობს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დაგეგმილ ეროვნული შეფასების პროექტთან, როგორც წიგნიერების მიმართულების ექსპერტი. არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის“ მონვეული ლექტორი.



**პაატა ჰაჰავა - წიგნიერების ექსპერტი**

განათლების ექსპერტი და წიგნიერების საერთაშორისო ტრენერ-კონსულტანტი. განხორციელებული აქვს საგანმანათლებლო პროექტები წიგნიერებაში, როგორც სამთავრობო, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებში. სხვადასხვა დროს იყო კითხვის საერთაშორისო ასოციაციის (IRA) ევრაზიის კომიტეტის თარგმანდომარე, კრიტიკული აზროვნების საერთაშორისო კონსორციუმის (RWTC IC) მმართველი საბჭოს წევრი. არის განათლებისა და წიგნიერების საკითხებზე სტატიებისა და მეთოდური გზამკვლევების ავტორი, ილია ჭავჭავაძის უნივერსიტეტის განათლების ფაკულტეტის დოქტორანტი.



**ეკატერინე კორძაძე - მათემატიკური წიგნიერების ექსპერტი**

მათემატიკოსი. ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის მათემატიკის ექსპერტი. წლების განმავლობაში იყო სკოლების კომპიუტერიზაციის პროგრამა „ირმის ნახტომი“-ს მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების მასწავლებელთა საგნობრივი ქსელის კოორდინატორი. მონაწილეობდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მათემატიკის ეროვნული სასწავლო გეგმის შემუშავებაში. არის მათემატიკის სწავლების არაერთი პუბლიკაციის თანაავტორი. მუშაობს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ლექტორად.



**მარია ბაჰრაძე - სასიცოცხლო უნარების ექსპერტი**

ფსიქოლოგი. სოციალური ფსიქოლოგიის მაგისტრი. ბავშვთა საერთაშორისო ცენტრის (ICC) წარმომადგენელი საქართველოში. ბრიტანულ-ქართული აკადემიის ფსიქოლოგი. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის, აქტიური სწავლების საერთაშორისო ტრენერი. თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის დოქტორანტი.



**ნანა აქმეტ ბაჰტიარ მიჰლიევა - სასიცოცხლო უნარების ექსპერტი**

ისტორიკოსი, მუშაობდა სკოლაში ისტორიის მასწავლებლად. მონაწილეობდა აზერბაიჯანის სოციალურ მეცნიერებათა ეროვნული სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესში. 2009 წლიდან მუშაობს აზერბაიჯანის განათლების სამინისტროში და ხელმძღვანელობს ეროვნული შეფასების კომპონენტს. შემუშავებული აქვს ეროვნული შერევისთვის საჭირო მასალები (ტესტები და კითხვარები), ანგარიშები მოსწავლეთა მიღწევების შესახებ. სამოქალაქო განათლება და კურიკულუმის შემუშავება და განვითარება შეისწავლა ამერიკის შეერთებული შტატების უნივერსიტეტებში 2003-2006 წლებში.